

სხანი შოპოდა



ივლისი 2012 №51
ფასი 7 ლარი



ისტორიები

შან ჭაკ ჭაკობი / დათო ჩაგანავა

ქეთრინ ვულსი / ანთა თვაური

ინტერვიუ

მალკოლმ მაკლაუელი / ნინო ჩიხაძე

ექსკლუზივი

ფრანკა სოსანი

VOGUE ITALIA-ს მთავარი რედაქტორი

თამარ ალავეტი

ISSN 1512-2220



9 771512 222006

PONTI

DAL 1867



ცდუნების ფორმულა
DI MODENA



დაწარჩენი ზეღმეტი



SMART TV



მთელი ინტერნეტ სამყარო, შესაქმნებლობების მრავალფეროვნება — ეს ყველაფერი ახალ, ინტელექტუალურ ტელევიზორებში Samsung Smart TV. აირჩიეთ თქვენი ტელევიზორი და მიიღეთ Samsung VIP service და მასთან თანდართული ექსპლუატორი სერვისები და პრივილეგიები. დაბალური ინფორმაცია იხილეთ ვებ გვერდზე www.samsung.com/kz

შთაბონებული ბუნებით, შექმნილი ადამიანისთვის!



გაჯეტების ეპოქაში მცხოვრები ადამიანებისთვის დაუჯერებელი თითქმის აღარაფერია, მაგრამ ეჭვი მაინც გვიპყრობს და გვიკვირს, როდესაც გვეუბნებიან, რომ მობილური ჩვენს ყველაზე საუკეთესო მეგობარზე ერთგული და სანდოა.

სამსუენის ახალი სმარტფონი – Samsung GALAXY S III ამ ეჭვებს სრულიად აქრობს. მისი უნიკალური ინტელექტუალური ფუნქციებიდან გამომდინარე ხვდებით, რომ ეს არის სმარტფონი, რომელიც გხედავს, გისმენს და იცის შენი განზრახვები. მასთან ერთად ცხოვრება განსაკუთრებით მარტივია. ერთ სმარტფონში ჩატეული წიგნის მალაზია, სოციალური ქსელები და მუდმივი, ბუნებრივი კავშირი ადამიანებთან, მას კიდევ უფრო უნიკალურს ხდის. ფუნქცია – „Social tag” ტელეფონში თავმოყრილ ყველა ფოტოს გმირს სოციალურ ქსელებთან აკავშირებს, რაც საშუალებას გაძლევთ თვალი ადევნოთ თქვენი მეგობრების მიმდინარე პოსტებს სოციალურ ქსელებში, მაშინ, როდესაც სმარტფონში მის ფოტოს უყურებთ.

თქვენ შეგიძლიათ ესაუბროთ ტელეფონს, რომელსაც ესმის რა გსურთ და მოქმედებას იწყებს. „S Voice” ფუნქციის საშუალებით, მობილური ფუნქციონირებას იმ წუთიდან იწყებს, როგორც კი თქვენ მას მიესალმებით და წყვეტს მომსახურებას მაშინვე, როგორც კი მასთან საუბარს წყვეტთ. მისი მექანიკური ფუნქციები ჩვენს ბუნებრივ ენას იგებს.

სამსუენის ახალი სმარტფონი თქვენი განზრახვების თანხმირია. თუკი თქვენ მეგობარს მესიჯს წერთ და უცბად, მასთან

დარეკვა მოგიწადთ, „Direct call”-ის საშუალებით, შეგიძლიათ მობილური უბრალოდ ყურთან მიიტანოთ და ის თვითონ დაგაკავშირებთ მას-ის ადრესატთან.

სმარტფონი გრძნობს თქვენს განწყობას მაშინ, როდესაც ფოტოს იღებთ. ის არასდროს დატოვებს თქვენს ღიმილს უყურადღებოდ და არ გადაიღებს სურათს თუ თქვენ თვალი დაახამხამეთ. ფუნქციით „Best photo” ის ავტომატურად გადაიღებს რვა კადრს და თვითონვე გადაარჩევს ერთ საუკეთესოს.

სოციალურ ურთიერთობებთან ერთად, სამსუენის ახალი სმარტფონი საქმიანი ურთიერთობების კომფორტულად წარმართვაშიც დაგეხმარებათ. თქვენს ტელეფონში არსებული დოკუმენტების, სურათებისა და ვიდეო-ფაილების გაგზავნა „S Beam”-ის საშუალებითაა შესაძლებელი. ამისათვის საკმარისია აარჩიოთ სასურველი დოკუმენტი და მიიტანოთ ტელეფონები ერთმანეთთან და სასურველი ინფორმაცია წამიერად გაიგზავნება.

მგრძობიარე და ბუნებასთან მორგებული დიზაინი, Samsung GALAXY S III-თან ერთად ცხოვრებას კიდევ უფრო სასიამოვნოს და კომფორტულს ხდის.



სხალი შოკოლადი


№81, ივლისი 2012



ყდაზე ფრანკა სოცანი
ფოტო: Reuters

	8	რედაქტორის სვეტი
	10	ავტორთა სვეტები
წარდგენა	12	კონსტანტინე კაკაბაძე, მხატვარი
	14	ნული ყოფაქცევაში, ფრიადი – რესტავრაციაში <i>დავით ბუხრიკიძე</i>
ანონსი	16	6 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ <i>სალომე აფხაზიშვილი</i>
რესტორნის კრიტიკა	24	145-ე საფეხური <i>თამარ კვინიკაძე</i>
საავტორო	26	ბამბუკის ტყე <i>გაგა ნახუცრიშვილი</i>
	28	BOZZ-AND-არა <i>ბაჩო კვიციანი</i>
	30	უფრო გვიან, ვიდრე არასდროს <i>თამაზ მელაშვილი</i>
	32	უძველესი პროფესია <i>პაატა შამუგია</i>
ისტორია	34	თან უაკ უაკობი მომავლის მიწა <i>დათო ჩაგანავა</i>
	50	ქეთრინ შულცი შეცდომებს შორის <i>ანიტა თვაური</i>
ინტერვიუ	44	ინტერვიუ მალკოლმ მაკდაუელთან <i>ნინო ჩიმაკაძე</i>
არტიისტი ახლოდან	58	მატერიის დრამა მსუბუქი მასალებით <i>ხათუნა ხაბულიანი</i>
ინსპირაცია	64	სხეულით შემოსილი შიშველი სული <i>ნინო ჩიმაკაძე</i>
ლიტერატურა	74	ესე ცხოვრება და მოღვაწეობა ერლომ ახვლედიანისა (პორტრეტისათვის) <i>გია არგანაშვილი</i>
	80	საუბარი ვერა პავლოვასთან თქვენობით და შენობით <i>შოთა იათაშვილი</i>
	86	საავტორო მადათაშვილი აკა <i>მორჩილაძე</i>
	92	მოთხრობა კროსვორდი <i>ლადო კილასონია</i>
	98	პოეზია დიმიტრი ბახუტაშვილი, პოეტი
საუბრები აბაყურის ქვეშ	100	ვარსკვლავი <i>დათო ტურაშვილი</i>
კრიტიკა	102	სისხლი, სპერმა და კისელი <i>დავით ბუხრიკიძე</i>
	104	რისგან კვდება მკითხველი? <i>მამო სამადაშვილი</i>
ნიგნები	106	მიმოხილვა
	110	ქლოას ხელახალი დაბადება
რეცენზია	112	კარგად ტემპერირებული ჰიპ-ჰოპი <i>დავით ბუხრიკიძე</i>
	114	ვისია „ოლივერი“? <i>დავით ბუხრიკიძე</i>
	116	ღმერთო, შეუნდე მფავანაძეს და დაგვიბრუნე ჭადრები სანაპიროზე! <i>დავით ბუხრიკიძე</i>
სტილი	118	მომავალ ოცნებებამდე <i>თამარ ალაიძე</i>
	120	ტრენდი
	122	შემოდგომა და ზამთარი მოდაში <i>ნინუცა ივარდავა</i>
	128	ფოტოპროექტი <i>Vaudeville & Burlesque</i> <i>მარიამ სიჭინავა</i>
	136	უკომპრომისო და რისკიანი ფრანკა სოცანი <i>თამარ ალაიძე</i>
	142	რომაული ჩანაწერები <i>თამარ სულავა</i>
	144	სტილის დღიურები <i>თამარ ალაიძე</i>





ლისი
მ ე რ ა ნ დ ა



ახალი მეზობლების სმაური არ უგბანუსებთ

ქალაქის სმაურის ნაცვლად ჩიტების სასიამოვნო ჭიკჭიკი გაგაღვიძებთ და გაგიკვირდებათ. ისინი თქვენი ახალი მეზობლები იქნებიან. ლისი ვერანდა ქალაქის ცენტრიდან სულ რაღაც ათ ნუთშია. ლამაზი გარემო, სუფთა ჰაერი, თანამედროვე სახლები ბუნებას ჰარმონიულად ერწყმის. აქ ყველა პირობაა შექმნილი, რომ თავი სახლში იგრძნოთ. *გადმოდი და დაინყე ახალიცხოვრება.*

595 134 134 | tbi@lisi.ge | www.lisi.ge

მთავარი რედაქტორი
თამარ ბაბუაძე

„სტილი“
თამარ ალაიძე

„ლიტერატურა“
რატი ქართველიშვილი, ბექა ქურხული

რედაქტორების ასისტენტი
მარიამ სამადაშვილი

ვიპგვერდის რედაქტორი
ნინო ჯაფარიძე

არტრედაქტორი
არჩილ თაბუკაშვილი

ლიზინი
თორნიკე ლორთქიფანიძე

კორექტორი
თამარ ლონდაძე

ნომერზე მუშაობდნენ:
ანიტა თვაური, დათო ჩაგანავა, ხათუნა ხაბულაძე, თამარ ალაიძე, ნინო ჩიხაძე, შოთა იათაშვილი, გია არგანაშვილი, აკა მორჩილაძე, დავით ბუხრიკიძე, გაგა ნახუცრიშვილი, ბაჩო კვიციანი, პაატა შამუგია, თამთა მელაშვილი, დათო ტურაშვილი, თამარ კვინიკაძე, სალომე აფხაზიშვილი, მამო სამადაშვილი, თამარ სულავა.

ფოტო:
ანიტა თვაური, მაცკ გოგალაძე, ლევან ხერხეულიძე, დათო ჩაგანავა, გია გოგატიშვილი.

ილუსტრაციები:
GAMEZ

გამომცემელი
შორენა შავერდაშვილი

პრინციპალის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ფურცელაძე

პატრონობის განყოფილების მენეჯერი:
ქეთევან ქავთარაძე, მარიამ მიქელაშვილი, სოფო პაპუნაშვილი, ნინო გონიაშვილი, ქეთევან ლეკიშვილი.


დისტრიბუცია
მიხეილ მამუჩაშვილი

DEKOM
MEDIA HOUSE

გამომცემლობა:
შპს „მედია ჰაუსი დეკომი“
მისამართი: თბილისი 0183, საქართველო
ქუდიტის ქ. 35, ტელ.: +995 32 247 10 05
სსსპ გამომცემლობა:
„ლიბერალი“, „პიზნეს“-ადამიანები,
მეთოდები, სტრატეგიები“, „დილოგი“,
ქართული ღვინის გზაშეკვლევი

სტამბა:
„სეზანი“, თბილისი, ნურთლის 140,
ტელ.: 235 70 02
ჟურნალი გამოდის 2004 წლის
25 დეკემბრიდან

© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო
უფლებები დაცულია. ჟურნალში
გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი
ან მთლიანი გამოყენება გამოცემლობის
ნებართვის გარეშე აკრძალულია.
„ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი
არ ერევა შინაარსის შექმნაში.



ადამიანები და ვაშლები

ინგრიდ დეხრავე, 2005 წელი: „ცოტა ხნის წინ, მეგობარმა მითხრა, რომ თურმე ასობით ვაშლის სახეობა არსებობს. ნარმოიდგინე? ასეულობით სახეობა აქვს მხოლოდ ვაშლს და ადამიანი რამდენაირია? თან ყველა ერთმანეთისგან განსხვავებული. ჩვენი სახლის ბიბლიოთეკიდან მახსოვს ერთი წიგნი, გარეკანზე სხვადასხვა რასის ადამიანები ეხატა. მაშინ კითხვა არც ვიცოდი, მაგრამ ძალიან მომწონდა ადამიანების სხვადასხვა ტიპაჟის ყურება. ახლა ვხედები, რომ განსაკუთრებით მხიბლავდა იემენელები და ინდოელები“.

ერლომ ახვლედიანი, 2006 წელი: „ადამიანები მიყვარს, მაგრამ მათში ჩხრეკვას არ ვინწყებ. ადამიანი მაინტერესებს კიდევ, მაგრამ არ განვიკითხავ. რადგან, როცა ვინმეს განვიკითხავ, შენ მას მარტო არ ტოვებ. ადამიანი ყოველთვის უნდა დატოვო მარტო. თავის თავს ის ყველაზე კარგად მოუვლის... ისედაც, ერთი ადამიანი მეორესგან იმდენად შორს არის, როგორც ვარსკვლავები – ერთმანეთისგან. მე არ ვცდილობ მათ მივუახლოვდე. მეტიც, ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რაში სჭირდება ადამიანს ასეთი კომპლექსური, ასეთი დიდი აგრეგატი, როგორც მისი სხეულია; რად უნდა მას ასეთი სირთულე? ნარმოიდგინეთ, რა მშვენიერი რამ არის კანი; აბსოლუტურად მშვენიერი, გლუვი კანი, რომელიც ამ სირთულეს გადაეფარება და საკუთარ საფარში მალავს ყველაფერს... გატყავებული ადამიანი საშინელებაა“.

დიანა ანდომიადი, 2012 წელი: „ვიფიქრე, ვიფიქრე, რით განსხვავდება ახლანდელი ჩემი თავი ათი წლის წინანდელი ჩემი თავისგან და მივხვდი – ადამიანებს აღარ ვეძებ“.

მე, დღეს: ადამიანებზე სულ ვფიქრობ, რამდენიმე მათგანზე კი ვფიქრობ იმაზე ხშირად, ვიდრე – საკუთარ თავზე. ადამიანები განუწყვეტლოვ მაინტერესებს, მაგრამ, ერლომ ახვლედიანივით, მათთან მიახლოვებას და ჩაკირკიტებას ზოგჯერ მათზე შორიდან დაკვირვებას და ფიქრს ვამჯობინებ (თუმცა, ზოგს, პირიქით, ალბათ, ზედმეტი მზრუნველობითა და სიყვარულით ვუშრობ სისხლს). ადამიანების შესახებ დანერვილ ტექსტებს კი სულ დაძაბული ვკითხულობ (და ვწერ), რადგან ქვეცნობიერად მიშინია, ხელში არ შემრჩეს მხოლოდ ის „აბსოლუტურად მშვენიერი, გლუვი კანი“, რომელიც ყველაზე საინტერესო და საღერღელისამშველ სირთულეებს ფარავს; ხელში არ შემრჩეს მხოლოდ არაგულწრფელი პასუხები და მათზე დაფუძნებული, თავიდანვე შეცდომაში შემყვანი, ერთგანზომილებიანი თხრობა; სუბიექტური, ინტერპრეტირებული, არამართალი ისტორია. ეს უინტერესოა.

ამ ნომერში ადამიანების სიუხვეა, ყველას გაცნობას გირჩევთ, თუმცა, მგონია, რომ დათო ჩაგანავას მიერ აღწერილი ჟან ჟაკობი მაინც გამორჩეულია. დათომ სტანდარტული ჟურნალისტური მეთოდების გარეშე მოახერხა თავისი პერსონაჟის „კანში შესვლა“. ჟან ჟაკი გულწრფელი იყო, ისეთი გულწრფელი, როგორც ხშირად არ ვართ არა მარტო ჟურნალისტთან, არამედ პირად ურთიერთობებშიც...

თამარ ბაბუაძე, მთავარი რედაქტორი

მაგთი
MAGTI



1 წლი ნებართვი სარუქრად!

Samsung
GALAXY Tab
7.7



Samsung
GALAXY Note



Samsung
GALAXY S II
1.2GHz



GALAXY
NEXUS



SAMSUNG

პირველ აბონებთმდე შეიძინეთ სამსუნგის კოლორამიანი სმარტფონი და 1 წლის განმავლობაში, ყოველთვე სარუქრად მიიღეთ 1 GB ინტერნეტი მაგთისგან!

აქტივის ფარგლებში შეიძინეთ
ტელეფონზე აკრიფეთ

***222# OK**

ინფორმაციისთვის დარეკეთ 1191



ანიტა თსაპარიძე

„ცხელი შოკოლადის“ აპრილის ნომერში, ქეთრინ შულცის „როცა ცდების“ რეცენზიაში უკვე ვახსენე, რომ ამ წიგნმა საქართველოში თანამედროვე სააზროვნო სივრცის დეფიციტი მაგრძნობინა. დიდი იდეები მხოლოდ ვირტუალურად თუ აღწევს ჩვენამდე – ონლაინ ნაკითხული სტატიების და წიგნების, ონლაინ ნანახი ვიდეოების და მოსმენილი აუდიოების სახით. ამიტომ ხშირად გვრჩება ხოლმე შეგრძნება, რომ ეს დიდი იდეები, მართალია, ჩვენთან ერთად თანაარსებობს, მაგრამ ეს არსებობა არ სცდება კომპიუტერის კედლებს, მათთვის გამოყოფილი ვირტუალური სივრცე არასდროს გადმოდის ჩვენს ყოფით ცხოვრებაში და, შესაბამისად, ვერც გავლენას ახდენს მასზე.

როდესაც ქეთრინ შულცი ლიტერატურის მუზეუმში მკითხველებთან შესახვედრად შემოვიდა, მეგონა, რაღაც მოხდებოდა ჩემს თავს! ბოლოს და ბოლოს, დამბურძღავდა მაინც, მაგრამ – არაფერი.

ჩემი სიმაღლის, გამხდარი ქეთრინი, კუბოკრული „საროჩკით“, მოტკეცილი შარვლით და ლურჯი გაცრეცილი სანდლებით – აი, ასეთი ნაცნობი, უბრალო და „ჩემიანი“ იყო კომპიუტერიდან და წიგნიდან ამოსული ვირტუალური რეალობა; ერთდროულად შორეულიც და ახლობელიც.

შეცდომებს შორის
გვ. 50



ლათო ჩაბანავა

ჟან ჟაკმა ერთხელ მითხრა, როცა საკვებს იღებ და როცა ეს საკვები შექმნილია არა მექანიკურად, არა ზერელედ, არამედ ინდივიდის შრომით, გულით, ენებით, ეს მიძღვბში ფიქრს ალღივებს, მას ანცვიფრებს და სადაც განცვიფრებაა, იქ ზრდააო...

ნუთუ ეს მიდგომა სხვა ყველაფერში არ გამოიხატება ჩვენს გარემოში? ნუთუ მექანიკური, ენებისა და სიყვარულისგან დაცლილი, ზერელედ ქმნილი არაა ის, რაც არ გვაძლევს საშუალებას აუცილებელი სასიცოცხლო „ნიეთიერებები“ მივიღოთ?

ნუთუ ცხოვრებაც, ფართო გაგებით, კვება არაა? ნუთუ მამარდაშვილი ცდებოდა, როცა ამბობდა, რომ თითოეულ ლუკმას გააზრება, გაშინაგება სჭირდებაო?

შემოქმედება, ვფიქრობ, არა პროდუქტი, არამედ პროცესია, არა ნივთი, არამედ ადამიანი... დიახ, ადამიანი, რომელიც ამ ნივთს ქმნის და ამ ქმნაში ცხოვრობს, შემოქმედება ცხოვრების წესია, ფორმა, გენეზით, რიტუალი, რომლის მეშვეობითაც იქმნება საღერლელის ამშლელი ფერი, ფორმა, საზრისი, თუ უბრალოდ კარგი პური...

მომავლის შინა
გვ. 34



შოთა იათაშვილი

2007-ში მე და ზურა რთველიაშვილი მოსკოვის პოეტურ ბენალეზე ჩავედით. გახსნა გაინულა. რატომღაც ყველას ძალიან უგრძელდებოდა სიტყვით გამოსვლა. დარბაზში ზოგს ჩაეძინა, ზოგი გაიძურნა... ჩვენ ბოლოს გავედით. მივხვდით, რომ ლაპარაკი აღარ იყო საჭირო და მხოლოდ ლექსები წავიკითხეთ... ზურამ დაიქუხა და ნახევრადჩაინებულნი დარბაზი გამოაღვიძა. მეც მივყვი...

დამთავრდა გახსნა. ერთი ქალი მიახლოვდება, ხელს მინვდის და მეუბნება: თქვენი „მფრინავი“ საუკეთესო იყო დღესო. ხელს ვართმევ, ვუყურებ, ბევრი მეგობარი-პოეტი მყავს რუსეთში, მაგრამ ვერ ვხვდები, იგი ვინაა, არადა მეცნობა. რამდენიმეწამიანი პაუზაა: მისი ხელი მიჭირავს, შევყურებ, ვფიქრობ: „ვინაა?..“ და უცებ გამინათდა გონება: „Вы Вера Павлова?“ ვეკითხები. მეთანხმება. და ასე, ლაპარაკ-ლაპარაკით გავდივართ ფოიეში, საერთო სამეგობროს ვუერთდებით.

2011-ში კი ფესტივალზე „Киевские Лавры“ გადავეყარეთ ისევ ერთმანეთს. იქ უკვე მეტი დრო გვქონდა კონტაქტისა – მთელი ორი დღე და ბევრს ვლაპარაკობდით – პოეზიაზე, ცხოვრებაზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე...

ახლახან კი, მას შემდეგ, რაც ვერა ფბ-ზე გამოჩნდა, შევთავაზე, მოდი, ერთი კარგი ქართული ჟურნალისთვის გავისაუბროთ-მეთქი და მაშინვე დამთანხმდა.

ასეთი გიჟური დიალოგი – და არა ინტერვიუ, რადგან აქ არაა რესპონდენტი და კორესპონდენტი – აქამდე არავისთან მქონია... ორივენი გულწრფელები და გახსნილები ვიყავით, და მეგონა, ამ გახსნილობაში ერთმანეთს კიდევ ვუნწყობდით ხელს, და ეს ურთიერთგახსნილობა რაღაც უცნაურ ნეტარებაში გადაგვდიოდა...

ვერა პავლოვასთან თქვენობით
და შენობით
გვ. 80

BP - საქართველოს მხარდასაჭერად



ნიკოლოზ თვაური
ცურვა

ვარლამ ლიპარტელიანი
ძიუდო

დავით მარსაგიშვილი
თავისუფალი ჭიდაობა

შოთა თმარაშვილი
წოლგემი

იაგო გორგოძე
წოლგემი

ლუბა გოლოვინა
ბატუტზე ხტომა

ჩვენ გვეამაყება, რომ ხელს ვუწყობთ საქართველოს სპორტსმენების წარმატებას 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებში. BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში



ოფიციალური პარტნიორი



გვ. 88



გვ. 90



გვ. 94



გვ. 96

კონსტანტინე კაკაბაძე
მხატვარი

– კოტე, რას შევები? – ურეკავს მეგობარი.

- ვმუშაობ, – პასუხობს კოტე.
- უი, მუშაობა დაინყე?

კოტე კაკაბაძე ახალგაზრდა ფერმწერია და ხშირად უწევს ხოლმე იმის ახსნა, რომ „ვმუშაობ“ ნიშნავს არა 10:00-დან – 18:00-მდე ოფისში ჯდომას, არამედ ხატვას. კოტესთვის ხატვა ძირითადი და საყვარელი საქმიანობაა. თუმცა ამის აღმოსაჩენად დიდი გზა გაიარა: ნიკო ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო კოლეჯში ჯერ ქანდაკებას სწავლობდა, შემდეგ ხატწერას, ბოლოს კი სასწავლებელი ფერწერის განხრით დაამთავრა. იმავე წელს სამხატვრო აკადემიაში ჩასაბარებლად მოემზადა და ყველას გასაკვირად, არქიტექტურის ფაკულტეტი აირჩია. ამბობს, რომ აკადემიაში გატარებულ ოთხმა წელმა შედეგიანად ჩაიარა – ჯგუფელების გარემოცვაში პროექტებზე მუშაობდა, სახლში განმარტოებული კი ხატავდა.

კოტე ამბობს, რომ არქიტექტურამ ფართოდ აზროვნება, სივრცის აღქმა, სიზუსტე და თანმიმდევრულობა ასწავლა, რაც ახლა ფერწერაში მუშაობისას ძალიან ეხმარება. ფერწერა კი იმიტომ, რომ

ერთი წლის წინ კოტემ მაგისტრატურაში, ფერწერის მიმართულებით ჩააბარა. ამბობს, რომ ფერწერაში ყველაზე კომფორტულად გრძნობს თავს და შემოქმედებითად თავისუფალია.

ხატავს მუყაოზე, ქალაღზე, ტილოზე და სხვა ზედაპირზე, თუმცა ყოველთვის ზეთის საღებავით. კოტეს ნახატებში ხშირად შეხვედებით ბავშვებს. როგორც თვითონ ამბობს, ბავშვებსგან განსაკუთრებული ენერჯია და სიხალისე მოდის, თუმცა კოტეს ბავშვები უჩვეულოდ სერიოზულად გამოიყურებიან – ისინი დიდებს ჰგვანან, რადგან კოტე მათში იმ განცდებს და პროტესტს დებს, რომელიც გარემოს მიმართ მუდმივად უჩნდება.

ძირითადად მაშინ ხატავს, როცა მძიმე განწყობა აქვს და გაბრაზებულია. თუმცა ზოგჯერ, კარგ განწყობაზე მყოფს, სპონტანურად მოსდის იდეები, თუ მაშინვე დახატვის საშუალება არ აქვს, ფოტოს იღებს, პერსონაჟებს და განწყობას იმასხორებს და შემდეგ მათ ნამუშევარში იყენებს.

ახლა ახალ ფერწერულ სერიაზე მუშაობს, თუმცა არც ნამუშევრების რაოდენობას ამხელს და არც სხვა დეტალებს. უკანასკნელი პროექტი, რომელშიც მონაწილეობა

მიიღო, „Buy Night“-ის სერიაა, რომელიც კოტემ არქიტექტორ ბესო ლეჟავასთან ერთად გახსნა. ნამუშევარი „არის თუ არა ყველაფერი ფული?!“ 15 000 ცალი 10-ლარიანი კუპიურით დაფარული საგამოფენო სივრცე იყო. კოტეს იდეით, იმისთვის, რომ ძალიან პატარა საგამოფენო სივრცე მაქსიმალურად აეთვისებინათ, თვითონ გალერეა უნდა ყოფილიყო ნამუშევარი. მიზანს მიაღწიეს კიდეც, თუმცა სამი დღის შემდეგ ეროვნული ბანკის მოთხოვნით გამოფენა ჩამოიხსნა, რადგან აღმოჩნდა, რომ განსხვავებული მიზნებისთვის კუპიურის ასლის დამზადება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ის 125%-ით დიდი ზომისა იქნება. თუმცა კოტე კმაყოფილია, რადგან სამ დღეში გამოფენა ბევრმა დამთვალიერებელმა ნახა.

შემდეგ წელს კოტეს ბევრი გეგმა აქვს – მათ შორის, რაც შეიძლება მეტ პროექტსა და გამოფენაში მონაწილეობა, მაგისტრის ხარისხის მიღება და ევროპაში სწავლის გაგრძელება, პარალელურად კი ხატვა, ხატვა და ხატვა...

კონსტანტინე კაკაბაძის ნამუშევრების ნახვა, მის პირად ფეისბუქ-გვერდზე შეგიძლიათ.

Silk^{TV}

ინტერაქტიული ტელევიზია

15 ლარი



გადახზი



დაბრუნე



უფრო



2100 100
www.silknet.com

Silk^{TV}

ინტერაქტიული ტელევიზია

ნული – ყოფაცხავში, ფრიადი – რესტავრაციაში

ავტორი ლავით ბუხრიძე

„ცხელი შოკოლადის“ მკითხველი დიდი თეატრალური რეჟისორის, კოტე მარჯანიშვილის ჩვენთვის უცნობ ფილმს – „გოგი რატიანი“ გაეცნობა, რომელიც 1927 წელსაა გადაღებული. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფილმი ჩვენს მდიდარ კინემატოგრაფიულ მემკვიდრეებს ხელახლა გააცოცხლებს, რადგან არავინ უწყის, რატომ შემოდეს ნლობით თაროზე მუნჯი კინემატოგრაფის, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული, დაახლოებით 45 წუთიანი სურათი. ვერც იმას ვიტყვით, რომ ის მკვეთრ და ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ქვეტექსტებს შეიცავს (შირიკით, ფინალური კადრები სწორედ რომ ბოლშევიკების საგანმანათლებლო იდეების გამართლებას), ან რაიმე ეთნოგრაფიულ-ეროტიკულ-სკანდალურ ეპიზოდებს.

თავის დროზე ჩვენი უფერგოლობისა თუ დაუდევრობის გამო, ფილმის ნეგატივი საკავშირო კინემატოგრაფიის არქივში დარჩა; მოსკოვის გარეუბანში მდებარე ბელიე სტოლბის ცნობილ ფილმსაცავში... და აი, „გოგი რატიანის“ უკვე ციფრული ვერსია, რომელსაც ათეული წლების შემდეგ მკითხველიც და მკითხველიც გაეცნობა.

სცენარის ავტორმა, არისტო ჭუმბაძემ სამი მოზარდის ისტორია მუნჯი კინოსათვის არადაამახსიათებელ, სოციალურ-კინემატოგრაფიულ ჩარჩოებში მოაქცია.

მთავარი როლების შემსრულებლები: გოგი დადეშქელიანი (გოგი რატიანი), შურა დადეშქელიანი (კიკო) და ირინა დონაური (ანეტო) უფრო 1920-იანი წლების რთული, გარდამავალი ეპოქის მოზარდთა სიმბოლოებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომლებიც რევოლუციის შემდეგ თავიანთი შესაძლებლობის რეალიზაციას ახერხებენ... ცხადია, ეს აშკარა იდეოლოგიურ დაღს ასვამს ფილმს. შეიძლება ვისაუბროთ ჩარლი ჩაპლინის გენიალური ფილმის, „ბიჭუნას“ გავლენაზეც, რომელიც კოტე მარჯანიშვილს, ალბათ, რუსეთში, სხვადასხვა თეატრში მუშაობის პერიოდში შეიძლება ჰქონოდა ნანახი.

ვლადიმერ კერესელიძის კამერა აღბეჭდავს არა მხოლოდ 1920 წელს, გორში მომხდარი მინისძვრის იშვიათ კადრე-



ბს (რომელსაც თითქმის შეუმჩნევლად აზავებს სიუჟეტთან), არამედ რევოლუციის შემდგომ პირველი მისის ალღუმს რუსთაველზეც. ერთ-ერთ ეპიზოდში თვალს შეავლებთ „ცისფერი გალერეის“ კიბეებზე ჩამომავალ ტიცთან ტაბიქსაც. იქვეა თეატრალური რეჟისორი ალექსანდრე ნუნუნავა და დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნის ავტორი, კოტე ფოცხვერაშვილიც. გარკვეულწილად, ხარისხს განაპირობებს ვალერიან სიღამონ-ერისთავის მხატვრობაც, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა სწორედ ამ ფილმისთვის მოიწვია. მათ უკვე ჰქონდათ „ამოკზე“ მუშაობის გამოცდილება და ამდენად, „გოგი რატიანის“ დახვეწილ კადრებს მეტწილად მხატვრის ნამუშევარი განაპირობებს.

ფილმი იმითაც არის გამორჩეული, რომ ზედაპირულად, მაგრამ მაინც ირეკლავს სხვადასხვა სოციალურ ფენას. მაგალითად, ალექსანდრე თავაიშვილი ვაჭარს თამაშობს, რომელიც მინისძვრის შემდეგ დაობლებულ გოგი რატიანის დას, ანეტოს შეიფარებს. ხოლო ცნობილი თეატრალური მსახიობი ცეცილია ნუნუნავა ვაჭრის ცოლს განასახიერებს. თითქმის არქეტიპული მნიშვნელობისაა ვალერიან გუნიას გამოჩენა მეფეობის როლში, ხოლო უკვე შერისხული მხატვრის, დიმიტრი შევარდნაძის რამდენიმეჯერ მოხსენიება რევოლუციის შემდგომ საქართველოში, შეიძლება რეჟისორს დისიდენტურ სითამამეშიც ჩავუთვალოთ.

მიუხედავად იმისა, რომ კოტე მარჯანიშვილი პირველ რიგში დიდი თეატრალური პერსონაა, საინტერესოა მისი ფილმებიც. თუმცა „გოგი რატიანი“ მისი ყველაზე ნაკლებად ცნობილი ფილმია. მკითხველს უფრო ახსოვს „ქარიშხლის წინ“ (1924) „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1925), „ამოკი“ (1927), „კრაზანა“ (1928) და „კომუნარის ჩიბუხი“ (1929). ჟან ვიგოს კინოენით რომ ვთქვათ, ჩვენს ყოფილ კინოჩინოვნიკებს ფილმის „დავინყებისთვის“ ყოფაცხევაში ნული ეკუთვნით, ხოლო ახლანდელს – ფრიადი!.. – მოპოვებისა და რესტავრაციისთვის.

აქცია

„სწრაფი ფულადი გზავნილი + საჩუქრები“



ბანკი კონსტანტა
BANK CONSTANTA

☎ 2 401 401
www.bankconstanta.ge



6 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

გამოფანა

მამია მალაზონიას
პარსონალური გამოფანა 2012

სად: „თიბისი არტ გალერეა“

როდის: 19.06-19.08

მისამართი: კ.მარჯანიშვილის ქ. №7,
თიბისი ბანკი, მეორე სართული

ახლად გახსნილი „თიბისი არტ გალერეა“ საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის მამია მალაზონიას პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს. ექსპოზიციაში, მხატვრის უკვე ცნობილ ნამუშევრებთან ერთად, ის დაზგურ-გრავიკული ციკლიც გამოიფინა, რომელიც ავტორმა ბოლო პერიოდში შექმნა.

მამია მალაზონია საზოგადოებისთვის ცნობილია იმიტაც, რომ მან ქართული სცენოგრაფიისა და წიგნის ილუსტრაციის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მის მიერ

შესრულებული წიგნის ილუსტრაციები ქართული სახვითი ხელოვნების კლასიკის ფონდშია დაცული.

მემორიალური საბანძური
ხელოვნების სასახლეში

სად: საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი

როდის: ივლისი

მისამართი: ია კარგარეთელის ქ. №6
საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, 85 წლის იუბილეს ახალი საგამოფენო დარბაზების („ზამბახები“, „ოქროსფერი“) გახსნით აღნიშნავს. ივნისის ბოლოს მუზეუმის ისტორიულ ნაწილში ქართული და უცხოური ხელოვნებისა და ლიტერატურის მემორიალური საგანძური გამოიფინა: იაკობ გოგებაშვილის მემორიალური ავეჯი, ბროლისა და ფიფურის ნი-



ვები, XIX საუკუნის მუსიკალური ინსტრუმენტები და XVIII საუკუნის იტალიური ფერწერული ტილოები, ოპერის თეატრის არქიტექტორის, შრეტერის ნახატი – „ოპერა“, ილია ჭავჭავაძის სურათები უორდროუბის ოჯახთან ერთად, ასევე პირველი ქართული თეატრალური დასების უნიკალური სურათები, ულამაზესი კოსტიუმები, პოპულარული ქართული კინოფილმებიდან – „გიორგი სააკაძე“ და „ქეთო და კოტე“ და მრავალი სხვა უძვირფასესი და უიშვიათესი ნივთი.

სინაზის ჭუთები



პირნელი

Ver nel



ქსოვილის დაბარბილებელი თქვენი თეთრების
სიბილნსა და სასიამოვნო სურნელისათვის



პენკელი

„ალტამირა“ ვახო მუსხელიშვილის ნამუშევრებში

სად: ბაია-გალერა
როდის: 26.06-13.07
მისამართი: შარდენის ქ. №10



ვახო მუსხელიშვილმა ნამუშევრების ეს სერია, გამოქვაბულის ფერწერის სტილში სპეციალურად ამ გამოფენისთვის, 2012 წელს შექმნა. 75-მდე ფერწერული ნამუშევარი სწორედ ხელოვნების უძველესი მემკვიდრეობის – ალტამირას გამოქვაბულის კედლებზე შესრულებული ნამუშევრების ასლს წარმოადგენს, მხატვრის თავისებური ინტერპრეტაციით.

დავით (დუდა) გაბაშვილის ნამუშევრების გამოფენა

სად: თბილისის ისტორიის მუზეუმი
როდის: 20.06-2.07
მისამართი: სიონის ქ. №8

ქართველი კლასიკოსი მხატვრის – დავით (დუდა) გაბაშვილის (1914-1995) ნამუშევრები 60-იან წლებს მოიცავს და იზვიათი მრავალფეროვნებით ხასიათდება. როგორც ხელოვნებათმცოდნეები მიიჩნევენ, მისი მხატვრობა ერთგვარი გარდამავალი, დამაკავშირებელი ეტაპია მეოცე საუკუნის პირველ და მეორე ნახევარს შორის.

თბილისის ისტორიის მუზეუმში წარმოდგენილი ექსპოზიცია, მხატვრის ოჯახის კერძო კოლექციაში დაცულ 100-მდე ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევარს და რამდენიმე სკულპტურასაც აერთიანებს.

დავით გაბაშვილი 1914 წელს თბილისში დაიბადა. თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლისას, ის იყო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებლის – იოსებ შარლემანის მოწაფე, მოგვიანებით კი – ხატვის კათედრის გამგე.

კინო

კოტე მარჯანიშვილის ფილმი „ქართული ფილმების ქარბუღი“ დისკის პრეზენტაცია და კინო-ჩვენება
სად: კინოთეატრი „ამირანი“
როდის: 29.06
დასაწყისი: 20:00 სთ

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ და კინოსტუდია „ქართული ფილმი“ აგრძელებს პროექტს „ქართული ფილმების კრებული“. პროექტის მესამე ნაწილში კოტე მარჯანიშვილის ფილმი – „გოგი რატინი“ მოხვდა. ეს პირველი ქართული ფილმია, რომელმაც ისტორიული მოვლენების ფონზე „მსხვილი ხედით“ დაგვანახა ბავშვების პრობლემები. ფილმში ასახულია 1920 წლის გორის მინისტერის და ასევე, ტიცინ ტაბიძის უნიკალური დოკუმენტური კადრები. აღსანიშნავია, რომ ფილმი ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ იყო ხელმისაწვდომი არც ფართო საზოგადოებისთვის და არც კინომცოდნეებისთვის.

პროექტი „ქართული ფილმების კრებული“, სპონსორი კომპანიების – „თიბისი ბანკის“, „ბანკი კონსტანტას“, „ავერსისა“ და „კაპაროლ ჯორჯიას“ დახმარებით, „ცხელი შოკოლადის“ მკითხველს იმ ქართულ ფილმებს სთავაზობს, რომელიც ფართო აუდიტორიისთვის ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელია. პროექტის ფარგლებში, უკვე ორი ფილმი გაციფრულდა – ალექსანდრე წუნუნავას „ქრისტინე“ და ივანე პერესტიანის „არსენა ჯორჯიანი-ვილი“. ახალ ფილმს, მკითხველი DVD ფორმატში, ჟურნალის ახალ ნომერთან ერთად მიიღებს.

ფესტივალი

BLACK SEA JAZZ FESTIVAL
სად: ბათუმი
როდის: 17.07-22.07

შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი, წელს უკვე მეექვსედ ჩატარდება. ფესტივალის სტუმრები ევროპის და ამერიკის რამდენიმე ქალაქიდან ჩამოვლენ. წელს ფესტივალის მთავარი სტუმარი ჯაზის ბრაზილიელი შემსრულებელი – სერხიო მენდესი იქნება, რომელიც 22 ივლისს ფესტივალის დახურავს.

ფესტივალის პროგრამა:

Men in Brass - mobile music show

როდის: 17.07-19.07
სად: ბათუმის ქუჩები
BUTTERSCOTCH (ბითბოქსი, ვოკალი, გიტარა, ფორტეპიანო)
როდის: 19.07
სად: ბათუმის ტენისის კლუბი
LARRY GRAHAM & GRAHAM CENTRAL STATION
როდის: 19.07
სად: ბათუმის ტენისის კლუბი
ბარნ მიტინარაშვილის კვინტეტი და-რენ ბარმტონან ერთად
როდის: 20.07
სად: ბათუმის ტენისის კლუბი
DJ TABOO (ჯგუფი THE Black Eyed Peas)
როდის: 20.07
სად: ბათუმის ტენისის კლუბი
THE JOHN SCOFIELD's HOLLOWBODY BAND
როდის: 20.07
სად: ბათუმის ტენისის კლუბი
JOEY CALDERAZZO TRIO
როდის: 21.07
სად: ბათუმის ტენისის კლუბი
BEKA GOCHIASHVILI SEXTET
როდის: 21.07
სად: ბათუმის ტენისის კლუბი
SERGIO MENDES
როდის: 22.07
სად: ბათუმის ტენისის კლუბი

ფესტივალის მონაწილეების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ენციეთ შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის ოფიციალურ ვებ-გვერდს (<http://www.blackseajazz.ge/>). ფესტივალზე დასწრების მსურველებს კი ბილეთების შეძენა ფილარმონიის სალაროებში და ინტერნეტის საშუალებით შეეძლება.



ხონტრაქტუბექსი®

ნაწიბურის წარმატებული მკურნალობა



ხონტრაქტუბექსი® იძლევა განსხვავებას



უფაქვრობა
კლინიკურად დაბეჭიწებულია!



ფიფქია და მონადირე

SNOW WHITE AND THE HUNTSMAN

რეჟისორი რუპერტ სანდერსი

როლებში კრის ჰემსვორტი, კრისტენ სტიუარტი, შარლიზ ტერონი, სემ კლაფლინი, სემ სპრუელი, იან მაკშეინი

ჟანრი მძაფრსიუჟეტოანი სათავგადასავლო დრამა



პრომეთე

PROMETHEUS

რეჟისორი რიდლი სკოტი

როლებში მაიკლ ფასბინდერი, იდრის ელბა, შარლიზ ტერონი, ნუმი რაპასი, გაი პირსი, ლოგან მარშალ-გრინი, შონ ჰარისი

ჟანრი მძაფრსიუჟეტოანი საშინელება



სუპერ მაიკი

MAGIC MIKE

რეჟისორი სტივენ სოდერბერგი

როლებში ჩენინგ ტატუმი, ალექს პეტიფერი და ოლივია მანი



ბათმენი: შავი რაინდის აღზემება

THE DARK KNIGHT RISES

რეჟისორი კრისტოფერ ნოლანი

როლებში კრისტოფერ ნოლანი, მიკაელ კაენი, გარი ოლდმანი



რომი სიყვარულით

TO ROME WITH LOVE

რეჟისორი ვუდი ალენი

როლებში ვუდი ალენი, პენელოპა კრუსი და ჯესი ეიზენბერგი



ვერსიის უკანა
უღებო უნი-მომბე

3D

ჩვენი



ველოსიპედი ლისზე

ლისი, დღის 12:00 საათი... ტბაზე დასასვენებლად ასულს თვალში უჩვეულოდ ბევრი ველოსიპედი მხვდება. „მალე დაიწყება?“ „ვინმე ხომ არ გვაკლია?“ „ვის ველოდებით?“ - მესმის აქეთ-იქიდან... დაინტერესებულს მეუბნებიან, რომ წუთი წუთზე ველორბოლა იწყება, მოყვარულები ერთმანეთს „ქროს ქანთარიში“ შეეჯიბრებიან. უნდა ვაღიარო, რომ ბოლომდე დეტალურად სპორტის ამ სახეობაში ვერ ვერკვევი, მაგრამ ველორბოლაზე არასდროს ვყოფილვარ, ამიტომ ვფიქრობ ვუყურო თუ არა... რატომაც არა?

მონაწილეები სხვადასხვა ასაკის არიან, აქ მოზარდებსაც ნახავ და სტაჟიან მოყვარულებსაც... უხუცესები დაწყებამდე ერთმანეთის „ბაიკებს“ ათვალერებენ, აფასებენ, მსჯელობენ, რჩევა-დარიგებებს იძლევიან. ბოლოს ყველაფერი ლაგდება, ველომრბოლელებიც სტარტის ნიშნულთან გროვდებიან.

„სულ 10 წრე გაქვთ“, - მონაწილეები ბოლო მითითებებს იღებენ და შეჯიბრი იწყება.

გულშემატკივრები ველომრბოლელებს შეძახილებით ამხნევენ. რადგან გამოკვეთილი ფავორტი არ მყავს და მონაწილეებიდან არც არავის ვიცნობ, გადაწყვეტილებას ფეხბურთის დახმარებით ვიღებ და მხარს იმ ბიჭს ვუჭერ, ბრაზილიის ნაკრების მაისურით რომ ასპარეზობს.

ლიდერი თავიდანვე გამოკვეთილია... დაძაბული ბრძოლა მეორე და მესამე ადგილებისთვის მიმდინარეობს - ახალგაზრდა ველომრბოლელებს შორის სულ რამდენიმე სანტიმეტრია და განსაკუთრებული აჟიოტაჟით სწორედ მათ გამოჩენას ვხვდებით.

„მიდი, მიდი, 4 წრე დაგრჩა, ყოჩაღად! მიდი, პირველი ხარ!“ - შეძახილებით ამხნევენ მონაწილეებს შეჯიბრის ორგანიზატორები, გულშემატკივრები კი ლიდერების გამოჩენას აპლოდისმენტებით ვხვდებით. პირველი ფინიშთან დათო ჩოხელი მოდის, მეორე - ნიკა გოცირიძე, მესამე - გიორგი სიდიანი. მერე სამივეს ვაჯილდოებთ და კიდევ მრავალი შეჯიბრის მოგებას ვუსურვებთ.

მაისურზე სამახსოვრო გულსაბნევს მიკეთებენ, რომლითაც ვხვდები, რომ ველორბოლა მოყვარულებს შორის ორგანიზაცია „ადრენალინის“ და კომპანია „ლისი დეველოპმენტის“ ორგანიზებით იმართება. „ადრენალინის“ ხელმძღვანელის გიორგი ბაბუხაძის ველოსიპედებზე ველაპარაკები, მაინტერესებს რამდენად პოპულარულია სპორტის ეს სახეობა ჩვენთან: „თბილისში ჯანსაღი ცხოვრება იწყება, ქართველებიც ნელ-ნელა „გემებიდან“ ველოსიპედებზე სხდებიან. ეს ადგილიც საუკეთესოა: მთები, ტბა, არაჩვეულებრივი ბუნება - ყველაფერი ცხოვრების ჯანმრთელი წესის დანერგვას უწყობს ხელს, ლისის ტბას დიდი პოტენციალი აქვს, ამიტომ მისი განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია“, - მპასუხობს გიორგი.

ველოსიპედი დიდი ხანია ჯანსაღი ცხოვრების წესის სიმბოლოდ იქცა. ველორბოლაზე მოსული ადამიანების სიმრავლე კი მოწმობს, რომ ქართველების დაინტერესება სპორტის ამ სახეობით მართლაც გაზრდილია. ღონისძიება საინტერესოც გამოვიდა და სახალისოც. ლისის ტბაზე მოსულებმა თავი მართლაც საუკეთესო გარემოში იგრძნეს. საუბარში გამარჯვებული გვიერთდება. დათო ჩოხელი არ მალავს, რომ ლისის ტბა მისი ფავორტი ადგილია: „გარემოა ასეთი, სუფთა ჰაერი, ტბა... უცხოეთში ძალიან



ცხოვრების ჯანსაღი წესი

ჭირს ასეთი ადგილები, ჩვენ ეს ყველაფერი ბუნებრივად გვაქვს, ამიტომ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ბევრი სპორტსმენი და მოყვარული ახლაც მოდის აქ, თუმცა ველოსიპედის ბილიკების და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა კარგი იქნებოდა“, - მეუბნება დათო.

დღეს ორივე ერთად ვიგებთ, რომ ლისის ტბა მალე იერს სრულიად შეიცვლის, აქ რეკრეაციული ზონის მოწყობა უკვე დაწყებულია. დღევანდელი ველორობოლაც სწორედ ამ პროცესს უძღოდა წინ. პროექტი კომპანია „ლისი დეველოპმენტმა“ დაიწყო და გეგმა ტბის გარშემო სარბენი, სასეირნო და საველოსიპედო ბილიკების მოწყობასაც ითვალისწინებს. აქვე იქნება სხვადასხვა სპორტული მოედნები, მათთვის, ვისაც ნაოსნობა იტაცებს, სანაოსნო პუნქტი გაიხსნება - პედლიანი და ნიჩბიანი ნავები კანადიდან უკვე ჩამოიტანეს.

ლისის ტბაზე ტრადიციულად უამრავი ადამიანი თევზაობს, ამიტომ უახლოეს მომავალში აქ კარგად ორგანიზებული შეთევვეთა კლუბიც მოეწყობა. ამენდება სრულიად ახალი, ორიგინალური არქიტექტურის მქონე თერმული აბანო და ამოქმედდება გამაჯანსაღებელი ცენტრი, რომელიც გოგირდის სამკურნალო წყლების მოყვარულებს თანამედროვე მომსახურებას შესთავაზებს.

და რაც ჩემთვის და გარუჯვის ბევრი მოყვარულისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ახალი პლაჟები, რომელთაგან ერთ-ერთის მოწყობა წელსვე მოესწრება. დამსვენებლებისთვის შეზღონგები და ქოლგები იტალიიდან ჩამოიტანეს. ქალაქის მომქანცველი ცხოვრების რიტმისგან განტვირთვის საუკეთესო საშუალება იქნება ღია კაფეც, რომლის მშენებლობაც ტბის სანაპიროზე უკვე დასრულდა.

სარეკრეაციო ზოლთან ახლოს მდებარეობს გივი ზაღდას-ტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია ახალი „მწვანე“ შენობით“ და პირველი სამეზობლო - საცხოვრებელი უბანი „ლისი ვერანდა“. ხმაურის ნაცვლად ჩიტების ჭიკჭიკი, სუფთა ჰაერი, ლამაზი გარემო და თანამედროვე სახლები ქალაქის ცენტრიდან სულ რაღაც 10 წუთში... ლისის საცხოვრებელი, საგანმანათლებლო და სარეკრეაციო დატვირთვა მართლაც სასურველ და უნიკალურ კომბინაციას ქმნის.

მოკლედ, მალე აქ სრულიად სხვა რეალობა დამხვდება, მაგრამ ვერ ეს სასიამოვნო დღეც არ დასრულებულა - კარგი ამინდი, მუსიკა, გამაგრილებელი სასმელები და ბარბექიუ სალამომდე გრძელდება. ბრაზილიის ნაკრების მისურიანი, ვისაც ვვლუმენატკვივობდი, პრიზის გარეშე დარჩა... მაგრამ მერე რა... მთავარია, ველოსიპედი და ჯანსაღი ცხოვრების წესი უყვარდეს, უკვე მითხრეს, რომ ველორობოლა ლისზე ტრადიციად იქცევა, სექტემბერში კი უფრო მასშტაბური შეჯიბრი გაიმართება. ველორობოლა ლისზე კიდევ ბევრჯერ ჩატარდება. ასე რომ, მანსი კიდევ აქვს...

ავტორი ნინო ბერძენიშვილი



145-ე საფეხური

ავტორი თამარ კვინიასძე



არტ-კაფე „144 საფეხური“; სილამაზის შესახვევი №14; მასპინძელი: გალერისტი რუსიკო ოატი; ტელეფონი: 599 720 906; პარკინგი: გარშემო ციცაბო კლდეა. ყველაზე მოსახერხებელია პურის მოედანზე.



...არადა, როცა ამ კაფეს შესახებ მიაბნეს, ინსტრუქციაც მოაყოლეს:

– სალამოს წადი, არც კი ბუების ავლა გაგიჭირდება და ხედილაც ისიამოვნებ.

– მართლა 144 საფეხურია? – მაინც გადავამოწმე.

ნაშუადღევს, პურის მოედანზე ვაჩერებთ მანქანას. მშენებარე სახლების დანახვაზე გული მისკდება – საძირკველზევე ეტყობათ, ნარიყალას გარემოში საერთოდ ვერ ენერებიან. გადათხრილი გზიდან მარჯვნივ ვუხვევთ და იწყება კიდეც განთქმული 144 საფეხური. თაკარა მზეში ვინრო კიბეზე თვლით მივინევ ნინ. სიცხე ისე მადუნებს, მეგობარი მეუბნება: მაგ თვლაში არ ჩაგვიძინოს. არაა გამორიცხული.

145-ე საფეხურზე რაც გვხვდება, ათმაგად სასიამოვნო გვეჩვენება „კენეროში გატკბილდების“ ლოგიკით. თეთრფასადიანი შენობა თითქმის ცარიელია – რაც კარგი ამინდებია, კაფე სულ გარეთ გამოსულა – ასევე კლდეზე მიკოფსებულ ვერანდაზე.

არ ვიცი, სიცხის, თუ შინაურული განწყობის გამოც, ყველანი ზღაზვნით ვმოქმედებთ – სტუმრებიც და მასპინძელი გოგონაც, რომელიც მაშინვე იწვევს სიმპათიას თავისი გულითადი დახვედრით. ზღაზვნით ჩაკვირკვიტებთ მენიუს, ზღაზვნით ვუკვეთავთ და საშზარულოშიც, როგორც ჩანს, ზღაზვნით ფუსფუსებენ, რადგან ნახევარ საათზე მეტ ხანს ვიცდით – საფეხურების თვლის მერე, დროს უკვე აღარ ვითვლით. ცივი ყავით ვვრილდებით, რომელიც ცივი კია, მაგრამ ნყალწყალაა. მერე შეკვეთაც მოაქვთ და აქ ვსინჯავ პირველად პაშტეტისა და პიცის ცომის დღეტს. პიცის ცომი



სიფრიფანა, ტკაცუნა და ქონდარმოყრილია, პაშტეტი – შაეროვანი და მსუბუქი; ისეთი, აგვისტოს სიცხეშიც გემრიელად რომ შეჭამ. თუმცა, იტალიელ მცხოვრებს, რომელიც ახლახან „ამოუყვანიათ“ „144 საფეხურში“, პიცა დასახვენი აქვს. არ ვიცი, ეს მისი ჩანაფიქრი იყო თუ არა, მაგრამ პირველ ჩაბუნაზე პიცა „ოთხი ყველი“ სანაქებოდ თხელი, იმერული ხაჭაპურის გემოს ტოვებდა პირში. როცა გორგონზოლა ჩართო საქმეში, მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ პიცას ვჭამდით. ახლა „დურიები“ მოგვიტანეს. მიმტანმა გოგონამ გვითხრა, ეს უკრაინული კერძია, მე მიყვარს ძალიან უკრაინული კერძები და მენიუში ამიტომ შევატანინეო. გახეხილი კარტოფილი და ყველი, კატელეტივით შებრანული და ჩაშუშული სოკოს გარნირით, მართლა ძალიან გემრიელი და ისე – სასიამოვნოდ მსუბუქია, არც ზედმეტი ცხიმი შეგანუხებს ყლაპვისას და არც – სიმლაზე. არ გირჩევთ ორაგულის შეკვეთას. თუმცა, ვიდრე თქვენ ახვალთ, შეიძლება გამოასწორონ კიდევ, რადგან გოგონამ მკითხა და გულწრფელად ვუპასუხე, შეკაზმვა და მარილით განწყობაც აკლდა-მეთქი.

თანდათან მზე გადავიდა, ნიაგაც დაუ-

ბერა და მხოლოდ მერე დავიწყე იქაურობის შეფასება. კაფეს მოსანვევ ბარათზე წავიკითხე, რომ ოჯახური სამზარეულო აქვთ, მაგრამ ოჯახს და სახლს აქ ყველაფერი მოგაგონებთ. მაგალითად, ვინრო და პატარა საპირფარეო, რომლის ნიშაში ვერცხლისფერი სარეცხის მანქანაა შედგმული, იატაკზე სარეცხი ფხვნილის თავმოხეული პარკი დევს, შიგ ჩატოვებული, ფხვნილის ამოსაღები ტოლჩით. დეკორაციასავით კი გამოიყურება, მაგრამ ნამდვილია.

აქაურობა მართლაც სახლია – რუსიკო ოატის სახლი, რომელიც იმავე სივრცეში ცხოვრობს და არტის, თბილისური ხედების და გემრიელი კერძების მოყვარულებს, ფაქტობრივად, შინ იწვევს.

ამ შეთანხმებული „სახლურობის“ ფონზე, უკვე აღარც მივივრს, რომ კაფეს მენიუც შინაურულად ქაოტურია. მართალია, აუცილებელი ცომეული აქვთ – სენდვიჩებისა და პიცების სახით, მაგრამ კერძების მენიუ დაახლოებით ისევე ექსპრომტადაა შედგენილი, როგორც დიასახლისი ჩაფიქრდება ხოლმე დილაობით: ნეტა, დღეს რა გავაკეთო სადილად?

გოგონამ გვითხრა, მალე ტირამისუ გვექნებაო. ჩვენ ლიმონათების და სასუსნავეების დამატება ვურჩიეთ – რაც შეიძლება დიდხანს რომ შეგიყოლიოს ამ დაუჯერებლად ლამაზ გარემოში. ისეთი ყურადღებით გვისმინა, მგონი, გაითვალისწინებენ.

მანამდე კი, ჩემი დაჟინებული რჩევა იქნება: 144 საფეხურის ავლა მზის ჩასვლისას დაიწყეთ, სალამო ასე უფრო დაემსგავსება სადმე კურორტზე გაპარვას, დასიცხული ტვინის გაგრილებისა და დანაყრების მიზნით.

ხარისხით მოპოვებული ნდობა



ემსკლუზიური ავეჯი თქვენი კომფორტისთვის

მთურში:

ალმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.

თბილისი, 0131, საქართველო

ტელ.: 259-66-95, 259-66-25

ფაქსი: 259-66-22

ელ. ფოსტა: bravo@bravogeorgia.com

ავეჯის სახლი ბრავო: ქუთაისი, ნიკეას 42

ავეჯის სახლი ვალენტინი: ბათუმი, ვ.გორგასლის 55

www.valentini.ge



ბამბუკის ტყე

ბაბა ნახუსრიშვილი

სიურრეალიზმი – უკიდურესად რეაქციული მიმდინარეობა. დაფუძნებული ბოდვებზე, ჰალუცინაციები. „საბჭოთა ენციკლოპედია“

ყოველთვის მიყვარდა ზაფხულის თბილისი, ხალხისგან დაცლილი. ცარიელი. რალაცნაირად იდუმალი. მხურვალე ოცნებებში ჩაკარგული. შუადღის აუტანლად მწველი მზე. დამდნარი ასფალტი. მერე საღამო. სრულ სიჩუმეში ბნელდება. ალაგ-ალაგ ფანჯრები ნათდება... მშვიდი სინათლით. იშვიათად, ქუჩიდან შემოსული საუბარი, ანდა შორიდან მომავალი მუსიკა თუ დაარღვევს მდუმარებას. ერთია, რომ ღამე ჭირს დაძინება. თუმცა, კარგია ამ დროს საკუთარ თავთან განმარტობა; სულაც, რაიმე წიგნთან, რომელიც უკვე ნაკითხული გაქვს, მაგრამ კიდევ გინდა გადახედო. კიდევ... ცარიელ ფურცელთან, რომელიც თვითონ დაგიძახებს მონყენილი და უნდა, რომ შეავსო, თუნდაც რამე სისულელით. გამთენიისას გეძინება. მეეზოვის ცოცხის ხმა იავნანასავით ჩაგესმის.

...

მე, ზაფხულობით სიურრეალისტურ სიზმრებს ვხედავ. აუტანელი სიცხის ბრალი თუა. ეჰ, ცხონებული ბრეტონი!.. სიურრეალიზმის მამა! მეგობართან მიდიოდა ხოლმე დასაძინებლად, განსაკუთრებულად უცნაურ სიზმრებს ვხედავო. მისთვის მისწრება იქნებოდა ზაფხულის თბილისი.

...

რატომღაც გათენებამდე ჩამეძინა და გაგრა მესიზმრა. გამორჩეულად მიყვარს

ეს ქალაქი. არა იმიტომ, რომ ველარ ჩავდივარ და მენატრება. ყოველთვის სხვანაირ, მისტერიულ განწყობას მიქმნიდა. ახლაც, იმ სახლში აღმოვჩნდი, სადაც ბოლოს ვისვენებდი, ოღონდ ეს სახლი უფრო მიტოვებულ, პატარა სასახლეს ჰგავდა და მაღლა, მთის ძირში იდგა. იქ მხოლოდ მე ვიყავი. ფანჯრიდან ქალაქს გადავყურებდი. რალაცით ჰგავდა გაგრას. ალბათ, იმ

**ზაფხულობით
სიურრეალისტურ
სიზმრებს ვხედავ. ეჰ,
ცხონებული ბრეტონი!..
სიურრეალიზმის მამა!
მეგობართან მიდიოდა
ხოლმე დასაძინებლად,
განსაკუთრებულად
უცნაურ სიზმრებს
ვხედავო.**

მისტერიული სულით, რომელიც ყოველთვის მხიბლავდა. მზე ჩასვლას აპირებდა. მეც ქალაქისკენ დავემვი. ქალაქში და სანაპიროზე ხეტიალი მინდოდა. ირგვლივ არავინ ჩანდა. ძაღლის ყეფაც კი არ ისმოდა. ქვაფენილებით მოკირწყლულ ლაბირინთებში დავეხეტებოდი. უსაზღვროდ ლამაზ, მაგრამ სევდიან ლაბირინთებში, რადგანაც მარტო, სულ მარტო ვიყავი. ქურდივით, ჩემი ნაბიჯის ხმასთან ერთად დავძრწოდი საყვარელ, ცარიელ ქალაქ-

ში... და უეცრად, გამეღვიძა. მეეზოვის ცოცხის ხმაც გაისმა. ნალვლიანი, თანაც ნოსტალგიური განწყობა დამეუფლა. და ეს ნოსტალგია უკან, სიზმარში მეძახდა. ისე უცებ ჩამეძინა, რომ ფიქრების ზღვაში შესვლაც ვერ მოვასწარი და სოხუმის ბოტანიკური ბაღის ბამბუკის ტყეში ამოვყავი თავი. ვითომ ისევ პატარა ბიჭი ვიყავი და ამ ტყეში დავიკარგე. თუმცა, სრულებით არ შემშინებია. ვიმალებოდი, ვითომ დამალობანას ვთამაშობდი, მაგრამ არავინ მეძებდა. რალაც უცნაურ, გამოგონილ სიტყვებს გავიძახდი, ბავშვები თამაშისას რომ იგონებენ. მზე ზღვაში იძირებოდა და ზღვიდანვე მთვარე ამოდიოდა. გაოგნებული ვუყურებდი, როგორ ერწყმის ერთმანეთს მენამული და ვერცხლისფერი ნათება. მერე უცებ ყველაფერი ჩაბნელდა. თითქოს შუქი გამორთეს. ხელებს ვაფათურებდი. ღამის ღამსაც გადმოვბრუნესულ დამისხვრა. ხმამაღლა შევუკურთხე.

ავდექი, უკვე გვარიანად გათენებულიყო. სიგარეტი მოვქებნი და ფანჯარაში გავაბოლეთ. ხნიერი კაცი ბოთლებს აგროვებდა და დიდ პარკში ჰყრიდა. ისევ ლოგინში ჩავნექი. თვალები დავხუჭე. აღარ მეძინებოდა, მაგრამ ისევ იმ ბამბუკის ტყეს ვხედავდი. როგორი დიდი, დაბურული, უღრანი და იდუმალი მეჩვენებოდა ბავშვობაში. როდესაც ნამოვიზარდე, დავინახე, რომ სულაც არ იყო ასეთი უშველებელი. პირიქით, პატარა, მყუდრო ბაღად მეჩვენა. როცა ვიზრდებო, ჩვენს ირგვლივ ყველაფერი მცირდება. პატარავდება. ადამიანები, საგნები, დედამიწა, მთელი სამყარო. ყველაფერი უფრო ჩვეულებრივი და უბრალო ხდება.



პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank



პროკრედიტ ბანკი და
გონივრული ინვესტიციების ხელშეწყობა

www.procreditbank.ge ☎ *22 22 ☎ 220 22 22



BOZZ-AND-არა

ბაჩო კვიციანი

ამას წინათ ძალიან უცნაური სიზმარი ვნახე:

ვითომ, მომავლის ტექნოლოგიის ქართულმა სუპერთანამედროვე ლაბორატორიამ, მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად, მსოფლიოში უნიკალური, ერთადერთი და სრულიად ინოვაციური გამოგონება შექმნა – გრანდიოზული მასშტაბის და შესაძლებლობების მქონე უნივერსალი, სუპერგავეტი და კაცობრიობის ცივილიზაციის ბოლო სიტყვა, საქართველოში დაპატენტებული რობოტი-უნიკუმი ყველა წერტილიდან სარგებლობის ფუნქციით, და სახელწოდებით „BOZZ-AND-არა“ (სერიული № 0097865VAIMEDEDA4490001). ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ლიდერები და წამყვანი მეცნიერები მედიის საშუალებით აცხადებდნენ, რომ ეს იყო საქართველოს გამარჯვება ცივილიზაციის რთულ ამოცანებზე, ოპონენტ ქვეყნებსა და საკუთარ თავზე...

აი, „BOZZ-AND-არა“-ს ფუნქციებისა და სხვა რესურსების მცირე ნაწილი:

მენტალურად და ინტელექტუალურად ჩამორჩენილ მოსახლეობაში ჯანსაღი ამბიციის და მართებული ქარიზმის გაჩენის ოპცია;

მამაკაცებში პოტენციის ამაღლების და გამყარების უნიკალური ფუნქცია ხელის ერთი შეხებით რობოტის კორპუსზე – OST ანუ One Smart Touch პრინციპით;

ხელისუფლების შეცდომებისადმი მოსახლეობის შემწყნარებლობის უნარის გამაძლიერებელი, ბანანის არომატით გაკეთილშობილებული ქინაქინა, რომელსაც რობოტი უკანა ტანში მოთავსებული სპეციალური კონტეინერიდან, დაპრესილი, საღებავი ბრიკეტების სახით იძლეოდა;

ცნობადი ტელესახეების ხილვისას ორ-

გაზმის გამომწვევი ორალური სპრეი (დღეში სამჯერ შესხურების რეკომენდაციით);

დასაქმებისა და კარიერული ზრდის ვირტუალური პროგრამა, რომელიც სამგანზომილებიანი სიმულაციის სახით, აპლიკანტის გონებაში დიდხანს ტოვებდა პრესტიჟულ კომპანიაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობის სასიამოვნო განცდას;

ინგლისური ენის შემსწავლელი დნმ-ვირუსი, რომელიც მსურველ მამაკაცთა სათესლე ჯირკვლებში ინექციის საშუალებით ხვდებოდა. დავირუსებული სპერმატოზოიდის კვერცხუჯრედში შეღწევისა და განაყოფიერების შემდეგ, ემბრიონი, არსებობის პირველსავე წამებიდან, იწყებდა უცხო ენის ავტომატურ შესწავლას და 9 თვის შემდეგ, ახალშობილი ინგლისურ ენას უკვე გამართულად ფლობდა;

ელექტრონული მათხოვარი – ინოვაციური ფუნქცია, რომელიც რობოტის ერთ-ერთ საცეცს წარმოადგენდა. კოდური პლასტიკური ბარათის გასატარებელი ტერმინალით ბლოკდებოდა, სადაც ქველმოქმედების მსურველ მოქალაქეებს საკუთარი ბარათების გატარება და გარკვეული თანხის გადარიცხვა შეეძლოთ „BOZZ-AND-არა“-ს შემქმნელი საიდუმლო ლაბორატორიის ანგარიშზე.

ეს იყო უმცირესი ჩამონათვალი იმ უთვალავი ფუნქციიდან, რომელიც ამ რობოტ-საოცრებას გააჩნდა.

მისი ზომებიც ზუსტად მახსოვს: სიგრძე – 17 მ. სიგანე – 10 მ.

სიმაღლე – 15 მ. წონა – 32 ტონა. ყველა სიკეთესთან ერთად, გააჩნდა ქალისა და მამაკაცის ჰორმონები, ორივე სასქესო ორგანოს ანალოგი კაუჩუკისა და ლატექსის მასალებით. ასე რომ, რობოტს სექსუალუ-

რი პარტნიორობის განეცაც შესანიშნავად შეეძლო – სპეციალურ კამერებში მოთავსებული კოიტუს-პორტებით და საშხაპეებით, სექსამდე და სექსის შემდეგ.

თბილისის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე შემოგორებული „BOZZ-AND-არა“ ტროას ცხენივით იდგა და ირგვლივ ხალხი ესეოდა: ზოგი პირადობის ახალ მონომობას უკვეთავდა, ზოგი პედიკურს იკეთებდა, ზოგი შემნახველ ანაბარს ხსნიდა და ზოგიც – აპენდიციტის ოპერაციაზე დაწესებული ექსკლუზიური ფასდაკლებით სარგებლობდა.

ჩვენი ქვეყნის პირველი პირები ქართული და უცხოური ტელეარხების პირდაპირ ეთერში ალტაცებული აცხადებდნენ, რომ თბილისი მომავლის ტექნოლოგიის ახალი ეპიცენტრია და მსოფლიო ცივილიზაციამ სწორება სწორედ საქართველოს დედაქალაქზე უნდა გააკეთოს! ერთმანეთზე ხელი-ხელგადახვეული ცნობადი სახეები „BOZZ-AND-არა“-სთან იდგნენ და საგანგებო ჰიმნს +ფონოგრამით მღეროდნენ. ჯგუფი „მავრები“ (მავრიტანიიდან საგანგებოდ მონეული ბოი-ბენდი) სიმღერას დიდი მღელვარებით ასრულებდა. ტექსტის ფრაგმენტიც მახსოვს: „ჩვენ მოვიგონეთ! ჩვენ გავაკეთეთ! ჩვენ გისახსოვრეთ „BOZZ-AND-არააააა!..“

უცებ, მოედნიდან მოშორებით, კუთხეში განმარტოებით მიმჯდარი ბერიკაცი შევნიშნე, რომელიც მზესუმზირას ყიდა. მიახლოება დავაპირე, მაგრამ წამსვე, როგორც კინოშია – კადრის სწრაფი მიახლოება – ზუსტად ასე, თვითონ მომიახლოვდა, რომელიც სინამდვილეში მე ვიყავი, და მითხრა: გაიღვიძე...

და გაიღვიძე. ეგ იყო. მაგრამ რა იყო ეს?.. ა?..



განიწყეთ
ზოხბელოში

"ანჯანთონი" ერთად!



მყრათი ზოვის
სახის რა სხეულის
შისგან რამეაჟი

საშუალოებები - მთელი თქახისათვის

ავერსი თქვენი მარადიული სილამაზის სამსახურში!



უფრო გვიან, ვიდრე არასდროს

თამთა ბელაშვილი

ჩემს ღრმა, საბჭოთა ბავშვობაში ბებია ჩემი მეუბნებოდა, რომ თეფშზე საჭმელი არასოდეს უნდა დავტოვო. იმიტომ კი არა, რომ ფეთხეში პატარძალი ვიქნები, ან მახინჯი ქმარი მეყოლება, როგორც ამას სხვა ბებიები ამბობდნენ ხოლმე, არა, იმიტომ, რომ უნდა ვიცოდე იმის ფასი, რაც მაქვს. „ომის დროს, – ამბობდა ბებიაჩემი, – კარტოფილის კანის ნაფცქვენებისგან სუპს აკეთებდა ხალხი, თქვენ კიდევ სკოლის ეზოში ფუნთუშებს ყრით“. მაშინ ცოტა ძნელი იყო, წარმოგედგინა ჯერ სუპის და მერე ნაფცქვენების სუპის ჭამა.

რა დასამალია და ის ჯემიანი ფუნთუშა მეც არაერთხელ გადამიგდია. საზიზღრობა იყო. „ნიგნებს მოუარეთ და გაუფრთხილდით, – ამბობდა ბებია, – სტუდენტობისას რამდენჯერ კარაქის ტალონი გადამიცვლია ნიგნში“. ვალიარებ, დაუდევარი ბავშვი ვიყავი, მაგრამ მთლად ჩემი დაუდევრობის ბრალი არ იყო ის, რომ უხარისხოდ აკინძული ნიგნები ხელში მეშლებოდა, სიტყვა ტალონის მნიშვნელობა კი უბრალოდ არ მესმოდა. „ფულის ყადრი იცოდეთ, – ისევ ამბობდა ბებია, – დედაჩემისგან მახსოვს, მენშევიკების დროს ერთი კოლოფი ასანთი მილიონი ბონი ღირდა“. აი ეს, მილიონი ბონის და ერთი კოლოფი ასანთის ამბავი განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო. ოდნავ მოგვიანებით, მერე, ომები რომ დაიწყო, მე კი თინეიჯერი გავხდი, ერთხელ მეც მოვახერხე სევდანარევი სიამაყით და ცოტა ნიშნისმოგებითაც მეთქვა: „ამ ასანთს გაუფრთხილდით, მილიონი კუპონი მივეცი“. ისე, ის კუპონები მერე ერთი კოლოფი ასანთისთვისაც

გამოუსადეგარი გახდა. მახსოვს, გოგონები ზედ რალაცებს ვანერდით და ვახატავდით, უფრო ხშირად „უზრდელობებს“, ვკირქილებდით და მერე ერთმანეთს ვჩუქნიდით. ერთი-ორი ასეთი კუპონი, მგონი, ახლაც მაქვს სადღაც შენახული. უფრო მოგვიანებით, კარაქის ტალონის მნიშვნელობასაც მივხვდი – თან არაერ-

ბებია უკვე 10 წელია, აღარაა. მე ძალიან მადლობელი ვარ მისი, რომ ბევრი რამ მასწავლა. უფრო მადლობელი ვარ, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი განგებ არ მითხრა.

თხელ, ბევრჯერ, როცა მოკრძალებული დანაზოგის უკანასკნელი ერთეულები ერთხელ მუსიკალურ ალბომში, ოთხჯერ კი ნიგნში ხელის კანკალით გადავიხადე და მერე, პირდაპირი განგებით, რამდენიმე დღე მშიერი, მაგრამ ბედნიერი დავარჩი. ჰო, კარტოფილს რაც შეეხება, ნაფცქვენები არა, მაგრამ სტუდენტობისას ზედინდელ რამდენიმე ზამთარი მე და ჩემი და ზუსტად კარტოფილმა გადაგვარჩინა.

მოკლედ, აღმოვაჩინე, რომ მეც ძლიერი გოგო ვარ. რალაცებს მეც ვუძლებ და გაფრთხილებასაც ნელ-ნელა ვსწავლობ.

ოლონდ, ამის მიხვედრისთვის დრო დამჭირდა. უფრო გვიან კი, უფრო მეტად მნიშვნელოვანი გავიაზრე. ერთხელ, ერთმა კაცმა, რომელიც მიყვარდა, ის სიტყვები მითხრა, რომელიც ძალიან მჭირდებოდა. ოლონდ საქმე ისაა, რომ როცა მითხრა, უკვე გვიანი იყო. იმ კაცისადმი ცოტა გულგრილი და ცოტა სევდიანი გრძნობა მქონდა დარჩენილი და ხომ ხვდებით, აღარც ის სიტყვები მიღირდა დიდად. გული კი მეტკინა, მაგრამ ეგ არაფერი. უფრო მნიშვნელოვანი ზუსტად მაშინ აღმოვაჩინე. აი, ზუსტად მაშინ, როცა ის კაცი იმ სიტყვებს მეუბნებოდა, მივხვდი, რომ მთავარი ცხოვრებაში არც თეფშია, არც ნიგნი და არც კოლოფი ასანთი მილიონად. მთავარი ცხოვრებაში ადამიანებია. ადამიანები და მათი გაფრთხილება. მივხვდი იმასაც, რომ სიტყვები, რომლის თქმა გინდა, იმ წუთშივე უნდა თქვა, ემოცია რომელიც გინდა გამოხატო, მაშინვე უნდა „გამოუშვა“. აი, ზუსტად იმ დროს, როცა გრძნობ და როცა გინდა, თორემ მერე – ფასს კარგავს. მივხვდი იმასაც, რომ ადამიანის გაფრთხილება მისთვის სიტყვების თქმით და გრძნობების გამოხატვით იწყება.

ბებია უკვე 10 წელია, აღარაა. მე ძალიან მადლობელი ვარ მისი, რომ ბევრი რამ მასწავლა. უფრო მადლობელი ვარ, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი განგებ არ მითხრა. უფრო მნიშვნელოვანს ცხოვრებაში თავად უნდა მიხვდე. როცა მიხვდები, ისწავლი კიდევ, როგორ უნდა გაუფრთხილდე. ეს დღე ჩვენს ცხოვრებაში შეიძლება გვიან, მაგრამ ერთხელ მაინც, აუცილებლად დგება.



ევროპული სტილი განახლებულ პაპილონი



თბილისი ავ. ბაქრაძის 6 (მტკვრის მარჯვენა სანაპირო, დიდის ხილთან); ტელ: +99532 2540990
ქუთაისი წერეთლის 163, ტელ: 0431 235025; ბათუმი ბაგრატიონის 109; ტელ: 0422 220348

WWW.PAPILLON.GE



უძველესი პროფესია

კაკა შაშვილი

თუ სწორად მახსოვს, პოეზია, ბოზობის შემდეგ, ყველაზე ძველი საქმიანობაა. მე, როგორც სიძველეთა მოყვარული, ორივეს დიდ პატივს ვცემ და ქებას ვასხამ, თუმცა, ბოზებისა და პოეტების (უკაცრავად ტავტოლოგიისთვის) ადგილი, მგონი, აღარც დარჩა ამ სასტიკ სამყაროში. ამ სვეტში მხოლოდ ლექსზე ვიტყვი ორ სიტყვას.

ჩემზე ჭკვიანი კაცის თანახმად, ლექსი ცოცხლობს იმდენ ხანს, რამდენი ხანიც მის დანერას სჭირდება. ამ ლოგიკით, კონკრეტულმა ლექსმა დროს რომ გაუძლოს, სულ უნდა იწერებოდეს, მთელი ცხოვრება. და რადგანაც ერთ პოეტს ძირითადად ერთი ცხოვრება ეძლევა, მას მარტო ერთი კაი ლექსი შერჩება ხოლმე, დანარჩენი სტატისტიკისთვისაა განწირული.

მესმის, რომ ამ თეორიაში ბლომად გადაჭარბებაა, მაგრამ ეს არაა მთავარი. საჭიროა, პერიოდულად დაისვას თავად პოეზიასავით ძველი და ხორკლიანი შეკითხვა: ვინ ან რამ უნდა განსაზღვროს ლექსი, როგორც კარგი ან ცუდი?

ადრე ამას კრიტიკოსები აკეთებდნენ, ახლა კი შემემატნენ თავად მკითხველ-მსმენელები და აკადემიური შეფასების პარალელურად, გაჩნდა ახალი კრიტერიუმები – „იუთუბზე“ ვიზიტორების რაოდენობა, „ფეისბუქზე“ ლაიქები, „ფრენდების“ შორისდებულები... პროზაზე რომ ვსაუბრობდეთ, აქ უფრო „ძლიერ“ არგუმენტსაც მივამატებდი – კომერციულ წარმატებას, თუმცა,

„იუთუბის“ და „ფეისბუქის“ რეალობაც ხომ კომერციაა, „არამატერიალური კომერცია“.

ჩვენ ვიცით ჯეფერსონ ბითკეს პოეზია, რომელმაც ათეულობით მილიონი ვიზიტორი და მომწონებელი დააგრო-

ლექსი ცოცხლობს იმდენ ხანს, რამდენი ხანიც მის დანერას სჭირდება. ამ ლოგიკით, კონკრეტულმა ლექსმა დროს რომ გაუძლოს, სულ უნდა იწერებოდეს, მთელი ცხოვრება. და რადგანაც ერთ პოეტს ძირითადად ერთი ცხოვრება ეძლევა, მას მარტო ერთი კაი ლექსი შერჩება ხოლმე, დანარჩენი სტატისტიკისთვისაა განწირული.

ვა „იუთუბზე“, ჩვენ ასევე ვიცით ჯონ ეშბერიც, რომელიც რამდენიმე ათას ვიზიტორსაც კი ვერ ქაჩავს, თუმცა ის სპეციალისტების – ფილოლოგები-

სა და ფილოსოფოსების ნებეირაა.

ვინაა მართალი – მეცნიერი თუ, რბილად რომ ვთქვათ, არასპეციალისტი მკითხველი (მსმენელი)? ტოტალური პოსტმოდერნიზაციის დროში ხელალებით ვერაფერს იტყვი. იტყვი და წამოვა თეორიები: მკითხველი – ავტორია, მკითხველი თანავტორია, მკითხველი ღმერთია, ბუდაა, რამა კრიშნაა... რას არ მოიფიქრებენ ეს ინტელექტუალები, მკითხველს თავი რომ მოუქონონ!

მეორე მხრივ, ჩვენ ვიცით კომერციულობისა და ტალანტის გადაკვეთის ნერტილებიც: მარკესი, კინგი, ეკო... მშვენიერია, მშვენიერი, თუმცა მგონი, საკუთარ იდეას ვენიწა-აღმდეგები. არადა, რატომ ვიმტვრევ თავს? ამ ყველაფერზე ხომ დიდი ხნის წინ იფიქრეს, იდავეს, აპუტეს თმები ერთმანეთს და რაღაც დასკვნამდეც მივიდნენ.

პლატონი ვისაც უყვარს, იმათ ემასხოვრებათ „დიდ ჰიპიაში“ აღწერილი კამათი, სადაც ჰიპია სოკრატეს უმტიციცებს, რომ ნიჭიერების საზომი მისი კომერციულობაა – კარგად იყიდება? ესე იგი, კარგია. აქ სოკრატე ეწინააღმდეგება და ანაქსაგორას მშვენიერი მაგალითი მოჰყავს. ანაქსაგორა კი, როგორც კულუარული წყაროები გვატყობინებენ, უფულო იყო, მაგრამ ნამეტნავად ნიჭიერი.

კიდევ კარგი, ეს პლატონმა თქვა, თორემ მე კი არავინ დამიჯერებდა!

გამოვიყენოთ კლასიკა, ის ზოგჯერ სასარგებლოც შეიძლება, იყოს.

creative home

დეკორატიული აქსესუარები თქვენი ინტერიერისათვის



თბილისი, ჭავჭავაძის 34 , სავაჭრო ცენტრი პიქსელი

ტელ: +995 32 2183507

ქავთარაძის 1, ჰიპერმარკეტი გუდვილი

ტელ: +995 32 2145014

ბათუმი, მეშედ აბაშიძის 44

ტელ: 422 2359004



<http://www.facebook.com/pages/Creative-Home/>

მოქალაქის მიწა

ავტორი ღათო ჩაბანავა

ფოტო: ღათო ჩაბანავა, მაქა ბოგალაძე

ჟან ჟაკზე ლიზა მიყვებოდა ბევრს. ლიზა ჩემი მეგობარია, ჟან ჟაკი კი ერთი ფრანგი, რომელსაც უძველესი ქართული ხორბალი მოჰყავს და მისგან ძველ ქართულ პურს, ოთხკუთხა „დოლის პურს“, საკუთარი ხელით აცხობს, საფუერის გარეშე. ეს იმის ასახსნელად, რამ დამქოქა ამ ადამიანთან შესახვედრად. შეხვედრით რამდენჯერმე შევხვდი, ვაკეში ყიდის პურს შაბათობით (აი, იმ ეზოში, ნიაზ დიასამიძე რომ ცხოვრობს და ჭიშკარზე 33ა წერია).

პირდაპირ დავინყებ. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ კულმინაციური შეხვედრაა. მე და ლიზა ვემზადებით, წინა ღამეს არ ვსვამთ, ადრე ვწვებით, დილით ადრე ვდგებით. ვცდილობთ, განვიმნიდოთ. ალბათ, ქვევით მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

მოკლედ, გვინდა, ცოტა ხნით სოფელში ვიცხოვროთ ადამიანთან, რომელიც ან საერთოდ არ ხმარობს მობილურს, ან ლაპარაკისას ყურიდან შორს უჭირავს და ხმამალა საუბრობს, რომ გამოსხივებით არ დაიმუხტოს; რომელიც ცხოვრობდა და სწავლობდა შტუტგარტში, ბერლინში, სტრასბურგში, დღეს კი ცხოვრობს კახეთში, სოფელ არგოხში, ფრჩხილები მიწის ნარჩენებით აქვს გამოტენილი და გამჭოლი მზერით გიყურებს.

ჟან ჟაკი: რატომ გინდათ, რომ წამოხვიდეთ?

– მინდა, ვისწავლო შენგან რალაცეები, აქაურობასაც მინდა მოვწყდე.

– იწვიმებს, – უცებ ამბობს და დახლის დაშლას იწყებს. ბაზარი დასრულდა. ჩვენ ვესმარებით.

– ეს ყველაფერი მოჩვენებითობაა (ქალაქს გულისხმობს). დიდხანს აქ ვერ ვძლებ...

რალაცე მომენტში ყურს უკან ხელი მიაქვს, აი, ისე მოხუცებულს რომ მიაქვს, როცა რამე არ ესმის, მერე ზევით იხედება:

– თუ ამ ხმას უსმენ, – თვალეში მიყურებს, ამონმებს, ვუსმენ თუ არა და როცა რწმუნდება, აგრძელებს, – ხო, როცა კარგად უსმენ, გესმის ხმა და კავშირი იკვრება ზევიდან ქვევით, – ხელს მიწისკენ იშვერს, – და შენ ამბობ: I heard you, მაღლობას იხდი და მოქმედებ.

რამდენიმე წამს ჩუმი ვართ, თვალეში ვუყურებთ ერთმანეთს. უცებ წყდება ადგილიდან და ჩალაგებას აგრძელებს. ჟან ჟაკს სახის მკაცრი ნაკვეთი აქვს, საუბრისას ცალი ნარბი ზევით ეწევა ხოლმე. წლების განმავლობაში სხეულს აღმოსავლური მეთოდებით ავარჯიშებდა, დღეს, შეიძლება ითქვას, მიწაზე ვარჯიშობს.

გაუყვიდავ პურს და სხვა პროდუქტს ყუთებში, ყუთებს კი მანქანაში ვალაგებთ, მოძრაობს უზომო კონცენტრაციით. ჟან ჟაკისგან ხშირად გაიგონებ:

– ერთია იფიქრო და მეორეა ეს ფიქრი იცხოვრო.

ჟან ჟაკის ბაზარი ერთი დახლია, რომელსაც 33ა სახლის კუთხეში ყოველ შაბათს ფრთხილად შლის, მერე, საღამოს ასევე ფრთხილად მანქანაში ათავსებს და სოფელში ბრუნდება. დახლს აქეთ მდგომ ადამიანებს უცნაური ზედმინევენით თვალეში უყურებს, მოქმედებს დინჯად. ადამიანები მისთვის სტანდარტული გაგებით

კლიენტები არ არიან, ზოგიერთს დიდი ხნის განმავლობაში ელაპარაკება, ზოგს ჩუმიად უსმენს, ზოგიერთთან კი საერთოდ სიჩუმეში ურთიერთობს. მე მითხრა, საუკეთესო ურთიერთობის ფორმა სიჩუმეაო, დაკვირვება, ასეთ დროს ადამიანები ერთმანეთს გაცილებით მძაფრად გრძნობენო. ჟან ჟაკს სჯერა, რომ ადამიანი გამართული უნდა დადიოდეს დედამიწაზე, და ასევე, გამართული უნდა ურთიერთობდეს სხვა ადამიანებთან. როცა ამას ამბობს ხოლმე, და ამას ხშირად ამბობს, საჩვენებელ თითს იდებს მკერდზე, თავისკენ მიმართულს და წელში სწორდება, ეს სულიერი სიძლიერის გამოხატველი სიმბოლოა მისთვის. ბაზარში პურის გარდა ჩამოაქვს სხვადასხვა სუნელები, თაფლი, დატეხილი და დაუტეხავი თხილი, ბოსტნეული... დახლის თავზე კი ფიცარს ჰკიდებს, რომელზეც ლათინური ასოებით წერია: MOMAVLIS MITSA.

აბრა, იმ დღეს, მე და ლიზამ ჩამოვხსენით და მანქანაში დაშლილ დახლთან ერთად ჩავდეთ. თუმცა, იმავე დღეს სოფელში არ წავუყვანივართ. დაგირეკავთო, გვითხრა. ორ დღეში დაგვირეკა და ავლაბრის მეტროსთან შეგვხვდა.

ასე აღმოვჩნდით ჟან ჟაკის 22 წლის წინ გამოშვებულ „ფოლქსვაგენის“ მინივენში. სანამ დაძრავდა, მოგვიბრუნდა და გვითხრა, მობილურები გამორთეთ და მანქანის წინა უჯრაში ჩაალაგეთო.

– მანქანაში მოძრაობის დროს მაგნიტური გავლენა მძაფრდება, – მოგვიჭრა მოკლედ და მანქანა დაძრა.



ჟან ჟაკის აზრით, ქალაქში ბევრი უარყოფითი ენერგია, რომელიც ადამიანის ცნობიერებასაც უარყოფითი ენერგიით ტუმბავს. კახეთის გზაზე ვდგავართ, მანქანის წინა მინაზე ხორბლის ოქროსფერი თავთავები შევნიშნე, ვიფიქრე, უბრალოდ დარჩა-მეთქი უწესრიგობაში. ერთ-ერთი ავიღე, მარცვალი მოვავლიჯე და კბილებით ვაკნატუნებ, ლიზასაც შევთავაზე, არ გინდა, გასინჯო-მეთქი. ისე რომ გზას თვალს არც ამორებს, ჟან ჟაკი უცებ მეუბნება:

– შეხედე, როგორი ლამაზი თავთავია.

ჟან ჟაკის ნათქვამის შემდეგ ხორბლის მარცვალი, რომელსაც თითებში ვატრიალებდი, შინაარსს იცვლის. ფორმა უზადოდ პროპორციული და სიმეტრიული ხდება. ესაა ფორმა, რომელიც თითქოს აფეთქების შემდეგ შეიქმნა, ქვედა ნაწილი მსხვილი დარჩა, ზევით კი ოქროსფერი სხივებით აიფანტა და ღერძის პარალელურად სიმეტრიულად განლაგდა. თავთავს თავის ადგილზე ფრთხილად ვაბრუნებ, ახლად გაკეთებული აღმოჩენით გაკვირვებული. ახლა გზის მონოტონურ ხმებს ინტერნეტზე ლაპარაკით ვფარავთ:

– როცა ინტერნეტი მჭირდება, ქალაქში ჩავდივარ და ინტერნეტ კაფეში შევდივარ, ხელებს ვიფარებ, რომ გარედან პორნოგრაფიული „ხმაური“ ჩავახშო. წარმოადგინე, რას უშვება ეს ურთიერთობებს...

ჩუმად ვარ, თავში საკუთარი ინტერნეტ „ცოდვები“ ამოტივტივდა.

ცოტა ხანში მანქანას აჩერებს, ქალაქს გამოვცდით, ამბობს, გადადის და მინდორზე იცუცქება მოშორებით, მანამდე ჩვენ თითო ნაჭერს საკუთარ გამოცხოვრებულ პურს გვიჭრის. ვდგავარ გზის პირას და მთას ვუყურებ. ჟან ჟაკი ჩაცუცქულია ჩვენგან ზურგით, ისიც მთას უყურებს და ამბობს:

– დედამინა ორგანიზმი, ცოცხალი ორგანიზმი.

მე უკან ვდგავარ, ხორბლის პურს ვღეჭავ და ვცდილობ, არ ვიჩქარო. საერთოდ უსწრაფესად ვიკვებები, თითქოს შიმშილის ინსტინქტი მინდა გზიდან ჩამოვიცილო. ჟან ჟაკისთვის

კი კვება რიტუალია, რომლის მეშვეობითაც ბუნებას, მთლიანობას განიცდის.

ისევე დავიძარით, მთებს და მთებზე ხეებს ვუყურებ, ზოგან ხეები არ არის, არც ბალახი, მთები მიწისფერია... ჟან ჟაკი ამბობს:

– ეს დედამინის ეროზიაა.

ფიქრში ვიძირები: ერთი დიდი ორგანიზმი... ცოცხალი ორგანიზმი... ვცდილობ, ფიქრით ფორმები დავძლიო და მათ უკან რაიმე მთლიანობა წარმოვიდგინო...

ჟან ჟაკის ლიმილიანი სახე მაფხიზლებს: ეტყობა, ერთ ჯერზე ბევრი მოგაყარეო.

სოფელთან მიახლოებული, კიდევ ერთხელ აჩერებს მანქანას, უსიტყვოდ გადადის მინდორზე, ჯერ კიდევ მწვანედ გადანულ ხორბლის ოთხკუთხა სივრცეს (ამ ხორბალს, ალბათ, საკმარისი მზე არ მიუღია, რომ ოქროსფერში გადასულიყო) ფეხით სერავს. რამდენჯერმე ჩერდება, მიწისკენ იხრება, ალბათ, ხორბლის მარცვლებს აკვირდება... მე შორიდან მგონია, რამე რიტუალს ასრულებს. ვხვდები, რომ ეს ჟან ჟაკის დათესილი ხორბალია, თუმცა რიტუალს ვერაფერს ვუგებ, ფეხზე ვიხდი და ხორბლის ქვეშ ფხვიერ მინაზე დავდივარ, ლიზას შორიდან ფეხსაცმელებს ვაჩვენებ. ლიზაც იხდის. მინა ხალიჩასავით იზნიქება, თან თბილია. საღამოა, მზე ჩადის.

მახსენდება ჩვენი დიალოგი თბილისში:

– ჰო, ძველი ბერძნები სამყაროს განიხილავდნენ როგორც ერთ მთლიანობას, შემდეგ თითქოს ავჩქარდით და მთლიანობის აღქმა დაიკარგა.

– ეს ეტაპია, – მპასუხობს ჟან ჟაკი, – ჩვენ ვიყავით ჩვილები, შემდეგ ახალგაზრდები, როგორც ჩვიდმეტი წლის მოზარდი, რომელიც მშობელს ებრძვის, რათა საკუთარი დამოუკიდებლობა დაამტკიცოს. ზუსტად ასე ვებრძვით ბუნებას. ამ ეტაპს ნელ-ნელა გავდივართ და ვიაზრებთ საკუთარ პასუხისმგებლობას.

– ანუ ახლა ჩვიდმეტი წლის ვართ? – ვიციინი.

ჟან ჟაკი არ იციინის, თვითონ ორმოცდარვა წლისაა.

ჩემი დაკვირვებით, დეტალების მიმართ ხელოვანი კაცის დამოკიდებულება აქვს, ანუ ცუდი, ამიტომ მოქმედების დროს საჭირო ნივთებზე სხვადასხვა სიმბოლოებს ქაოტურად ტოვებს. მაგალითად, ბაზარში მაგიდის გადასაფარებლის კუთხეებზე ნიშნები აქვს წინა და უკანა მხარის გასარჩევად. დეტალებისადმი მისი ასეთი დამოკიდებულება, მეორე მხრივ, მისი უზომო კონცენტრაციის მაჩვენებელია. ჟან ჟაკი მოქმედების კაცია, ამიტომ ცდილობს, პროცესი მაქსიმალურად დაგეგმოს, რათა წერილმანმა ხელი არ შეუშალოს. ეს დამოკიდებულება ყველა მის ქმედებაზე აისახება. გეგმავს, მაგრამ ქაოტურად, მაგალითად, მანქანის საქარე მინასთან დაჭმუჭნული ფურცელი უდევს, ათასგვარი ხაზებითა და დაჯღაბნილი სიმბოლოებით, ჟან ჟაკი ამ ფურცელს შიგადაშიგ გულდასმით აკვირდება და შიგ დამატებით სიმბოლოებს აკეთებს.

– თელავში ხელოსანთან უნდა შევიაროთ, მანქანას ზეთი უნდა გამოვუცვალო.

მანქანის ზეთით მოთხვრილ ერთ-ერთ ჯიხურთან ვჩერდებით. ხელოსანი გასულია და ერთ საათში იქნებაო. ჟან ჟაკი რას აკეთებს? იღებს მანქანიდან საკუთარ მოთხვრილ ხალათს, თავზე იხურავს გადაჭრილ შორტს და ძვრება მანქანის ქვეშ, ზეთს თვითონ ცვლის, ხელებს იბანს და გზას ვაგრძელებთ.

– იმდენ პურს ყიდი, რომ შემოსავალი გქონდეს? თუნდაც მგზავრობის და სანავის ხარჯი დაფარო?

– მესმარებიან, მეგობრები, სხვადასხვა ორგანიზაციები. დაიცა, – ერთი ხელით მანქანის საჭე უჭირავს და მეორეთი ჩანთიდან კონვერტს იღებს. შიგნით წერილია, ხელნაწერი.

– ოთხმოცდაათზე მეტი წლისაა ეს ქალბატონი. ახლა მე პასუხს ვწერ და ვეუბნები, რომ გამომიგზავნოს მისი ახლანდელი და ახალგაზრდობის დროინდელი ფოტოები, მინდა, წარმოვიდგინო, როგორია. შეხედე როგორი სითბოთი მწერს?!

ჟან ჟაკი ილიმის და წერილის კითხვას იწყებს. მოხუცებული ქალ-

ბატონი ევროპიდან იწერება, რომ ასაკში შესულს გაუმძაფრდა განცდა სხვათა მიმართ, მიხვდა, რომ ადამიანი მარტო არაა, და მხოლოდ საკუთარი თავისთვის და ბედნიერებისთვის არ იბრძვის...

წერილის ავტორს საიდანღაც ჟან ჟაკის ამბავი გაუგია და გადაუწყვეტია, რომ თავისი ორგანიზაციის მემკვიდრეობით ფინანსურად დახმარებოდა, თანხას საკუთარი ხელით დანერგილი წერილიც მოაყოლა, რომელიც ჩვეულებრივი ფოსტით ჟან ჟაკთან, არგონში, ერთ თვეში, მაგრამ ჩავიდა.

– კიდევ ერთი თვე ჩემი პასუხის ჩასვლას დაჭირდება... თქვა და წერილი ფრთხილად ისევ კონვერტში ჩადო.

არგონი პატარა სოფელია, თბილისიდან მანქანით სამი საათის სავალზე, ალავერდის ტაძართან ახლოს. მანქანის გვერდითა ფანჯრიდან ტაძარი მოჩანს. ჩვენი მანქანა მოძრაობას აგრძელებს, ჟან ჟაკი ჩემკენ ტრიალებდა.

– ერთხელ შევედი, დავჯექი და თვალები დავხუჭე, ცოტა ხანში მამაო მოვიდა და მითხრა, აქ ასე ჯდომა არ შეიძლებაო.

მემგონი, აინტერესებდა, რა რეაქცია მექნებოდა ამ ისტორიაზე, რა რეაქცია უნდა მქონოდა, გავბრაზდი, ბოლოს გამეცინა, ჟან ჟაკსაც გაეცინა. ვილაპარაკეთ რელიგიის დანიშნულებაზეც, ჩარჩობებზე რომლებიც ადამიანის აღქმას კვეცს, მოკლედ... რელიგიაზე საუბრისას ხშირად ჰაერში ხელით ოთხკუთხედს სახავს ხოლმე, ხელისგულებს ერთმანეთის პარალელურად ანთავსებს ჰორიზონტალურად, შემდეგ ვერტიკალურად.

არგონი გადასახვევიდან არ ჩანს. ჟან ჟაკი მანქანას აჩერებს და სიამაყით სავეს ხმით ამბობს:

– შეხედეთ. სოფელი რომ არის, ვერც იტყვი.

მემგონი, უხარია, რომ ასეთი ადგილი იპოვა, ადგილი სადღაც დედამიწაზე, სივრცე, სადაც მიწასთან ურთიერთობას და საკუთარი იდეის განხორციელებას ცდილობს.

სოფლის დამახასიათებელი სტრუქტურა და ფორმა მწვანე მასივშია

ადღვებილი. თითქოს სოფლის „არქიტექტურას“ ღია ფოთლისფერი ფუნჯით გადაუარეს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ხეებშია ჩაფლული და უკნიდან მთა და წინ გაშლილი სივრცე არტყია, სტრუქტურულად ტიპური საბჭოთა მონუმენტის სოფელია. ერთ-სართულიანი ჩამწკრივებული სახლებით, წინ მოზრდილი აივნებითა და ეზოებით. ბოქლომით ჩაკეტილი კულტურის სახლით, რომელსაც შიგნით მწვანე კედლები, ერთი სცენა და

**ეს ეტაკია,
რვენ ვიყავით
რვილაზი, შამდაზ
ახალგაზრდები,
რობორს რვილმეტი
წლის მოზარდი,
რომელის
მომოხელს ეზრძვის,
რათა საკუთარი
დამოუკიდებლობა
დაამტკიცოს.
ზუსტად ასე
ვეზრძვით
ბუნებას.**



ხის მტვრიანი ასაკეცი სკამები აქვს, მოშორებით, ბოსტნების გასწვრივ, გარედან, კულტურის სახლივით ერთ დროს თეთრი ფერის სკოლის ორსართულიანი შენობაა, რომელსაც დღეს რკინის ძველისძველი ზარი, ჩამოქცევის პირას მყოფი კიბე და მოწაფეებზე ორჯერ მეტი მასწავლებელი ჰყავს. სკოლის ზარს ფანჯრიდან გადმოყოფენ ხოლმე და ფოლადის ნაჭერს შემოკრავენ და ასე რეკენ, ჩემი დაკვირვებით – არარეგულარულად, ალბათ, მაშინ, როცა დარეკვას აზრი აქვს, ანუ როცა ბავშვები სკოლის წინ გაშლილ მინდორზე თამაშს ასრულებენ. სოფელში ბევრი სახლია მიტოვებული, ზოგი – ჩამოქცევის პირას მყოფი, ზოგიც – უბრალოდ, ჩაკეტილი. ჟან ჟაკმა ერთ-ერთი ასეთი ერთსართულიანი სახლი ორი წლის წინ იყიდა.

სახლის და ბოსტნის გარდა, რომელიც სახლს მოჰყავს, ჟან ჟაკმა სამი ჰექტარი მიწაც შეიძინა, სწორედ ამ მიწაზე მოჰყავს ხორბალი. ბოლო, მესამე ჰექტარი ჩვენი იქ ყოფნის დროს შეიძინა მოხუცებული ქალბატონისგან და მისი შვილისგან, რომელიც მიწის გადაფორმებისას რაიონში გამოგვეყვა, უკანა გზაზე ლუდები შეიძინა და სოფლის ბირჟის შორიახლოს ჩამოხტა.

ნაგავი, ჰო, აი, ჩვეულებრივი ნაგავი, რომელიც ქალაქში ან ბუზებისა და ბაქტერიების ბუდეა, ან საგადასახადო ტარიფის განსჯის საგანი, ჟან ჟაკისთვის რადიკალურად განსხვავებულ დატვირთვას ატარებს. მისთვის ეს მთელი სქემაა ბუნებიდან მოსულის ბუნებაში ჩასაბრუნებლად. საკვების მომზადებისას დარჩენილი ხახვის თუ კარტოფოლის კანი იქნება ეს, თუ ჩაის ანადუღარი მასა (ჩაის ხარშავს სხვადასხვა მცენარეებისგან, ჭინჭრისგან, მოცხრისგან... ყავას არ სვამს), კონკრეტულ ადგილას ათავსებს მიწაზე, თივით ფარავს მზისგან დასაცავად და მისგან, თვეების შემდეგ, ნიადაგის გასამდიდრებელ შავ ფხვიერ მასას იღებს. ამას ჟან ჟაკის „შავ ოქროს“ ეძახიან სოფელში.

ჩვენი ჩასვლისას დასათესი ჰქონდა ბოსტნეულის თესვები, რომლებიც სპეციალურად მომზადებულ ნემომპალაში უკვე ამონევერილიყო. მცენა-



რებს ჯიშების მიხედვით სათითაოდ ჰქონდათ ნიშნები (ნიშნებს ნაყინის ხის ჯოხებზე აკეთებს, რომლებსაც ასევე ინახავს). ჟან ჟაკი მათ სალამოს დიდხანს აკვირდება, დილით მათთან სპეციალური კატალოგი მიდის, სადაც ტემპერატურები, და სხვა ციფრები და მონაცემები წერია თითოეული მცენარისთვის. ამონებებს ტემპერატურას, ტენიანობას და დასათესი ბოსტნეულით ხელში, ბოსტნისკენ მიგვიძღვება.

ბოსტანში დეტალურად გვიხსნის, როგორ უნდა განვათავსოთ მინაში ნერგები. ვაკეთებთ შავი „ოქროსგან“ გუნდებს, ვათავსებთ მათში ფუნჯანვერიან მცენარეებს, მინაში ვაკეთებთ 8-10 სანტიმეტრიან ორმოებს, ვდებთ მათში შავგუნდიან ფესვებს და მინას ფრთხილად ვტკეპნით ისე, რომ ღერო ან ფესვი არ დაზიანდეს და წრედი შეიკრას.

– შეხედე, მინას უკან წევ, გუნდას შიგნით დებ და ფრთხილად, ორივე ხელით მიწითვე აწვები. ზედმეტად არ უნდა დაწვე, ფესვი ჩატყდება. გაიზრდეს, რას აკეთებ. ეს აუცილებელია. უნდა გესმოდეს, რომ მცენარეში ზევიდან და ქვევიდან მომავალი ენერგიები მთლიანდება.

მზე აჭერს, მინა შრება, ოფლი გვასხამს. შუადღეს ამის კეთება ძნელია... ამიტომ, როგორც ვხვდები, თუ საქმე სწორად დაიგეგმა, შუადღეს გლეხი უნდა გაჩერდეს და მინდვრის საქმე მზის გადასვლისას განაგრძოს. ამ შემთხვევაში ჩვენ გვიან ავდექით და ამიტომაც ამის კეთება თაკარა მზის ქვეშ გვინევს. სალამოს სულ სხვაა. მზე ისევ იქაა, ზევით, მაგრამ ოდნავ გვერდზე ინაცვლებს და რბილდება, ფრთხილად გეხება, თითქოს საკუთარი მისია შეასრულა და მშვიდად გვერდზე გაინია, სამაგიეროდ, აქტიურდება და ცოცხლდება ნიადაგი, რომელიც ნესტიანდება და იწყებს მზისგან მიღებული ენერჯის მონელებას, ნიავეც კი თითქოს მინას ეხმარება მზისგან მიღებული ენერჯის განაწილებაში. ჟან ჟაკის მეგობარმა, რუსლანმა გვითხრა, რომ თურმე მინა სალამოს ჩაისუნთქავს და რბილდება, დილით კი ამოისუნთქავს, წყალი ჰა-

ერში ადის და შრება, მერე ისევ...

რუსლანი, როგორც საქართველოში იტყვიან, წარმოსადეგი გარეგნობის ოცდახუთიოდე წლის ბიჭია, ღიმილიანი. მშობლების გარეშე, ბავშვთა სახლში გაიზარდა. არ ვიცი, სად, მაგრამ მას ჟან ჟაკი სადღაც, საქართველოში შეხვდა, მას შემდეგ ერთად არიან, გარკვეულწილად – როგორც მამა-შვილი, თუმცა ამას არც ჟან

– შეხალა, მინას უკან წევ, გუნდას შიგნით დებ და ფრთხილად, ორივე ხელით მიწითვე აწვები. ზედმეტად არ უნდა დაწვე, ფესვი ჩატყდება. გაიზრდეს, რას აკეთებ. ეს აუცილებელია. უნდა გესმოდეს, რომ მცენარეში ზევიდან და ქვევიდან მომავალი ენერჯის მთლიანდება.



ჟაკი და არც რუსლანი აღიარებს. ხშირად ბრალდებიან ერთმანეთზე. ხანდახან დღეების განმავლობაში არ ლაპარაკობენ. ერთხელ ჟან ჟაკმა თქვა:

– არ მისმენს, როცა ველაპარაკები. ბავშვთა სახლში თავს უარყოფით გავლენისგან სწორედ ასე იცავდა, ანუ თითქოს გისმენს, მაგრამ არ გისმენს.

თავის მხრივ, რუსლანი ჟან ჟაკს კაპიტალისტს ეძახის, რომელიც მას ცოტას უხდის. რაღაც ეტაპზე ჟან ჟაკი რუსლანს გერმანიაში სასწავლებლად წასვლაში დაეხმარა, სადაც რუსლანი სოფლის მეურნეობის სტრუქტურას და მეთოდებს სწავლობდა. დღეს ისინი ერთად გეგმავენ და ერთად მუშაობენ.

ბოსტანში ყოფნისას „შავი ოქროს“ ისტორია სწორედ რუსლანმა მოგვიყვა ისევე, როგორც გველაპარაკა, რატომ არ იცის ბევრი რამ ქართველმა გლეხმა მინის მართვისა და მასთან სწორად მოპყრობის შესახებ. გვითხრა, როგორ უსამართლოდ იქცევიან დღეს ბანკები სოფლის მეურნეობის დარგის დაფინანსებისას და როგორ არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, რათა გლეხმა ფეხზე დადგომა შეძლოს. ჰო, და ისიც, რომ მინა სუნთქავს, სწორედ რუსლანმა გვითხრა.

ვფიქრობ მინის სუნთქვაზე და მიხარია, რომ აქ ვარ, ლიზასთან და რუსლანთან ერთად, მიხარია, რომ გარშემო შენობები არ მარტყია, ქალაქი არ ხმაურობს, მიხარია, რომ რუსლანი რაღაც ამბებს ჰყვება აქაურობაზე, მიხარია, რომ ნერგს ვრგავ მინაში, მიხარია, რომ არაფერს გარბის და გამორბის გარშემო, და არავის არსად ეჩქარება... მოკლედ, მინაში ნერგებს ვათავსებ და ამაზე ვფიქრობ და ეს ფიქრი რალაცნაირად მამშვიდებს. არა, არ იფიქროთ ჩასულმა ბუნებასთან და მინასთან ურთიერთობები სწრაფად დავალაგე. სანამ გონებას ქალაქში მოტოვებული გეგმებისა და რუტინულად გადმოყოლილი ფიქრებისგან გავათავისუფლებდი, სარეველა ბალახსა და კარტოფილის ფოთოლს შორის განსხვავებაც ვერ შევამჩნიე – კარტოფილის ახლად ამოღებული ღერო დიდი რუდუნებით მინას გამოვკლიჯე, თან ისე, რომ მინაში არა-

ფერი ჩარჩენილიყო. მკვდარი ნერგი იქვე დავაგდე და მიწის სარეველისგან წმენდა განვაგრძე, ჟან ჟაკის ხმამ გამომაფხიზლა:

– ვინ გააკეთა ეს? – ჟან ჟაკს ხელში კარტოფილის ნერგი უჭირავს და გაკვირვებული უყურებს.

პასუხისმგებლობა თამამად ავიღე საკუთარ თავზე და ჟან ჟაკისკენ წავიღე, თუმცა გზაში ვფიქრობ, რამდენჯერ გამიმეორა ჟან ჟაკმა, დაკვირვებით აკეთეო.

– მორჩა, შენ აღარ მიხვალ მიწასთან! – თქვა გაბრაზებულმა და წასასვლელად გაბრუნდა. ხმა არ ამომიღია.

– მოიცა ჟან ჟაკ, – დაუძახა რუსლანმა, – არაა ეგ სწორი, ასე ვერ ისწავლის, ყველას გვეშლებოდა თავიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ჟან ჟაკს სიბრაზემ გაუარა, შემდეგ დღეს თავად გადავწყვიტე ბოსტანში არ გავსულიყავი და სამაგიეროდ თონის ამოსაშენებელი ქვიშის ტკეპნა ვითავე. ქვიშას ხელისგულებით ვტკეპნიდი. საკმაოდ კარგად ვიმუშავე და საღამომდე დავასრულე. საღამოს ჟან ჟაკი შემოვიდა, რამდენიმე წუთს არაფერი უთქვამს, ათვალეირებდა, უსიტყვოდ მიტრიალა გარშემო, მაგრამ გასვლისას კართან მაინც შეჩერდა:

– თუ რამეში არ მეთანხმები, შეგიძლია, გამარტყა. მაგრამ ვფიქრობ, რომ რაც სათქმელია, უნდა გითხრა.

ასე შევრიგდით.

პირველად ემოციურად ერთმანეთს თბილისში, ბაზარში დავეჯახეთ. ვუყვებოდი ჩემს გამოცდილებაზე მონასტერში. ჰო, რამდენიმე წლის წინ მონასტერში ვიყავი, ოლიანკაში, ზაფხული იყო და მინდორში თივას აგროვებდნენ მამები, ამიტომ ტაძარში სიარულის ნაცვლად დავდიოდი მინდორში, ვმუშაობდი საათობით, თივას მანქანაზე ვყრიდით. საღამოობით, მინდვრის დასალიერზე, მზე ულამაზეს ფერებად ჩადიოდა, ფერის მონაცვლეობას, ჩემი დაკვირვებით, ტენიანობა და ღრუბლების განლაგება იწვევდა. მოკლედ, დავიდები ხოლმე თივის ოთხკუთხა შეკვრას თავქვემ და ვუყურებდი, ეს იყო ჩემი კინოსეანისი სამუშაო დღის შე-

მდეგ. ამ გამოცდილების შემდეგ რატომღაც გადავწყვიტე, რომ მარტივი, ფიზიკური საქმის კეთება გონებას სხვაგვარად განაწყობს, თითქოს, ასუფთავებს და შენ იწყებ ისეთი რაღაცების შემჩნევას, რაც სხვა დროს გონების თვალით ვერ აღიქმება. სხვა დროს შენ ამას ხედავ, მაგრამ ვერ ამჩნევ, ამჩნევ, მაგრამ არ განიცდი. მოკლედ, ამ განცდისთვის, ალბათ, გონება უნდა გაიმარტივო-მეთქი, დავასკვენი მაშინ...

ახლა ვცადე, ჟან ჟაკისთვის ჩემი ეს მაშინდელი ნააზრევი ამეხსნა. თუმცა, ვერ შევძელი, სიტყვა მარტივის ხსენებაზე საუბარი გამაწყვეტინა:

– რას ნიშნავს მარტივი? – თვალეზში მიყურებს, მე ვფიქრობ, როგორ გადმოვცე, ის კი აგრძელებს, – სიტყვა გლეხი იცი, ჰო? (ამას ქართულად ამბობს), გლეხი პატარა კაცია, ზევიდან უყურებენ, თითქოს, ის მარტივ რამეს აკეთებს, არადა გლეხი რომ არ იყოს, საკვები არ იქნებოდა, არა უბრალოდ საკვები, რომ მუცელი გაავსო და შიმშილი მოკლა, არამედ ბუნებასთან კავშირი დაიკარგებოდა.

ახლა ვფიქრობ, რომ მთელი ეს ამბავი ტოლსტოის მახსენებს, უფრო სწორად იმას, თუ როგორ გადაწყვიტა მან ფუფუნებაზე უარი ეთქვა და მიწაზე ემუშავა. სხეული მთლიანობაა და ფიზიკური შრომა – ამ მთლიანობაში ყოფნის მეთოდი და კიდევ, საქმე სოფელში მარტივი არ არის! ამაში ჟან ჟაკი მართალი იყო. არადა, ქალაქელ ადამიანს, ჩემი არ იყოს, ეს არ ესმის. ჩვენ ტანს, ხშირად, როგორც მხოლოდ თავის ტრანსპორტირების მექანიზმს, ისე განვიხილავთ.

ჟან ჟაკთან ჩვენსავით ბევრი ჩადის, მსოფლიოს ბევრი ადგილიდან. ასე მოხვდა მასთან პირველად ჩემი მეგობარი ლიზაც, გერმანიიდან. ასე იყო ჩამოსული მასთან ვინმე ნიკოლასი ამერიკიდან, რომელსაც ჯიბეში თოროს წიგნი ჰქონია ტყეში განმარტოებით ცხოვრების შესახებ დანერილი.

თვითონ ჟან ჟაკის ფილოსოფიური ფუძე რუდოლფ შტაინერია, მოაზროვნე, რომელმაც, როგორც ვხვდები, კონკრეტული პასუხები გასცა ფილოსოფიურ შეკითხვებს და თქვა, რომ

ადამიანმა ფიქრიცა და არსებობაც კონკრეტულ ქმედებაში უნდა განახორციელოს და ეს მის მიერ აღსრულებულ ყოველ კონკრეტულ დღეში გამოიხატება. მე მისი წიგნები არ მაქვს წაკითხული, თუმცა ვიცი, რომ ეს არის ადამიანი რომლის შემდეგაც შეიქმნა ვალდორფის პედაგოგიკა და ბიოფერმერობის იდეაც – იდეა, რომლის არსი ისაა, რომ შენ ბუნებასთან ქიმიკატებით არ ურთიერთობ. ცდილობ, გამოიცნო, თავად რას გთავაზობს, რა სურს...

წიგნები ვთხოვე, ნიკოლა ჟოლის წიგნი მომცა, ევროპელი მეღვინეა. ეს სპეციფიკურად ყურძენზეა-მეთქი. არა უშავს, რაღაცებს ისწავლიო (შტაინერი ინგლისურად არ ჰქონდა, გერმანული მე არ ვიცი). არ ვიცოდი, რომ ვაზის ფესვი შეიძლება ისე გაიტოტოს, რომ 30-40 მეტრით დასცილდეს ვაზს და გაიშალოს ნიადაგში. ჟოლი ამბობს, რომ ამის გამო ბერძნები ვაზს მიწიერ მცენარედ აღიქვამდნენო, დიონისურ მცენარედ, რომელიც მიწიერთანაა დაახლოებული, ხოლო, მაგალითად, ხორბალს, რომელიც მცირე ფესვით და სამაგიეროდ ზეცისკენ სვლის უდრეკი ფორმით არსობრიობს, ციურს უწოდებდნენ. ვკითხულობ ჟოლის წიგნს აივანზე, შუადღეა, ანუ დრო, როცა გლეხმა მზეს უნდა აცალოს საკუთარი საქმის დასრულება, ხორბალზე ფიქრისას მახსენდება ჟან ჟაკთან ჩემი საუბარი თბილისში:

– პური ჩვენი არსობისა, გახსოვს ჰო, ეს სიტყვები საიდანაა?

– კი.

– იმაზე თუ გიფიქრია, რატომ პური?

არ მახსოვს, რა ვუპასუხე, მემგონი, არც არაფერი.

– მოვა დრო, როცა კაცობრიობა ამას გააცნობიერებს, – ჟან ჟაკს სჯერა, რომ კაცობრიობა რაღაც ფორმით მიწასთან დაბრუნდება, სხვა გზა, მისი აზრით, არ გვაქვს...

ჰო, ჟოლი თავის წიგნში ამბობს: თუ გიფიქრიათო, რომ ვაზს იმიტომ ვექაჩებით ზევით, და სადგრებს ვუყენებთ მუდმივად, რათა მიწაზე მისი მიჯაჭვულობა დავძლიოთო. მე ნაღდად არ მქონდა ეგ ამბავი ნაფიქრი

და ახლა ვფიქრობ, სხვაგვარად შესაძლოა, ფესვსაც ჩაყოლოდა და ჩვენც გამოფხიზლებულიყავით. ჟან ჟაკს ერთხელ ლიზასთვის უთქვამს, კაცობრიობას რაღაც ეტაპზე სჭირდებოდა ლვინო, ეს ეტაპი კი უკვე გავიარეთო. ჟოლის წიგნშიც ვიგრძენი სურვილი ვაზის გათავისუფლებისა, ან მისგან გათავისუფლებისა. ან ეს ორივე ერთია. არადა, ჟოლი თავად მეღვინეა. ჟან ჟაკი ამბობს, საქართველოშიც არისო ნამყოფი.

– მაშინ რატომ ასხამს ლვინოს, თუ ფიქრობს, რომ მისგან უნდა გავთავისუფლდეთ? – იკითხა ლიზამ.

– ადამიანები ჯერ კიდევ სვამენ ლვინოს და რახან ასეა, ბარემ დალიონ ბუნების ქმნილება, რომელიც საკუთარი ბუკეტით ადამიანს მიწასთან აახლოებს, – პასუხობს ჟან ჟაკი.

თავად არ სვამს, მიაჩნია, რომ დღეს კაცობრიობას არსებობის წამში ფხიზლად ყოფნა სჭირდება. თვითონაც ფხიზელია თავის ყოველ ქმედებაში. მაგალითად, სასოფლო ინსტრუმენტებისადმი დამოკიდებულებაში.

– რუსლან, რამდენჯერ გითხარი, ეს უკანა ბორბალი არ არის იმისთვის, რომ ზედ დაატრიალო სახრე, აი, ასე უნდა, ამ ბორბალს თავისი დანიშნულება აქვს.

ასეთი საუბარი ჟან ჟაკის გარშემო ხშირად ისმის. ხშირად გაჩერებს, იღებს ინსტრუმენტს, რომელსაც ხმარობ, და გიჩვენებს, როგორ...

ჟან ჟაკი ხშირად ამბობს, რომ ადამიანებს ამ სივრცეში (და არა მარტო აქ) დაეკარგათ გრძნობა ინსტრუმენტების მიმართ, თითქოსდა, მათთვის ეს უსულო, მექანიკური ხელსაწყოები გახდა. ტექნოლოგიის სწრაფმა განვითარებამ ადამიანი მექანიკური მომხმარებელი გახადა – ეს ჰგავს სიტუაციას, როცა რაღაცას ხმარობ, თუმცა წარმოდგენა არ გაქვს, როგორ მუშაობს ის. სწორედ ეს „როგორ მუშაობს“ არის ჟან ჟაკისთვის მთავარი, რადგან მიაჩნია, რომ პროცესი შედეგზე მნიშვნელოვანია, პროცესი კი, მისი აზრით, სოფლის მეურნეობაში სწორედ ინსტრუმენტების რაციონალური მოხმარებით იმართება.

ერთხელ მითხრა, ადამიანებმა ზე-

დმეტად მოვინდომეთ, ვყოფილიყავით რაციონალურები და ამ დროს სულიერება დავკარგეთო. ანუ, იგულისხმას ის, რომ ყველაფრის დათვლა, აწონვა და გაზომვა ვცადეთ და ვიფიქრეთ, რომ გონებით სამყაროს აღქმა შეუძლებელი. თუმცა, ჟან ჟაკის აზრით,

**ერთხელ ჟან ჟაკმა
მითხრა, ადამიანებმა
ზედმეტად
მოვინდომეთ,
ყოფილიყავით
რაციონალურები
და სულიერება
დაკარგათო. ანუ,
იგულისხმა ის, რომ
ყველაფრის აწონვა
და გაზომვა ვცადეთ
და ვიფიქრეთ, რომ
გონებით სამყაროს
აღქმა შეუძლებელი.
თუმცა, ჟან ჟაკის
აზრით, პირიქით,
ამ გზით
სწოხიერება
დავიკარგეთ.**



პირიქით, ამ გზით ცნობიერება დავიპატარავეთ და სამყაროს მთლიანობის განცდა დავკარგეთ. დღეს ამ მთლიანობის აღდგენის ერთადერთი გზა, რაციონალური გზებიაო, – ფიქრობს ჟან ჟაკი, – აქ და ამ წამში მთელი არსებით ყოფნით, მხოლოდ ცოდნით შეუძლებელი სულიერების დაბრუნებას. ჟან ჟაკს სჯერა, რომ კაცობრიობა უნდა დაღვინდეს, ახალგაზრდობაში დაშვებული შეცდომები გამოასწოროს და ამ გზითვე დაიბრუნოს დედამიწა.

– ანუ, ვაზი სწორ ნიადაგზე არ უნდა დაითესოს?

– არა, ვაზს აღმართი, რთული რელიეფი უყვარს.

– ეს, ალბათ, კომუნისტებს რაოდენობის მისაღებად სჭირდებოდათ.

– ხო, რაოდენობის.

ხარისხი ჟან ჟაკისთვის პროცესია, ოღონდ ერთდროულად ნელი, რეფლექსური და კონცენტრირებული დამოკიდებულებისა ნიადაგთან და ზოგადად ბუნებასთან.

ჟან ჟაკი ფიქრობს, რომ მექანიზაცია და ინდუსტრიული მასობრივი წარმოება სოფლის მეურნეობაში ისტორიას ბარდება და სამყარო „პრიმიტიულ“ და ინდივიდუალურ გამოსავალს ეძებს. ოღონდ ეს დღეს ჯერ ნოსტალგიაა, ხვალ კი, მისი აზრით, აუცილებლობა გახდება. ჟან ჟაკს სჯერა, რომ დედამიწას აქვს უნარი მთელი კაცობრიობა ჯანმრთელი საკვებით მოამარაგოს...

ამ პროცესისადმი ხშირად აგდებული დამოკიდებულება, რასაც ჟან ჟაკი ქართულ სოფელში ხედავს, მისი აზრით, უპასუხისმგებლობის ბრალია. პირადი პასუხისმგებლობა გლეხს საბჭოთა სისტემამ ჩამორეცხა და უმრავლეს შემთხვევაში, პასიურ აღმსრულებლად აქცია. ამის გამო, საბჭოეთის დაშლის შემდეგ, ჟან ჟაკის დაკვირვებით, გლეხი უფუნქციო და უინიციატივო გახდა და ან ქალაქში გაიქცა, ან უმრავლეს შემთხვევაში, სოფელში დარჩენილმა, უიმედოდ განაგრძო მინის „ჩიჩქნა“.

– ინიციატივა ისჯებოდა, – ამბობს ჟან ჟაკი.

რაღაც მომენტში გადანწყვიტა, რომ გერმანული ენა ესწავლა. ვფიქრობ,

ისტორია

ეს რუდოლფ შტაინერის გავლენა იყო, რომელიც გერმანულად წერდა. ჟან ჟაკი ამბობს, რომ ამ ენაში ხელახლა დაიბადა. მე ვფიქრობ, ეს ენა მას თვითორიენტირებასა და თვითორგანიზებაში დაეხმარა. გერმანულ ენაში ჟან ჟაკი ქაოტურ „ფრანგს“ მალავს. მისი რაციონალური მხარე გეგმავს, მობილიზებული და კონცენტრირებულია, მეორე მხარეს კი, ჟან ჟაკის ინსტინქტების ბრძოლაა, მანქანის გიჟური, როგორც თვითონ ამბობს, „ქართული“ ტარება, უცვარი სიბრაზე.

– ქართულ ენაზე რას ფიქრობ?
– თანხმობები, დაბადების, სანყისთან დაბრუნების პროცესს ჰგავს...
– ანუ, უკან უნდა დავბრუნდეთ?
– უკან ვერ დაბრუნდები.
– ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ...
– იცი, რომ ჰერაკლიტესთვის ყველაფრის სანყისი ცეცხლი იყო?...

მე არ ვიცი, რომ სამკუთხა ფორმით შეიძლება ცეცხლის უსწრაფესი აგიზგივება. ანუ სამ ცალ შემას სამკუთხედის ფორმაზე ანყო, მერე მიყვები იგივენაირად ზევით, მეორე, მესამე, მეოთხე ფენა სამკუთხედებისა, სანამ რალაც სიმაღლის სამკუთხა სტრუქტურა არ ამოიძვრება, რომელსაც ცოტა უნდა, რომ ცეცხლმა თონის კედლებზე ბორიალი დაინყოს. ჟან ჟაკი ცეცხლს უყურებს და იცინის, თუმცა კონცენტრირებას არ კარგავს. ცომისკენ გარბის და მეძახის, დათოო.

ეს ჟან ჟაკის მთავარი რიტუალია და მას ჩვენ რამდენიმე დღეში მივადევით. მზადებას გვიან ღამით იწყებს, შემდეგ რამდენიმე საათით წვება, დგება დილის ხუთზე. მოქმედებს დაახლოებით ისე, როგორც მე ფოტო ფირს ვამუშავებ, ინიშნავს ცალკეულ დეტალსა და დროს ფრაგმენტულ ფურცელზე, არ ლაპარაკობს, უკიდურესი საჭიროების გარდა. აკონტროლებს დროს, ტემპერატურას, გეგმაში რის შემდეგ რა მოდის, საკუთარ თავს ხმამაღლა ელაპარაკება.

ცომს ზელს, ტემპერატურას ამოწმებს, შემდეგ გუნდებს ფორმებში ათავსებს (საფურსს, როგორც გითხა-

რით, არ ხმარობს). მე, ამასობაში, პურის გამოსაცხობ ლითონის ყალიბებს ფუნჯით სათითაოდ ვუსვამ ჟან ჟაკის მიერ დანერგულ მხესუმზირის სუფთა ზეთს.

ვმოქმედებთ ნელა, თუმცა ჩქარა, რაც ნიშნავს, რომ კუნთები და გონება მუდმივად ჩართულია, მე ან ინსტრუქციას ველოდები, ან დაკვირვებით ვცდილობ, გამოვიცნო, რა დარის შემდეგ.

– შედეგი არასდროს ერთნაირი არ არის, – ამბობს პირველი ცხოვა პურის ამოსვლისას ღიმილით, თან პურს ყნოსავს.

– ეგ მაგარია, ინსტინქტურად, – ვპასუხობ დაღლილი.
იცინის.

– ჰო, მაგარია, მაგრამ მაგრადაც ილღები მუდმივად აქ და ამ წამში ყოფნით. მოკლედ, პური გამოგვივიდა. [ისე ჟან ჟაკის პური საშოს ჰგავს ფორმით, ტუჩებით ზევით. ერთხელ უთხრა ერთმა სოფელელმა ქალმა, დოლის პური სხვანაირიაო, ჟან ჟაკმა უპასუხა, მე ასეთი მინდაო].

შემდეგი ცხოვის დაწყებამდე ჩემთვის ვფიქრობ, ფორმაა, რაც შინაარსს ძერწავს, პროცესს უნდა იცნობდე დეტალურად, რომ მისცე საშუალება ქაოსს, წესრიგის ძერწვაში დაგეხმაროს. ჯერ პროცესს სწავლობ და მერე „იგინყებ“, ანუ ხელობას ისეთ დონეზე ფლობ, რომ აძლევ საშუალებას, სტრუქტურის მიღმა ნაგიყვანოს, ანუ ის, რომ პური ერთნაირი არასდროს გამოდის...

საკუთარ თავთან მონოლოგს ჟან ჟაკი მანყვეტინებს სათვალთ ცხვირზე და ვაჟას ლექსების კრებულით ხელში. შეხედე, წიგნს ჩემკენ ატრიალებს და დამარცვლით კითხულობს.

– არ დამიკარგო, მეუფევე, ეს ჩემი წმინდა ხელობა.

– ვაჟა?

– ჩემი ძმაცაცია, – ამბობს ქართულად და მკაცრ გამომეტყველებას ბავშვური ღიმილი ანაცვლებს, თვალები ასეთ დროს წყლიანი უხდება. საუბარში ვაჟას ხშირად ციტირებს...

არის ასეთი მწერი, მახრა ჰქვია, ხელში რომ დავიჭირე, ტარაკნის ზომია დაახლოებით, წინ ორი საცე-



ვით ისე მოძრაობს, როგორც მინის მთხრელი ბულდოზერი. მოკლედ ამ მახრას მოსავლის სრული განადგურება ძალუძს, სოფელში ბევრი ყოფილა. მისი განადგურების ტრადიციული (საბჭოთა/ინდუსტრიული) მეთოდი ქიმიით მინის მორწყვაა. ჟან ჟაკი ამბობს: „კიბია მერე წყალში წავიდა და თხუთმეტი წელი წყალს აღარ სვავენ“ (ქართულს ჯერ კიდევ სწავლობს, პირველ კლასში ვარო, ამბობს). ჟან ჟაკი იჭერს ამ მახრას, რიტუალურად წვავს და ფერფლს მიწას აყრის, რომ



სხვა მახრებს გზავნილი გაუგზავნოს... სჯერა, რომ ეს მეთოდი მუშაობს.

სწავლობდა ფიზიკას, ქიმიას, ფილოსოფიას, უმუშავია სკოლის მასწავლებლად გერმანიაში, რაღაც ეტაპზე სცადა ძენ ბუდიზმიც. ერთხელ, თბილისში ქუჩაში შემხვდა, ბუდიზმზე სუზუკის ნიგნს ვკითხულობდი, ბუდიზმის შესავალი თუ რაღაც ასე ჰქვია. მითხრა:

– ფრთხილად უნდა იყო, მე წლები დავხარჯე, სანამ მივხვდი, რომ

ბუდიზმი იმ სივრცეშია შექმნილი და იმ სივრცის ხედვა და მეთოდია ურთიერთობისა და სამყაროს აღქმის. დასავლური სივრცე მთლიანობასთან უფრო აქტიური ფორმით ურთიერთობს.

საქართველო? როგორც მე ვიცი, შემთხვევით. თვითონ ამბობს, ზევიდან ნიშანი მომეცაო. ჟან ჟაკს საფუარზე აღერგია აქვს, საქართველოში, სადაღაც ძველი ქართული ხორბლის დოლის პური გაუსინჯავს. მერე ერთი ძველი მინიბუსი სოფლის

მეურნეობის ინსტრუმენტებით დატენა, და კახეთში, სოფელ არგოხში ჩამოაგორა...

ჰო, ჩვენ გვითხრა, თქვენთან ერთად კონცენტრირებას ვერ ვახერხებო, თქვენზე პასუხისმგებლობას ვგრძნობ და სათანადო ყურადღებას ვერ გაქცევთო, ამიტომ არგოხში გატარებული დაახლოებით ერთი კვირის თავზე, თბილისში ჩამოგვიყვანა თავისი მინივენით. პლენხანოვზე, ხიდთან ჩამოგვსვა და ერთი დიდი თავი პური ჩაგვიდო ხელში...

მალკოლმ გაქდაუელი

ბელნიერი შემთხვევითობა

ისაუბრა ნინო ჩიხაძემ

„მე ვხედავ, რა არის სწორი და მისაღები, მაგრამ, ვაკეთებ იმას, რაც არასწორია“, – ამბობს ენტონი ბერჯესის წიგნის „მექანიკური ფორთოხალის“ გმირი ალექს დე ლარჯი ერთ ეპიზოდში. ამ საკულტო ნოველას წელს ნახევარი საუკუნე შეუსრულდა, შარშან კი მისი ეკრანიზაციის, სტენლი კუბრიკის ფილმის 40 წლის იუბილე აღნიშნეს. წიგნიც და ფილმიც ახალი შეფუთვით და გაფორმებით გამოსცეს, ამერიკის სხვადასხვა ქალაქში კი სპეციალური ჩვენებები და საღამოები მოეწყო. ეჭვგარეშეა, ბერჯესის რომანი გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და გამორჩეული ლიტერატურული ნაწარმოებია, მაგრამ მასში აღწერილი ისტორიის საყოველთაო პოპულარობა, ალბათ, მაინც კუბრიკის დაუფინსარი ფილმის დამსახურებაა. ფილმის წარმატებაში კი თავის მხრივ უდიდესი წვლილი ალექსის როლის შემსრულებელს, მალკოლმ მაკდაუელს მიუძღვის. ქერა, ცისფერთვალება ხულიგანი, ანგელოზის სახით და დემონის გამოხედვით – აუტანელი და თან საოცრად მომხიბვლელი, ყველა ეპიზოდში რომ ერთნაირად შეუდარებელია. წარმოგიდგენიათ რომელიმე სხვა მსახიობი, ვინც ასე მოიხდენდა ამ როლს? არავინ მახსენდება... თავად მალკოლმიც ერთ ძველ ინტერვიუში ამბობს, რომ ყველაზე კარგად შესრულებული როლი სწორედ ისაა, თუ მის ადგილზე სხვას ვერავის წარმოიდგენ.

„საუკეთესო, რაც ახალგაზრდობაში გამიკეთებია, საკუთარი თავის მიმართ უდიერი მოპყრობა იყო. ყველაფრით ვერთობოდი: კოკაინი, ალკოჰოლური სასმელები, ქალები... ახლა ხომ ამას ვეღარ ვაკეთებ“, – ძალიან ჰგავს ალექსის ციტატას, არა? ამას უკვე მალკოლმ მაკდაუელი, ხანდაზმულ ასაკში ამბობს. 13 ივნისს მსახიობს 69 წელი შეუსრულდა, ორიოდე კვირით ადრე კი თბილის-

შიც ჩამოვიდა. აქ მან ამერიკაში მცხოვრები ახალგაზრდა რეჟისორის, ნიკა აგიაშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმში ითამაშა, რომელიც პროექტ „თბილისი ჩემი ქალაქი“ ერთ-ერთი ნოველა იქნება.

მიუხედავად ასაკისა, ალბათ, ბევრ ახალგაზრდას შემურდება იმ საოცარი ენთუზიაზმის, ენერჯის და მუხტის, რომელიც მასთან ურთიერთობისას იგრძნობა. ინტერვიუში, რომელიც მაკდაუელთან გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩავწერე, ერთ მონაკვეთში ისეთი გატაცებით და ისე გადამდებდა საუბრობს რევილუციებზე და ამბობს, რომ მის შემყურეს, ძალიან მომინდა 1960-70-იანი წლების ევროპაში მეცხოვრა და მასავით საკუთარ თავზე გამომეცადა ეს ყველაფერი.

დღეს, მართალია, შედარებით წყნარ ცხოვრებას ეწევა – ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს აღარ ეკარება, სიგარეტზეც დიდი ხანია, უარი თქვა და თავზეხელაღებული ცხოვრებაც წარსულს ჩააბარა, მაგრამ გამოხედვა ისევ „ალექსის“ და „მიკ ტრევისის“ აქვს – პერსონაჟების, რომლებმაც მაკდაუელი ძალიან ახალგაზრდა ასაკში საკულტო კინომსახიობად აქციეს.

მსახიობს თავის კინოკარიერის მანძილზე პრაქტიკულად წელი არ ჩაუგდია ისე, რომ რაიმე პროექტზე არ ემუშავა, დღესაც მუდმივად გადაღებებზეა – ძირითადად, ამერიკაში, კალიფორნიაში ცხოვრობს, თუმცა პროფესიის გამო ბევრგან უწევს მოგზაურობა. ხან მხატვრულ ფილმში იღებენ, ხან ტელეფილმში, ჟანრი და სტილი განსხვავებულია, თუმცა მისი მიდგომა და შემართება უცვლელი. ამგვარი ენთუზიაზმით ჩამოვიდა ის საქართველოშიც, როცა ნიკა აგიაშვილმა ფილმში თამაში შესთავაზა. მათ ერთად ადრეც გადაუღიათ ფილმი და ამიტომ უკვე კარგად იცნობდნენ

ერთმანეთს. როგორც ნიკა მეუბნება, მალკოლმი ძალიან უშუალო ადამიანია და არც განსაკუთრებული ვარსკვლავური პრეტენზიები აქვს. ამიტომ მასთან მუშაობა ძალიან კომფორტული და საინტერესოა, თანაც ამ რანგის მსახიობისგან პროფესიულადაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

მალკოლმ მაკდაუელთან ინტერვიუზე სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ მივედი. ნომერში დარეკვიდან დაახლოებით 15-20 წუთში კაფეში ჩამოვიდა. დაგვიანებისთვის ბოდიში მოიხადა და რადგან ვიდეოსაც ვიღებდით, ჩემი და ოპერატორის მიერ შერჩეულ ადგილზე თავაზიანად დაჯდა და ღიმილით აკვირდებოდა, როგორ ვასწორებდით კადრს. რატომღაც მეგონა, რომ მასთან გასაუბრებას მაქსიმუმ 5 ან 10 წუთის მანძილზე თუ მოვახერხებდით, თუმცა, საბოლოოდ, ინტერვიუმ გაცილებით მეტ ხანს გასტანა. ძალიან გაუხარდა, როცა ლინდსი ანდერსონის ფილმებზე ვკითხე, ლინდსის მის მოგონებებში დღემდე გამორჩეული ადგილი უკავია. საოცარი სიტბოთი და სიყვარულით იხსენებს რეჟისორს. ცხადია, ისაუბრა კუბრიკზეც და ბევრ სხვა თემაზეც. ინტერვიუ შესაძლოა, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ იქვე მისი ასისტენტები შევნიშნე და მივხვდი, რომ დრო იყო, დაგვეთავრებინა. იმ საღამოს წვეულება იყო და მალკოლმს იქ ელოდნენ, იმავე ღამეს კი შოტლანდიაში მიემგზავრებოდა გადაღებებზე.

როგორ მოხვდით საქართველოში და რატომ დაინტერესდით აქ ფილმში თამაშით?

1 წლის წინ ამერიკაში ნიკასთან ერთად ვიმუშავე ფილმზე „მწვანე ისტორია“. ძალიან საინტერესო სცენარი იყო. გადაღებებზე მითხრა, რომ თბილისში მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღებას



აპირებდა და შემომთავაზა, მეც მიმე-
ლო მასში მონაწილეობა. მანამდე აქ
არასდროს ვყოფილვარ, არც არაფერი
მსმენია ამ ქალაქზე, ამიტომ ვუთხარი:
რატომაც არა, თუ დრო მექნება. აქედან
ედინბურგში მივდივარ დიდ ფილმზე
სამუშაოდ და გზად რამდენიმე დღით
საქართველოში ჩამოსვლაც მოვახერხე.
საერთოდ, მიყვარს ახალგაზრდა რე-
ჟისორებთან მუშაობა, მომწონს, როცა
თვალს ადევნებ მათი კარიერის განვითარ-
ების პროცესს და შესაძლოა, ზოგჯერ
სწორი მიმართულებითაც კი ვუბიძგო.

**რა როლს ასრულებთ ფილმში და რამ-
დენად კმაყოფილი ხართ გადაღებებით?**

ვთამაშობ მსახიობს, რომელიც აქ
ჩამოდის და ქართველ რეჟისორებს და
მსახიობებს ხვდება. მგონი, გადაღებებ-
მა მშვენივრად ჩაიარა, ყველამ ძალიან
ვისიამოვნეთ და კარგადაც გავერთეთ.
გადამღები ჯგუფიც არაჩვეულებრივი
იყო. ვნახოთ, საბოლოოდ რა გამოვა,
წინასწარ განსჯა ძნელია, როცა ფილმი
არ გინახავს.

**რამდენადაც ვიცი, კინოში შემთხვევით
მოხდვით და პროფესიული განათლება არ
გქონიათ, საიდან აღმოჩნდით ამ სამყარო-
ში?**

როცა ფილმში გადამიღეს, საერთოდ
არანაირი განათლება არ მქონდა სკო-
ლის გარდა. მაშინ 24 წლის ვიყავი და
მხოლოდ ბარში ყავის გამყიდველად მუ-
შაობის გამოცდილება მქონდა. თუმცა,
ბოლო პერიოდში მსახიობობა ძალიან
მინდოდა. ჰოდა, ერთ დღესაც ლინდსი
ანდერსონის ფილმის – IF-ის ქასთინ-
გზე წავედი. ერთ-ერთი ბოლო ვიყავი,
ვინც როლზე მოსინჯეს. პირველი სინ-
ჯის მერე 2 კვირა ვიცადე, მერე კიდევ
მივედი და მეორედ უკვე საბოლოოდ
დამამტკიცეს როლზე. ასე დაიწყო ჩემი
კინოკარიერა.

**გარდა იმისა, რომ ლინდსი ანდერსო-
ნი თქვენი პირველი რეჟისორი იყო, მისი
ერთ-ერთი ფავორიტი მსახიობიც იყავით
– მის სამ ფილმში ითამაშეთ, მაშინ როცა
სულ 8 ფილმი აქვს გადაღებული. როგორ
გაისხენებდით მასთან მუშაობას?**

ლინდსი დიდი რეჟისორი იყო, ნამდ-
ვილი გენიოსი. ძალიან კარგი ადამიანი

და მეგობარი. წარმოდგენა არ მქონდა
კინოზე და მსახიობობაზე, მაგრამ მან
საკუთარი თავის რწმენა მომცა. რო-
გორც თანასწორს, ისე მელაპარაკე-
ბოდა, ზემოდან არ მიყურებდა ჩემი
გამოუცდებლობის გამო. საოცრად გულ-
თბილი და კეთილგანწყობილი ადამიან-
ი და არაჩვეულებრივი მენტორი იყო.
მასთან მუშაობა ოქსფორდის პროფე-
სორთან მუშაობას ჰგავდა, ყველაფერი
იცოდა! უსაზღვროდ განათლებული და
გონიერი ადამიანი იყო. კარგად ერკვეო-
და ბერძნულ კულტურაში, ბერძნული
თეატრი კი ყველა დრამის ბაზისია და

**ეს სკოლები
მიკროკოსმოსი იყო
იმისა, რას მაშინ
ინგლისში ხდებოდა.
სწორედ ამიტომ
აირჩია ლინდსიმ ეს
თემა. ჩვენ მართლაც
ჩვეოლუსია
მოვანყვით ამ
საჯარო სკოლებში,
რომლებიც წმინდა
და ხელშეუხებელ
ადგილად
ითვლებოდა
იმ დროინდელ
ინგლისში.**

ლინდსისაც მშვენივრად ესმოდა კლასი-
კური დრამის სიმარტივე და გენიალუ-
რობა. ვფიქრობ, ბევრ რეჟისორს შეუ-
ძლია ისწავლოს მისგან.

**ფილმში მემამბოხე ახალგაზრდას თა-
მაშობთ, რომელიც მეგობრებთან ერთად
სკოლაში აჯანყებას აწყობს და ბოლოს
მასწავლებლებს და მოსწავლეებს ტყვიე-
ბს უშენს. ფსიქოლოგიურად საკმაოდ
რთული და ღრმა როლია, მით უმეტეს
დებიუტანტისთვის, არ გაგიჭირდათ მისი
თამაში?**

არა, იმიტომ რომ ეს წმინდა წყლის რე-
ვოლუციური (pure revolutionary) როლი

იყო. ეს არ იყო პოლიტიკური პერსონა-
ჟი, ის ნამდვილი რევოლუციონერი იყო.
ეს ყველაზე სუფთა, გულწრფელი პერ-
სონაჟი იყო, რაც კი ოდესმე მითამაშია.
თანაც ეს პირველი როლი იყო და გაუ-
ლენები არ მქონდა, უბრალოდ ვითამაშე
ის, რასაც ვგრძნობდი.

**რამდენად ემთხვეოდა მიკ ტრევისის
როლი თქვენს იმდროინდელ განწყო-
ბას?**

მე აბსოლუტურად ვუთანაგრძნობდი
იმას, რასაც ეს პერსონაჟი აკეთებდა.
სხვათა შორის, ისინი არავის ხოცავენ,
ეს უბრალოდ ფანტაზიაა. ეს არ არის
„კოლუმბინი“. მასხოვს, როცა კოლუმ-
ბინის ტრაგედია მოხდა, ბევრი ამბობ-
და, რომ ეს ამბავი IF-ს ჰგავდა. მაგრამ
რეალურად ეს სულაც არ იყო ასე. IF
იყო პასუხი იმაზე, თუ რა ხდებოდა
ინგლისის სოციალურ ცხოვრებაში და
საერთოდ დასავლეთში. ომის შემდეგ
აქ დიდი ფრუსტრაცია იყო. უამრავი
პრობლემა იყო ქვეყანაში.

ისტებლიშმენტი კი ფიქრობდა, რომ
ყველაფერი ისე გაგრძელდებოდა, რო-
გორც ომამდე იყო.

ამ სკოლებს, რომელთაც საჯარო
სკოლებს ვეძახით, 600-წლიანი ისტორია
აქვთ. მაშინ აქ მხოლოდ არისტოკრატე-
ბის შვილები, ძირითადად, ბიჭები სწა-
ვლობდნენ.

ისინი მიდიოდნენ სკოლებში, პრივი-
ლეგირებულ ცხოვრებას ეწოდნენ, შე-
მდეგ ამთავრებდნენ მათ და იმპერიის
მართვას იწყებდნენ. ამისთვის იყვნენ იქ.

ეს სკოლები მიკროკოსმოსი იყო იმი-
სა, რაც მაშინ ინგლისში ხდებოდა. სწო-
რედ ამიტომ აირჩია ლინდსიმ ეს თემა.
ჩვენ მართლაც რევოლუცია მოვანყვეთ
ამ საჯარო სკოლებში, რომლებიც წმინ-
და და ხელშეუხებელ ადგილად ითვლე-
ბოდა იმ დროინდელ ინგლისში. ფილმი
ძალიან ანტიისტებლიშმენტური გამო-
ვიდა. მან დასცინა მმართველ ელიტას,
გულში მახვილი ჩასცა მას. ჩვენც ზუს-
ტად ეს გვინდოდა, რადგან კარგად ვგრ-
ძნობდით ცვლილებების, რევოლუციის
განწყობას ქვეყანაში. იგივე ხდებოდა
საფრანგეთშიც, სტუდენტების დემონს-
ტრაციებს მართავდნენ, ასევე ამერი-
კაში: ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო
აქციები და მთელი ამბები. ირგვლივ

რევოლუციის სურნელი ტრიალებდა. ამიტომ ფილმი მაშინვე აიტაცა რევოლუციონერმა ახალგაზრდობამ და მალევე იქცა საკულტო ნამუშევრად.

თუმცა, ისტებლიშმენტმაც გამოიჩინა გამჭრიახობა: იმის მაგივრად, რომ შეშინებოდათ ფილმის, მათ გულში ჩაიკრეს ის, ასიმილაცია მოახდინეს და საკუთარ ნაწილად აქციეს. ამით შეეცადნენ, იმ რევოლუციური მუხტის განეიტრალებას, რაც მასში იყო. ფილმს, სადაც შიშველი სცენებიც იყო და ძალადობის ამსახველი კადრებიც, ამ სკოლებში აჩვენებდნენ, სტუდენტებს კი მის შესახებ აწერიებდნენ. რა თქმა უნდა, სინამდვილეში ვერ იტანდნენ ფილმს, მაგრამ იმისთვის, რომ საკუთარი პროგრესულობა ეჩვენებინათ, ფორმალურად კარგად მიიღეს – ამიტომ ვამბობ, ჭკვიანები არიან-მეთქი.

რამდენად შეცვალა ფასეულობები 1960-იანი წლების რევოლუციამ? მიაღწია თქვენმა თაობამ მიზანს?

ვფქირობ, რომ კი. ბევრი რალაც შეიცვალა, როგორც სოციალურად, ისე კულტურულად. საშუალო კლასის როლი და გავლენა მკვეთრად გაიზარდა... გავისხენოთ თუნდაც “ბითლზის” მუსიკა, მერი კვანტის მოკლე ქვედაბოლოები... მათ იმ დროინდელ ბრიტანეთში მართლაც რევოლუცია მოახდინეს. ვფი-

ქრობ, ჩვენ გავაკეთეთ ჩვენი გასაკეთებელი.

„მექანიკური ფორთოხალი“ თქვენი მეორე მნიშვნელოვანი და, მთელი კარიერის მანძილზე, გამორჩეულად წარმატებული როლი იყო. როგორ გაიხსენებთ სტენლი კუბრიკთან თანამშრომლობას?

ეს პერსონაჟიც ამ რევოლუციის ნაწილი იყო. სტენლიმ სწორედ ჩემი პირველი ფილმის ნახვის შემდეგ გადაწყვიტა, ამ როლზე ავეყვანე. მასსოვს, როცა თავიდან შევხვდი და ვკითხე, თუ როგორი წარმოდგინა ალექსი და შევეცადე დეტალები დამეზუსტებინა, მან მითხრა, რომ ეს ჩემი საქმე იყო და ჩემზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ ტიპაჟს შევქმნიდი. ამან ცოტა დამაბნია. მით უმეტეს, ზოგადად, როცა დიდ რეჟისორთან, სერიოზულ ფილმზე იწყებ მუშაობას, ყოველთვის ნერვიულობ.

ამიტომ ლინდსის დაფურეკე და ვთხოვე, სცენარი წაეკითხა და რაიმე რჩევა მოეცა.

მან თავისთან დამიბარა სახლში. „მადლობა ღმერთს, მე არ ვარ ამ ფილმის რეჟისორი“, – ეს იყო პირველი სიტყვები, რაც ლინდსიმ მითხრა. „ო, ღმერთო“, – გავიფიქრე და ვთხოვე, რამენაირი მითითება მაინც მოეცა. „მომისმინე, – მითხრა ლინდსიმ, – გახსოვს, If- ში

სპორტულ დარბაზში რომ შედიხარ, ის სცენა? ახლო ხედა: კარს ალებ და ილიმები – აი, ასე უნდა ითამაშო ეს როლი“. და ის მართალი აღმოჩნდა.

რაც შეეხება კუბრიკს, ის, რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივი იყო. ექსტრა-ორდინარული სანახაობის შექმნა – ეს მთლიანად მისი საქმე იყო, მაგრამ კუბრიკს წარმოდგენა არ ჰქონდა სცენების მომზადებასა და მსახიობებთან ურთიერთობის დეტალებზე. რამდენადაც ლინდსი ადამიანური ურთიერთობების გენიოსი იყო, კუბრიკი ვიზუალის შექმნის, ფილმის ტექნიკურად გამართვის დიდოსტატი გახლდათ. ამით იყო შეუდარებელი.

ფილმს დიდი გამოხმაურება და აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა მისი თამამი სცენების და თქვენს მიერ შესრულებული ხულიგანი თინეიჯერის გამო. როგორი განწყობა გქონდათ მაშინ და რამდენად ადეკვატურად აღიქვეს ფილმი? მთლიანობაში კმაყოფილი იყავით შესრულებული როლით და ფილმით?

ფილმი ჰიტად იქცა, ხალხი შეიშალა... მაგრამ მე ცოტა იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან უმეტესობა მხოლოდ ძალადობაზე აკეთებდა აქცენტს, არადა, ეს სულაც არ იყო ფილმში მნიშვნელოვანი. „ძალადობა? რა ჯანდაბაზე ლაპარაკო-



ჯადრი ფილმინდანი „მექანიკური ფორთოხალი“

ბენ, ჩვენ შავი კომედია გადავიღეთ“, – ვფიქრობდი ხოლმე მაშინ.

ნამდვილად გენიალური ფილმია! თანაც, ეს, ალბათ, ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო კინოში, როცა ამორალური ანტიგმირი სიმპათიას იმსახურებს. გარდა ამისა, ფილმი წიგნის შესანიშნავი ეკრანიზაციაა, რაც ადვილი არაა. დიდი წიგნებისგან ყოველთვის დიდი ფილმები არ გამოდის და ამის უამრავი მაგალითი არსებობს. კუბრიკმა ეს ძალიან კარგად იცოდა და ამიტომ ფრთხილად და გონივრულად ეკიდებოდა საქმეს. ძალიან ფრთხილი იყო მსახიობების შერჩევის დროსაც და დიდხანს ელოდებოდა შესაფერის პერსონაჟებს, რადგან თუ ამაში შეცდებოდა, არაფერი გამოვიდოდა. „მსახიობების სწორად შერჩევა ფილმის 90 პროცენტია“, – ეს ლინდსისაც უთქვამს ჩემთვის და სტენლისაც.

„ილბლიანში“ ისევ მიკ ტრევისის თამაშობთ, ისევ ხულიგანს, და ისევ ლინდსი ანდერსონთან. ეს ფილმიც განსაკუთრებულია თქვენს კარიერაში, თანაც როგორც ცნობილია, მასში თქვენი ავტობიოგრაფიული დეტალებიც არის ჩართული. რას გაიხსენებთ ამ ფილმზე?

ძალიან მინდოდა ლინდსისთან კიდე ერთ ფილმზე მუშაობა. მან იცოდა ეს და ერთხელაც მითხრა, თუ გინდა ჩემთან იმუშაო, მაშინ რამე უნდა დანერო. „კარგი, ეგრე ვიზამ“, – ვუთხარი მე და მართლაც დავწერე ჩემი გამოცდილებები იორკშირში, ყავის გამყიდველად მუშაობისას. სწორედ ეს გახდა ფილმის ბაზისი. ლინდსიმ მომცა წიგნებიც – კაფკას „ამერიკა“, ვოლტერის „კანდიდი“ და თორნტონ უაილდერის „ზეცა არის ჩემი დანიშნულების ადგილი“. მე წავიკითხე „კანდიდი“ და ეს საკმარისი აღმოჩნდა. უმანკო, გულუბრყვილო ადამიანის ისტორია, რომელიც ცხოვრების პირისპირ აღმოჩნდება, რალაციით ძალიან ჰგავდა მიკ ტრევისის ამ ფილმში.

ვფიქრობ, ეს ფილმი დღესაც აქტუალურია, ძალაუფლების მქონე ტირანები, რომლებიც მიკს გათელავენ და გაანადგურებენ, დღესაც არსებობენ. ტირანის პრობლემა ბევრგან დგას. მგონი, ეს თქვენთვის, ქართველებისთვისაც რელევანტურია, თუ შევხვდებით, რა ხდება თქვენი ქვეყნის საზღვარზე.

კიდე ერთი დიდი რეჟისორი მინდა, გაიხსენოთ, რობერტ ოლტმანი, რომელიც ჩემი ერთ-ერთი საყვარელი რეჟისორია და ვიცი, რომ მასთან, ისევე როგორც, ლინდსისთან, წლების მანძილზე მეგობრობდით.

კი, ნამდვილად ასეა. ბობი ძალიან დიდი ადამიანი იყო. 1970 წლიდან ვიცნობდი რობერტს და ჯერ კიდეც იმ პერიოდიდან ვმეგობრობდი მასთან, ვიდრე ერთად გადავიღებდით ფილმს. მე მას ვალმერთებდი. ყოველთვის კარგდროს ვატარებდით ერთად. თუმცა, რატომღაც, პროფესიულად მას საკმაოდ გვიან შევხვდი. პირველად ეს მოხდა

ძალიან მიხლოდა ლინდსისთან მუშაობა. მან იცოდა ეს და ერთხელაც მითხრა, თუ გინდა ჩემთან იმუშაო, მაშინ რამე უნდა დანერო. „კარგი, ეგრე ვიზამ“, – ვუთხარი მე და მართლაც დავწერე ჩემი გამოცდილებები იორკშირში, ყავის გამყიდველად მუშაობისას. სწორედ ეს გახდა ფილმის ბაზისი. ლინდსიმ მომცა წიგნებიც – კაფკას „ამერიკა“, ვოლტერის „კანდიდი“ და თორნტონ უაილდერის „ზეცა არის ჩემი დანიშნულების ადგილი“. მე წავიკითხე „კანდიდი“ და ეს საკმარისი აღმოჩნდა. უმანკო, გულუბრყვილო ადამიანის ისტორია, რომელიც ცხოვრების პირისპირ აღმოჩნდება, რალაციით ძალიან ჰგავდა მიკ ტრევისის ამ ფილმში.

ფილმში „მოთამაშე“, რომელშიც პატარა როლი მქონდა და საკუთარ თავს ვთამაშობდი. მოგვიანებით კი, „დასმი“, საბალეტო დასის ხელმძღვანელი ვითამაშე. ოლტმანი საოცარი ადამიანი იყო, ყველა მსახიობს უყვარდა, აბსოლუტურად ყველას. შესანიშნავი რეჟისორი იყო, მისი ფილმები ნამდვილი სავიზიტო ბარათია იმის შესახებ, თუ რა არის ამერიკა. ყველაზე მეტად, სპილბერგზე მეტადაც კი, მასთან ჩანს ამერიკის ნამდვილი სახე.

როგორც ბევრ მსახიობს უთქვამს, მას გადაღებებზე თავისებური მეთოდები

ჰქონდა: უყვარდა სპონტანურად სცენების გადაკეთება და მსახიობებსაც ბევრ თავისუფლებას აძლევდა.

კი, ნამდვილად ასეა. ძალიან საინტერესო და მოულოდნელობებით სავსე იყო მასთან მუშაობა. „ილაპარაკე, რამე სხვა თქვი, რაც გინდა“, – ამბობდა ხოლმე. ერთ ისტორიას გავიხსენებ, რომელშიც კარგად ჩანს, თუ როგორი არაჩვეულებრივი ადამიანი იყო:

„დასმი“ ერთი სცენა უნდა მეთამაშებინე კემპელთან ერთად, რომელიც ბალერინას როლს ასრულებს. სცენა ასეთია: ის ცდილობს რალაც მკითხოს რომელიღაც ცეკვაზე, რაზეც მე პასუხის გაცემა არ მინდა, იმიტომ, რომ ჯერ არ მომიფიქრებია, რა და როგორ. სცენარის მიხედვით, ამ სცენაში დიალოგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ოლტმანს ეს ძალიან მოსაწყენად მოეჩვენა. უცებ მეუბნება: მალკოლმ, მისმინე, როცა ის ლაპარაკს დაგინწყებს, წადი იმ კართან და შენს ასისტენტს ფინჯანი ჩაი სთხოვე, როცა მოზრუნდები და ის ისევე ლაპარაკს გაგებას, მიდი მეორე კართან, გამოაღე და უთხარი ხალხს, ჩუმად იყვენ. შემდეგ მოდი, საათს დახედე და თქვი: ო, ღმერთო, მოდი, მოგვიანებით ვაგაგრძელოთ.

მე ვკითხე: კი მაგრამ, სცენა? – „ეს არის სცენა“, – მიპასუხა მან და მართალიც იყო, რადგან არაა საჭირო ყოველთვის დიალოგი, რომ ადამიანს რალაც გააგებინო. ზოგჯერ მოძრაობით, სხეულის ენით შეიძლება უკეთ გამოხატო სათქმელი.

ძალიან მიყვარს ეს ფილმი, ძალიან ლამაზი ფილმია და საინტერესოდ ასახავს საცეკვაო დასის მუშაობას ფარდის მიღმა, მოცეკვავეების ცხოვრებას.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში არაერთ ტელეფილმში გითამაშიათ, საინტერესოა ტელეპროექტებზე მუშაობა?

მიყვარს ტელევიზია, იმიტომ, რომ სწრაფია. აკეთებ შენს საქმეს და მიდიხარ.

სამწუხაროდ, ამერიკაში დამოუკიდებელი კინო სულ უფრო კარგავს თავის გავლენას. მისი როლი, შეიძლება ითქვას, საკაბელო ტელევიზიამ შეითავსა. ზოგჯერ მიკვირს ხოლმე, ეს ტელეფილმები იმდენად კარგადაა დანერგილი ამერიკული საკაბელო ტელევიზიები

მართლა კარგად მუშაობენ. კომერციაზე ორიენტირებული მსხვილი კომპანიები ზრდასრული ადამიანებისთვის სულ უფრო იშვიათად იღებენ ფილმებს, ამიტომ ჩემი თაობის ადამიანები საინტერესო რამეებს საკაბელო ტელევიზიაში ეძებენ, და ხშირად პოულობენ კიდევ. „სოპრანო“, მაგალითად, არაჩვეულებრივი იყო, ყოველ კვირას პრაქტიკულად თითო მხატვრულ ფილმს იღებდნენ. ამიტომ, ვფიქრობ, არ უნდა გვეშინოდეს ტელევიზიის, პირიქით, უნდა მივიღოთ ის.

რეჟისორობაზე არასდროს გიფიქრიათ? ამხელა გამოცდილების შემდეგ მსახიობები ხშირად ფიქრობენ ხოლმე, თავად გადაიღონ ფილმი.

არა, ეს არასდროს მინდოდა.

რატომ?

არ ვიცი, ალბათ, ზარმაცი ვარ. სინამდვილეში კი, მალე მებრზრდება ერთი რალაცის დიდხანს კეთება. რეჟისორებს კი უნევთ წლობით იმუშაონ ერთ პროექტზე. თანაც მე არ მომწონს პროდიუსერებთან ფულზე და ფინანსებზე საუბარი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩემი საქმე არაა, არ მინდა ჩემი დრო ამაში დავხარჯო, მირჩევნია, მსახიობი ვიყო. ერთი რალაციდან მეო-

რზე გადავერთო. მომწონს ეს ასპექტი, მიდისარ, აკეთებ შენს საქმეს, გიხდიან, და მოდიხარ.

პოლიფუნქციურ ბლოკბასტერებში მონაწილეობის სურვილი არ გქონიათ?

პრინციპში რატომაც არა, გავერთობოდი. მაგრამ მის სანახავად პრემიერაზე ნამდვილად არ წავიდოდი. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩემს საქმეს ისეთივე სერიოზულობით მივუდგებოდი, როგორც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში. ისე, გულახდილები ვიყოთ და, რა თქმა უნდა, მირჩევნია ფილმები, რომლებიც ზრდასრულ, ინტელექტუალ ადამიანებზეა გათვლილი და მისი ყურების შემდეგ რალაცაზე დაფიქრდები.

რა პროექტზე მუშაობთ ამჟამად? რისთვის მიემგზავრებით ედინბურგში?

ფილმს ახალგაზრდა ამერიკელი რეჟისორი, დაგ რაფი იღებს. მე მსახურთუფროსს ვთამაშობ. ეს მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია, მაგრამ მე მჯერა მისი, ვფიქრობ, ძალიან კარგი ფილმი უნდა გამოვიდეს. ძალიან კარგი სცენარია. რა თქმა უნდა, შეცდომებს დაუშვებს, მაგრამ ამას ყველა ვაკეთებთ. მთლიანობაში მაინც ვფიქრობ, ძალიან საინტერესო პროექტი იქნება.

სცენარს დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ, არა?

რა თქმა უნდა, თუ კარგი სცენარი არ გაქვს, ეს წყლის ნაყვას ჰგავს, რადგან მუდმივად ეძებ რალაცას, რაც რეალურად არ გაქვს სცენარში.

თუმცა, მაგალითად, ვუდი ალენს დეტალურად განერილი სცენარი არასდროს აქვს, სცენების დიდი ნაწილი გადაღებებზე იქმნება, ასევე იყო გოდარიც. იმპროვიზაციის მომხრე არ ხართ?

როგორ არა, ცვლილებები მიყვარს, უბრალოდ, სცენარის ძირითადი შინაარსი უნდა იყოს კარგად გასაგები და საინტერესო, თორემ ცვლილება და იმპროვიზაცია ძალიან კარგია. საერთოდ, მგონია, რომ კინოში საუკეთესო, მაგიური მომენტები შემთხვევით, იქმნება. მექანიკურ ფორთოხალშიც „Singing in the rain“-ს რომ ვმღერი, ის სცენაც შემთხვევითობა იყო. უბრალოდ, ვცეკვავდი და ვურტყამდი ადამიანებს და უცებ სიმღერა დავიწყე და სცენაც გადავიღეთ. ამაზე არ მიფიქრია, ინსტინქტურად მოხდა. ეს ბედნიერი შემთხვევითობა იყო, და საერთოდაც, ვფიქრობ, ხელოვნება ძალიან ხშირად სწორედ ბედნიერი შემთხვევითობაა.



ლინსი ანდერსონთან „ილალიანის“ გადაღებაზე

შეცდომებს შორის

ავტორი, ფოტო ანიტა თვაპრი

„ჩვენი აზრები მაჯის საათებივითაა – არცერთი არ უჩვენებს ერთსა და იმავე დროს, თუმცა ყველას თავისი ჰგონია სწორი“, – ალექსანდრე პოუპი, ნარკვევი კრიტიკის შესახებ.

ქეთრინ შულცი „როცა ცდები“

2004 წელი იწურებოდა, გვიანი შემოდგომის გრილ საღამოს ქეთრინ შულცი მეგობართან სადილობის შემდეგ, შინ ბრუნდებოდა. მაშინ ბრუკლინში, ხუთსართულიანი შენობის ბოლო სართულზე ცხოვრობდა და „ნიუ იორკ ტაიმსისთვის“ წერდა სტატიებს. სახლისკენ გზაზეც იმ მასალებზე ფიქრობდა, რაც მომდევნო დღეებში ჟურნალისტურ ტექსტებად უნდა ექცია. თითქოს, განსაკუთრებული არაფერი. ათობით ამგვარ თემაზე უმუშავია. ერთ წერილში ტეხასის შტატში მემარჯვენე კონსერვატორების მიერ მოწყობილი დოკუმენტური კინოს ფესტივალი უნდა გაეშუქებინა, მეორეში იელის უნივერსიტეტში მიმდინარე კოგნიტური კვლევა უნდა განეხილა. მიდიოდა სახლისკენ და ფრაგმენტულად უტივტივდებოდა გონებაში ერთმანეთთან თითქოს არაფრით დაკავშირებული დეტალები: არა, მაინც რა თავდაჯერებული ბრიყვი იყო ის კაცი, ვინც ფესტივალი გახსნა. სწორედ ქეთრინისნაირ გოგონებს დაუპირისპირდა. ლამის „ამერიკის მტრად“ გამოაცხადა ის ახალგაზრდა ქალები, რომლებმაც ნიუ-იორკის რომელიმე კერძო სკოლა დაამთავრეს, (ქეთრინივით) ინტელექტუალები არიან და ოჯახსა და შვილებზე წინ კარიერას აყენებენ. გაახსენდა, როგორ ძალიან უნდოდა იმ წუთში, დაევიწყებინა ჟურნალისტური მოვალეობა – კითხვების დასმა და პასუხების ჩანიშვნა – და ფესტივალზე თავმოყრილი კონსერვატორებისთვის აეხსნა! აეხსნა ის, რაც, მისი აზრით, ასე ცხადად, ასე მკაფიოდ, ასე ეჭვშეუტანლად იყო ს ი მ ა რ თ ე... ამ ეპიზოდის გახსენებისას, ქუჩაში

თავისთვის, მდუმარედ მიმავალი ქეთრინი ალელდა და ძალაუვნებურად ფეხს აუჩქარა, მერე გონებით იელში გადახტა. მეცნიერები კვლევაში მონაწილეებს ჯერ მარტივ კითხვებს უსვამდნენ, მაგალითად: „იცით, როგორ უნდა შეიკრათ შარვალზე ელვა?“ „რა თქმა უნდა“, – პასუხობდა უმეტესობა. თუმცა, ეტაპობრივად კითხვები რთულდებოდა და ადამიანებიც სულ უფრო იზნეოდნენ. აი, დიაგრამების შედგენა კი ყველას გაუჭირდა, – გაახსენდა ქეთრინს ეს მომენტი და უცებ მორიგი ქ ე მ მ ა რ ი ტ ე ბ ა გაიაზრა: „ერთი შეხედვით, ბევრი რამ ვიცით, მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით, არაფერიც არ ვიცით“. რა გამოდიოდა? ის, რომ შესაძლოა, არც მისი სიმართლე იყო სიმართლე, არადა, როგორი დარწმუნებული იყო, რომ კონსერვატორებს საკუთარი არგუმენტებით გააცამტვერებდა. სწორედ ამ დროს გაიფიქრა: რეალურად ვუსმენ კი მათ, ანუ ოპონენტებს? და მერე – რეალურად შემიძლია კი, მათი გაგება? „არა, არაფერიც არ შემიძლია! რადგან ადამიანი მხოლოდ იქამდე უსმენს მეორეს, ვიდრე არკვევს, მის მხარეზეა ის თუ არა. რა ნამს გაიაზრებს, რომ მოსაუბრე სინამდვილეში მისი ოპონენტი ყოფილა, გონება ავტომატურად წყვეტს მოსმენას და ასევე ავტომატურად იწყებს არგუმენტების მოძიებას მოსაუბრესთან დასაპირისპირებლად, – ეს მეორე აღმოჩენა იყო. უკვე სადარბაზოში, კბის საფეხურზე იდგა, გამუხმებული მზერით. ქეთრინი ამბობს, რომ ექსპრომიტად გამართული ეს შინაგანი მონოლოგი ყველაზე ძლიერი, ყველაზე ხელშესახები ეპიფანია იყო, რაც კი ოდესმე განუცდია.

იმ წუთასვე მიხვდა კიდევ ერთს – შეცდომებსა და სიმართლეებზე აუცილებლად უნდა დაენერა წიგნი. ასეთი წიგნი დაწერილი არავის ჰქონდა. არა, ცხადია, თითქმის ყველა სფეროში – ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში, რელიგიაში, პოლიტიკაში, პირად ცხოვრებაში – იყო მიმოხეული ფაქტები და შეხედულებები შეცდომების შესახებ, მაგრამ არა, თავმოყრილად, არა ამ სიტყვის – შეცდომის – ამოტრიალების, გადმოფერთხვის, ხელით მოსინჯვის და მერე ისევ გასწორების მიზნით. ამერიკა ღია ქვეყანაა. მაგრამ ამერიკა ყველაზე ჭრელი ქვეყანაცაა და ამიტომ ქეთრინს, ალბათ, გაუმართლა, რომ ამ სიტყვებში, ზუსტად ისეთ გარემოში აღიზარდა, სადაც სწორედ ცნობისმოყვარეობას, კითხვების თამამად დასმას, აზრის თავისუფლად გამოთქმას აფასებენ. „მამაჩემი იურისტია, რვა ენაზე საუბრობს. ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობა – ეს თვისება მისგან გადმომეცა“, – მიამბობს თვითონაც და როცა თხრობას აგრძელებს, ვხვდები, რა არის „ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობა“ და საიდან შეიძლება, მოდიოდეს ის: „ყოველთვის, სადილობისას, დედაჩემი, მამაჩემი, ჩემი და და მე გაუთავებლად ვლაპარაკობდით წიგნებზე – ეს ჩემი მშობლების მიერ დანერგილი ტრადიცია იყო – წიგნებზე მსჯელობა. 4 წლისამ ვისწავლე კითხვა და მართლა, სულ, მთელი ბავშვობა ვკითხულობდი. რაც შეეხება მშობლებს – „უფროსების“ საუბარში რაც არ უნდა უადგილოდ ჩავრთულიყავით მე ან ჩემი და, სიტყვას



არასდროს გვანწყვეტინებდნენ. ჩვენთვის არასდროს უკითხავთ, როგორ შევასრულეთ საშინაო დავალება, სად მივდიოდით სკოლის მერე“.

ქეთრინ შულცი, ოჰაიოს შტატში, კლივლენდის გარეუბანში დაიბადა, მწვანე გაზონებით შემორტყმული სამსართულიანი სახლებიდან ერთ-ერთში. დედაც და მამაც ებრაელი ჰყავს, თუმცა, განსაკუთრებული წეს-ჩვეულებები შვილებისთვის თავს არასდროს მოუხვევიათ. ჩვეულებრივი საჯარო სკოლა დაამთავრა. კლასში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, წერა ძალიან უყვარდა და დარწმუნებული იყო, მისი მომავალი საქმიანობაც წერასთან იქნებოდა დაკავშირებული. კოლეჯში ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. დოქტორანტურაში ჩაბარებამდე, გადაწყვიტა, ერთი წელი შეესვენა. მაგრამ ერთს მეორე მოჰყვება, მეორეს – მესამე და ქეთრინმა თავი ჟურნალისტიკაში ამოჰყო. კითხვების დასმა მისი პროფესია გახდა. თუმცა, შეცდომების შესახებ წიგნის დაწერამდე, ეს ჩვეულებრივი, რიგითი, თითქმის მექანიკური კითხვები იყო. შეცდომების ძებნისას და კვლევისას კი საფიქრალი გართულდა.

„კიდევ კარგი, არ ვიცოდი რაში გავყავი თავი, თორემ, ალბათ, არც დაეწყებდი“, – იხსენებს ქეთრინი კვლავ იმ საღამოს, როცა სადარბაზოში წუთიერი ჩაფიქრების შემდეგ შინ შევარდა, ჩანთა იატაკზე დააგდო, კომპიუტერი ჩართო და თავისი იდეის შესახებ ავლანეთში სამუშაოდ წასულ ჟურნალისტ მეგობარს მისწერა. „გავოგნდი, როდესაც პასუხი რამდენიმე წამში მომივიდა, ავლანეთი ხომ თითქმის შვიდი საათით განსხვავებულ დროით სარტყელშია, ის კი მწერდა – if you don't write that book I'm gonna fuckin' kill you!“ (თუ მაგ წიგნს არ დაწერ, მოგკლავ!).

თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში წერდა 30-გვერდიან მონახაზს, რითაც იდეა გამომცემლობისთვის უნდა მიეყიდა. გამომცემლობა „ჰარპერ კოლინზთან“ კონტრაქტის გაფორმებისა და დაფინანსების მოპოვების შემდეგ კი შეძლო, მთელი დრო კვლევისთვის დაეთმო და თავის სარჩენად, დამატებითი სამუშაო აღარ ეძებნა.

წიგნი გაყიდვაში 5 წლის თავზე, 2010 წლის 8 ივნისს ჩაეშვა. ქეთრინს ეგონა, რომ ქვეყანაში, სადაც ყოველ-

დღიურად ასეულ ათასობით გამოცემა გამოდის, მის ნამუშევარს ვერც შეამჩნევდნენ. მაგრამ 29 წლის ნიუ-იორკელი ჟურნალისტის ლიტერატურული დებიუტი მსოფლიო ბესტსელერად იქცა.

„შეცდომები ტარაკნებს ჰგვანან: რანამს დავინახავთ, ვსრესთ და ვაგდებთ; ნამითაც არ ვყოვნდებით, რომ კარგად შევავთავალიეროთ ბუნების ამ გამძლე ქმნილების ჩახლართული აგებულება; არასდროს ვეკითხებით საკუთარ თავს, რისი ამოკითხვა შეგვიძლია მათ მიღმა.“

**„შეცდომები
ტარაკნებს ჰგვანან:
რანამს დავინახავთ,
ვსრესთ და ვაგდებთ;
შულცი კი ბავითი
ნატურალისტია. ის
დიდი სიფრთხილით
სწავლობს
ამ საძაბელ,
ზიზლისმომგვრელ,
სისქქან სასწაულს,
ყველა ჩვენგანს რომ
ერთი სული
აქვს, თავიდან
მოიშოროს“.**

შულცი კი ბევრით ნატურალისტია. ის დიდი სიფრთხილით სწავლობს ამ საძაბელ, ზიზლისმომგვრელ, ციცქნა სასწაულებს, ყველა ჩვენგანს რომ ერთი სული აქვს, თავიდან მოიშოროს“, – წერდა დენიელ ჯილბერტი, „ნიუ იორკ ტაიმს ბუქ რევიუში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში.

ჰარვარდის პრეზიდენტმა დრიუ გილპინ ფაუსტმა კი „ნიუ იორკ ტაიმსის“ ბლიც-ინტერვიუში წიგნების შესახებ, კითხვას – არის თუ არა წიგნი, რომელიც გსურთ, რომ ჰარვარდში ყველა ახალბედა პირველკურსელმა წაიკითხოს – ასე უპასუხა: ეს წიგნია ქეთრინ შულცის „როცა ცდები“, – ის გვაქეზებს, რომ დაექვევება განვიხილოთ, როგორც ნიჭი და ამავე დროს ხოტბას ასხამს შეცდომას, როგორც სიბრძნის დასაწყისს.

„როცა ცდები – მოგზაურობა შეცდომის ზღვარზე“ – წიგნის ამ სათაურში სიტყვა „მოგზაურობა“ მხოლოდ ღირიკული განწყობის შესაქმნელად არაა. ქეთრინისთვის შეცდომაც მოგზაურობაა – ხეტიალი; „სასიამოვნოა, როცა მართალი ხარ, მაგრამ სიმართლე მაინც სტატიკური მდგომარეობაა. შეცდომის დაშვება კი, მართალია, უსიამოვნო და დამამცირებელია, ზოგჯერ კი – საშიშიც, მაგრამ ის მაინც მოგზაურობა და ისტორიაა. აბა, ვის ენდომება სულ შინ იჯდეს და მართალი იყოს, როდესაც შეუძლია, აბჯარი აისხას, თავის რაშს მოახტეს და სამყაროს შესაცნობად გააჭენოს. მართალია, შეიძლება გზაში დაიკარგოს... მაგრამ მერე რა მოხდა? მარცხი თავგადასავალია. სწორედ ამ განწყობით დაინერა ეს წიგნი“, – წერს ქეთრინ შულცი.

25-26 წლის იყო, როცა ცენტრალურ ამერიკაში, კოსტა-რიკის მაღალმთიან დასახლებაში სკოლის დირექტორის ასისტენტობა შესთავაზეს. ერთი წლის შემდეგ გადაწყვიტა, რომ წერას უნდა დაბრუნებოდა და სამსახური ჩილეში, სანტიაგოს ინგლისურენოვან გაზეთში იპოვა. ლათინური ამერიკა მოიარა რეპორტაჟების წერაში. მანამდე, ჯერ კიდევ 18 წლისამ, ევროპაში იმოგზაურა. თუმცა, მხოლოდ წიგნზე მუშაობის დაწყების შემდეგ აღიდგინა შეცდომები ამ მოგზაურობებიდან. და მხოლოდ კვლევისას აღმოაჩინა სიტყვებს – „შეცდომასა“ და „მოგზაურობას“ შორის ლექსიკურ-აზრობრივი კავშირიც: ER (შეცდომა) ლათინურში „მოძრაობას“, „ნასვლას“ ნიშნავს. ამ სიტყვის ძირისგან წარმოიშვა ლათინური ზმნა „errare“, რაც „ხეტიალი“, „ბოდილია“. ინგლისური „erratic“ – არამტკიცე, არაპროგნოზირებად, ფუჭ მოძრაობას გულისხმობს. აქედან კი სიტყვა „error“ – შეცდომა ჩამოყალიბდა.

ნაგიკითხავთ სადმე, ერთ წიგნში გაერთიანებული შეცდომათა კლასიფიკაცია? ქეთრინმა ხუთწლიანი კვლევა მოანდომა ამ ჩამონათვალის შექმნას. მაგალითად, ცალკე გამოჰყო ე.წ. სახალისო შეცდომები თავგადასავლებიდან – დაახლოებით ისეთი ამბები, როგორიც იტალიიდან ესპანეთში მატარებლით წასვლა იყო (არ იცოდა, რომ მატარებლის ვაგონები ზოგჯერ იყოფა და სხვადასხვა მიმართულებით მიდის. ღამის მატარე-

ბელში ჩაეძინა, მისი ვაგონი ერთ-ერთ გაჩერებაზე სხვა მატარებელს მიაბეს და დილას, როცა ფანჯრიდან გაიხედა, ესპანეთის მაგივრად, პარიზში იყო. ცალკე გამოყო შეცდომები, რომლებიც ფატალური შედეგით სრულდება, შეცდომები – რომელთაც გონების განათება მოჰყვება, თუ შეცდომები, რომელთაც ადამიანები პროფესიების მიხედვით ყველაზე ხშირად უშვებენ. მრავალგვარი ინფორმაციის გადამუშავების შემდეგ მან ზუსტად აღწერა ის სამი ეტაპიც, რომელთაც ხშირად ზუსტად ამ თანმიმდევრობით მაშინ გავდივართ, როცა ჩვენგან განსხვავებულ აზრს ვისმენთ: ჯერ ვფიქრობთ, რომ მოპაექრემ არ იცის, რას ამბობს, შემდეგ ვასკენით, რომ მოპაექრე, უბრალოდ, ბრყვია. ბოლოს კი ის დაუძინებელ მტრად იქცევა. რაც მთავარია, ქეთრინ შულცმა, თავისი წიგნით, წინ დაგვიდო კიდევ ერთი სიმართლე: ეს სქემა ერგება ყველა სიტუაციას – ძალიან პირადულსაც და ძალიან გლობალურსაც; მეგობრულ ურთიერთობებსაც, დიდ პოლიტიკასაც და დიდ ბიზნესსაც – ქეთრინ შულცმა თავის წიგნში თითქმის ყველა სიტუაცია განიხილა.

„არის შეცდომები, რომელთა გამოც შეიძლება ვინმე პირდაპირი მნიშვნელობით მოკვდეს, – წერს შემდეგ შულცი, – მაგრამ არის ისეთი შეცდომებიც, რომლებიც სიკვდილს სანატრელს გაგინდინან“, – აგრძელებს ის და იხსენებს ერთი ჟურნალისტის ამბავს, რომელიც უყვებოდა, როგორ ნატრობდა სიკვდილს, როდესაც სტატიის წერისას უხერხული შეცდომა დაუშვა (ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე გამომსვლელ ქალბატონზე თავის სტატიაში დაწერა, რომ ორსულად იყო, როცა ის უბრალოდ მსუქანი იყო). მიუხედავად იმისა, რომ ამ შეცდომიდან 40 წელი იყო გასული, ქეთრინთან ინტერვიუს დასასრულს, ჟურნალისტმა მას მაინც უთხრა: „იმდენად არ მინდა ამ შეცდომის გახსენება, შენი წიგნი როცა გამოვა, იმედი მაქვს უკვე მკვდარი ვიქნები“.

ქეთრინი გვეუბნება, რომ შეცდომებში „განზრახ მოგზაურობის“ შედეგია ხელოვნებაც და მეცნიერებაც – ორივე შემთხვევაში ადამიანი იყენებს უნარს, სამყარო წარმოიდგინოს არამხოლოდ ისეთად, როგორიც ის არის, არამედ ისეთადაც როგორიც ის არ არის, ანუ

სრულიად შეგნებულად გაემიჯნოს მოცემულობას და მისი აბსოლუტურად სუბიექტური (და შეიძლება სრულიად მცდარიც) სურათი შექმნას.

„თუ შეცდომა რეალობასა და წარმოსახვას შორის არსებულ ნაპრალებში შემთხვევით მოხვედრას ნიშნავს, ხელოვნება იქ შეგნებული მოგზაურობის შედეგია. ხელოვნებაც და მეცნიერებაც, იმ ნაპრალის ამოვსებას ცდილობს, რომელიც საკუთარ გონებასა და სამყაროს შორის არსებობს“, – წერს ქეთრინ თავის წიგნში.

„თუ ნიავე უბერავს და მე მგონია, რომ ეს თბილი სიოა, თქვენ კი ფიქრობთ, რომ გრილა, სინამდვილეში, როგორია ტემპერატურა? პროტაგორა იტყოდა, ჩემთვის თბილა, თქვენთვის ცივა და ეს ასეაო... პლატონი კი ფიქრობდა, რომ ეს სისულელე იყო. ის ამბობდა, რომ, ალბათ, თვითონ ნიავესაც აქვს საკუთარი შინაარსი, გარდა იმისა, რომ ვინმეს დაუბეროს, და დაბეჯითებით ურჩევდა პროტაგორას, თერმომეტრი ეშოვნა“, – ხალისით და მსუბუქად წერს ავტორი.

მართლაც, თუ ჩვენი შეგრძნებები ცოდნის, ინფორმაციის გააზრების წყარო ხდება, როგორ შეიძლება განვსაზღვროთ, როდისაა ზუსტი ჩვენი აღქმის უნარი და როდის გვიმტყუნებს ის? – ამ კითხვებზე დაფიქრდა ქეთრინი და წიგნზე მუშაობისას, ურლი ნეისერის ამბავი მოიძია, რომელიც 13 წლის იყო, როცა იაპონელები პერლ ჰარბორს დაესხნენ თავს. ბიჭი რადიოს უსმენდა და ამ ინფორმაციამ დაუფიქნარი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. სულ ყურში ედგა, თურმე, რადიოს დიქტორის ხმა, რომელმაც ბეისბოლის მატიჩი შეწყვიტა, ხალხისთვის დაბომბვის შესახებ რომ ეუნყებინა.

გაიხსენეთ საკუთარი მოგონება რომელიმე ეროვნული ტრაგედიის შესახებ. მაგალითად, 2008 წლის 8 აგვისტო. დაწმუნებული ვარ „გუშინდელი დღესავით“ გახსოვთ, სად იყავით, როდესაც ეს ამბავი გაიგეთ, რას გრძნობდით, ვის ელაპარაკეთ და რას ფიქრობდით. ყოველ შემთხვევაში, ეს დღე უკეთ გახსოვთ, ვიდრე 2008 წლის 3 აგვისტო, მაგალითად.

ქეთრინ შულცი დაგენაძლევებოდათ, რომ, ასე თუ ისე, თქვენ ცდებით. ნეისერიც ცდებოდა. პერლ ჰარბორის დაბომბვიდან 40 წლის შემდეგ მას გაახსენდა,

რომ პროფესიონალურ ბეისბოლს დეკემბერში არ თამაშობენ.

ასეთ მახსოვრობას „გაელვებული მოგონება“ ეწოდება. ადამიანებს ჰგონიათ, რომ რაღაც „ცხადად ახსოვთ“, მაგრამ კვლევებითაც დასტურდება, რომ დროთა განმავლობაში, შთაბეჭდილების სიცხადე და სიზუსტე ირღვევა. შენ კი, კრიტიკულ და ძალიან მნიშვნელოვან თემაზე მსჯელობისას, გამოდის, რომ ხშირად არარსებულს ამტკიცებ (ეს „შენ“, შეიძლება ერთი ადამიანი, ანდა სულაც მთელი საზოგადოება იყოს თავისი „კოლექტიური მესხიერებით“).

ამ მასალების მოძიების პროცესი ქეთრინ შულცისთვის ყველაზე სასიამოვნო იყო. პირველი წელიწადნახევარი, ან ტახტზე ნამონოლილი კითხულობდა ფილოსოფოსების, ნეირომეცნიერების, ფსიქონალიტიკოსების თუ წმინდა მამების ნაშრომებს, ან საინტერესო ადამიანებს ხვდებოდა შეცდომებზე სასაუბროდ, გმირებს ყველგან ეძებდა – საგაზეთო მასალებში თუ ახლობლებისა და კოლეგების წრეში.

საბოლოო ჯამში, გამოუვიდა წიგნი, რომელიც ერთი შეხედვით იმ ყვითელ, მრავალტირაჟიან გამოცემებს ჰგავს – „როგორ გავხდე წარმატებული“, „როგორ ვიშოვო მილიონი ორ კვირაში“ და ა.შ., მაგრამ სინამდვილეში სულაც არაა ასეთი „პაპსა“. სიმარტივეს ამ ნამუშევარს თუ ვინმე აბრალებს, ალბათ, იმიტომ, რომ იუმორით და მსუბუქადაა დაწერილი. სინამდვილეში კი, პოპულარული უფრო იმიტომ გახდა, რომ „სწრაფი კითხვის“, „ელექტრონული კითხვის“ და კიდევ მრავალგვარი ახლებური კითხვის მაღალტექნოლოგიურ ეპოქაში, შულცმა მკითხველს კაცობრიობის მთელი ისტორიის „პოპური“ შესთავაზა - დღემდე არდასმული სიმძლავრის აქცენტით შეცდომებზე. „ნიუსუიკმაც“ დაწერა, რომ ეს არის „სახალისო ინტელექტუალურობა“ („Intellectualism made fun!“): „არც ისე ბევრ წიგნშია მოხმობილი ერთად ვოლტერის, შექსპირის, ბენჯამინ ფრანკლინის, ფუკოს და პლატონის ციტატები ისე, რომ თან მსუბუქად იკითხებოდეს; და კიდევ უფრო ცოტა წიგნი არსებობს, რომელშიც სოკრატესა და ბიონსეს სახელები ერთ წინადადებაშია ნახსენებული“.

ნები და თან აბსოლუტურად ლოგიკურად. შულცის ნიგნი ასეთია. ეს ნიგნი თან ძალიან დროულია და თან დროს უძლებს, განსაკუთრებით კი ქვეყანაში, რომელიც შეპყრობილია „თვითდახმარების“ იდეით...“

ქეთრინ შულცმა ნიგნზე სასაუბროდ ჯერ ამერიკის შეერთებული შტატები შემოიარა, შემდეგ – დიდი ბრიტანეთი. თუმცა, მისი პოპულარობა მსოფლიოში უმეტესწილად ted.com-ის კონფერენციაზე გამოსვლამ განსაზღვრა. ქეთრინის ლამის ომორისტული და ამავე დროს ძალიან დამაფიქრებელი გამოსვლა ონლაინ მილიონ ორასათასზე მეტ ადამიანს აქვს ნანახი.

იენისის დასაწყისში ქეთრინ შულცი საქართველოშიც ჩამოვიდა. არასამთავრობო ორგანიზაცია „რადარამა“ ნიგნის „როცა ცდები – მოგზაურობა შეცდომის ზღვარზე“ ქართული თარგმანი აპრილში გამოსცა და ორ თვეში, მის განსახილველად ავტორი საქართველოში მოიწვია.

ჩამოსვლიდან რამდენიმე საათში გლდანის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებლებს შეხვდა. მასწავლებლებს რთული პროფესია აქვთ, ერთი მხრივ, მათი მოვალეობაა მოსწავლეებს ასწავლონ, რა არის სწორი, გააფრცვლონ ცოდნა, მეორე მხრივ კი, მათ ინტელექტუალური ინსპირაცია, ცნობისმოყვარეობა, ცოდნისადმი და სამყაროსადმი ინტერესი უნდა გაუღვივონ. მახე სწორედ აქ არის დაგებული – ცოდნა „კი“-ს და „არა“-ს პასუხით არ შემოიფარგლება. ასეთი ერთგანზომილებიანი, ცალსახა პასუხები ხომ მოკლავდა ცნობისმოყვარეობას. ერთადერთი გამოსავალი შეცდომების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაა.

„სწორედ ამ გამონვევაზე ვესაუბრობოდი იმ მასწავლებლებს. ამ შეხვედრამდე ერთი თვით ადრე ნიუ-იორკში შეხვედი პედაგოგებს, იქ უამრავი კითხვა დამისვეს, როგორ შეიძლება ეს ცოდნა დავენერგოთ. თუმცა, გლდანში შეხვედრისას ბევრი კითხვა არ დაუსვამთ, ბევრი მოსაზრება კი გამოთქვეს – რასაც თქვენ აქ საუბრობთ, ჩვენ კლასებში უკვე ვახორციელებთო. ერთი მხრივ, ძალიან გასახარია ამის მოსმენა, რადგან ხვდები, რომ ეს მასწავლებლები

შენს ფილოსოფიას იზიარებენ, თუმცა, მეორე მხრივ, სკეპტიკურადაც განვენწყვე და თითქმის მივხვდი, რა უნდა იყოს ქართული განათლების სისტემის მთავარი პრობლემა – იმის მაგივრად, რომ შემკამათებოდნენ, ჩამძიებოდნენ, ისინი აქვთ იმეორებდნენ ჩემს ფრაზებს. ცოტა დამასევდიანა ამგვარმა დამოკიდებულებამ“.

განათლების სისტემაში შეცდომებზე საუბარი ქეთრინს თელავის უნივერსიტეტში შეხვედრაზეც თხოვეს. „თქვენი თავით დაიწყეთ, აჩვენეთ თქვენს თანა-

„გლდანში შეხვედრისას მასწავლებლებს ბევრი კითხვა არ დაუსვამთ, ამის ნაცვლად, ჩემს ნათქვამს იმეორებდნენ, რამაც თითქმის მიმახვედრა, რა უნდა იყოს ქართული განათლების სისტემის მთავარი პრობლემა“.

მშრომლებს, სტუდენტებს რომ შეცდომის დაშვება ნორმალურია, მთავარია მისი მიზეზები იპოვოთ ერთად, რომ მომავალში მათი თავიდან არიდება გაგიადვილდეთ“, – უთხრა ქეთრინმა ბიბლიოთეკაში შეკრებილ სტუდენტებს და ლექტორებს.

როგორ განსხვავდება ქართველი და ამერიკელი მასწავლებლების შეცდომისადმი დამოკიდებულება? ეს კითხვა, შეხვედრაზე მოსულ 25 წლის ემა დორსტს დავესვი. ის პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“-ის ფარგლებში რვა თვის წინ ჩამოვიდა და თელავის მახლობლად, სოფლის სკოლაში ინგლისურს ასწავლის.

მიყვება, რომ მისთვის ყველაზე რთული გამონვევა შეცდომების მიმართ ქარ-

თული კულტურის ნეგატიურ დამოკიდებულებასთან გამკლავება იყო.

„აქ შეცდომებს ძალიან ადრეულ ასაკშიც კი არ პატიობენ. მაგალითად, თუ ბავშვმა ათამდე დათვლისას ხუთიანი გამოტოვა, მასწავლებელი ნახალისების, ან დახმარების ნაცვლად ბავშვს დაუყვირებს და მოსწავლეს შეცდომის გამოსწორებისთვის დროს არ მისცემს, დასვამს და სხვას ეტყვის, გააგრძელო. რამდენჯერმე შევესწარი ამგვარ სცენას“.

ის თავის სკოლასაც იხსენებს და მეუბნება, რომ ამერიკული განათლების სისტემაში შეცდომების მიმართ შემწყნარებლები არიან, ხანდახან – საჭიროზე მეტადაც.

როგორ მოქმედებს კულტურა და საზოგადოება შეცდომებისადმი დამოკიდებულებაზე?

ქეთრინი ამტკიცებს, რომ საზოგადოების შეხედულებათა საფუძველზე გვიყალიბდება რწმენა, რწმენის საფუძველზე კი საზოგადოებას ვქმნით. ამის მაგალითად 1950-იან წლებში ჩატარებულ ექსპერიმენტს იხსენებს.

სოციოლოგმა და ფსიქოლოგმა სოლომონ ამმა ერთ ოთახში 5-8 კაციანი ჯგუფი შეიყვანა. ჯგუფში ერთის გარდა ყველა ემის ასისტენტი იყო და მათ განზრახ არასწორი პასუხის გაცემა ევალებოდათ. ორ ილუსტრაციაზე გამოსახული თანაბარი სიგრძის ხაზების დანახვა და ამოცნობა მარტივი იყო, თუმცა ექსპერიმენტში მონაწილეთა სამმა მეოთხედმა მცდარი პასუხი გასცა. ამის მიზეზი, ემის ასისტენტების კოლექტიური „მცდარობა“ იყო, რომელსაც ექსპერიმენტში მონაწილეთა უმრავლესობა უსიტყვოდ მიენდო.

რამდენად ვექცევით ჩვენი გარემომოყვების გავლენის ქვეშ? მით უმეტეს მაშინ, თუ მათთან საცხოვრებელი ადგილი, ისტორია და კულტურა გვაკავშირებს?

„იმიტომ ვატარებთ ხალხთან დიდ დროს, რომ ვეთანხმებით მათ, თუ იმიტომ ვეთანხმებით მათ, რომ მათთან დიდ დროს ვატარებთ? ეს ერთი და იგივეა. მხოლოდ რწმენით კი არ ვართ შეპყრობილნი, არამედ მორწმუნეთა საზოგადოების წევრობითაც“ [ქეთრინ შულცი „როცა ცდები“].


შეიძლება თუ არა ამ მიმბაძველობას



Երկրորդ կարգի բնական

համապատասխան սահմանը այս

լավ արհեստական պղնձ



თავისი დადებითი მხარეც ჰქონდეს? ქეთრინ შულცი ვარაუდობს, რომ – კი. თუ ერთი ადამიანის თავისუფალი პასუხი კონფორმიზმის რკალის გარღვევისთვის საკმარისია, ეს იმედისმომცემია, მაგრამ ერთ განსხვავებულ აზრს ხომ შეუძლია მთელი საზოგადოების ერთიანობაც დაარღვიოს?

ამ რღვევის შიშით მრავალი საზოგადოება სასწრაფო ზომებს იღებს განსხვავებული აზრის მქონე წევრების „განსაკუთრებად“, ან განსაღვინად. სწორედ ამიტომ აქვთ შეცდომისადმი ხისტი და შეუწყნარებელი დამოკიდებულება დიქტატორული, ერთპიროვნული მმართველობის, ერთი „სიმართლის“ მქონე ქვეყნებში.

თითქმის ყველა კულტურას აქვს ისეთი გავრცელებული გამოთქმები, როგორც არის – „ვინ არ შემცდარა“, „შეცდომა ვის არ მოსვლია“ და ასე შემდეგ. ყველა რელიგია აღიარებს, რომ შეცდომა გარდაუვალია, ყველა ვცდებით. მაგრამ რაც ყველა კულტურას აერთიანებს, შეცდომის გამო სირცხვილის გრძნობა და საკუთარი უბედურების განცდაა. თუმცა, საკუთარ შეცდომაზე რეაქცია არა კულტურის, რელიგიის თუ ეთნიკურობის, არამედ პროფესიული საქმიანობით განსხვავდება.

რომელი პროფესიის ადამიანებს უჭირთ ყველაზე მეტად საკუთარი შეცდომების აღიარება? რა თქმა უნდა, პოლიტიკოსებს.

„ყველაზე მეტად მიხარია, როდესაც ადამიანები მიყვებიან, როგორი შვება იგრძნეს ჩემი წიგნის წაკითხვის შემდეგ. ამ დროს გული მიჩუყდება და მგონია, რომ ადამიანები მართლა ცვლიან ცხოვრებას. თუმცა იმის ილუზია არ მაქვს, რომ ერთ დღეში სამყარო შეიცვლება. ბოლოს და ბოლოს, სამყარო შეცდომების გარეშე ხომ უსაზღვროდ მოსაწყენი ადგილი იქნებოდა“, – ამბობს ქეთრინ შულცი.

ისევ თელავში ვართ. ფიჭვებით გარშემორტყმული მძიმე საბჭოთა მარმარილოთი ნაგები უნივერსიტეტის შენობა, ლინოლეუმის იატაკით, ახლად გადაღებული კედლებითა და ძველი ხის მერხებით, საბჭოთა ურყევი „სიმართლის“ ნანგრევი, ალბათ, პირველად

იქცა შეცდომებზე სასაუბრო სივრცედ. „უცხოელი სტუმარი“ ჯერ დირექტორის ევრორემონტიან კაბინეტში მიიწვიეს, შემდეგ უნივერსიტეტში და მზადებული თქვა აჩვენეს, რამდენიმე „ამაყი სიტყვა“ ერეკლე მეორეზეც უთხრეს და სტუდენტებთან შესახვედრად გამზადებული ბიბლიოთეკისკენ გაუძღვნენ.

მწვანედ შეღებილი ბიბლიოთეკის ორსართულიანი შენობა საბჭოთა დროს სტუდენტების სასაბუღალტრო ფილა. ახლა სტუდენტები მთავარი

**„ლიდარის
თავდაჯერება ეჭვებს
გვიქარწყლებს.
ეჭვისა და
თვითრწმენას ისევე
ბალამდობია, როგორც
ბასიება. იმ ხალხის
სიახლოვეს, ვინც
ურყევ რწმენას
ასხივებს, ჩვენს
თავდაჯერებით
ვივსახით, მერყევი
ადამიანის
სიახლოვეს
კი ეჭვი
გვიღვივდება“.**

კორპუსის ნულ სართულზე, სარდაფის მსგავს ოთახში სადილობენ. ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის სხვა შენობებისგან განსხვავებით, გარემონტებულია. ორ რიგად ჩანყობილ კომპიუტერებთან არავინ ზის. ხის მერხებსა და შეხვედრისთვის რამდენიმე მწკრივად გაშლილ სკამებს ერთმანეთისგან წიგნის თაროები ჰყოფს. მერხებთან რამდენიმე სტუდენტი წიგნებს ჩაჰყურებს. კედლის ერთ მხარეს ილია ჭავჭავაძის პორტრეტია გაკრული, მეორე მხარეს კი ინგლისურენოვანი წარწერა ამშვენებს: „Leaders are followers of what is True, What

is Fair and what is Right.“ (ლიდერები სიმართლის, სამართლიანობისა და სწორი გზის მიმდევრები არიან). ალბათ, აქ არ იციან, რომ მსოფლიოში შეცდომების ყველაზე დიდი ქომაგი, ქეთრინ შულცი მოიწვიეს სასაუბროდ.

რამდენად არიან ამგვარ სივრცეში ადამიანები მზად, შეცდომისადმი ლოიალური დამოკიდებულება გამოიმუშაონ? რატომ მოითხოვს საზოგადოება ლიდერისგან ყოველთვის ურყევ თავდაჯერებულობას, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც სიმართლის დადგენა ხშირად შეუძლებელია? ისტორიის ზერელედ გადახედვაც საკმარისია, რომ დავინახოთ – სწორედ ასეთი თავდაჯერებულობა ხდება ლიდერისთვის საბედისწერო. წიგნში „როცა ცდები“ ქეთრინ შულცი ჰამლეტის, როგორც ყველაზე ეჭვიანი და მერყევი ლიდერის მაგალითს განიხილავს. მას ხომ სწორედ ორჭოფობისთვის აკრიტიკებენ და არა იმისთვის, რომ მამის მკვლელი მოკლა?

„ლიდერის თავდაჯერება ეჭვებს გვიქარწყლებს. როგორც სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ამბობენ, ეჭვიცა და თვითრწმენაც ისევე გადამდებია, როგორც გაციება. იმ ხალხის სიახლოვეს, ვინც ურყევ რწმენას ასხივებს, ჩვენც თავდაჯერებით ვივსებით, მერყევი ადამიანის სიახლოვეს კი ეჭვი გვიღვივდება“, – წერს ის.

თელავის შეხვედრას უფრო მეტი ლექტორი ესწრება, ვიდრე სტუდენტი. კითხვებსაც, ძირითადად, ლექტორები სვამენ. უკანა რიგებში მსხდარი სტუდენტები ნელ-ნელა ტოვებენ ადგილებს. როგორც აღმოჩნდა, წიგნი მხოლოდ დირექტორს აქვს წაკითხული:

„ეს წიგნი რომ წავიკითხე, ღამე არ მეძინა, მომინდა, ფრაზები ამომელო აქედან და მთელ უნივერსიტეტში კედლებზე გამეკრა“, – თქვა დირექტორმა შეხვედრის დასაწყისში. მე კი ვიფიქრე, ნეტავ, როცა აქედან წავალთ, იმ პლაკატს თუ ჩამოხსნიან-მეთქი დერეფანში. თუმცა, შეხვედრის დასასრულს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა და ლექტორებმა ქეთრინთან ერთად სამაჩსოვრო ფოტო სწორედ „ყოველთვის მართალი ლიდერის“ ლოზუნგთან გადაიღეს.

საზაფხულო კოლექცია

coincasa

შენი იტალიური სახლი

ყაზბეგის გამზ. 24 - Axis Shopping





**მატირის დრამა მსუბუქი მასალებით
ინტერვიუ ლალო გეროჭაშვილთან**

მსაუბრა: ზემუნა ჯამბურაძე
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

თანამედროვე ხელოვნების თეორეტიკოსები უახლეს ტენდენციად რადიკალური მატერიალიზმის პერიოდის დადგომას ასახელებენ. 2006 წელს გამოქვეყნებულ ნერილში, „უკვდავი სხეულები“, ბორის გროისი წერს, რომ თანამედროვე მხატვრები ხშირად ეძებენ ისეთ სახეებს, რომლებიც წმინდა მატერიალურობის ხატებად შეიძლება წარმოგვიდგინონ. არადა, კულტურული ტრადიცია ასეთია: სულის უკვდავების მთავარი თემის საპირისპიროდ ხელოვნება თუ სრულ იგნორირებას არ უკეთებდა ფიზიკური სხეულების არსებობას, მათ მეორეხარისხოვნებასა და წარმავლობას მაინც ხაზგასმულად აჩვენებდა; დღესთვის კი მატერიის ფაქტორის მიმართ ერთგვარი კომპენსაცია სახეზე. შესამჩნევია ვიზუალური კვლევების სიუხვეც და კვლევები სხეულის, გვამის, ხორცის, მისი ხრწნადობისა თუ მრავალგვარი ტრანსფორმაციის შესახებ, ზუსტად ამ თემის აქტუალურობაზე მეტყველებს. ხელოვნები დღეს თითქოს ცდილობენ მატერიის ჯერ დაუფასებელი და ამოუცნობი სტრუქტურა შეიქმნონ, რომელიც არც ისე ადვილად გაქრობადი და წარმავალია, როგორც ამაზე კულტურული სტერეოტიპები მეტყველებდნენ. „პოტენციურად ხრწნის პროცესი უსასრულოა – ვერ იტყვი, ზუსტად როდის დასრულდება ხრწნა, რამდენადაც ნაშთების იდენტიფიცირება ყოველთვის შეიძლება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათი იდენტიფიცირება შეუძლებელი ხდება, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ სხეული საბოლოოდ გაქრა; საქმე მხოლოდ ისაა, რომ მისი შემადგენელი ელემენტები: მოლეკულები, ატომები ისეთ ძლიერ დაშლას განიცდიან გარემოში, რომ სხეული პრაქტიკულად ერწყმის სამყაროს მთლიანობას, ან თუნდაც გადაიქცევა „სხეულად ორგანოების გარეშე“ (დელოიზი)... სულის უკვდავება იცვლება ახალი, უკვდავების სხვა ტიპით.“ (ბ. გროისი. „უკვდავი სხეულები“).

სწორედ მატერიის ტრანსცენდენციის ერთ-ერთი ვერსიის ნახვის შესაძლებლობა ექნება ქართველ დამთავალიერებელს ლადო ბეროზაშვილის მიერ წარმოდგენილ ექსპოზიციაზე ეროვნულ მუზეუმში. ლადო ბეროზაშვილი ქართველი მხატვარია, რომელიც 2002 წლიდან

გერმანიაში ცხოვრობს და წელს პირველად წარდგება საქართველოში სოლო გამოფენით. ის ჯერ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, შემდეგ ბერლინის სახელოვნებო სასწავლებელში, მოგვიანებით პოლიტოლოგია-სოციოლოგიის ფაკულტეტზე ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში და ბოლოს დაამთავრა ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტი. მუშაობს სხვადასხვა მედიამში და მისი ნამუშევრებიც მატერიის ბუნების შეცნობის პროცესის ამსახველი ექსპერიმენტებია. მის ინსტალაციებში ხშირად შეხედებით აბსტრაგირებულ მასიურ ფორმებს, რომლებშიც ხელშეახება მინიერი ნაყოფიერების მატარებელი „სიმძიმე“. ეს მასები არქაული პერიოდის სკულპტურული ფორმების თემასაც ეხება და თიხა-მიწასთან გაუცნობიერებელ შერწყმას და ერთიანობას.

ლადო, შენს ნამუშევრებში ნაკლებად იგრძნობა მძაფრი ინტერესი მხატვრული ილუზიისა თუ უტოპიის მიმართ, მაგრამ ჩანს, რომ განსაკუთრებულად გაინტერესებს სუბსტანციები. შენთან მნიშვნელოვანია მძიმე მატერიის – მიწის ფაქტურა. და ფაქტია, რომ შენს სკულპტურებსა და მთლიანად, ინსტალაციებში ფაქტურების ეფექტი მუშაობს. მძიმე მიწის ბელტების მსგავსი ფორმები, რომლებიც კედლებზე ისეა მიმაგრებული, თითქოს უწონადობაში ტივტივებენ, ან ხის ტოტების მსგავს სტრუქტურაზე მძიმედ არიან ჩამოკიდებული.

ამ „სიმძიმის“ ილუზიას საკმაოდ მსუბუქი და მარტივი ტექნოლოგიით ვაღწევ. ეს მძიმე და „მოზელილი“ ფორმები სინთეტიკური ქაფისგან მზადდება, რომელსაც სამშენებლო კონსტრუქციებში იყენებენ. მხოლოდ ზედაპირებს ვამუშავებ საღებავით ან მიწის ფაქტურით გვარავ. ორგანულ ფორმებს ჩემთვის არსებითი დატვირთვა აქვს და თვითონ მატერიის ბუნებასაც ვცდილობ სხვადასხვა ექსპერიმენტით ჩავენდე. თვითონ მასალაც მნიშვნელოვანია იმ მხრივ, თუ რამდენად შემაძლებინებს მთავარი იდეის გამოხატვას. ის პირდაპირი გაგებით მედიუმი ჩემთვის.

ზოგიერთ ნამუშევარში (სურ.1, 3) მოულოდნელ ჩანართებს იყენებ, როგორცაა,

მაგალითად, საყასბოში ნაყიდი პირუტყვის ყურები ან ქათმის ფეხები. არის ეს ერთგვარი ირონია გოთიკის ესთეტიკასა თუ ოკულტურ სიმბოლიკაზე?

სიმბოლოების ენა ნამდვილად არ არის ის, რითიც მე მინდა ვიმუშაო. როგორც უკვე ვთქვი, მასალას ვიღებ იმის მიხედვით, თუ რა სჭირდება ნამუშევარს. ქათმის ფეხებით გაკეთებული ნამუშევარი გერბის ალუზიაა, პირდაპირ მინდოდა გერბის განზოგადებული სახე გამომეხატა. ვაკვირდებოდი ჰერალდიკური სიმბოლოების დიზაინს, რომელთა უმეტესობაში ფრინველების გამოსახულებები ფიგურირებდა და ეს სიჭარბე უტრიბებულად ვაჩვენე ამ ნამუშევარში. საერთოდ, ძიების პერიოდში ვარ და მედიუმებსაც პერიოდულად ვცვლი, მაგალითად, ვიდეო ფორმატშიც ვიმუშაობ. თემატურად ნამუშევრები შეიძლება ერთმანეთისგან შორს იყოს და სხვადასხვა პროცესს გამოხატავდეს, მაგრამ საბოლოოდ ეს პროცესები მაინც ერთმანეთს უკავშირდება. ჩემი ალქმით სხვადასხვა ნამუშევარს მთლიანობაში ვუყურებ როგორც რაღაც ერთიანი განვითარების შემადგენელ ნაწილებს და არა ცალკეულ ფრაგმენტებს.

სწავლობდი თბილისის აკადემიაშიც და შემდეგ ბერლინის სხვადასხვა სასწავლებელშიც. რას იტყვი სასწავლო სისტემებზე?

საქართველოდან 1990-იანი წლების ბოლოს გავემგზავრე, მაშინ სტუდენტი ვიყავი და აკადემიის სიტუაციაში თავს ვერ ვგრძნობდი კარგად. ვფიქრობდი, რომ აქ არ იყო ჩემი ადგილი და გამგზავრება თითქოს გამოსავალი იყო. თავიდან, რა თქმა უნდა, არ მქონდა საკმარისი ბაზა იმისთვის, რომ იქ საკუთარი ინტერესები სწორად განმესაზღვრა. არ ვიცნობდი გარემოს, არ ვიცნობდი იმ საზოგადოებას, მის ისტორიას... ერთდროულად ბევრი რამ მაინტერესებდა. ჯერ ქანდაკებაში ვმუშაობდი, რომელიც ფიზიკურ დატვირთვასაც გულისხმობს და ზუსტად ქანდაკების კეთებისას ხელი დავიზიანე. ამ ტრავმის გამო დროებით გამოვეთიშე ამ სფეროს და პოლიტოლოგიის შესწავლა დავიწყე თავისუფალ უნივერსიტეტში. იქ ძალიან დატვირთული რეჟიმი მქონდა, ძალიან ბევრს ვკი-



**ამ „სიძიების“
ილუმინას საკმაოდ
მსუბუქი და მარტივი
ტექნოლოგიით
ვალნავ. ეს მიძიე
და „მოზაილილი“
ფორმაში
სინთეტიკური
ქაფისგან მზადდება,
რომელსაც
სამშენებლო
კონსტრუქციებში
იყენებენ. მასალა
პირდაპირი
ბაზებით
მედიუმია
ჩემთვის.**



თხულობდი; ბოლოს ისევ ხელოვნებას დაუბრუნდი და ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტში (UdK) გავაგრძელე სწავლა. ეს ძალიან საინტერესო პერიოდი იყო და თან იმ მომენტს დაემთხვა, როცა უნივერსიტეტში ცვლილებები მოხდა და ერთდროულად ბევრმა პროფესორმა დატოვა იქაურობა. მათი უმეტესობა ძალიან დაკავებული იყო და ვერ ახერხებდა სხვადასხვა ქვეყნიდან და ქალაქიდან ბერლინში ლექციებისთვის სმირად ჩამოსვლას. მე მაინც გამიმართლა და ამ სიტუაციაში კარგი პროფესორი შემხვდა, თუმცა უმეტეს დროს საკუთარ სტუდიაში მუშაობაში ვატარებდი. „კარგ პროფესორში“ იმას ვგულისხმობ, რომ საშუალება მქონდა საკუთარი გზა მეპოვა და არავინ ცდილობდა ჩემზე ზეგავლენის მოხდენას, რაც, სავარაუდოდ, თბილისში რომ დავრჩენილიყავი, უფრო რთულად მისაღწევი იქნებოდა.

ლადო, შენი ნამუშევრებიდან, ჩემი აზრით, დრამატულობით გამოირჩევა მიწებით გაკეთებული ხის მსგავსი კონსტრუქცია მასზე ჩამოკიდებული „მიძიე“ მასებით (სურ.4). მეტალის ჩონჩხზე ჩამო-

წელიწადი ფორმები თითქოს ტრანსფორმაციის პროცესს გადის, ისინი, რაღაც ახალ, ჯერ გაურკვეველ სხვა ფორმას ქმნიან. ჯვარცმის გამოხატვის მთელ ისტორიასთან შეიძლება ასოციაციური ბმულები გავაბათ, ფრენის ბეკონის ჯვარცმების ვერსიების ჩათვლით. რა ისტორია აქვს ამ ნამუშევარს?

ეს ნამუშევარი გამოფენილი იყო ბერლინის უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში. თავდაპირველად, კონსტრუქცია დაგეგმილი იყო ბერლინის კათოლიკური კათედრალისთვის (Der Berliner Dom) და ამ ნაგებობაში მონაცემები გამოფენის ერთ-ერთი ექსპონატი უნდა ყოფილიყო. შემდეგ, ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ეს ნამუშევარი აღარ გამოფენეს და ჯგუფური გამოფენა ჩემ გარეშე ჩატარდა. მოგვიანებით, აკადემიის საგამოფენო დარბაზშიც მქონდა წარდგენილი. ეკლესია ძალიან ცდილობს ევროპული საზოგადოება რწმენისკენ მოაბრუნოს და ამ მხრივ უამრავ პროექტს ახორციელებს. პროტესტანტული თუ კათოლიკური ეკლესიის დიდი რესურსები ხმარდება ამ მიზანს. როგორც ჩანს, ეს პროექტიც ამ პოლიტიკის ნაწილი იყო. ბერლინის ტაძარი – Der Berliner Dom – ბაროკოს სტილში აგებული პომპეზური შენობაა, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს აშენდა და ამ სივრცეში უნდა მომხდარიყო თანამედროვე ფორმების ინტეგრაცია.

ჩემი სკულპტურა, ერთადერთ საყრდენზე დაბჯენილი ბიომასების კონსტრუქცია, ნაწილობრივ, გვიანი რენესანსისა და ბაროკოს ნაგებობების ესთეტიკას მიეუხებოდა, რომლებიც ძალიან დინამიური და ექსპრესიული. სკულპტურისთვის მე ნეიტრალური შავი ფერი ავირჩიე, თითქოს მოსალოდნელი ოქროს ან რამე სხვა ფერი საერთოდ გამოვრიცხე. მის დადგმას გუმბათებზე ვგეგმავდი, როგორც თანამედროვე სიმბოლურ საყრდენს.

მატერიის თემას განსხვავებული აქცენტი აქვს რბილი თოჯინების სკულპტურულ ჯგუფში, რომელშიც უტრირებულია რბილი ფაქტურა, ანონიმურ არსებათა კიდურები...

ეს ნამუშევარი შედარებით ადრინდელია და უკავშირდება ჩემი ბერლინური

გარემოს აღქმის პროცესს. გამოფენილი იყო სტუდენტური პროექტის ფარგლებში. საგამოფენო სივრცეში სულ ცხრა ფიგურა იყო განაწილებული. სამშენებლო ქაფით შესრულებული უსახო, ინდივიდუალობას მოკლებული, ოდნავ წელში მოხრილი ჰუმანოიდური არსებები ანონიმურ და კონფორმისტულ ჯგუფად ვაჩვენე, რომლის შიგნითაც მხოლოდ გაუცხოებაა, კომუნიკაციის უნარი კი – დაკარგული. ამით გამოვხატე ის ემოცია, რასაც იმ პერიოდში საზოგადოებასთან ურთიერთობისას განვიცდიდი. მეც, დანარჩენი ადამიანების მსგავსად, ვიზიარებდი მდგომარეობას, რომელშიც უნდობლობა, ეჭვი და კონსერვატიული ღირებულებები იყო გამეფებული.

ძმები ჩემენები თავიანთ ხელოვნებაზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ „ხელოვნება გულისხმობს ადამიანური გამოცდილების და შინაგანი სამყაროს კვლევას. ჩვენ, უბრალოდ, იმ დროის მდგომარეობას ვიკვლევთ, რომელშიც ვიმყოფებით“, – რამდენად ეთანხმები ამ მოსაზრებას და როგორ ხდება შენს შემთხვევაში?

ძმები ჩემენები საინტერესოდ მოაზროვნე და შრომისმოყვარე ხელოვნები არიან. გულწრფელ და ხარისხიან სატირას აკეთებენ. რაც დღეისთვის დეფიციტია. ვფიქრობ, რომ ხელოვნებაში ბევრი ნაცნობი ესთეტიკური ხერხი, ენა თუ საშუალება სამართლიანად მიეცა დივიწყებას. „ადამიანური გამოცდილება“, ალბათ, მთავარი საყრდენი საშუალებაა სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინებისთვის. ჩვენ აღარ გვჯერა ოთხკუთხედი-მართკუთხედი-მრგვალი და კარგად გადაჭიმული ტილოსი და მასზე გასაოცრად პროფესიონალურად შექმნილი გამოსახულებების. მე-დიჩების ეპოქის კულტურა იმ დროს და იმ დროის ხალხს ეკუთვნის... ახლა ვხედავთ, რომ ფერის დეფინიცია ფორმით იწყება, რომლის აღქმასაც შესაძლებელს ხდის ისევ ფერის – შუქის სხვადასხვა დროისა და გარემოების ფონი. ჩვენი შინაგანი სამყარო ერთ-ერთი უმცირესი და ამავე დროს, უმთავრესი ნაწილია მთლიანი სამყაროსი, სადაც რეალურ შეგრძნებებად ხდება შეხვედრა დროსა და სივრცესთან.

რას იტყვი „შოკის“ ფაქტორზე ხელოვნებაში. აუცილებელია თუ არა მისი სტრატეგიული გამოყენება აუდიტორიასთან კომუნიკაციისას? და შენ თვითონ თუ მიმართავ მას?

ჩემი აზრით, ემოციური „ზენოლა“ სტრატეგიულად ეფექტიანია და გადამწყვეტიც არის ხოლმე ცალკეულ შემთხვევებში, თუმცა, მე მას ცალკე ხარისხად მაინც არ განვიხილავ, ის უფრო შემადგენელი ნაწილია. მე ვემხრობი ნამუშევარში ხარისხის ფაქტორს და ვფიქრობ, რომ ხშირად გამოსახვის ხარისხის პროპორციულად იზრდება შოკის ალბათობაც. ანუ ნამუშევრის ხარისხით გამოწვეული ემოცია შეიძლება შოკურიც იყოს.

თუ გეგმავ გარე ინსტალაციას საქართველოში? აქ საკმაოდ პრობლემატური მხატვრული ფორმების საზოგადოებრივ სივრცეში ჩვენება, კონტექსტიც განსხვავებულია და თან საზოგადოებასაც აშკარად უჭირს ისეთი ფორმების აღქმა და მიღება, რომლებიც დეკორატიული არ არის.

ახლა რასაც მეუბნებით, დაახლოებით ვხვდები, თუმცა, მაინც მგონია, რომ ჯერ აქ გარემოს საკმარისად არ ვიცნობ და დრო მჭირდება მისი აღქმისა და გააზრებისთვის. შემდეგ კი, რა თქმა უნდა, აქაც ვაგაკეთებ რამეს ამ მიმართულებით, რადგან გარე ინსტალაციაზე მუშაობა განსაკუთრებით საინტერესოა ჩემთვის. 2008 წელს ბერლინთან ახლოს, ერთ-ერთ ტბაში დადგმულ გარე ინსტალაციას ჩემს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად მივიჩნევ. ის სამი ბზრიალასგან შედგება, რომლებიც წყალში ვერტიკალურად ტივტივებენ და თან ელექტრო ძრავების დახმარებით ბზრიალებენ. თითოეული სხვადასხვა სიჩქარით. ამ ტბის ნაპირი, ძველ, მიტოვებულ ხელოვნურ ნავსადგურს წარმოადგენს, მაგრამ წყალი არ მოძრაობს, მუდმივად დგას. შევეცადე, ბზრიალები, ერთი მხრივ, ისე განმეღაგებინა, რომ არ დამერღვია გარემოს მყუდროება, მაგრამ, ამავდროულად, მათი ბზრიალით წყლის უძრაობა დამერღვია და გამეცოცხლებინა მთლიანად ეს ნავსადგომი, რომლის გამოყენება ამ ეტაპზე ადგილობრივი კანონით არის აკრძალული.



**ვემხრობი
ნამუშევარში
ხარისხის ფაქტორს
და ვფიქრობ,
რომ ხშირად
ბამოსახვის ხარისხის
პროპორციულადვე
იზრდება შოკის
ალბათობაც. ანუ
ნამუშევრის ხარისხით
ბამოწვეული
ემოცია შეიძლება
შოკურის იყოს.**



სექტემბერში პირველად გეყენება სოლო გამოფენა თბილისში – ხელოვნების მუზეუმში. რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი კონტექსტი ამ პროექტისთვის, რომელიც ძალიან განსხვავებულია ბერლინისაგან?

რა თქმა უნდა, ზუსტად ქართულ კონტექსტზე ვფიქრობ და ის იდეები, რომლის განხორციელებასაც ამ სივრცეში ვაპირებ, მუშაობის პროცესში, სავარაუდოდ, კიდევ შეიცვლება. ეს გარემო ჩემთვის საინტერესოა, ამიტომაც შემდეგი სამი თვე ეროვნული მუზეუმის მონვევით სიამოვნებით ვიმუშავებ თბილისში. ამ ეტაპზე ტექნიკურ პრობლემებს ვაგვარებ – საგამოფენო სივრცის თავისებურებების გათვალისწინება მიხდება. თავიდან არ მიფიქრია, რომ ინსტალაციის აგებისას ეს ფაქტორები გააქტიურდებოდა. ჯერ სივრცეს ვსწავლობ და ეს ყველაზე რთულ სამუშაოდ მიმაჩნია, შემდეგ უკვე თვითონ პროდუქტის შექმნის პროცესი იწყება. ეს იქნება ინსტალაცია სკულპტურული ფორმებით, თუმცა ვიდენამუშევრის ჩართვასაც ვაპირებ. ჯერ არც მასალები ამირჩევია. ასე რომ, აქაური გარემოს შესწავლას მხოლოდ ახლა ვიწყებ და ნამუშევარიც სოლო გამოფენისთვის სწორედ ამ პროცესში მიღებულ შთაბეჭდილებებზე აიგება.



ფრანჩესკა ვულმანი

სხეულით შემოსილი შიშველი სული

ავტორი ნინო ჩიბაკაძე



არ ვიცი, ეს ყველაფერი როდის და რატომ დაიწყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემი თავი შეგნებულ ასაკში მახსოვს, ყოველთვის განსაკუთრებით მიზიდავდა არტისტები, რომლებიც ახალგაზრდები გარდაიცვალნენ, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებმაც თვითმკვლელობით დაასრულეს ცხოვრება.

ერთ-ერთი ყველაზე ადრეული შთაგონება, ალბათ, მაინც მერლინ მონრო იყო, რომლის გარდაცვალების ერთ-ერთ ვერსიად სწორედ თვითმკვლელობას ასახელებდნენ. პატარა ვიყავი, მაგრამ როცა კი ტელევიზიით რომელიმე მის ფილმს აჩვენებდნენ, სულ იმაზე ვინყებდი ფიქრს, რატომ შეიძლებოდა ამ ლამაზ და წარმატებულ ქალს, რომელიც უამრავი ადამიანის კერპი იყო, ისე შეზიზღებოდა სიცოცხლე, რომ თავი მოეკლა.

მოგვიანებით, თინეიჯერობის ასაკში როკმუსიკამ გამიტაცა და მაშინ უკვე თვითმკვლეელი თუ ახალგაზრდა ასაკში გარდაცვლილი არტისტების მთელი არმია დამატყდა თავს: კურტ კობეინი, ლინ სტეილი, მაიკლ ჰათჩინსი, სიდ ვიშუზი, იან კერტისი, ჯიმ მორისონი... სია გრძელდება ეს ე.წ. Live fast Die young – კონცეფციის გავლენა და ახალგაზრდა ასაკში სიკვდილის რომანტიკული აღქმის შედეგი იყო, მაგრამ ზოგჯერ ეს ორი რამ უბრალოდ ემთხვეოდა ერთმანეთს – მე ჯერ ესა თუ ის არტისტი მომეწონებოდა და მხოლოდ შემდეგ ვიგებდი, რომ მას თავი მოუკლავს.

ასე მოხდა ფრანჩესკა ვუდმანის შემთხვევაშიც.

მისი რამდენიმე ავტობიოგრაფიკული პირველად ჯერ კიდევ წლების წინ ვნახე, როცა ჩემი ერთ-ერთი საყვარელი პოეტის, სილვია პლათის შესახებ წერილებს ვკითხულობდი. სილვიაც იმ „არმიიდან“ იყო, თვითმკვლეელი არტისტების არმიიდან. წერილის ავტორი კი წერდა, რომ პლათის ლექსებსა და ვუდმანის ფოტოებს შორის გარკვეული მსგავსება იყო. მახსოვს, მაშინაც მომეწონა ეს შავ-თეთრი, სიურრეალისტური ფოტოები, მაგრამ რატომღაც უფრო დეტალურად აღარ ჩავძიებდით. არც ის ვიცოდი, თუ რა

არსებითი მსგავსება იყო ამ ორ ქალს შორის, ხელოვნების გარდა.

ალბათ, ყველას გქონიათ შემთხვევა, რაღაც ძალიან მაგარს მეორე ან მესამე ნახვისას რომ აღმოაჩინო ხოლმე. სიმღერას, ნახატს, ან სულაც ადამიანს... ჰოდა, მეც ასე დამემართა.

დაახლოებით თვენახევრის წინ, ნიუ-იორკში ყოფნისას გუგენჰაიმის მუზეუმი მოვინახულე. ექვს სართულზე გადანანილებული ასობით ნამუშევრის დათვალიერებისას ერთ დიდ დარბაზში მოულოდნელად ფრანჩესკა ვუდმანის ფოტოების დიდ გამოფენაზე აღმოვჩნდი. კედლებზე 100-ზე მეტი უსათაურო ფოტო ეკიდა (ფრანჩესკა, თურმე, იშვიათად ასათაურებდა მათ).

ვუყურებდი ნამუშევრებს და ვგრძნობდი, შეხედვისთანავე შემეძლო, საკუთარი შთაბეჭდილებების მკაფიო შეფასებებად გადმოცემა – ასეთი რამ იშვიათად მემართება ხოლმე. არაიდენტიფიცირებული სივრცე, სხეულით გადმოცემული შინაგანი სამყარო და ვიქტორიანული ეპოქისთვის დამახასიათებელი გოთიკისა და მოდერნული სიურრეალიზმის სინთეზი; კიდევ თვითირონია, დრამატიზმი და ექსპრესიულობა – ფრანჩესკას ფოტოებში თითქმის ყველაფერი იყო, რაც ასე მიყვარს ხელოვნებაში. მისი ნამუშევრების აბსურდულ-სიურრეალისტური ესთეტიკა და დროისა და სივრცის უგულებელყოფა კი ჩემს ერთ-ერთ საყვარელ რეჟისორს, ჯიმ ჯარმუშს მაგონებდა...

იმ დღეს „ტურისტულ გადარბენაზე“ ვიყავი – გუგენჰაიმის მერე, მეტროპოლიტენი უნდა დამელაშქრა, ამიტომ ფრანჩესკა ვუდმანის დარბაზში დიდხანს ვერ დავრჩი, თუმცა, გასვლამდე მისი ვიდეოინსტალაციაც ვნახე. ერთი მათგანი განსაკუთრებით დამამახსოვრდა – ნამუშევარი სახელწოდებით Titles:

ეკრანზე დიდი, თეთრი ქალაღდის უკან მდგარი ქალის სილუეტი მოჩანს: მოდელი თავად ვუდმანია. ზემოდან გადმოყოფილი ხელით, ის ქალაღდზე საკუთარ სახელს აწერს – ფრანჩესკა. შემდეგ კი ნელ-ნელა ამ ქალაღდის

გახვევას იწყებს და თანდათანობით, ფანჯარასთან მდგომი შიშველი ქალის სილუეტი იკვეთება. საბოლოოდ, ის სრულად არღვევს ქალაღდის მთლიანობას და კადრიდან გადის. ამით ფრანჩესკა თითქოს საკუთარ დამცავ გარსს, გარესამყაროს მიერ შექმნილ სტერეოტიპულ სახეს არღვევს და ასე ცდილობს ნამდვილი „მე“-ს პოვნას.

ნიუ-იორკი, ალბათ, ერთ-ერთი უიმპიათესი ქალაქია, რომელიც ნონსტოპ რეჟიმში განაგრძობს შენზე შთაბეჭდილების მოხდენას. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ იქ გატარებული ერთი კვირის მანძილზე ამ ნამუშევრებისგან მიღებული ემოცია ბევრმა სხვა ემოციამ გადაფარა. თუმცა რაღაცნაირად სულ ვგრძნობდი, რომ ვუდმანი „თან გამომყვან“ გუგენჰაიმისგან და ბოლოს, ჩემთან ერთად „დაბრუნდა“ კიდევ თბილისში.

„აჰა, კიდევ ერთი“, – გავიფიქრე ჩემთვის, როცა მისი ბიოგრაფიის კითხვისას აღმოვაჩინე, რომ 22 წლის ასაკში თვითმკვლელობით დაუსრულდება სიცოცხლე. ფრანჩესკა 1981 წლის 19 იანვარს ნიუ-იორკში, მანჰეტენზე მდებარე ბინის ფანჯრიდან გადმოხტა. ეს ყველასთვის მოულოდნელად, ყოველგვარი ახსნის გარეშე გააკეთა. არც გამოსამშვიდობებელი წერილი დატოვა.

დებრუსის ერთი მიზეზი შეყვარებულთან გაფუჭებული ურთიერთობა ყოფილა, მეორე – იტალიაში სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო გრანტზე მიღებული უარი. თვითმკვლელობის მცდელობა რამდენიმე თვით ადრეც ჰქონია. შემდეგ მშობლებთან გადასულა საცხოვრებლად და მათი დახმარებით, ფსიქიატრებთან სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა.

თუმცა, თერაპია ეფექტიანი არ გამოდგა, ერთ-ერთი ვერსიით, ფრანჩესკა ექიმის მიერ დანიშნულ წამლებს ბოლოს აღარც სვამდა.

ვუდმანის დასახიზრებული გვამი მორგში გადაიტანეს. ვერც შემთხვევის ადგილზე და ვერც მორგში, თვითმკვლელ გოგონაში ფრანჩესკა კარგა ხანს ვერავინ ამოიცნო. ბოლოს, ერთმა ახლობელმა მისი ტანსაცმელი იცნო.



„უმჯობესია ახალგაზრდა მოვკვდე და ხელუხლებლად დავტოვო ჩემი ნამუშევრები და მიღწევები; ხელუხლებლად დავტოვო თუნდაც ჩემი მეგობრობა შენთან და სხვა არტეფაქტებიც. ასე სჯობია, ვიდრე ყველაფერი ქაოტურად გავანადგურო“, – მისწერა თვითმკვლელობის პირველ მცდელობამდე ცოტა ხნით ადრე ფრანჩესკამ მეგობარს. მისი ეს სიტყვები გარკვეულწილად იმ ძველი მოსაზრების გამეორებაა ფოტოგრაფიის შესახებ, რომლის მიხედვითაც ფოტო სიკვდილთან ასოცირდება. ფრანჩესკასთვისაც, როგორც ჩანს, სიცოცხლე ნაშლას, განადგურებას ნიშნავს, სიკვდილი კი იმის გარანტიაა, რომ რაც იყო, ძველებურად დარჩება და კვლავაც გააგრძელებს არსებობას.

იყო თუ არა სუიციდური ქვეტექსტები ვუდმანის ფოტოებში? ეს კითხვა არაერთხელ დაუსვამთ ფრანჩესკა ვუდმანის შემოქმედების მკვლევრებსა და თაყვანისმცემლებს. თუმცა, ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ყველას უჭირს. მართალია, მის ფოტოებში ვხვდებით მისტიკურ, არაამქვეყნიურ სიუჟეტებს და სცენებს, მაგრამ შესაძლოა, ეს მისი გოთიკით გატაცების ბრალი უფრო იყოს, ვიდრე – სუიციდური გამოვლინებები. ზოგჯერ კი სულაც ირონია, სიკვდილის დაცინვაა. აი, მაგალითად, ერთ-ერთ ძველ ფოტოზე შიშველი ფრანჩესკა საფლავის ქვაში დატოვებულ ღია ქრილში ძვრება. მისი თავი ნორმალურად არც ჩანს, თითქოს მოჩვენებაა. გამოსახულება კვამლივით ერევა ჰაერს. ფოტოს თითქოს მოძრაობაში სწრაფი გადაღების ეფექტი აქვს.

დღეს ციფრული ტექნოლოგიებით ყველანაირი ფოტოექსპერიმენტია შესაძლებელი, თუმცა 1970-იან წლებში, როცა ფრანჩესკა იღებდა ფოტოებს, ბუნდოვანი გამოსახულების ეფექტის მიღწევას, თუ ავტოპორტრეტის გადაღებას, გაცილებით მეტი ძალისხმევა სჭირდებოდა. ფოტო, რომელზეც ახლა გაიმბეთ, ვუდმანის ადრეული ნამუშევარია. მისი გადაღებისას ფრანჩესკამ „შათერ სპიდის“ ნელი მოძრაობის სისტემაზე დაყენების ტე-

ქნიკა გამოიყენა. მაშინ ის 15-16 წლის იყო. მომავალში ეს „ჰაეროვანი“ სტილი მისი საფირმო ნიშანი გახდა.

საინტერესოა ოდნავ მოგვიანებით, 1976 წელს გადაღებული ფოტოც, სადაც ფრანჩესკა, მდინარის პირას ნამოჭიმული ხის ფესვებთან, უფრო ზუსტად კი, ამ ფესვების ქვეშ წევს. მისი სხეულის ნაწილი წყალშია, ნაწილი კი ზემოთ, და მისი ხელის მოძრაობით თუ ვიმჯელებთ, თითქოს ამ ფესვებიდან გათავისუფლებას ცდილობს. ხის მიღმა საფლავის ქვები მოჩანს, პირდაპირ ხის უკან კი – გაურკვეველი თეთრი სინათლე. ეს ფოტოც მრავალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა: ფესვები და საფლავის ქვები სიცოცხლისა და სიკვდილის სიმბოლოებია, ამ პრინციპით ფრანჩესკა სიცოცხლისგან თავის დაღწევას ცდილობს. მეორე მხრივ, შესაძლოა, ეს საზოგადოებაში „ფესვგადგმული“ კლიშეების და სტერეოტიპებისგან გათავისუფლების მცდელობაც იყოს. მით უმეტეს, რომ ფრანჩესკას ფემინისტ არტისტად მიიჩნევენ და ქალის როლი მის ნამუშევრებში მართლაც განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია.

ფრანჩესკა ვუდმანი 1958 წელს კოლორადოს შტატში, დენვერში, არტისტების ოჯახში დაიბადა. დედა – ბეტი ვუდმანი ცნობილი კერამიკოსია და თავის დროზე ხელოვნებას ასწავლიდა, მამა, ჯორჯი კი მხატვარი და ფოტოგრაფია. ფრანჩესკამ დანყებითი განათლება ქალაქ ბოულდერში, ასევე კოლორადოს შტატში მიიღო. მის მშობლებს საკუთარი სახლი ჰქონდათ ფლორენციაში და ოჯახი ზაფხულს ძირითადად იტალიაში ატარებდა ხოლმე. მულტიკულტურულ, არტისტულ გარემოში გაზრდილი ფრანჩესკა პატარაობიდანვე განსხვავებოდა თანატოლებისგან. თინეიჯერობის წლებშიც, როცა მისი ასაკის გოგონები მაკიაჟის ხმარებას სწავლობდნენ და მოდურ ტანსაცმელზე ოცნებობდნენ, ის ვიქტორიანული სტილის კაბებში დადიოდა და პრუსტის რომანებს კითხულობდა.

ფოტოგრაფიით 13 წლის ასაკში დაინტერესდა და გადაღებაც დაიწყო. კამერა, რომლითაც იღებდა, ცოტას

თუ ჰქონდა ამერიკაში. Yashica twin lens reflex – ასე ერქვა აპარატს, რომელიც ფრანჩესკას მამამ აჩუქა და არათუ მოყვარული ფოტოგრაფისტის, ბევრი არტისტისთვისაც კი საინატრელი იყო.

13 წლის ასაკშიც კი, ფრანჩესკა ვუდმანს არასდროს გადაუღია მხიარული და ბანალური კადრები წვეულებებზე, ლაშქრობებში, მეგობრებთან ან მშობლებთან ერთად. სტილისტურად ჯერ ისეთი დახვეწილი კადრები არ ჰქონდა, თუმცა თითქმის ყველა ნამუშევარი მაშინაც კი გამორჩეული და დამაფიქრებელი იყო. სწორედ ამ პერიოდშიდან გაჩნდა მის ფოტოებში სარკე – როგორც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნივთი, რომელსაც ფრანჩესკა შემდეგ წლებშიც გამუდმებით იყენებდა ნამუშევრებში.

ერთ-ერთი პირველი ფოტო, რომელიც შემდგომში საკულტო ნამუშევრად იქცა, ფრანჩესკამ 13 წლის ასაკში გადაიღო. ფოტოს ასევე ჰქვია: „ავტოპორტრეტი 13 წლის ასაკში“. უცნაურად განათებულ ოთახში, დივნის კუთხეში მჯდომ ფრანჩესკას თავი უკან აქვს მიბრუნებული და მხოლოდ მისი ჩამოშლილი თმა ჩანს. გოგონას დიდი ზომის სვიტერი და შარვალი აცვია, მარჯვენა ხელი დივნის სახელურზე აქვს ჩამოდებული, მარცხენათი კი ბუნდოვნად ჩანს, რომ რაღაც კაბელი უჭირავს, რომელიც, სავარაუდოდ, ფოტოკამერასთანაა შეერთებული. არაიდენტიფიცირებული სივრცე, სიურრეალისტური ელემენტები და ბუნდოვანება (blur) – ის მახასიათებლები, რაც მომავალში მისი შემოქმედების განუყრელ ნაწილად იქცა – ამ ფოტოშიც აშკარად იგრძნობა.

ფრანჩესკას მოდელები, ძირითადად, ქალები იყვნენ, ყველაზე ხშირად კი კამერის წინ თვითონვე პოზირებდა. ამას მარტივად ხსნიდა: „მე ყოველთვის ხელმისაწვდომი ვარ“, – ამბობდა ის და საკუთარ სხეულზე ექსპერიმენტებს განაგრძობდა. მას საათობით შეეძლო ერთი კადრის გადასაღებად ემუშავა.

ვუდმანისთვის სხეული არ არის მოხმარების საშუალება და არც – ეროტიკული ფანტაზიების აღმძვრე-



ავტორბრები 13 წლის ასაკში



ლი ობიექტი, განსხვავებით ბევრი მამაკაცი ფოტოგრაფისგან, როცა ისინი ქალებს იღებენ ხოლმე. ფრანჩესკასთვის სხეული საკუთარი თავის შეცნობის, საკუთარ თავთან დიალოგის ერთ-ერთი საშუალებაა.

„მან არა მხოლოდ სხეული წარმოაჩინა, საკუთარი სული გააშიშვლა“, – წავიკითხე „ნიუ იორკ თაიმის“ მიმომხილველის, კენ ჯონსონის სტატიაში, რომელიც ვუდმანის ნამუშევრების გუგენჰაიმში გამოფენას ეძღვნებოდა.

მისი ფოტოების თვალყურისმართლაც გიჩნდება შეგრძნება, თითქოს რაღაც ძალიან პირადს, ძალიან ინტიმურს ეზიარები. ფრანჩესკას მშფოთვარე სული თანდათან შიშვლდება შენ წინაშე და უამრავ უპასუხო კითხვას გიტოვებს. ვუდმანის ნამუშევრებში თითქოს ერთმანეთს ერწყმის ადამიანი და ინტერიერი. არაერთხელ შეხვდებით კედლებთან, შპალერთან თუ ინტერიერში განთავსებულ სხვა საგნებთან „გაერთიანებულ“ ფრანჩესკას. მას ამოჩემებული ატრიბუტებიც აქვს: სარკის გარდა, ხშირად იყენებს ხელთათმანს და შრომანებს. სარკეში ზოგჯერ საკუთარ თავს აკვირდება, ზოგჯერ იქ სხეულის, ან გაურკვეველი ობიექტების ანარეკლი მოჩანს.

ფრანჩესკას ფოტოებზე მოდელების სახეები იშვიათად ჩანს. გამოსახულება ან ბუნდოვანია, ან სპეციალური ეფექტით მთლიანადაა გადაბნობილი და თითქოს ჰაერთან შერწყმული. ხშირად, სხეულიც დეფორმირებულია და ამოუცნობ არსებას მოგაგონებთ:

„ვარ თუ არა ფოტოზე? მე, შეიძლება მოჩვენება ვიყო, შეიძლება ცხოველი, ან სულაც მკვდარი სხეული და არა უბრალოდ კუთხეში მდგარი გოგო“, – ამბობდა ფრანჩესკა, როცა ამ უცნაურ ეფექტზე ეკითხებოდნენ.

უმაღლესი განათლება ვუდმანმა როდ აილენდის დიზაინის სკოლაში მიიღო. სწორედ აქ გაიცნო ბენჯამინ მური, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უყვარდა. 1977 წელს ფრანჩესკა საუკეთესო სტუდენტთა სიაში მოხვდა და ერთი წლით რომში გაგზავნეს სასწავლებლად. ეს მისთვის

გარდამტეხი წელი იყო. ქალაქის არქიტექტურამ, ძველმა მალაზიებმა, განსხვავებულმა ფერებმა და განათებამ სულ სხვა ემოციებით დამუხტა მისი ნამუშევრები. პირველი გამოფენაც სწორედ რომში, ბუკინისტური წიგნების მალაზია „მალდორორში“ მოაწყო.

სწორედ იტალიაშია შექმნილი ვუდმანის ერთ-ერთი გამორჩეული ფოტოსერიაც, „ანგელოზები“. ყველა ანგელოზი ისევ თვითონაა. ზოგ კადრში თითქოს გაფრენას, ანგელოზად გადაქცევას ცდილობს, ზოგან კი ჩრდილებით თამაშობს და მისტიკურ გარემოს ქმნის, რათა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ზღვარი წაშალოს.

სწორედ ამ სერიიდანაა ის ერთ-ერთი იშვიათი ავტოპორტრეტი, რომელზეც ფრანჩესკას სახე ახლოდან ჩანს. ფოტო ზემოდანაა გადაღებული, მოდელი ზევით, ობიექტივისკენ იყურება, კადრში კი მხოლოდ მისი თავი და მკერდი ჩანს. ეს ფოტოც, ისევე როგორც, ვუდმანის დანარჩენი ნამუშევრები, განათებით და ჩრდილებით თამაშის საინტერესო ნიმუშია.

ამერიკაში დაბრუნებისა და კოლეჯის დამთავრების შემდეგ ფრანჩესკა საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა. მას იმედი ჰქონდა, რომ იქ კარიერას აიწყობდა. ნამუშევრებს მოდის ფოტოგრაფებთანაც გზავნიდა, მაგრამ მისი ფოტოები რადიკალურად განსხვავდებოდა იმისგან, რაც კომერციულ მოდის სამყაროს სჭირდებოდა. ამიტომ სერიოზულად ვუდმანის ფოტოგრაფიით არავინ დაინტერესებულა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მან ფოტოების კრებულიც გამოსცა, რომელსაც „უნესრიგო შიდა გეომეტრია“ დაარქვა. მისი 16 ფოტო გეომეტრიის ძველი წიგნის ფურცლებზე იყო დაკრული, რომელიც მან ჯერ კიდევ რომში ყოფნისას, მალაზია „მალდორორში“ შეიძინა. მნიშვნელოვანი გამოხმაურება არც ამ ალბომს მოჰყოლია.

იმ პერიოდში ფრანჩესკას შეყვარებულთან, ბენჯამინ მურთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა. მალე გადაწყვიტა დროებით ისევ იტალიაში წასულიყო და ერთ-ერთ სასწავლო პროგრამაზე განაცხადი შეიტანა, თუ-

მცა, უარი მიიღო. როგორც შემდგომში მამამ, ჯორჯ ვუდმანმა თქვა, ეს სწორედ იმ დღეს მოხდა, როცა ფრანჩესკამ თავი მოიკლა.

მსოფლიო აღიარება ფრანჩესკა ვუდმანმა სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ მოიპოვა. თვითმკვლელობიდან ცოტა ხანში მას უკვე გენიოსს და ვუნდერკინდს უწოდებდნენ. ვუდმანის ფოტოებით თავდაპირველად უელსლის (მასაჩუსეტსი) არტ მუზეუმის დირექტორი, ენ გეპჰარტი დაინტერესდა, მას შემდეგ, რაც 1980-იანი წლების დასაწყისში, ბოულდერში, ერთ-ერთ ოჯახში შემთხვევით აღმოაჩინა მისი რამდენიმე ნამუშევარი. მოგვიანებით გეპჰარტმა ფრანჩესკას ფოტოები ნიუ-იორკშიც ნახა და ნამუშევრებით შთაგონებულმა, გამოფენის გაკეთება გადაწყვიტა.

ასე დაიწყო ფრანჩესკა ვუდმანის კარიერა უკვე სიკვდილის შემდეგ. რამდენიმე წელიწადში ის უკვე მითი იყო, როკვარსკვლავი ფოტოგრაფიაში.


მისი ნამუშევრები დღეს მსოფლიოს ყველაზე დიდ მუზეუმებში იფინება და ცალკე დარბაზები ეთმობა.

ფრანჩესკას 800-მდე დაბეჭდილი ფოტო ბოლომდე ჯერ კიდევ არ გამოფენილა. მან სულ 10 ათასზე მეტი ნეგატივი დატოვა, რომლებიც მისი მშობლების საკუთრებაშია.

ფრანჩესკას შემოქმედება მართლაც პირვანდელი სახით, ხელუხლებელი დარჩა; ისე, როგორც მას სურდა. „ქაოტურად“ მხოლოდ საკუთარი სიცოცხლე გაანადგურა.

გუგენჰაიმში, სადაც ვუდმანის გამოფენა იენისამდე გაგრძელდა, უამრავი ადამიანი ნახავდა მის ფოტოებს და, ალბათ, ბევრი წამოვიდოდა იქიდან ჩემსავით მძაფრი ემოციებით დატვირთული. ბედის ირონიით, 31 წლის წინ ფრანჩესკამ სწორედ მანჰეტენზე, გუგენჰაიმშიდან არც ისე შორს მოიკლა თავი. მისი დეპრესიის ერთ-ერთი მიზეზი კი მისი ნამუშევრების მიმართ პუბლიკის გულგრილობა იყო... თუმცა, რა ვიცით, იქნებ ეს სუიციდი მისი ბოლო არტისტული სვლა იყო? და სილვია პლატის არ იყოს, სიკვდილიც ერთგვარი ხელოვნებაა?





თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
2012

14 – 30 სექტემბერი



www.tbilisiinternational.com

[www.facebook.com / TBS INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE](https://www.facebook.com/TBSINTERNATIONALFESTIVALOF THEATRE)

სხადი შოქოდელი ლიბრატურა

ცნობიერება და მოღვაწეობა
ქართლში ახვალდინის
ბიანარბანაშვილი

საუბარი
ვერა ჭავჭავაძის
თემატიკით და შენობით
ესაუბრება შოთა იათაშვილი

საავტორო
მალაქაშვილი
აბა შორაილაძე

მოთხრობა
კროსვორდი
ლადო კიტასონია

კოეზია
ლიმიტრი ბახუტაშვილი

საუბრები აბაჟურის ქვეშ
პარსკვლავი
ლათო ტურაშვილი

კრიტიკა:
სანდრო ნავერიანი: „არგენტინული პიგუალი“
ჰაბა ზარქუა: „მკითხველი უნდა მოკვდეს“



ცხოვრება და მოღვაწეობა ერლომ ახვლედიანისა (პორტრეტისათვის)

ავტორი ზია არბანაშვილი
ფოტო ლევან ხარხაულიძე

*ბრძენი სიტყვითა დარჩების,
ოსტატი თავის ხელითა...*
დავით გურამიშვილი

მწერლის შრომაც დაწერილი წიგნებით ფასდება. რაოდენობა არ არის გადამწყვეტი. საუკეთესოთა შორის საუკეთესოთა სწორედ ერთი წიგნით შემორჩნენ ისტორიას. თუმცა, მაინც გულდასაწყვეტია, როდესაც მწერალს, რომელსაც შეეძლო და ვალდებულიც იყო უფრო მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაეტოვებინა, სამი-ოთხი წიგნით მოუწევს მომავალი თაობის წინაშე წარდგომა.

ეს წუხილი ერლომ ახვლედიანის შემოქმედებას ეხება და არ არის მხოლოდ ამჟამინდელი. მკითხველი წლების მანძილზე ელოდა მისგან ახალ წიგნს, ვრცელ მხატვრულ ტექსტს თუ იგავს. წლების მანძილზე წუნუნებდა, მაგრამ იმედს არ კარგავდა.

დიდი მოლოდინი დიდ იმედს აჩენს. ალბათ, ამიტომ, მკითხველმა ვერც შენიშნა ამ სამოცი წლის მანძილზე გამოცემული იგავები, პატარა მოთხრობები, სხვადასხვა ენაზე თარგმნილი და გამოცემული „ვანო და ნიკო“ და სიცოცხლის მიწურულს „სიესტას“ მიერ დაბეჭდილი ახალი რომანი „კოლო ქალაქში“. ახლა

ერთადერთი იმედი მწერლის გამოუქვეყნებელი არქივი რჩება. მკითხველმა უკვე იცის, რომ მწერალი ახალს ვერაფერს შემატებს თავის შემოქმედებას. ახლა გულისტკივილიც უფრო მძაფრდება ერლომის იმ დაუწერელი ტექსტების გამო, რომლებიც ზეპირად ვრცელდებოდა ლიტერატურულ წრეებში.

მართლაც, დაწერილი და გამოქვეყნებული მხოლოდ ერთი რომანი და ერთი პუბლიცისტური კრებული, რამდენიმე პატარა მოთხრობა და ერლომის ცნობილი იგავები დარჩა.

არადა, დასაწყისი როგორი საიმედო იყო...

ნებისმიერი მწერლის შემოქმედებითი გზა აღმავალია. დიდი მწერლების პირველ ტექსტებშიც ადვილი დასანახია გაუნაფავი ხელი, დაუხვეწავი სტილი, სიღრმის არქონა თუ სქემატურობა.

ერლომ ახვლედიანმა კი პირველივე დაჯდომაზე „ვანო და ნიკო“ დაწერა.

შორით არ უთქვამს ერთ იმდროინდელ მწერალს ამ ტექსტის ხელნაწერის ნაკითხვის შემდეგ – ამის დამწერი სხვას ვერაფერს დაწერსო, თუმცა, თქვა.

საბედნიეროდ, მისი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. ჩვენ უკვე მოვინიშნეთ ის დრო, როდესაც „კოლო ქალაქში“ გამოჩნდა.

ახალ რომანში სამყარო ისეთივე უცნაურია, როგორც „ვანო და ნიკოში“. მხოლოდ, პირველი წიგნისგან განსხვავებით, სადაც გაცემული მკითხველი ტექსტის გარეთ დგას, ახლა ის ტექსტშია და თავის ემოციას ვეღარ მალავს. თურმე, ნუ იტყვი და, დილა, სუნი, სიბრაღული, იმედი, ოთახის დალაგება – ეს ყველაფერი არსებობს(!).

„ვანო და ნიკოსგან“ განსხვავებით, ამ წიგნს ერლომი მთელი ცხოვრება წერდა.

თუ პირველ წიგნში სამყაროს ხილვით გამოწვეული სიხარული ჭარბობს, ბოლო წიგნი ცხოვრებაში განცდილი სინანულითაა სავსე.

ლურჯთვალა ია კი, კვლავინდებურად, აქაც ლამაზია...

„კოლო ქალაქში“ ლოგიკური დასასრულია იმ შემოქმედებითი გზისა, რომლის სათავეში „ვანო და ნიკო“ დგას.

თუმცა, ამჯერად (ეს უკვე მერამდენედ), გვერდს ვუვლი მის მხატვრულ ტექსტებს და ერლომ ახვლედიანის იმ სამოც „გაცდენილ“ წელს ვუღრმავდები, რომელიც მწერლის შემოქმედებით სივრცეში ლიტერატურისთვის თეთრ ლაქად მოჩანს. იქნებ, სულაც არ ყოფილა ის ცარიელი...

ერთგან უკვე ვწერდი, ერლომ ახვლედიანმა ლიტერატურას ცხოვრება არჩია-მეთქი...

უნდა ვივარაუდოთ, რომ მან ეს არჩევანი „ვანო და ნიკოს“ დაწერის შემდეგ გააკეთა. მწერლისთვის წერა აღარ იყო მთავარი. მასში ახალი ღირებულებები,

ხოლო მის შესახებ უცნაური დახასიათება გაჩნდა – მწერალი, რომელიც არ წერს...

ერლომის ცხოვრების დიდი ნაწილი კინომ წაიღო...

მეოცე საუკუნეში, არნახულად ნაყოფიერი მეცხრამეტე საუკუნის ფონზე, ქართულ მწერლობას სასწაული უნდა მოეხდინა, მაგრამ მას გზაზე გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობა შეხვდა. ქართული ინტელექტუალური ძალები ისევ დაიქსაქსა. გამოჩნდა ახალი ასპარეზი. კინემატოგრაფი, როგორც ინდუსტრია, მრავალმხრივ იზიდავდა ახალგაზრდებს. ღარიბი მწერლებისთვის ხელოვნების ახალი დარგი ოდნავი სულის მოთქმის საშუალებას იძლეოდა. გარდა ამისა, გამომსახველობითი საშუალებები უფრო მეტ ინტერესს აღძრავდა მკითხველში სწორედ ლიტერატურისადმი, რადგან ეს იყო წიგნის გაცნობის უფრო მოსახერხებელი ფორმა. ამიტომ „ქართულმა ფილმმა“ თავდაპირველად მკითხველ-მაცურებლის მოზიდვა კლასიკური ლიტერატურის ეკრანიზაციით სცადა. დამოუკიდებელი თემების მოძიება და დამუშავება კი სწორედ 50-იანელთა უშუალო მონაწილეობით დაიწყო.

რამდენად შედეგიანად შეძლო ეს ქართულმა კინომ, ეს სხვა თემაა.

გავისხენოთ, „ვერის უზნის მელოდიები“ „ფიროსმანი“, „იყო შაშვი მგალობელი“, „ამბავი ივანე კოტორაშვილისა“, „ამაღლება“, „გიორგობისთვე“ „არასერიოზული კაცი“ და დავფიქრდეთ, ჩვენ რომ ამ ფილმების ფარდი ლიტერატურული ტექსტებიც შეგვექმნა... ალბათ, შევექმნით კიდეც, მაგრამ ინტელექტუალური რესურსი აღარ გვეყო... როგორც ჩანს, ქართველები არ ვკმარვართ ხელოვნების ყველა დარგისთვის..

ამიტომ ვამბობ გულისტკივილით, რომ 50-იანი წლების ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალი კინომ წარგვტაცა.

ახლა კი, შეგვიძლია მხოლოდ წარმოვიდგინოთ ოთარ იოსელიანის, რეზო ჩხეიძის, გიორგი და ელდარ შენგელიაების, ალექსანდრე რეხვიაშვილის

და სხვათა ლიტერატურული შემოქმედება, და თვალი გადავავლოთ კინემატოგრაფის მიერ შექმნილ ტიპაჟებს, რომელთაც რეალური სახეები შემოგვინახეს გასული საუკუნისა...

შეგვიძლია მხოლოდ ვიოცნებოთ ერლომის დაუნერულ რომანებზე „ფიროსმანი“, „არასერიოზული კაცი“, „სულელი ბრონეულის ხე“, „უნიჭო ობობა“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ და სხვა.

ამ მხრივ ერლომის ღვაწლი (ოცამდე კინოსცენარი) მართლაც შესაშურია.

ნუგეშად დაგვრჩება, თუ მკითხველი შეძლებს ამ ფილმებში მწერლის დანახვას. ამისთვის ლიტერატურათმცოდნეთა და კინომცოდნეთა შეთანხმებული დიალოგია საჭირო.

ერლომის პედაგოგიური მოღვაწეობა დიდი საუბრის თემაა.

თუ პედაგოგი ჩვენს წარმოდგენაში ისევ მკაცრი, იმპერატიული ტონით და მენტორის სახით წარმოგვიდგება, მაშინ მართლაც ძნელია ამ ნიშნებით ერლომში პედაგოგის ამოცნობა.

მაშ რატომ ხდება, რომ დღეს ერლომის ჭირისუფლებს შორის სწორედ მისი მოწაფეები ჭარბობენ.

შეგნებულად არ ვამბობ – მოსწავლეებს, რადგან ახალგაზრდები ერლომისგან არა (მხოლოდ) ცოდნას იძენდნენ, არამედ გარკვეულ უნარებში ინაფებოდნენ (მონაფე).

შეიძლება გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ შეფასება – თვალის ახელა, ცხოვრების შეცნობა, – მაგრამ ვთქვათ, რომ ეს ასე იყო.

ერლომი ახალგაზრდებს საკუთარი თავის შეცნობაში ეხმარებოდა.

თვითონ ერლომის ცხოვრების იგავსაც ხომ ასე ერქვა: „კაცი, რომელმაც საკუთარი თავი იპოვა“.

ალბათ, ამიტომ, რომ სხვადასხვა წრისა და ასაკის ადამიანებს – მწერლებს, სცენარისტებს, რეჟისორებს – ურთიერთობისა და ნდობის ყველაზე საიმედო პირობად დღესაც ერლომის მონაფეობა მიაჩნიათ.

ურთიერთნდობას ინვესს ღირებულებათა ერთიანობა, მორალური და ზნეობრივი საზღვრები და შინაარსეული დამოკიდებულება შემოქმედებისადმი.

მათ იცინან, რომ საინტერესო შემოქმედების გარანტიას მხოლოდ საინტერესო ცხოვრება იძლევა.

ეს მათ ერლომმა ასწავლა და ჩვეულებრივი ცხოვრების უპირატესობა დაანახა.

ახლაც მგონია, დიოპტრიის სათვალეები ერლომისათვის არა ცუდი მხედველობის გამოსწორების, არამედ უკეთ ხედვის საშუალება იყო.

ყველაფერი ბიბლიის კითხვით დაიწყო...

შორსმიმავალი მიზნების, წინასწარი გეგმის გარეშე (ერლომს არ უყვარდა სასწავლო გეგმები), მარინე რჩეულიშვილის ნაქეზებით, ერლომმა საკუთარი დისციპლინისა და მეგობრების შვილებისთვის ბიბლიის კითხვა დაიწყო. თავდაპირველად შვიდიოდე მონაწევს პატარა ოთახიკ თავისუფლად იტევდა და სკამებიც ჰყოფნიდა....

მსმენელთა წრე თანდათან გაფართოვდა. ასაკმა და რაოდენობამაც შესაბამისად მოიმატა. ოთახში აღარ ეტეოდნენ და ეზოში გადაინაცვლეს. სხვადასხვა თემატურ საკითხზე ახლა უკვე ერლომის მეგობრებიც კითხულობდნენ ლექციებს. ზემო ვაკეში გაგანია კომუნისტურ ხანაში ბიბლიის ასე სახალხოდ კითხვა, ბუნებრივია, შეუძმნეველი არ დარჩებოდა იმდროინდელ ხელისუფლებას. თუმცა, დარბევა და აკრძალვა ნამდვილად არ ყოფილა...

გასული საუკუნის 70-იან წლებში ეს იყო მასობრივი თავშეყრის ერთ-ერთი ლეგალური ცენტრი, საიდანაც, უმეტეს შემთხვევაში, გზა ეკლესიისკენ მიდიოდა.

შეკრებებს ესწრებოდნენ დღეს უკვე მაღალი სასულიერო იერარქიის წარმომადგენლები – მეუფე დანიელი და მეუფე იობი...

როდესაც ეკლესიამ ძალა მოიკრიბა, ერლომმა საკვირაო სკოლა დახურა. უნივერსიტეტის მეორად ფაკულტეტზე გადაინაცვლა. შემდეგ იყო თეატრისა და კინოს ინსტიტუტის სასცენარო განყოფილება. შეიცვალა საგნის სახელწოდება. შინაარსი და სტრუქტურებთან საუბრის თემა არ შეცვლილა.

უცნაური იყო, რომ ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე, როცა არნახულად გაიზარდა სახელოვნებო სასწავლებლების რიცხვი, ჩვენში აღარ გამოიქმნა არცერთი ინსტიტუტი ან სკოლა, რომელსაც ერლომისნაირი პედაგოგი დასჭირდებოდა.

ერლომს ამის გამო არ უნუნუნია. მეცადინეობის კურსი კი არასოდეს შეწყვეტილა.

ზემო ვაკეში, ტაბიძის ქუჩაზე, იქ სადაც ერლომმა ცხოვრების დიდი წინილი გაატარა, ჭავჭავაძის პროსპექტიდან ტაქსი მანეთად აღიოდა.

დაბლა, ყოფილი კინო „ყაზბეგის“ სიახლოვეს მდგარი ტაქსებიდან დღეში სულ ცოტა ორ-სამს მაინც უწევდა მასთან ასვლა.

ვინც პირველად მიდიოდა ერლომთან, „ძველები“ ასე ასწავლიდნენ გზას: მიხვალ კინო „ყაზბეგთან“, ეტყვი ერლომთან მივდივარ და აგიყვანს“.

– საოცარი კაცია – რატომღაც ყველა ტაქსის მძღოლი ჩაჯდომისთანავე ამ სიტყვებით გვხვდებოდა.

რა იცოდნენ ტაქსის მძღოლებმა ერლომის შესახებ და რატომ იყო ერლომი საოცარი კაცი, ამაზე საუბრის დრო არასოდეს რჩებოდა. ის კი არა, პოლიტიკასა და ამინდზეც ვერ ჩამოაგდებდი მძღოლთან სიტყვას, იმდენად მოკლე გზა იყო ერლომამდე.

ზაფხულში უმეტესად ეზოში ტრიალებდა, ზამთარში კი სახლში იჯდა და პირველივე დაძახილზე ეხმაურებოდა მომსვლელს.

ეს სახლი დღესაც ძველ ეკლესიასა ჰგავს.

ზუსტად ასრულდა მშენებლის დაწესებულება: ეს სახლი იმისია, ვისაც აქ მოსვლის სურვილი ექნებაო.

ეს სიტყვები ერლომ ახვლედიანის მამას, სერგო ახვლედიანს (სერგო პაპას) ეკუთვნის. ამ სიტყვებით მან თითქოს განსაზღვრა არა მხოლოდ სახლის დანიშნულება, არამედ მისი ახალი მეპატრონის ცხოვრების წესი.

კარი და ჭიშკარი ყოველთვის ღია იყო.

თუ შემთხვევით ერლომი სახლში არ დახვდებოდა, სტუმარს შეეძლო ოთახ-

ში შესულიყო და დალოდებოდა. კარზე ჩამოკიდებული იყო საწერ-კალამი, ამ ჩანაწერიდან შეიტყოდა, თუ როდის დაბრუნდებოდა მასპინძელი. და თუ მაინც უკან დაბრუნებას გადაწყვეტდა, კიდევ რჩებოდა შანსი მასპინძელს გზაში გადაეყოლა, რადგან სახლამდე კინო „ყაზბეგიდან“ მხოლოდ ერთი გზა აღიოდა.

თუმცა, უმეტესად ერლომი პირველივე დაძახილზე გამოდიოდა სახლიდან...

აუცილებლად გაოცებული სახით და არანაკლებ გაკვირებული ხმით. ალბათ, ამაზე მეტად არ გაუკვირდებოდა, ციდან რომ ჩამოვარდნილიყავით ან გამხმარი ფოთოლივით ნიავს გადმოყოლოდით მის ეზოში. მოგიკითხავდათ და სულ რამდენიმე წუთში სტუმარი უკვე მასპინძლად გრძნობდა თავს, ხოლო ყოფილი მასპინძელი მორიდებით ჯდებოდა სტუმრის მიერ შეთავაზებულ სკამზე და საუბარიც ნელ-ნელა ეწყობოდა...

ყოველთვის ცდილობდა მხიარული სჩვენებოდა მომსვლელს, ათასწირ ხუმრობას იგონებდა მის გასართობად...

ცხადია, სტუმარს ყოველთვის საქმე ჰქონდა, ერლომი კი, როგორც წესი, ყოველთვის მოცლით იყო.

ის ხომ მუდამ მიზეზს ეძებდა, რომ არ ეწერა, მასპინძლის მოვალეობა კი საუკეთესო მიზეზი იყო ამისთვის. მით უმეტეს, რომ სტუმართა უმრავლესობა სწორედ წერაში სთხოვდა მას დახმარებას.

ზოგი ზეპირად უყვებოდა, უფრო მონესრიგებულნი კი, უკითხავდნენ საკუთარ სცენარებს, მოთხრობებს, ნოველებს...

ერლომი არასოდეს ინუნებდა ნამუშევარს, შენიშვნებსაც ვერ დაარქმევდით, როცა ერლომი შენს თემას აიტაცებდა და საკუთარ აზრებს ისე ოსტატურად მოგახვევდა თავს, რომ დარწმუნებული იყავი, სწორედ შენი იდეები კვებავდა მის უშრეტ ფანტაზიას...

ასე სტიქიურად ინყებდა მუშაობას ერლომის სახელოსნო, რომელიც ხშირად იშლებოდა და თავიდან იქმნებოდა.

არ უნდა დამავიწყდეს იმის თქმა,

რომ ეს სახლი გურამ რჩეულიშვილის ხსოვნასაც ინახავს...

გურამისა და ერლომის სახელები ჯერ ცხოვრებამ, ხოლო შემდეგ ლიტერატურამ დაანეცვილა.

მათ ურთიერთობაში გურამმა გარკვეული „უპირატესობა“ მიიღო თავისი ტრაგიკული სიკვდილით, ერლომი კი მის ფონზე სიცოცხლით „დაიჩაგრა“.

ახლა, როცა ერლომსაც ყველა ანგარიში გაასწორა სიცოცხლესთან, მათი შემოქმედებითი ურთიერთობა ხელახალ საკვლევ საგნად უნდა იქცეს.

ამ მხრივ მუშაობა უკვე დაწყებულია:

„... ახალი ლიტერატურული ტალღის ღირსეულ წარმომადგენლებად „50-იანი წლების მიწურულის ქართულ პროზაში დავასახელებდი გურამ რჩეულიშვილს და ერლომ ახვლედიანს. მათი შემოქმედება შეიძლება განვიხილოთ, როგორც იზოლირებული ქართული საბჭოთა ლიტერატურის საერთაშორისო ლიტერატურულ ორბიტაზე დაბრუნების წარმატებული მცდელობა, განხორციელებული ქართული მოდერნიზმის მეთოდური განადგურებიდან თითქმის ოცდაათწლიანი ინტერვალის შემდეგ...“ – ირმა რატიანი

ორივეს ტოტალიტარულ სახელმწიფოში მოუწია ცხოვრება.

50-იან წლებში, როცა რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის ახალი ტალღა აგორდა, მის ავანგარდში, როგორც ყოველთვის, მწერლები იდგნენ. თუ ერთი მხრივ, ლიტერატორები ამაგრებდნენ და უძღვნიდნენ ქებას ბოროტების იმპერიას, საპირისპირო მხარესაც ლიტერატორები გამოდიოდნენ.

ეს სრულიად გასაგებია, რადგან ბრძოლის ერთადერთი იარაღი მხოლოდ სიტყვა იყო.

დისიდენტური ჯგუფი მწერლებისა შეფარულად მოქმედებდა. მათი ტექსტებიც არალეგალურად ვრცელდებოდა.

იყო მესამე ჯგუფი, ისიც ლიტერატორებისა, რომლებიც სტრაიქონებს შორის აპარებდნენ სასურველ სიმართლეს. ისინი უმრავლესობას წარმოადგენდნენ. მათ მხატვრულ სახეებში იკითხებოდა გველეშაპის სახე, რომელსაც წმინდა გიორგი შუბით გმირავდა.

გურამი და ერლომი არცერთ ჯგუფში არ იყვნენ. შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი არ იზიარებდნენ ბრძოლის არცერთ მეთოდს. სხვა აზრი ცილისწამება იქნება, რადგან ჯერ კიდევ არსებობენ თვითმხილველნი, რომლებსაც კარგად ახსოვთ გურამის მიერ ლენინის ძეგლისთვის ნასროლი ტყვია.

იმპერიული პოლიტიკა არც ისეთი მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. დაპყრობილ ქვეყნებში არსებული ყოველგვარი წინააღმდეგობა მათ პოლიტიკაში გათვალისწინებულია. შეუძლებელია მათ არ იცოდნენ, რომ „ორთქლის გამოშვება“ მხოლოდ აძლიერებს მათ ძალაუფლებას. ამდენად, რაც არ უნდა შეურიგებელი იყოს ბრძოლა, წინასწარ დაწერილი სცენარის გარეთ მაინც არასოდეს გადის.

გურამმა ზუსტად ამოიცნო ეს სქემა: „ხელოვნებისთვის და ხელოვანისთვის ყველაზე საშიშია არ წამოეგოს იმას, რასაც უკრძალავენ...“. დაპყრობილ ქვეყანაში ხელოვანს სწორედ თავისუფლების, დამოუკიდებლობის სურვილს უკრძალავდნენ. სამწუხაროდ, ჩვენი ლიტერატურა მაინც წამოეგო ამ ანკესს. სიტყვებს თავისუფლებისა და სამშობლოს შესახებ თითქოს გამოეცალა შინაარსი და უსაგნო ბგერების კორიანტელად იქცა.

50-იანელთა თაობას მემკვიდრეობით შინაარსგამოცლილი თავისუფლება, გაკერპებული სამშობლო და ვნებადაცლილი ადამიანები ერგო.

„ალავერდობაში“ გურამ რჩეულიშვილმა სრულიად უარყო ამბოხის გზა (ამ ტექსტს ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ თავისებურ ინტერპრეტაციად ვთვლი). ერლომ ახვლედიანმა კი ეს ღირებულება მშვენიერების ენაზე თარგმნა და მთლიანად გაანეიტრალა ამბოხის (აქ ვიზიარებ ამბოხის ქრისტიანულ გაგებას) სურვილი.

მათ შემოქმედებაში ახალი ადამიანები გამოჩნდნენ. გურამმა ახალი სისხლით აავსო მათი კაპილარები და ძარღვები, ხოლო ერლომმა მშვენიერი კანით დაფარა მათი სხეული.

ჭეშმარიტება პირდაპირ კავშირშია მშვენიერებასთან. იქ, სადაც ჭეშმარიტება პროტესტს იწვევს, მშვენიერებას შეუძლია სრულიად გაანეიტრალოს მემბოხური სული.

გურამისა და ერლომის მხატვრულ შემოქმედებაში სრულიად განსხვავებულად გამოჩნდა სამშობლოს თემა.

გურამ რჩეულიშვილი: „დამალეთ, დამალეთ ეს ქვეყანა...“

ერლომ ახვლედიანი: „არ არსებობს უფრო ჩუმი სათქმელი სიტყვა, ვიდრე მამულია...“

ამავე დროს გახმაურდა გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა: „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“.

გურამმა და ერლომმა სრულად დააღწიეს თავი მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურულ გავლენას და ამით სწორედ მათ კანონიერ მემკვიდრეებად იქცნენ.

იყო ცხოვრების ერთი სფერო, რომელშიც მებრძოლი, შემართული, მიზანდასახული, აქტიური და რაც უფრო საკვირველია, პრაქტიკული ერლომი მახსოვს. საერთოდ კი, არასოდეს გამდგარა განზე საზოგადოებრივი ცხოვრებისგან. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ერთ-ერთი პარტიის (თუ საზოგადოების) საარჩევნო სიის პირველ ათეულშიც კი იყო დასახელებული. მგონი, დღესაც ვინახავ მის საარჩევნო პლაკატს, რომლის პირველი მუხლი თითქმის ამომწურავად განსაზღვრავდა მის პოლიტიკურ პლატფორმას.

„შიში ღვთისა გვიხსნის ყველა სხვა შიშისგან“.

ნიგნში „ძველი და ახალი“ ერლომ ახვლედიანმა უფრო ზუსტად ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკური კრედიო. ამ ნიგნში ერთ-ერთი წერილი სამშობლოს („ვეძებ სამშობლოს“) ეხება:

„ვეძებ სამშობლოს, როგორც ველიდან დაბრუნებული ფუტკარი თავის სკას და ვერ ვაგნებ. თითქოს სკაც იგივეა და ჩემი თანამომძენიც იგივენი არიან, მაგრამ საიდან მოდის ეს გაუცხოება? რომელი ნასვრეტებიდან დაიკალა სკა იმ სითბო-სიმყუდროვისგან, რომელსაც ასრერიგად ვიყავი შეჩვეული.“

მახსოვს ედუარდ ჰეილის „უსამშობლო კაცის“ (თამაზ ნატროშვილის თარგმანი) ნაკითხვის შემდეგ სამშობლოზე ვსაუბრობდით და მივხვდი, რომ ერლომს დიდი ხანია მისი „მექმნა“

ჰქონდა დანყებული. მონიშნული ჰქონდა ის ზნეობრივი საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც მისი ქვეყანა უნდა აშენებულიყო.

90-იან წლებში ერლომმა გადანყვიტა თავის მონაფეებთან ერთად ნაოცნებარი სამშობლოსთვის ხორცი შეესხა. სოფლის აშენება გადაწყვიტეთ. ეს უნდა ყოფილიყო იმ სამშობლოს მოდელი, რომელსაც ერლომი ქმნიდა. შორიდან შეიძლება სულხან-საბას სოფლის მაშენებლებს ვგავდით, მაგრამ ენთუზიაზმი მართლაც დიდი იყო. კომუნისტურმა ხელისუფლებამ მათთვის უჩვეულო მხარდაჭერა აღგვიტყვა და ტერიტორიის გამოყოფის საქმეც თითქმის ბოლომდე მივიყვანეთ...

სამწუხაროდ, დრო აირია. ტრაგიკულად დაიღუპა ერლომის მოსწავლე, ამ იდეის ერთ-ერთი აქტიური წევრი გიორგი რევიშვილი, დაიწყო სამოქალაქო ომი და ეს იდეაც სამუდამოდ მოკვდა.

არავინ იცის, იქცეოდა თუ არა ეს სოფელი ოდესმე აკადემოსის ქალად, თუმცა ერლომის ქვემოთმოტანილი აზრები, როგორც „ახალი სამშობლოს“ ახალმოსახლეთა შინაგანი კონსტიტუცია, აუცილებლად გახდებოდა მსჯელობის საგანი.

სამშობლოსათვის

ჩემი სამშობლო, ჩემი საქართველო, ჩემი მამული! არ არსებობს უფრო ჩუმად სათქმელი სიტყვები. მე ამ ნეტარ სიჩუმეში გავატარე მთელი ჩემი ცხოვრება და არსოდეს მომდომებია, ეს განცდა გამომეთქვა და გამომეხატა. მე ამ განცდაში ვიყავი, როგორც მერცხლის ბარტყი მერცხლის ბუდეში

აფხაზეთისთვის

ქეშმარიტი გამარჯვება ჯერ წინ არის. თუმცა, მას არ ექნება ის სულმდაბლური საზეიმო განწყობა, რომელსაც შეჩვეულნი ვართ, რათა საბოლოოდ ვთქვათ – აჰა, ქართველების „დამარცხებასა“ და აფხაზეთის „გამარჯვებაზე“ ვზეიმობთ საერთო გამარჯვებით ურთიერთმტრობაზე.

პარტიებისათვის

რას ნიშნავს პარტიების სიმრავლე? ნუთუ ასეთი მრავალფეროვანი და განსხვავებულია ჩვენი შეხედულებები, მიზნები და ამოცანები? ნუთუ ჩვენს ერს, ჩვენს ხალხს ერთი სამშობლო და ერთი სატკივარი არა აქვს? და თუ მას ერთი სატკივარი და ერთი სამშობლო აქვს, ხოლო ჩვენ ყველას მისი ხსნა და კეთილდღეობა გვინდა, და გვინდა ეს გულწრფელად და უანგაროდ, მაშინ რატომ ვასუსტებთ ერთმანეთს, რატომ ვერ ვხედავთ ერთმანეთში თანამებრძოლს, რატომ არ ვუსმენთ სხვას? განა სხვისგან ნათქვამი უმჯობესი აზრი შენი არ არის? რად გავმართეთ ამბიციების დოლი?

ეკლესიისთვის

დღეს ჩვენი ეკლესია მიაგავს თავსაფრიან დედაკაცს, უარყოფილ თავისი შეილების მიერ თავისი თავსაფრიანობის გამო. დედობილებს და დედინაცვლებს ეძებენ ამ თანამედროვე, მოდერნიზებულ რელიგიებში. ეს დამლუპველია საქართველოსთვის. ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთობა დაკავშირებულია დემოკრატიის საკითხთან. დემოკრატია მოიყოლია იდეა, რომ ყოველი კაცი თავის თავის მოძღვარია. ამიტომ ხდება ადამიანების დაქსაქსვა...

მინისტვის

ფერმერული ფორმა მეურნეობისა არ ატარებს ეროვნულ ნიშანს, ხასიათს. ფერმერობას კი არ ვუპირისპირდები, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენს მცირემიწიან ქვეყანაში გლეხი უნდა იყოს დაკავშირებული მიწასთან, ტყესთან. გლეხის კარ-მიდამო იდენტიფიცირებულია მამულის ცნებასთან, როცა ის იცავს თავის კარ-მიდამოს, იცავს მამულსაც და პირიქით, როცა იცავს მამულს, იცავს თავის ეზო-კარს. ეს მთლიანობა მყარია.

ნატვრისთვის

ნუ გადაფარავს და დააკნინებს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ხსნის იმედს. ნუ დავრჩებით ფუჭი ნატვრის ანაბარა, რომ ღმერთი ფრთებს გამოგვასხამს და გავფრინდებით უკაცრიელ უდაბნოში, ადამიანებისგან შორს. ის

ამ ნატვრას მაინც არ შეგვისრულებს, რადგან ღმერთი არასოდეს შეგისრულებს იმას, რაც არ გჭირდება.

დროა, მიწაზე დავეშვათ და იქ ვეძებოთ ნუგეში, ოღონდ შევეურიგდეთ ღმერთს, ვენდოთ მის სიტყვებს და ის დაგვანახებს ამ ძალას ჩვენშივე.

ერლომი ყველას უყვარდა. მისი ცხოვრებით გაბედითდა ცნობილი სენტენციები: „უმეტრო კაცი არ არსებობს...“, „ცუდას რად უნდა მტერობა...“ და ა.შ.

მტრობას შური ინვევს. შეიძლება ვინმეს შენი კარგად შელესილი სახლი, ან სიმდიდრე, ან ბედნიერება შემურდეს.

ერლომს კი ისე მოუწყო ცხოვრება ღმერთმა, რომ შესაშური არაფერი ჰქონდა.

თუმცა, მე მაინც მახსოვს ერთმა კაცმა ბრაზით თქვა: რა უნდა შემურდეს, ერთი წარუმატებელი კაციოო...

შევატყვე, რომ მაინც შურდა.

მართლაც უცნაური კაცი ყოფილა ერლომი. შესაშური არაფერი დაიტოვა, რომ ირგვლივმყოფთათვის შურის საფუძველი არ მიეცა. მათ კი თურმე მაინც შურდათ.

მტრად უნდა იყო დაბადებული, რომ კაცის წარუმატებლობა შეგშურდეს...

რასაც არ უნდა წერდეს მწერალი, ის ყოველთვის თავის პორტრეტს ქმნის. ამ მხრივ, მწერლობა სახიფათო საქმეა. არ ვიცი გამოკვლეულია თუ არა ის შემთხვევები, როდესაც მხატვრული ტექსტის ფაბულას, ხშირად ტრაგიკულ დასასრულს, თუ როგორი სიზუსტით იმეორებენ ავტორები. აქ ორი აზრი შეიძლება იყოს. ან ავტორები წინასწარ ხედავენ თავიანთ მომავალს და თავისდაუნებურად აღწერენ მას, ან თვითონვე ხდებიან თავისი ბედის წერა-მწერალნი. უნებურად ექცევიან საკუთარი ტექსტის ტყვეობაში და როგორც საბედისწერო თოკს, ისე მიჰყვებიან მათ მიერვე დადგმულ სცენარს.

მე კიდევ ერთხელ გულდასმით გადავხედე ერლომ ახველდიანის შემოქმედებას. რათა სახე, სურათი ან ეპი-

ზოდი აღმომეჩინა, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს დღევანდელ დღეს, როცა ერლომი ამქვეყნად აღარ არის და ჩვენ, მისი ახლობლები, ვცდილობთ, რაც შეიძლება ზუსტად დავხატოთ მისი პორტრეტი.

ამას ვერაფრით მოვახერხებთ, თუ თავს ერლომის საუკეთესო მეგობრად არ ჩავთვლით.

ამ სურვილში ცუდი არაფერია, თუმცა, ვნახოთ რას იტყოდა ამაზე ერლომი.

ამ ნაწყვეტში ვანო ერლომით შევცვალეთ (ცხოვრებაშიც ხომ ხშირად გაგვივლია ეს პარალელი). ხოლო შეიძლება ნიკო – ჩვენი, ყველა ერთად....

„ერთხელ ნიკო შვიდი იყო. ვანო (ერლომი) კი ერთი იყო და თანაც პატარა. ერთმა ნიკომ ვანო გაზარდა და თქვა – ვანო ჩემიაო.“

მეორე ნიკომ ტანთ ჩააცვა და თქვა – ვანო ჩემიაო.

მესამე ნიკომ არც გაზარდა და არც ჩააცვა და მინც თქვა – ჩემიაო ვანო.

მეოთხე ნიკომ ქუდი დაახურა. ქუდი

ცოტა დიდი მოუვიდა ვანოს, რადგან პატარა იყო ვანო, მაგრამ მეოთხე ნიკო ვანოს მინც იჩემებდა.

მეხუთე ნიკო ყველა ნიკოზე ღონიერი იყო და თქვა – ვანო ჩემიაო.

მეექვსე ნიკო, მართალია, არაფერს ამბობდა, მაგრამ ამით ის უნდოდა ეთქვა, რომ ვანო მისი იყო.

მეშვიდე ნიკო ვანოს მასწავლებელი იყო და ბევრი რამე ასწავლა ვანოს, მაგრამ ბოლოს ისიც უნდოდა ესწავლებინა, რომ ვანო სწორედ მისი იყო.

ვანო პატარა იყო და თანაც ერთი და აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, ვისი იყო. ხან ერთ ნიკოს ეუბნებოდა, შენი ვარ, ხან მეორე ნიკოს ეუბნებოდა, შენი ვარ, ხან მესამე ნიკოს ეუბნებოდა, შენი, და ხან ყველას ერთად ეუბნებოდა, თქვენი ვარო.

ერთხელ ვანო წავიდა და დიდი მუხის ქვეშ წამოჯდა და ჩაფიქრდა:

„ვისი ვარ?“

მგონი, მე პირველი ნიკოსი არ ვარ. მგონი, არც მეორე ნიკოსი ვარ. მესამე ნიკოსი არ ვარ და არა ვარ. მეოთხე

ნიკოსი? – არა! მეხუთე? – არა! მეშვიდე ნიკოსი არ ვარ და აბა, მეექვსე ნიკოსი როგორღა ვიქნები“.

მერე წამოდგა, ტყე გაიარა და ველზე გავიდა. ყვავილები დაკრიფა და ცას ახედა. მერე ისევ ტყეში შევიდა. ისევ დიდი მუხის ქვეშ წამოჯდა და უცებ თქვა: „მგონი, ჩემი ვარ“.

კვდებოდა ვანო და თვითონ იყო თავისი.

კვდებოდა ვანო, პატარა ვანო, ერთი ვანო და უხაროდა, რომ არავისი არ იყო და თვითონ იყო თავისი...“

არსებობს ერლომის ცხოვრების ერთი მხარე, რომელზეც არაფერი გვითქვამს. ეს არის ერლომის ეკლესიურობა. მან განსაზღვრა ერლომის ცხოვრების წესი და რაც არ უნდა ვილაპარაკოთ ერლომზე, უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაფრის თავკიდედ ერლომის ქრისტიანული რწმენა, მისი ეკლესიისადმი ერთგულება დევს.

Cafe Kala acidbar **K&B**
still watching you

kala.ge

რესტორანი პასტორალი
მეგრული სამზარეულო





PASTORAL RESTAURANT
MENGRELIAN CUISINE 6 Erekle II str. T: 592 31 19 19, 2 99 90 19

New!
Fantastic Duhan
8 Chanturia st.
Tel: 592 681166



Kala group

Cafe Kala: 8/10 Erekle II str. tel: 599 799 737. Acid Bar /1/: 3a Al. Kazbegi Ave. tel: 599 101 238. Acid Bar /2/: 37 Abashidze str. tel: 591 681 000.
Acid Bar /3/: 9 Leonidze st. tel: 592 221 13. Acid Bar /4/: Gldani 2 Mkr. building N24.T: 592 411980.
Cafe KGB: 8/10 Erekle II str. tel: +995 32 2 985 013, 599 67 44 88.



ფოტო: ქაიკოლა კიციანი

შოთა იათაშვილი. ვერა პაპლოვა და მისი მეუღლე, სტივინი სეიფური ფესტივალზე „ქივსაქი ლავარი“. ქივი, მაისი 2011

ვერა პაპლოვასთან თქვენოვით და შენოვით

ინტერვიუ შოთა იათაშვილი

12 მაისი, შაბათი. დილის 5-ის ნახევარი

შ. ი. ვერა, ძვირფასო, გახსოვარ?
ვ. პ. რა თქმა უნდა!
შ. ი. ერთი იდეა მაქვს: თუ დრო გე-
 ქნებათ, იქნებ, ერთი კაი ქართული
 ჟურნალისთვის გვესაუბრა?
ვ. პ. ქართულ ენაზეა ჟურნალი?
შ. ი. კი.
ვ. პ. მაშინ თანახმა ვარ. რუსული
 რომ ყოფილიყო, არ დაგთანხმდებო-
 დით. არ მინდა, რომ რუსულის მცოდ-
 ნეებმა იკითხონ ჩვენი საუბარი. რუსუ-
 ლად უკვე ძალიან ბევრი ვიყბედე.
შ. ი. მაშინ ჩვენ, აქვე შეგვიძლია ვი-
 საუბროთ.
ვ. პ. აქვე? ფბ-ზე? რაღაც არ მიყვარს
 აქ მიმონერა, სკაიპში მირჩევენია.
შ. ი. პრინციპში, ჩემთვის სკაიპი იგივე
 ფენომენია, რაც ფეისბუქი, რა მნიშვნე-
 ლობა აქვს, აქ ვილაპარაკებთ თუ იქ?
ვ. პ. იქ შეიძლება უფრო გაიხსნა. აქ
 რაღაც ძალიან შეზღუდულად ვგრძ-
 ნობ თავს.

შ. ი. კეთილი. და როდის?
ვ. პ. თბილისსა და ნიუ-იორკს შორის
 რამდენი საათია განსხვავება?
შ. ი. ახლა აქ თითქმის დილის ხუთის
 ნახევარია.
ვ. პ. ოჰო!
შ. ი. მე დილის რვა-ცხრა საათამ-
 დე არ ვიძინებ სოლმე, ასე რომ, ჩემი
 მხრივ პრობლემა არაა.
ვ. პ. კვირას რომ ვილაპარაკოთ?
 ახლა მე და სტივი რაღაც წიგნს ვა-
 რედაქტირებთ, ცოტა დაკავებული
 ვარ. იქნებ სკაიპები გაგვეცვალა? ჩემი
 სკაიპია *****
შ. ი. ახლავე დაგიმეგობრდებით!
 (სკაიპი ირთვება)
ვ. პ. სალამი!!!!
შ. ი. ვერა, თუ ცოტა დრო მაინც
 გაქვთ, იქნებ ექსპრომტად დაგვეწყო
 დიალოგი და მერე ნელ-ნელა გავაგრ-
 ძელოთ.
ვ. პ. უფ, აქ მეტი სივრცეა! კაი, ვცა-
 დოთ!
შ. ი. მაგალითად, აი, პირველი ასე-

თი უცნაური კითხვა: თქვენი ლექსები
 ხანდახან ტკივილს გაყენებენ სოლმე?
ვ. პ. უფრო ზუსტად რომ ვთქვა,
 ჩემს ლირიკულ გამირ ქალთან მაქვს
 სოლმე ჩხუბი. როგორ არ გრცხვენია?
 – ვეუბნები. ის კი, თავისთვის ჩუმად
 იცინის...
შ. ი. ანუ, ცინიკურია?...და ეს მუდამ
 გასდის?
ვ. პ. არა, ეს რაღაც დედაშვილური
 დამოკიდებულებაა: ის, თავნება გოგო-
 ნაა ჩემთვის. არა ცინიკური, არამედ
 თავისნათქვამა. განებივრებული. და
 მუდამ ცდილობს, თავისას მიაღწიოს.
 იმიტომ, რომ ჩემი საყვარელი ქალიშ-
 ვილია!
შ. ი. და მხოლოდ გოგონა გყავთ?
ვ. პ. კი. და ორი.
შ. ი. და ვაჟიშვილი, არა?
ვ. პ. ნწ!..
შ. ი. და ეს ორი ქალიშვილი როგო-
 რია? რა განსხვავებაა მათ შორის?
ვ. პ. ერთი, 23 წლისაა, მეორე - 29-
 ის! მაგრამ ასაკზე ხომ არ მეკითხებო-

დით? ერთი, მომღერალია, მეორე – კაი ადამიანი!

შ. ი. ჰა-ჰა! კაი ადამიანი! რა საინტერესოა! ანუ როგორია?

ვ. პ. ძალიან კარგი საოპერო მომღერალია.

შ. ი. ისე, ზღაპრებში მუდამ სამნი არიან ხოლმე და არა ორნი. როგორ ავხსნათ ეს?

ვ. პ. ჩემი შეცდომაა. მესამეც უნდა გამეჩინა. მაგრამ დამეზარა.

შ. ი. და სტივი რას შვრება?

ვ. პ. ამერიკულ თარგმანს არედაქტირებს. ერთად ვაკეთებთ ამას. თქვენ რა, გვთავაზობთ, მესამე ქალიშვილის გაჩენით დაკავდეთ?

შ. ი. არა, მე უბრალოდ მაინტერესებს, თავად იგი ამას ხომ არ გთავაზობთ ხოლმე. ისე, პრინციპში, რედაქტირება იქნებ მესამე ქალიშვილიცაა?

ვ. პ. ჩვენ გვყავს საერთო ქალიშვილი – ამერიკული ნიგნი, ჩემი ლექსები მისი თარგმანებით! კარგი გოგონაა!

შ. ი. ისევე გოგონა! თქვენ რა, ფემინისტი ხართ?

ვ. პ. ნიგნი მდებარობითი სქესისაა. ყველა ნიგნი გოგონაა.

შ. ი. ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ მარტო-ნიგნები არ არსებობენ?

ვ. პ. შოთა, თქვენი ნიგნები რა, ბიჭებია? ქართულად ამ სქესის ნიგნები არსებობს?

შ. ი. უიმი, ჩვენ ხომ უსქესოები ვართ! ქართულში სქესი არ არსებობს. ამიტომაც არ გვესმის ასეთი დამოკიდებულებები!

ვ. პ. უბედურებო, სქესის გარეშე როგორ არსებობთ? ინგლისურად რომ ვთარგმნით ჩვენს ტექსტებს, ამ უსქესობით ისე ვიტანჯებით!

შ. ი. ინგლისურში „არასაჭირო“ ზრდილობიანობაა. ყველა თქვენობით ლაპარაკობს და არა შენობით. და ეს ყველაზე ცუდია.

ვ. პ. არა, არა! უსქესო არსებითი სახელები და ზმნები – აი, რა არის უბედურება!

შ. ი. იქნებ სჯობს, შენობითზე გადავიდეთ? მგონი, კიევში, ერთხელ უკვე გადავკვეთეთ ეს საზღვარი.

ვ. პ. ჰო, ეს მეც მახსოვს. კეთილი, შენობითზე გადავიდეთ!

შ. ი. ისე, პრინციპში, შენ ჩემი თაო-

ბის პოეტი ხარ. რამდენიმე დღის წინ მინდოდა შენთვის დაბადების დღე მომლოცა, მაგრამ იმდენი ადამიანი გილოცავდა, რომ ამან დამამუხრუჭა.

ვ. პ. მართლა?

შ. ი. ჰო... 49-ის ხარ, არა? მე კი 45-ის, მალე 46-ის გავხდები.

ვ. პ. 140-მა კაცმა მომილოცა – ეს რა, ბევრია?

შ. ი. მხოლოდ 140-მა? საშინელება!

ვ. პ. ხედავ? შეგეძლო მოგელოცა კიდევ.

შ. ი. ნუ, 141-ე ვიქნებოდი...

ვ. პ. უკვე უკეთესია.

შ. ი. და ეს ყველაფერი რატომ დაითვალე? რა, მნიშვნელოვანია ეს შენთვის?

ვ. პ. მე საერთოდ ყველაფერს ვითვლი. ასეთი მანია მაქვს. ყველა ნაბიჯს ვითვლი. სიზუსტე მიყვარს.

შ. ი. და ლექსებში მარცვლებსაც ითვლი, არა?

ვ. პ. იყო დრო, რაღაც რიცხვი მახსოვდა – იცი, როგორი სიზუსტით? მძიმეს მერე ოცი ციფრი... და სინათლის სხივის ზუსტი სიჩქარე, მძიმეს მერე რაღაც ციფრები იქაც... მარცვლები კი, მარტო ჰაიკუში მახსოვს: 5-7-5. უფრო ასოებს ვითვლი ხოლმე, ვიდრე მარცვლებს.

შ. ი. მომისმინე, მათემატიკასთან და ფიზიკასთან როგორ ხარ?

ვ. პ. ერთი ხელნაწერი ნიგნი მაქვს. იქ 74 ლექსი აღმოჩნდა, რომლებშიც 50, თუ უფრო ნაკლები ასოა. და სადღაც, ათამდე ლექსი, რომლებშიც ზუსტად 51 ასოა. და ისინი იქ იმიტომ შევიტანე, რომ სიზუსტე იყო ყველაზე მთავარი! არა, არა, პოეზია მათემატიკაზე სერიოზულია. მათემატიკოსები არშემდგარი პოეტები არიან. ამაში მას მერე დავრწმუნდი, რაც უსპენსკის „მათემატიკის აპოლოგია“ ნავიკითხე.

შ. ი. ვაიმე! იცი, ერთ ინტერვიუში მე რა ვთქვი? მართლა, მართლა!

ვ. პ. რა?

შ. ი. რომ პოეტები არშემდგარი მათემატიკოსები არიან! გეფიცები!

ვ. პ. ეს შენ თქვი? ადამიანი შეიძლება ჭკუიდან გადადგეს! მე ხომ ეს ჩემი ფრაზა მხოლოდ ახლა მოვიგონე.

შ. ი. ჰო, მაგრამ შენ მხოლოდ უკუ-

მა მოიგონე. ინვერსია მოიფიქრე.

ვ. პ. აჰ, ჰო! მაგრამ მე ხომ უკეთ ვთქვი?

შ. ი. უკეთ ჟღერს, მაგრამ ტყუილია.

ვ. პ. რატომ? თუ უკეთ ჟღერს, ესე იგი – მართალია!

შ. ი. ამაში არის სიმართლის მარცვალი! მაგრამ მხოლოდ მარცვალი...

ვ. პ. ანუ, ბოლო-ბოლო, ჩვენ რაზე ვლაპარაკობდით?

შ. ი. ეშმაკმა უწყის!.. შეიძლება იმაზე, რომ ჩვენ ერთმანეთს უნდა ველაპარაკებოდეთ! ეგაა და ეგა!..

ვ. პ. ააა... შენ თევზაობა გიყვარს? სტივი თარგმნას უკვე მორჩა და თავის ანკესს აწყობს. ხვალ უნდა ვითევზაოთ.

შ. ი. თევზაობა ჩემ მეგობარ პოეტს, შალვა ბაკურაძეს უყვარს. მე თევზაობა არ მეხერხება. ეგ კი არადა, ველოსიპედსაც ვერ ვატარებ. ვერაფრით ვერ ვისწავლე...

ვ. პ. და ციგურებზე?

შ. ი. ვერა, ძვირფასო, ძლივს დავლოცე ამ ქვეყანაზე, რაის ციგურები?

ვ. პ. კი მაგრამ, შენ ხომ ველოსიპედის და ციგურების გარეშეც ხარობ ამ ცხოვრებით?

შ. ი. ჰო, ერთი კვირის მერე წავალ პოლონეთში და იქიდან – გერმანიაში. და უკან რომ დავბრუნდები, ჩემზე იტყვიან, რომ ვმოძრაობ და ვხარობ. და ეს სიმართლე იქნება?

ვ. პ. მოიცა, რა დაგემართა? კიევში მშვენივრად გადაადგილდებოდი!..

შ. ი. იმიტომ, რომ სიგარეტს ვენეოდი, ღვინოს და არაყს ვსვამდი – ძალიან ბანალურია...

ვ. პ. ანუ, ბოლო-ბოლო, ნახვალ პოლონეთში თუ არა? მაინც ვერ გავიგე...

შ. ი. წავალ კი არა – გავფრინდები!

ვ. პ. მე კი, შვეიცარიაში გავფრინდები.

შ. ი. ეჰ, ამოვიდა ყელში ეს კულტურული ქვეყნები! ინდოეთში მინდა გავქანდე, ან ტაილანდში, ან ვიეტნამში!

ვ. პ. და ჩვენს ამერიკუნაში არ ყოფილხარ?

შ. ი. ამერიკუნაში – არა, მაგრამ დღეს ჩვენი მთარგმნელი იყო ამერიკუნადან ჩვენთან სტუმრად. ათი კილო ჟურნალები ჩამოიტანა. ჩემი ცოლიც პოეტი – ხშირად ამბობენ, რომ ჩემზე

უკეთესი, და მისი მთელი წიგნი თარგმნა. და გარდა ამისა, ჩემთან ერთად სხვა ქართველ პოეტებსაც თარგმნის. ტიმი... გვარად კერჩერი...

ვ. პ. ვაჰ, რა ყოჩალი ამერიკელი ყოფილა! მე ერთი ქართველი გოგო მთარგმნის ჰოლანდიურად. ნინო თარხან-მოურავი. ჩვენ მასთან სტუმრადაც ვიყავით. შესანიშნავი გოგოა.

შ. ი. ვიცნობ ნინოს. ჰოლანდიაში მე და ჩემი ცოლიც ვიყავით, როტერდამში, Poetry International-ზე. შენც ხომ იყავი იქ?

ვ. პ. კი, ვიყავი. შენი ყოჩალი ამერიკელის თარგმანები გამომიგზავნე, რა, დავინტერესდი.

შ. ი. აუცილებლად გამოგიგზავნი... მაგრამ, რაღაც, პოეზიის ყოფით, წვრილმან საკითხებზე გადავდივართ... უკვე. საუბრის მუღამი თითქოს იკარგება. არა?

ვ. პ. იცი რა, უკვე დავილაღე. მოდი დავამთავროთ?

შ. ი. ჰო, მეც დავილაღე.

ვ. პ. ცოტა ვსინჯეთ, გავივარჯიშეთ – ამის მერე უფრო ჭკვიანურად ვილაპარაკებთ.

შ. ი. მე მგონია, რომ საუბარი უკვე შედგა. პედალირება აღარაა საჭირო. და მართლა უნდა დავამთავროთ.

ვ. პ. ჰო-ჰო, პოეტები-მათემატიკოსები – ეს რაღაც იყო!..

შ. ი. ანუ, ეგ მომენტი მაინც სხვანაირად დაგამახსოვრდა?

ვ. პ. კი, სხვანაირად... აბა, მომავალ შეხვედრამდე სკაიპში.

შ. ი. მომავალ შეხვედრამდე... ჩვენ ისეთ რამეებზე ვილაპარაკეთ, რომ საკმარისია, ეს ყველაფერი კარგად გადმოქართულდეს და მორჩა...

ვ. პ. არაა... მგონია, რომ ბევრი ზედმეტი რამ იყო ამ ჩვენს საუბარში.

ვ. პ. ბევრი?

შ. ი. რა ვიცი, შენ უკეთ გესმის. პირველად არ აკეთებ ასეთ დიალოგს.

ვ. პ. პირველად არა, მაგრამ, დედას გეფიცები, ასეთი დიალოგი აქამდე არასდროს მქონია! და მაღლობა ღმერთს! დავასრულოთ! ოკ?

ვ. პ. ოკ.

შ. ი. ოღონდ სმაილიკით არ დავასრულებ ამ ჩვენს საუბარს. მოსულა?

ვ. პ. მოსულა...

16 მაისი, ხუთშაბათი. ლამის პირველის ათი წუთი

შ. ი. ძვირფასო ვერა! გადმოვაქართულე ჩვენი საუბარი. ძალიან დრავი გამოვიდა! საშინლად მომწონს! მაგრამ ვფიქრობ, ასე დავტოვო თუ ცოტა კიდევ გავისაუბროთ.

ვ. პ. როგორც გირჩევნია!

შ. ი. გცალია ახლა?

ვ. პ. კი, მცალია.

შ. ი. მშვენიერია! აი, შენ ამბობდი, რომ წიგნი მდებდებოდა სქესისაა. მერე დავფიქრდი: ლექსი (стихотворение) ხომ საშუალო სქესისაა. ეგ როგორ ავხსნათ?

ვ. პ. მე, როგორც წესი, მსგავსად ბროდსკისა, „стишок“-ს ვამბობ ხოლმე. Стихотворение ნამეტანი გადაპრანჭული სიტყვაა. არ მიყვარს გადაპრანჭული სიტყვები.

შ. ი. ანუ, მამაკაცი-ლექსები ერთიანდებიან და გამოდის ქალი-წიგნი? საინტერესოა!

ვ. პ. წიგნი ისეთი გოგონაა, რომელიც სულ ბიჭებზე ფიქრობს! ჰმ, ხედავ, ერთ ხმაში ვლაპარაკობთ.

შ. ი. ჰო.

ვ. პ. სწორედ ახლა ჩემი ბოლო წიგნის დაკაბადონებულ ვერსიას ვბეჭდავ. გასაკორექტურებლად გამომიგზავნეს გამომცემლობიდან. გესმის პრინტერის ზუზუნნი?

შ. ი. არ მესმის, მაგრამ ვგრძნობ. ექსკლუზივად შეიძლება ერთი ლექსი?

ვ. პ. მაშინ ის იყოს, რომელიც ახლა ამოვიდა პრინტერიდან.

Море. Закат.

скатерть бела.

Зонт полосат.

Вот и прошла

жизнь. Не спеши.

Счёт изучай.

Корку кроши

чайкам на чай.

შენც გეშინია ხოლმე შენი ლექსების?

შ. ი. არა, არ მეშინია. მე საერთოდ არაფრის არ მეშინია. არც მინისძვრების, არც სიკვდილის. უცნაურია, მაგრამ ასეა.

ვ. პ. პრინციპში, სიკვდილის მეც არ მეშინია. ანუ, საკუთარი სიკვდილის... ამჩნევ, ისევ ერთ ხმაში ვლაპარაკობთ:

ლექსი ხომ სიკვდილზეა.

შ. ი. და ისევ თვლა და ანგარიშია ამ ლექსში.

ვ. პ. ეს წიგნის ბოლოა. 342-ე გვერდი. სქელი გამოვიდა, იმიტომ, რომ პირველად ცხოვრებაში, მასში პროზაც შევიტანე.

შ. ი. უკვე ბოლო გვერდი ამოვიდა პრინტერიდან? გილოცავ!

ვ. პ. არა, არა, ჯერ კიდევ ზუზუნებს. ლექსი 342-ე გვერდიდან გამოგიგზავნე. ის ბოლო თავშია, „რეკვიემში“. სულ კი სადღაც 400 გვერდი იქნება. მასში ჩემი ნახატებიც ჩავრთე.

შ. ი. აი, წიგნი სქელი გამოვიდა, მსუქანი. ცხოვრებაში როგორაა – სიმსუქნის არ გეშინია?

ვ. პ. მე, მთელი ცხოვრება ერთ ზომას ვატარებ.

შ. ი. ზომა – პოეტური სიტყვაა!

ვ. პ. არა, ამ თვალსაზრისით ძალიან მრავალფეროვანი ვარ. ზომებსაც ვცვლი, და რიტმზეც – ანუ ზომის დარღვევაზეც – ბევრს ვზრუნავ. ვერ ვიტან მეტრონომ ლექსებს. კარაოკეს გვანან.

შ. ი. ჰა-ჰა! კარაოკე! პოეტები, რომლებიც მღერიან, როგორც კარაოკეზე! და მათი რიტმზე დიდაა, არა?

ვ. პ. ლეგიონი... მორჩა ზუზუნს. რაც კი სახლში ქალაღი მქონდა, ბოლომდე მოვსვე.

შ. ი. ამ სამყაროში ლექსები სულ ზუზუნებენ.

ვ. პ. ჰო, მაგრამ ეს ცოტას თუ ესმის. კარაოკე ახშობს მათ ხმას... ლექსები კი ზუზუნებენ, ან ჭრიჭინებენ.

შ. ი. ან ყმუიან. გინსბერგის „ყმუილი“. სხვათა შორის, ქართულად მაქვს ნათარგმნი.

ვ. პ. კი, ყმუილითაც ყმუიან ხოლმე.

შ. ი. და ასეთი პოეზია როგორია შენთვის? ბიტნიკების?

ვ. პ. ნაკლებად ვიცნობ. ბუკოვსკი ბიტნიკია?

შ. ი. მათთან ნაკლებად მეგობრობდა, მაგრამ ამ მიმართულების პოეტად ითვლება.

ვ. პ. ამ მიწებებულ იარლიყებში ცუდად ვერკვევი. ბუკოვსკი მიყვარს. ინგლისურად წამიკითხავს.

შ. ი. შესაძლებელია, ამერიკაში ცხოვრობდე პოეტი და ბიტნიკები არ იცოდე?



თიბისი ბანკი
T B C B A N K

3 თვის %
საჩუქრად

სასესები 0% -დან

სურვილი ემთხვევა

შესაძლებლობას



☎ 227 27 27 | ✉ * 27 27

www.tbccredit.ge

შესაძლებლობა 1



თუ აიღებთ საფინანსოვრო ან იკრთავურ სასესს თიბისი ბანკში 31 ივლისამდე, მიიღებთ 3 თვის პროცენტს საჩუქრად.

ამასთან ერთად, თუ გამოხატავთ თქვენს სურვილს კრედიტულად, შეძლებთ მიიღოთ სასესი 0%-დან.

ინფორმაციის მისაღებად www.tbccredit.ge

შესაძლებლობა 2

თუ არ აიღებთ საფინანსოვრო ან იკრთავურ სასესს თიბისი ბანკში 31 ივლისამდე, ვერ მიიღებთ 3 თვის პროცენტს საჩუქრად.

ამასთან ერთად, თუ არ გამოხატავთ თქვენს სურვილს კრედიტულად, ვერ შეძლებთ მიიღოთ სასესი 0%-დან.

ინფორმაციის მისაღებად www.tbccredit.ge



ვ. პ. მაგრამ მე ხომ ამერიკაში არ ვცხოვრობ. მე ჩემს შინაგან სამყაროში ვცხოვრობ. ჩემი ფანჯრის გადასახედიდან ახლა აგურის ყრუ კედელია. შესაძლოა, მის მიღმა არავითარი ამერიკა არაა. თუმცა კი, ქალაქი გუგუნებს, ხმაურობს. არაა გამორიცხული, რომ ეს ნიუ-იორკი იყოს.

შ. ი. და იქ ვინმეს უშვებენ? რა სავიზო რეჟიმია იმ სახელმწიფოში, რომელსაც „ჩემი შინაგანი სამყარო“ ჰქვია?

ვ. პ. ძალიან მკაცრი.

შ. ი. როგორც ჩრდილოეთ კორეაში?

ვ. პ. იქ ყველას უშვებენ. მაგრამ იქიდან ყველას არ აძლევენ გამოსვლის ნებართვას.

შ. ი. არა, ესე იგი ჩრდილოეთ კორეასავით არ ყოფილა. იქ ყველას არ უშვებენ. და საერთოდ, დედამიწის ზურგზე ასეთი სახელმწიფო, მგონი, არცაა – ყველას რომ უშვებდნენ.

ვ. პ. მე ძალიან გახსნილი ადამიანი ვარ. მიმნდობი. და ბოლო დროს, ადამიანები ძალიან შევიყვარე.

შ. ი. ბოლო დროს?

ვ. პ. ისინი კარგები არიან, ადამიანები. თითქმის ყველა... ჰო, სამი წლის წინ მოხდა ეს ჩემში. 45 წლის ასაკში.

შ. ი. და რა გარდატეხა მოხდა? მიზეზი რა იყო?

ვ. პ. უბრალოდ, უცებ აღმოჩენა გავაკეთე: ყველა ადამიანი კარგია. თითქმის ყველა. შესაძლოა იმიტომ, რომ ამერიკაში მეტ დროს ვატარებდი. აი, მაშინ მივხვდი, რომ ყველა კარგია, განსაკუთრებით ისინი, ვინც რუსეთში ცხოვრობს.

შ. ი. და თუ ყველა კარგია რუსეთში, მაშინ სახელმწიფო რატომაა ასე ცუდი?

ვ. პ. ხომ გითხარი, რომ ყველა კი არა, თითქმის ყველა... ახლა კარგმა ადამიანებმა გუნდ-გუნდად შეკრება დაიწყეს. შეიძლება ერთი თვალის მოვლებით ათასი კარგი ადამიანი დაინახო...

შ. ი. და ეს რალაცასთან მიგვიყვანს?

ვ. პ. რა თქმა უნდა! აუცილებლად. და შენ როგორ ფიქრობ?

შ. ი. მეც ვფიქრობ, რომ მიგვიყვანს, ოღონდ თუკი ზენა ძალები ისურვებენ ამას. მაგრამ, ალბათ, ისურვებენ...

ვ. პ. მართალია, მათი დაინტერესება, მგონი, უკვე იგრძნობა. ანუ, ზენა ძალები.

შ. ი. პოლიტიკოსებს შეხვედრიხარ?

ვ. პ. არა.

შ. ი. და რატომ? შენ ხომ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მწერალი ხარ. მაგალითად, პუტინს არ ჰქონია სურვილი სადილზე შენი დაპატიჟებისა?

ვ. პ. ღმერთო, დამიფარე!

შ. ი. პოლიტიკოსები ხანდახან კითხულობენ შენს ლექსებს? მაგალითად, ჟირინოვსკი...

ვ. პ. ერთხელ ზიუგანოვმა ილაპარაკა ჩემს ლექსებზე.

შ. ი. ო, ძალიან საინტერესოა!

ვ. პ. ასე თქვა: „ნუთუ შეიძლება ახალგაზრდობის ზნეობრივად აღზრდა ვერა პავლოვას ლექსებზე, რომელიც საკუთარ გენიტალიებზე წერს? და რას შერება ამ დროს სოლჟენიცინი? ის მაინც რატომ არ არცხვენს გამომცემლებს?“

შ. ი. ეჰ, მე კიდევ ვიფიქრე, რომ ის შენი ფანია! დასანანია...

ვ. პ. შესაძლოა ფანიცაა – ამ გამონათქვამიდან არ ჩანს.

შ. ი. ფანია, მაგრამ რაკი კომუნისტია, მოვალეა, ასე ილაპარაკოს.

ვ. პ. ჰო-ჰო, ალბათ, ასეა. არადა ჩუმ-ჩუმად კითხულობს...

შ. ი. თითებს იკვნეტს.

ვ. პ. ილოკავს...

შ. ი. ჯანდაბას ეს პოლიტიკოსები! მოდი, თემა შევცვალოთ.

ვ. პ. დიდი სიამოვნებით!

შ. ი. სიყვარული საიდან ჩნდება?

ვ. პ. გააჩნია – როდის როგორ. სიყვარული ბევრნაირია. ხანდახან იქიდან, რომ რალაც გაკლია, ხანდახან კი, სიჭარბის განცდიდან. შენ რომელ სიყვარულზე მეკითხები?

შ. ი. როცა ქალს კაცი უყვარს, ან პირიქით: კაცს – ქალი. ანდა, ქალს ქალი უყვარს, ან პირიქით: კაცს კაცი.

ვ. პ. მე, ძირითადად, დედობრივი სიყვარული მაქვს – ყველაფრისადმი. არა მხოლოდ ბავშვებისადმი, არამედ კაცებისადმი, ლექსებისადმი, სამყაროსადმი...

შ. ი. და სულ ახალგაზრდა რომ იყავი, მაშინაც ასე იყო?

ვ. პ. არა, თავიდანვე არა. თავიდან ბევრი სიმხეცე იყო. ახლა კი... გახსოვს, რუბენსის ნახატი: „რომელი ქალის სიყვარული მამისადმი?“ ამ ნახატზე გოგონა მომაკვდავ მამას ძუძუს აჭმევს. აი, ასე მესმის მე სიყვარული. ალბათ, ახლა ესაა ჩემი სახე.

შ. ი. ნამდვილად ძლიერი სახეა... და სიმხეცე როგორ გავიგოთ?

ვ. პ. სხეული მომწიფდა, სული კი – ჯერ არა. ეს სულის სიმხეცეა და არა სხეულის.

შ. ი. და როცა სხეული დაჭკნება, მაშინ რა იქნება?

ვ. პ. სინაზე. უსასრულო სინაზე.

შ. ი. ლექსები ძალიან შეიცვლება? როგორ ფიქრობ?

ვ. პ. შესაძლოა, მაშინ დავდუმდე. ძალიან მინდა დავდუმება. უკიდურეს შემთხვევაში, მინდა, რომ აღარ ვიბეჭდებოდე. შენ არა გაქვს ასეთი სურვილი?

შ. ი. მე ასოებმა მომაბეზრეს თავი. დილიდან საღამომდე ასოები, ასოები, ასოები... სულ უნდა იკითხო, არედექტირო, წერო, თარგმნო...

ვ. პ. ამას წინათ, დიდმა დირიჟორმა რუდოლფ ბარშაიმ, საავადმყოფოში, სიკვდილის წინ, ცოლს უთხრა: „მე მუდამ მესმის მუსიკა – ისეთი მშვენიერი, რომ ნოტებზე მისი გადატანა შეუძლებელია...“ არადა, აკუსტიკა რა ცუდი გახდა: ყველანი ღრიალებენ, ცდილობენ ერთმანეთის ხმა გადაფარონ. მე კი, არ მინდა ვღრიალებდე, ჩურჩულით ვარ მიჩვეული ლაპარაკს...

შ. ი. და მოკლედ...

ვ. პ. მოკლედ... არ გეჩვენება, რომ კარგი დასასრულია ინტერვიუსთვის?

შ. ი. ჰო, ამ წამს მეც ასეთმა აზრმა გამიელვა თავში.

ვ. პ. არადა, რალაც მენანება საუბრის შეწყვეტა – მომწონს შენთან ლაქლაქი.

შ. ი. შეგვიძლია ვილაქლაქოთ ხოლმე. უბრალოდ, არაა აუცილებელი, ეს ჟურნალისტისთვის იყოს.

ვ. პ. კაი, ოღონდ სხვა დროს. სადილი მაქვს უკვე გასაკეთებელი.

შ. ი. რის გაკეთებას აპირებ?

ვ. პ. სპაგეტის.

შ. ი. აბა, გემრიელ სადილს გისურვებ!

ვ. პ. შენ კი – ძილი ნებისა!



SINCE 1884

SARAJISHVILI

ს ა რ ა ი შ ი ვ ი ლ ი



მალთაშვილი (რომანი) კიდევ ერთი ნაწყვიტი

აკა მორჩილაძე

სიკვდილი ამოუსწოვი თევდორა-სიმეონისა

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის სამი სტუდენტი გოგონა, სამივე სანიმუშო კომკავშირელი და სამივე კარგად მეცადინე სტუდენტი, ზაირა, ლეილა და ეთერი დილიდანვე მოვიდნენ აქ, მაღლა, კლორთა-ლის ძველი ეკლესიის შენობაში, რომელშიაც უკვე ოცი წელიწადი იქნებოდა, რაც სტუდენტთა საისტორიო ბიბლიოთეკა იყო გამართული.

ეს იყო დეკემბრის შუა რიცხვები 1949 წლისა: უნივერსიტეტში სწავლა უკვე გაჩერებული იყო და ახლოვდებოდა ჩათვლები, ნახალწლევს კი გამოცდების უამრავი დადგებოდა. ამიტომაც, გოგოები დილიდანვე სწვეოდნენ ბიბლიოთეკას, ვინაიდან ორიოდ დღეში მწარე ჩათვლა ელოდათ.

ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა უმრავლესობა გამოცდებისთვის ემზადებოდა საკუთრივ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ანდაც განთქმულ საჯაროში, ოღონდ კი ეს სამი გოგო მაინც ამ, უნივერსიტეტიდან კაი შორეულ ბიბლიოთეკას გაჩვეოდა.

მიზეზი იყო ერთი: ეთერი კლორთალშივე აქედან ძალიან ახლოს ცხოვრობდა და ზამთრის სესიათა მოახლოებისას ლეილა და ზაირა მასთან გადმობარგდებოდნენ ხოლმე სამეცადინოდ.

რა სჯობიან სამი გოგოს ერთად დარჩენას, ჭორაობას, ცოტა სწავლას და ერთად ფუთფუთს პატარა სახლში. ადრეინ სტუდენტობის გემო ხო ესაც არის, თორემ 1949 წელს ტფილისის ნამდვილად არ არის ის ქალაქი, ეთერის ბებიის სადაფის კოლოფში შემორჩენილი პარიზის ბარათებიდან რომ ჩანს: კაფეები, პარკები, ატრაქციონები, შლაპები და რიდიკულებით მორთული ქალები და...

თანაც, არც ეთერი, არც ზაირა და არცა ლეილა, არ მიეკუთვნებოდნენ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ელიტურ სტუდენტთა ჯგუფს. მეტიც, ქართველოლოგიის ჯგუფშიც კი ვერ მოხვდნენ და პარტიის ისტორიის განყოფილებაში სწავლობდნენ. ქართველოლოგიის ჯგუფში ყოფნა, მომავალში მეცნიერად ყოფნას ნიშნავდა და იქაურობა ვერის უბნის განთქმულ სკოლათა ყოფილი მონაფეხებით ივსებოდა ხოლმე: მეშვიდე ვაჟთა და მეექვსე ქალთა სკოლების ცნობილ ყმანვილებით და ცუგრუმელებით. ეთერი, ლეილა და ზაირა კი სულაც არ იყვნენ ვერელნი: ლეილა ნახალოვკელი გახლდათ, პატარა მაღაზიის გამგის ასული, ეთერი – კლორთალელი, მუშტაღის ბაღის სასულე ორკესტრის მემუსიკის ქალიშვილი, ზაირა კი – ოქროსუბნელი, საგზაო მშენებლობის უბნის უფროსის შვილი.

ის, რაც გოგონებს უყვარდათ ამ ქალაქში, ბაღეტი იყო. მაშინ სცეკვავდა განთქმული ჭაბუკიანი და ესენი სამივე სულ ოპერის სასახლის წინ ტრიალებდნენ, ასე გასინჯე, დახატული ბილეთებითაც კი შეაღწევდნენ ხოლმე შიგნით.

მაგრამ ახლა ამათ ჭაბუკიანისთვის არ ეცალათ: კარზე იყო ჩათვლები და გამოცდები და რახან ისედაც კარგად სწავლობდნენ, წესადა ჰქონდათ, დილიდან საღამოს ხუთ საათამდე ბიბლიოთეკაში მოსულიყვნენ.

სტუდენტური ბიბლიოთეკა დიხაც კაი აღმართზე, კლორთალის ეკლესიის შიგნით გაეხსნათ და როგორღაც ისე მიეტიხრ-მოეტიხრათ, ისეთი ხარაჩო-შიდაკიბეები და რამეები ჩაედგათ შიგ, რომ თუ არა გუმბათი, და თუ არა ისა, რომ შენობა გარედან კვლავაც ეკლესია იყო, შიგ შესული ვეღარც მიხვდებოდი, რომ ეკლესიაში იყავი. ფრესკებს თაროები და სტენდები ფარავდა, ხოლო

სადამდეც ესენი ვერ მისწვდებოდა, თეთრი კირით ნაღები, გუმბათამდეც კი ასულიყო, იმდენჯერ შეეღებათ. მეთხუთმეტე საუკუნის ფრესკანი, სრულიად უპატივცემულად იყვნენ შთენილნი. ჯერ არ დამდგარიყო ის დრო, როცა კომუნისტური მთავრობა ეკლესიებს ისტორიულ ძეგლებად აღიარებდა. მიტომაც, გასაკვირი არ იყო: ეკლესიები იყო სანყოფემა და ასე ითქვას, საზოგადოებრივ ობიექტებადაც კი. აი, ნახალოვკის ეკლესიაში აბანო იყო გამართული და მთელი პირაქეთა ნახალოვკა იქ დაიბანდა ხოლმე. განსაკუთრებულად მყუდრო საშაპეზბიო, ასე იტყოდნენ, საკურთხეველს უკან არისაო.

ბიბლიოთეკაში იდგა გრძელი მაგიდები და ბურჟუიკა ფეჩები, რომელთა ახლოსაც მოხვედრა იქ მომეცადინე სტუდენტებისთვის ზამთრის მეცადინეობების ჟამს კარქა ჩათბობას ნიშნავდა. ამიტომ გოგოები ადრე მოდიოდნენ ბიბლიოთეკაში, მის გაღებამდე ბარე ნახევარი საათით ადრე და უკვე გათოშილნი პირველები შესცვივებოდნენ დარბაზში და დაიჭერდნენ საყვარელ ადგილს მარჯვენა ბურჟუიკის ახლოს. ნაშუადღევზე ბიბლიოთეკარი დეიდა იქ შეშასაც კი შეამატებდა ხოლმე, მაგრამ უტკბილესი, მაინც დილის საათები იყო, როცა სუსხიდან შემოსული გოგოები ახალაგუზგუზებულ ფეჩს შემოუსხდებოდნენ და გაშლიდნენ ნიგნებს.

ამის გამო ბიბლიოთეკარი თამარა გიორგვენა, რომელიც დარბაზის გამეგ ბრძანდებოდა, გოგოებს ოკუპანტებს ეძახდა, ერთი ბურჟუიკა მუდმივად იმათ ხელშიაო, რაც ზოგჯერ ერთგვარ უხერხულობასაც კი ქმნიდა, ვინაიდან რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ბიბლიოთეკაში არ დადიოდნენ მხოლოდ სტუდენტები, არამედ დროული კაცები საკმაოდ ინტელიგენტური პროფესიისა. ისინი აქ უფრო გაზეთების საკითხავად შემოდიოდნენ, ვინაიდან ყოველთვის იყო ძველი და ახალი გაზეთების მთელი შეკვრები.

მკითხველებში გამოერეოდნენ კაცები, რომლებიც ან რალაცას ეძებდნენ გაზეთებში, ან უბრალოდ კითხულობდნენ მათ, ანდა ჩვევის და ბინის სიახლოვის გამო შემოივლიდნენ ხოლმე კლორთალის ეკლესიაში. ესენი ყველა იყვნენ უკლებლივ ჭაღარანი, ძველ, თუმცა საგულდაგულოდ ნანმენდ და მოვლილ სამოსში გამოწყობილნი. ისინი ეგებ განათლების სფეროს მუშაკები იყვნენ, ზოგიერთი სულაც მეცნიერებათა კანდიდატიც გამოდგებოდა და თამარა გიორგვენა მათ ყველას ტკბილად იცნობდა.

ეთერი, ვითარცა ენაკვიმატი, აცხადებდა, რომ ესენი თამარა გიორგვენას ძველი სატრფოები იყვნენო, იმიტომ, რომ სტუდენტებისთვის დამბლვერი, ჭაღარა და მკაცრი, ერთმედლიან კოსტუმში კიდევ უფრო მკაცრი თამარა გიორგვენა ამ მომსვლელთა უმრავლესობას სრულიად შინაურულად და კეთილგანწყობილად ელაპარაკებოდა ხოლმე და ზოგჯერ, ტიხარს იქეთაც შეინვევდა, სადაც მეორე ბურჟუიკა იდგა. ეს გასაკვირალი არ იყო, ვინაიდან თფილისი პატარა ქალაქია, კლორთალის აღმართები – მოკლე, ლაპარაკი კი აქ ყოველთვისაც უყვარდათ.

უხერხულობას ის გამოიწვევდა ხოლმე, რომ იქ მოდიოდნენ კაცნი, რომელნიც გაზეთებით და პარტიული ჟურნალებით არ კმაყოფილდებოდნენ და საისტორიო ნიგნებს გამოიწვინდნენ ხოლმე. ასეთები, სტუდენტებივით მთელს დღეებს ატარებდნენ ბიბლიოთეკაში, ფურცლავდნენ, ხვნეშოდნენ, მუცელს ააქანებდნენ, ქერტლს იფერთხდნენ და სწერდნენ რალაცეებს რვეულებში. ზაფხულში ერთი იყო, მაგრამ ზამთარში ამგვარ მშრომელებს, რომლებიც ვინ იცის, რასა სწერდნენ და რა თხზულებების შესწავლაში ლევდნენ დღეებს, ხელები შეუცივებოდათ ხოლმე და აუცილებლად წამოადგებოდნენ ხოლმე თავს ბურჟუიკას გაყოლებულ მაგიდასთან მიმსხდარ გოგოებს და ხვნეშითა და უკმაყოფილებით, რომ ვითარცა დროულ კაცთ, ფეჩთან დაჯდომა არ ელირსათ, ბურჟუიკის თავზე ხელისგულების ტარებას და ფშვნიტას მოჰყვებოდნენ.

გოგოები ამას მიჩვეულები იყვნენ, ვინაიდან, ასე თორმეტი საათიდან ამგვარი მოსვლები ხშირდებოდა და დღეში სამი-ოთხი ამნაირი კაცი მაინც წამოადგებოდათ თავს. ეთერი ამ მოსვლებს რეისებს ეძახდა. წამოვიდა რეისზეო, იტყოდა. კაცები იყვნენ ჩატვირთულნი, ბებერხორციანნი, რალაცით ჰგავდნენ მათ ლექტორებს და რალაცით არ ჰგავდნენ. რახან ბიბლიოთეკას ფანჯრები არ ჰქონდა, ამიტომ დღის შუქზე ისინი ეგებ ვერც ეცნოთ, მაგრამ აქ კი სცნობდნენ და ფხუკუნებდნენ კიდევაც. გოგოებს თვალებით სიცილი გამოსდიოდათ, ნიგნებში თავს ჩარგავდნენ ხოლმე და ასე უცინოდნენ ერთმანეთს, როცა რომელიმე ბერიკაცი, სხვანაირად რომ ვთქვათ ხრონნი, თავს წამოადგებოდათ და სიავეშეპარული წამოიწყებდა გათბობას.

გოგოებმა იცოდნენ, რომ ხრონთა ამოხვნეშები ნიშნავდა: რო დამჯდარხარ ამხელა ძროხა მანდ, ვერ ხედავ ამ ხნის კაცი ფეჩზე ვდგავარ. ცოტახანს მაინც დამსვი ფეჩთან. მაგრამ გოგოები არად დაგიდევდნენ ასეთ რამეებს, ვინაიდან ბურჟუიკა მათი სიმყუდროვისთვის აუცილებელი იყო.

იმ დილასაც, გოგოები ათის ნახევარზე გამოცხადდნენ კლორთალის ბიბლიოთეკასთან და როგორც კი თამარა გიორგვენამ შიგნიდან გააღო ეკლესიის ძველი, რკინით ნაჭედი კარი, შეცვივდნენ და უკვე მოგუზგუზე ფეჩთან მისხდნენ: ის თავიანთი პალტოები გაიხადეს და ისე შემოსხეს, წინ დალაგებული გუშინვე დატოვებული ნიგნები გადაფურცლეს და რვეულებსაც ჩახედეს, აბა, ახლა რა ჩავაკონსპექტოთო. თუ კი წამდვილ მაცადინობას შესძლებდნენ, მხოლოდ ადრიან საათებში. მერე სწყინებოდათ და ჭამასაც კი გაახურებდნენ ხოლმე. რვეულის ფურცელში გამოხვეული პურის ნაჭრები და ვაშლები ჩანთებში ელაგათ.

ჰოდა, ისინი სწორედ სამიოდ წუთის ჩამსხდრები იყვნენ, რომ სამკითხველო დარბაზში შემოვიდა მალალი, კოკარგადატეხილქუდიანი კაცი, წამდვილი, პირწავარდნილი, ჩამოხორცებული ხრონნი.

– ტუფლებს შეხედე, ტუფლებს შეხედე, – წაიწურჩულა ეთერიმ.

კაცს საშინელი ფეხსაცმელები ეცვა, ველარ გაიგებდი, დასვრილი იყო, თუ სიძველისგან დაჯღანული. საერთოდ, ტანსაცმელი ჭირდა, ან ფული ჭირდა. მოხუცებს, აბა, საიდან უნდა ეყიდათ ფეხსაცმელი?

პალტო მას ეცვა გრძელი, დიდი და მძიმე, ეგებ სარჩულჩამოხეულიც, რალაცნაირად გამობერილი ორ ადგილას. პალტო იყო ღია კარიჩნის ფერისა, ხოლო კაშნი მოჭერის, მოურჯულბელი, უშნოდ შემოტეხილი ყელზე.

კაცმა ძველი ორსაკეტიანი პორთველი დადო ერთი მაგიდის კიდეზე, კაშნი გადაკიდა სკამის ზურგზე, ქუდიც მოიხადა, თმაზე ხელი გადაისვა, უბიდან ამოიღო ძველბური პენსნე, გაიხილა თეთრი უღვაში, შეისწორა ძველი პიჯაკი, რომელიც მშვენივრად ადგა ტანზე, შეიშლიდა შავი ჰალსტუხი, მძიმედ ჩამოჯდა და გოგოების გასაკვირად, მაგიდის ქვეშ ფეხსაცმელები გაიხადა.

- ჩუსტებს ჩაიცმევს, ჩუსტებს, - ჩაიფხუკუნა ეთერიმ.
- ან კალოშებს...

კაცმა ფეხსაცმელები კოხტად მიანყო კუთხეში, რასაც თამარა გიორგვენას ქორისებური მრისხანე თვალი მიედევნა, პორთველი გახსნა და იქედან ორი დიდი ბათინკა ამოიღო. მსუბუქი ხვნეშით ჩაიცვა ისინი, კოხტადაც და-

ბაღი



კონსტანტინე კაკაბაძე
„ბავშვები“, მუყაო, ზეთი, 2012

ქუსლა იატაკი და დაჯღანული ფეხსაცმელები კი პორთველში შეინახა.

- ვინ არ იცნობს ბაბაჯანას, და მის ქოშებს ძველს და ჯღანას, - ნაისისნა ეთერიმ და გოგოებმა წიგნებს დააშტერეს თვალი, რათა ფხუკუნი არ გამოეაშკარაებინათ.

კაცმა თითქოს გაიგონა, მაგრამ ყურადღება არ მიექცია. მხნედ წამოდგა და სანიგნე ტიხრისკენ გაეშურა, საიდანაც გაიგონეს მისი მყდერი ხმა:

- ქალბატონო თამარა, პრავდა ბოლო თვისა, კოლხოზნიკი მაისის თვისა, და ეგება მიპოვნოთ ამნაირი წიგნი - გენერალ ტვერდოსლევოვის ანგარიში გენერალური შტაბის მიმართ 1915 წელს, - საკვირველი ეს იყო, რომ კაცს, თავისი ტუფლებიანი პორთველი ხელში ეჭირა.

თამარა გიორგვენამ მკაცრი გაკვირვებით შეხედა ამ ახოვან, მისი ასაკის ხრონსს და ჰკითხა:

- მოქალაქე, შენ ხარ ჩვენი ბიბლიოთეკის წევრი?
- ახ, რამდენი წელიწადია, - შუბლზე გაისვა თავისუფალი ხელი კაცმა და მერე უბისკენ გააქანა - 1933 წლიდან ვარ...

თამარა გიორგვენამ გაცვეთილი საბუთი ჩამორთვა და ქორებულ დაათვალიერა.

- ეს ვადაგასულია...
- განვაახლოთ მერე, პატივცემულო ამხანაგო. საბჭოთა კავშირში გაზეთ პრავდას წაკითხვას ცნობა ჭირდება? თამარა გიორგვენამ ყური მოარიდა ვერაგულ შეკითხვას და თქვა:

- აბაზი დასჭირდება. ბაშფორთი დასჭირდება...
- ახლავე, ბატონო, - კაცმა კვლავ ჩაიყო უბეში ხელი და ამოიღო პასპორტი, ლურჯი ფერისა, ზედ ოქროსფერ ლერბით, რამაც გასაოცრად გააკვირვა თამარა გიორგვენა.

- ეს რა არი, მოქალაქე?
- ბაშფორთი...

ბიბლიოთეკარმა გადაფურცლა ბაშფორთი და გაკვირვებით თქვა:

- აქ რა ენაზე სწერიან?
- ფრანგულზედ.
- უცხოელი ხარ, მოქალაქე?
- ქართველი ვარ. რატომ უცხოელი...
- აბა, ეს რა ბაშფორთია?
- საფრანგეთის რესპუბლიკისა.

თამარა გიორგვენას ოფლის წვეთები შემოადგენ შუბლზე და გული აუძგერდა უსწრაფესად. ის თავის გონებაში სწყვეტდა რა ექნა, როგორ გაეტარებინა დავთარში უცხოეთის მოქალაქე. ახლა სარაიონო უშიშროებაში ხომ არ დარეკავდა? თუმცა, უშიშროებაში კი ეცოდინებოდათ ამნაირი უცხოელის ქალაქში ყოფნაზე.

- არ ვიცი ეს ენა, - თქვა მძიმედ თამარა გიორგვენამ - ვერ ვკითხულობ თქვენს გვარს, - და პასპორტი მძიმედ გადმოდო დახლზე - შეინახეთ ესა და ეხლავე მოქცემით პრავდას და კალხოზნიკს.

კაცმა უსიტყვოდ წამოკრიფა საბუთები და უბეში გააქანა.

– თქვენ იცით... დრო ისე მიჰქირს ხოლმე, თამარა გიორგვენა... ველარ გამოეხსნებით...

თამარამ არაფერი თქვა, თაროებზე ქოქიალს მოჰყვა და გამოაძრო მისის კალხონიკი.

– აი... – თქვა ცივად.

კაცმა ცალი ხელით ჩამოართვა გაზეთების კინძულა და ჟურნალი და წალასლასდა იმ მაგიდისკენ, სადაც ქუდი და პალტო დასტოვა.

იქ წყნარად დაჯდა, პორთველი ფეხებშუა ჩაიდგა და მოჰყვა გაზეთის ფურცლას.

თამარა შეცბუნებულ-შემფრთხალი უყურებდა დახლს იქედან.

შუა კითხვაში, ეს კარგად გაიხსენა თამარამ, კაცს ხელში პატარა, იოდისფერი შტანგლასი დაუნახა, წამლის შუშა, ასე ორასგრამიანი. კაცს შტანგლასი ესე ხელში ეჭირა და მოყლუპავდა ხოლმე. ჩანს, რაიმე მიქსტურასა სვამსო, გაიფიქრა თამარამ, ოღონდ კი მაინც ხინჯად დაურჩა, ეს ფრანგული პასპორტი რაღა იყო, ან ამ პირველად ნანახმა კაცმა ჩემი სახელი საიდან იცოდაო. თამარა კლორთალის ბიბლიოთეკაში დაბერდა, ეს თეთრულვაშიანი სახეგრძელი მოხუცი კი არ ენახა.

კაცი გაზეთს ფურცლავდა, წამოდგებოდა, ბოთლით ხელში გაიარ-გამოიარდა დაფიქრებული, მოყლურწავდა და ისევ მიუჯდებოდა გაზეთ პრავდას.

საერთოთ, იმ დროს თბილისში ამნაირ ტევადობის და ფერის შუშებში მიქსტურებს არ ასხამდნენ. მიქსტურისთვის იყო გამჭვირვალე, ვინრო და მაღალი ბოთლი, ზედ დატანილ საზომებით. თანაც, რეცეპტს ბოთლსავე მიაკრავდნენ ხოლმე. ამნაირი გაუმჭვირვალე ბოთლები კი, შტანგლასები, ოღონდაც პატარა, მოიხმარებოდა იოდის, სპირტის, ქაფურისა და ამნაირი მწველი რამეებისთვის. თამარა გიორგვენამ, რაღა თქმა უნდა, იცოდა სააფთიაქე ბოთლების არსი ქალაქ თფილისში 1949 წელს.

საერთოდ, კიდევ, ამ კაცის ქცევა მას აშფოთებდა. თანაც, სრულიად მოულოდნელად, ეს ადამიანი, რომლის გვარსახელიც ბიბლიოთეკარმა თითქმის დაიმახსოვრა ძველი საბუთიდან, მაგრამ უცხოური პასპორტის დანახვისთანავე დააეინყდა, რაღაცა გრძელი გვარი იყო, არცთუ ურიგო. ჰო, მოულოდნელად ეს კაცი ბურჟუიკასთან მიმჯდარ გოგოებს წამოადგა თავს, წამლის შუშა ხელში დარდმანდულად შეათამაშა, მეორე ხელი ფეხს გადაატარა გალულუნებულ თავზე და თქვა:

– ახლა, რო გვქონდეს კარტოფილები, კაი კობტად შევყრიდით აქ.

გოგოებმა კვლავ ჩაიფხუკუნეს და ახლოდან პირველად შეხედეს ხრონს.

– მერე კიდევ, ცოტა რო შეინვება, მთელმთელად, უნდა ჩაჭრა და შიგ ნივრის ლებნები ჩადო... ეუჰ, – თქვა კაცმა და ისევ მიიდგა შუშა ტუჩზე. ისე ეტყობოდა, რომ კი არ სვამდა რამეს, არამედ მხოლოდ მიიტუჩებდა, თითქოსდა პირის გასასველებლად.

თამარა გიორგვენას ცეცხლი მოადგა სახეზე. იმან პირველად იფიქრა, რომ კაცს ბოთლში არაყი უსხია და

რახანლა კაი ბებერია, სულ ცოტაც ყოფნის, ახლა კიდევ უკვე თავში აუვარდა, მადა გაეხსნა და გოგოებთან აჟღურტულეზაც მოეხასიათა.

სანამ თამარა დეიდამ რაიმე წარმოსთქვა, კაცმა სრულიად მოულოდნელად უცხო ენაზე შესძახა:

– ვი ვილ ნევა სერრანდა!..

ვერც გოგოებმა, და ვერც თამარამ ეს სიტყვები ვერ დაიმახსოვრეს, მაგრამ თამარა კიდევ უფრო ააღმურდა, გოგოები კი თითქოს დაიბნენ.

– ვი ვილ ფაით ზემ!... – სთქვა კაცმა და მისკენ შემცბარად მაცქერალ გოგოებს ტკბილად გაუღიმა:

– მალხაზებო, მზეთუნახავებო. თქვენ კი აღარ დაგჭირდებთ... თქვენ მეესწრებით...

– მოქალაქე! – დასძახა უცებ თამარა გიორგვენამ – აქ სამკითხველოა და ჩუმიად დაიჭირეთ თავი. დაბრძანდი შენ ადგილზე, ან დასტოვე აქაურობა. ბიჟოს...

კაცმა ტკბილად ააციმციმა თვალები და გოგოებს იმედიანი ღიმილი ესროლა.

– სამკითხველო, – და ხელი შემოატარა გარემოს – აქ სამკითხველოა? საკვირველია, მე აქ ეკლესია მეგონა. მინდა მოგახსენოთ, შვილებო, რომ მე აქ მომნათლეს... ეგერ, სადაც თამარა გიორგვენა ზის, დიდი სპილენძის ემბაზი გამოქონდათ ხოლმე... ეუჰ, რამდენჯერ ვყოფილვარ აქ...

თამარა სრულიად წახდა.

კაი ქალი იყო.

– ვი ვილ ნევა სარრანდა, სარრანდა, სარრანდა... – კვლავ ჩაიციხა კაცმა.

– მოქალაქე, – დახლს გამოშორდა თამარა გიორგვენა – ჩუმათ იყავი თუ ღმერთი გწამს... აღარ ვართ მე და შენ იმ ხნის, რო არ ვიცოდეთ... ამ ბოვშებს რაღას ასმენინებ?

– თამარა გიორგვენა, – ძვირფასი ბოთლი შეათამაშა ხელში ხრონნმა, რომელიც გოგოების წინაშე, თვალსა და ხელშუა იცვლიდა იერს, ყოჩაღი, მოხდენილი და დარდმანდი ხდებოდა – თამარა გიორგვენა. რა მაგარი სუფრათისტკა გოგო იყავი, რა პროკლამაციების გადმოყრა გაქანებული ეტილიდან, რა დაძახება! რა თვალები... რა ფრანგულები, რა ლათინურები იცოდი...

თამარა გიორგვენა სულ მთლად ქცევადაკარგული გამოვარდა ტიხარს იქიდან, ოღონდ კი უცებლა შეჩერდა, ვინაიდან ვერ მიხვდა, რა ეთქვა და მგონი, გაახსენდა ამ კაცის სახელი და გვარი.

– ვი ვილ ნევა სერრანდა! – შესძახა კაცმა, უცებ შებარბაცდა და მოეჭიდა ერთ-ერთ სკამს თავისუფალი ხელით, ხოლო მეორე ხელი, რომელშიაც წამლის შუშა ეჭირა, როგორღაც წინ გამოიშვირა და ნელ-ნელა, უკან მიბარბაცებით ნახორხიალდა ისე, რომ იმის შემკავებელი ველარავინ იყო. ლეილამ ბოთლიან ხელში მოავლო ხელი, ეთერიმ მაჯაში, ზაირამ კი შეჰკვივლა, ისე ვითარ, რომ კაცმა, სკამი და ორი გოგო, თავის სიმძიმით თან წაიფორხიალა, გადავარდა უკან და გაიშხლართა ბურჟუიკის გვერდით სრულიად უგონო, თვალეზახელი და პირდაფრენილი, აღრეცილი თეთრი ულვაშით. ლეი-

ლას ხელში შერჩა იმისი შუშა და შეშინებულმა დასდგა იატაკზე, პირკატაცემული თამარა გიორგვენა გადაფითრებულ გოგოებს ეტაკა, განზე გასწია და ჩაიჩოქა გამხლართულის თავზე, მერე კი უცებ, არაადაამიანური ძალით შესძახა:

– ვახტიორ! ვახტიორ! რუბენა,...ე გოგო, ვახტიორი მოიყვანეთ!.....

გოგები უაზროდ გამოცვივდნენ გარეთ, კარებში შეეჩხენ ბიბლიოთეკის ახალ მომსვლელებს.

– მკვდარია, – თქვა რუბენამ – დავრეკოთ საექიმოში....

ათიოდ სტუდენტი შორიახლოს ჩამომდგარიყო ამ განსაკუთრებული ვითარებით აღტყინებული. გოგოებს საჩქაროთ აელაგებიათ თავიანთი წიგნები და რვეულები და ბურჟუიკის კარგათ მოშორებით გადმოეწყოთ. წამხდარი იყვნენ. კაცის სიკვდილი ასე ახლოში პირველათ ნახეს.

მოვიდა საექიმოს ხალხი.

მოვიდა უბნის ინსპექტორი გეძეხიძე შალვა, რატომღაც ნასვამი და ამის დაფარვის მსურველი, ხახვისა და ცხელი კერძების სურნელით შინელზე.

თამარა გიორგვენა ჭირისუფალივით იჯდა ტიხრის წინ, მკითხველთა მაგიდასთან.

მიცვალეზულის სიტყვები ინგლისური იყო. ეს ენაც ოდესღაც იცოდა თამარა გიორგვენამ. ოდესღაც. ის ცხოვრება აღარ არსებობდა. ოღონდ ის სიტყვა, რომელსაც ასე ხშირად წარმოსთქვამდა მოულოდნელი მკითხველი, მას აღარ ახსოვდა. ახსოვდა და არც ახსოვდა.

გეძეხიძე შალვა კი გაოგნებული დასცქეროდა მოულოდნელ პასპორტს. გადაეშალა იგი და უყურებდა უცხო ასოებს. სურათი ისეთი იყო, თითქოს დიაკონი მიცვალეზულს ადგას თავს და ლოცვას კითხულობსო. ფსალმუნის მაგიერ ეს უცნობი პასპორტი იყო, თავდახრილობა ინსპექტორისა კი ისეთივე, როგორიც დიაკონებს აქვთ ამ დროს.

ის ერთხანს ჩუმად იყო და მერე კი სრულიად უღონოდ თქვა:

– დასცალეთ შენობა. აქ სად არის ტელეფონის აპარატი?

თამარა გიორგვენამ უღონოდ გაიშვირა თითი ტიხარს იქით.

– დასცალეთ შენობა. გიორგვენა, მიხედე... – თქვა გეძეხიძემ – მიხედე წიგნებს. ხელი არ მოკიდოთ არაფერს....

გოგოები დამარებული წამოიშალნენ, სხვა სტუდენტები თავიანთ ჩანთებს და რვეულებს მიუბრუნდნენ.

ასეთი იყო დილა კლორთალის ბიბლიოთეკაში დეკემბრის ერთ დღეს, საზიზღარ 1949 წელს.

თამარა წამოდგა. ტიხარის უჯრიდან რატომღაც მტვრის ტილო ამოიღო და სტალინის სპილოსძვლისფერ ბიუსტს გადაუსვა. ახლა უშიშროებიდან მოვიდოდნენ, ასე მიხვდა. ინსპექტორი რეკავდა.

– ჩემთან გადავიდეთ, თქვა ეთერიმ.

ბალერა



კონსტანტინე კავაბიძე „ბალერა“, ტილო, ზეთი, 2008

პირადი ნივთები

შინსახკომი რიხით მოვიდა. კაპიტანი თვალებს აბრიალებდა და თამარა გიორგვენას ძალიან ავი თვალით უყურებდა.

– დასალუქია, – უთხრა თანმხლებებს. თანმხლები შვიდი იყო. ორი მანქანა ხალხი.

– მე შენ უგრო ხო არ გგონივარ? – გამომწვევად ჰკითხა გეძეხიძეს – უგროში რო რეკავ, უგროს საქმეა ესა?.. ჭითავა, სადაა უგროს ხალხი? ფოტოგრაფი, ექსპერტი, – ხელში ბრაზიანად ატრიალებდა ფრანგულ პასპორტს, მისი წაკითხვა არ შეეძლო – მე მამუშავეთ ახლა. მიდი ჰე, ბიჭო, დატრიალდით. მკვტარს ხელი არ მოკიდოთ. სურათია გადასალეები...

– ჯაშუშია? – შეჰბედა გეძეხიძემ, დილიდანვე გადაკრულის სითამამით.

კაპიტანმა ზიზლით გადმოხედა.

– აქტი დანერე?

– არა... – აიბნა გეძეხიძე – დავრეკე...

– შენ, ბიჭო, რაცხა ვერ ხარ გონებაზე... ეს შენ სემიჩკის გამყიდველების შეგინება ხო არ გგონია?! მოდი, აქეთ, მოდი, მომიყვევი...

ორ საათში ვითარებამ რთული იერი მიიღო.

თამარა გიორგვენამ ქალიშვილთან დარეკვაც ვერ მო-

ასწრო. ვერ მოახერხა უფრო სწორედ. პალტო ნაჩქარევ ჩაიცვა, თავშალი აბურდულად მოიხურა და გაჰყვა ოთხ შინსახკომელს, რომლებმაც მანქანაში ჩაისვეს და წაიყვანეს უშიშროებაში, დომსვიასის უკან.

იმ დროისთვის, როცა თამარა გიორგენა მიყვდათ, ბიბლიოთეკის დარბაზში უკვე ასი კაცი მაინც იმყოფებოდა.

ვილაცა კაიპალტოიანი კაცი, რომელიც მაგიდასთან გვერდულად იჯდა და წინ დადებულ თავისსავე სქელ ქუდს ყველა სიტყვის წარმოთქმაზე იღებდა და ისევ მაგიდაზე ახეთქებდა, იმ კაპიტანს უყვიროდა, თავიდან რომ მოვიდა:

– ხალხი როგორ გოუშვი?! ხალხი როგორ გოუშვი ბჟალავა?! აჰა, სათითაოდ ვეძებოთ?! ეძებე!... წეიყვანე ეს ქალი და გამოკითხე!... წეიყვანე!...

– მე არ გამოიშვია, – ბურტყუნებდა კაპიტანი – ...გაშობილი დამხვდა....

– ვინ გოუშვა?..

– უჩასტკოვმა....

– უხხხ. თქვენი. უხ, თქვენი... რა გვეიგო ახლა მე?! რა გვეიგო?! უგროს ხალხს გამოართვით ყველაფერი. არ დოუტოვოთ. არც გაატარონ. ჩვენი საქმეა...

– არის, ამხანაგო გენერალო...

– სადაა ის? ჩიკაშუა სადაა?.. ჩიკაშუა, მოდი აქ, ვინ არი ეს კაცი? – თვალბის ჩაჭუტვით ჰკითხა გენერალმა – ვინ არი ეს კაცი?

ჩიკაშუა შინელის საყელოს ინვალებდა.

– დადგინდა ვინაობა. ხო ვიცით...

– სად არი ჩანერილი?.. საბინაოდან მოათრიეთ ვინმე? სად არი ჩანერილი? ჩოუნერლად ცხოვრობდა თბილისში?

– ვეძებთ კორნელიჩ... ამხანაგო...

– აახ, – ქუდი აიქნია გენერალმა — ჩოუნერელი კაცი! მოათრიეთ საბინაოს უფროსი...

– რაიონის?

– რა რაიონის, ბიჭო... საქალაქო...

– აქა. უკვე გაცემულია დავალება. ეძებენ...

– მოათრიე აქ... ბიჭო, დაგალობ ციხეში! სად ცხოვრობდა ეს კაცი? ვინ ხარ შენ? რა გვარი ხარ? პარტიამ მისთვის დაგაყენა ამხელა თანამდებობაზე, რო რა თქვა, მდგმური, გოუტარებლად არ იქნას მიღებული?.. თუ მდგმურია...

ქალაქის საბინაოს უფროსი პატარა, უბედური კაცი იყო. სახეზე აღმური ასდიოდა.

– გამოვარკვევთ, ამხ...

– ვინ არი ეს კაცი? ვინ არი? სად ცხოვრობდა? კოტე!... კოტე, კოტე მომიყვანეთ!.. მომკლეს, რა, მომკლეს... რომელი საათია?..

ნახევარი თბილისი ჩასაჯდენები ხართ! დაგალობთ ყველას! იცი, ბადაიბო სად არი? ბჟალავა! ბჟალავა! იცი, სად არი ბადაიბო? იქ დალბები... თქვე, შემარცხვენლებო! კოტე, წვევდით სამინისტროში...

ვითარება ორი დღის თავზე იყო შემდეგი:

ფრანგული პასპორტი გახლდათ ნამდვილი, ოლონდ გა-

ცემული 1921 წელს. ის ეკუთვნოდა ვინმე სიმონ ტილფიდას, თუმცა ამნაირი გვარის კაცის პოვნა შეუძლებელი იყო. საისტორიო ბიბლიოთეკის მონიშნა გაცემული იყო 1933 წელს ვინმე თევდორე გაჩეჩილაძის სახელზე. ფრანგულ საბუთში იყო უღვაშიანი ახალგაზრდა კაცის ფოტო, ოლონდ, გახლდათ თუ არა ეს კაცი კლორთალში აღმოჩენილი მიცვალებული, თავს ვერავინ დასდებდა. ეს უნდა გამოეკვლიათ მცოდნეებს. ბიბლიოთეკის საბუთში სურათი არ იყო და პასპორტიცა და ისაც კარგახნის ვადაგასულნი გახლდნენ. სხვა რამ დოკუმენტი მიცვალებულს არ გააჩნდა. მის პორთფელში აღმოჩნდა ძველი ფეხსაცმელები და ერთი შეხედვით, ნაკლებად საინტერესო ფურცლები, სავსე ამონაწერებით პარტიული პრესის მონიშნავე სტატიებიდან. იქვე იყო ფანქრის სათელი ჯაყვა, სათვალის ბუდე, ოქროს პენსნე, რომელიც, როცა წაიქცა, ცხვირიდან წასძვრა მიცვალებულს და გვერდზე დავარდა და მეტი არაფერი. ჯიბეებში სრულიად არაფრი აღმოჩნდა, შვიდთუმანახევრის მეტი.

საკვირველი იყო ეს, რომ თფილისში არ აღმოჩნდა არცერთი ცოცხალი თევდორე გაჩეჩილაძე. თფილისი მაშინ არ იყო დიდი ქალაქი. სასაფლაო რეესტრებში იპოვნეს სულ ცხრა თევდორე გაჩეჩილაძე, რომელთაგან ერთი მთლად 1892 წელს მომკვდარიყო. ამის მიუხედავად, უშიშროებამ მკაცრად დაჰკითხა ყველა შთამომავალი თევდორე გაჩეჩილაძეებისა, მაგრამ სიჩქარის მიუხედავად, ვერაფერს ჩაეჭიდა. იოლად დადგინდა, რომ გაჩეჩილაძენი იმერელნი არიან და ამიტომაც, ქუთაისის უშიშროებას მიეცა დავალება, საჩქაროდ გაეცხრილა მთელი დასავლეთი საქართველოს ოლქის გაჩეჩილაძეობა.

იქ მრავალნი აღმოჩნდნენ გაჩეჩილაძენი, ხოლო თევდორენიც, გვარიანად.

ოცდაშვიდი თევდორე გაჩეჩილაძე, ყველა უბრალო კოლმეურნე გლეხნი, უმეტესად მოხუცნი, დანარჩენი კი მათი შვილიშვილები, რომელთათვისაც ბაბუათა საპატივცემულოდ დაერქმიათ ეს სახელი, აჰყარეს და მოიყვანეს ქუთაისის უშიშროებაში, სადაც საოლქო უშიშროების უფროსმა აღარ იცოდა, როდემდე შეენახა საკნებში თევდორე გაჩეჩილაძენი, სულ ცხრამეტი ოდენობისა.

უფროსი მიხვდა, რომ საქმე სერიოზულად იყო, ვინაიდან თბილისიდან მოვიდა მკაცრი ბრძანება, არცერთი გაჩეჩილაძე არსად გაეშვა. ეს ნიშანი იყო მოსახლეობისთვის, რომ ყველას აჰყრიდნენ და კაზახისტანის გალოდნი სტეპში გადასახლებდნენ, ვინაიდან აქამდეც, დაჭერები იყო და ხალხს ერეკებოდნენ და ერეკებოდნენ შორს. ისიც ყველამ იცოდა, რომ გაზაფხულიდანვე თბილისში ახალგაზრდა სტუდენტებს იჭერდნენ და ზოგიერთ მათგანს ხვრეტდნენ კიდევ. ასევე ამბობდნენ, რომ უცხოეთიდან ომის მერე დათავდული ლაპარაკებით მობრუნებული ქართველი ემიგრანტები სულ ერთიანად დაეჭირათ და გადაესახლებინათ.

ასე რომ ითქვას, იმერეთში ხმა დავარდა, დაჭერები ახალ ძალით მოვიდაო. ყველას აწვალებდა ფიქრი, ვინ იყო ის ერთი გაჩეჩილაძე, რომლის გამოც მთელი ეს თევდორე გაჩეჩილაძეები მოუგროვებიათო.



კროსვორდი

ავტორი ლადო კილასონია
ილუსტრაცია GAMEZ

და რა უნდა მეფიქრა, რო? ბავშვობის ძმაკაცები ვიყავით. კი, ბოლო წლები, ერთმანეთს ვეღარ ვნახულობდით, მაგრამ ეგ ჩვენთან, ხო, იცი, ბევრს არაფერს ნიშნავს. მთელი ბავშვობა ერთად დავბრბოდით, პირველად პლანიც ერთად მოვნიეთ თორმეტსართულიანის სახურავზე აპარულეებმა, მაშინ ჩამითრია ცამ. მახსოვს, ერთი-ორი ნაფაზი ამოვარტყი, თავბრუ დამეხვა, მზისგან გამთბარ, ბეტონზე გავწექი, თავი ძირს დავდე და მთელი საათი ვუყურე, როგორ უნმაუროდ, ლამაზად მიბობლავდნენ თვალუნვდენელ ცისფერ ზედაპირზე, ბუთქუნა თეთრი ღრუბლები; პლანიც მაშინ შემიყვარდა. ეხლა, ზოგი გიჟდება – მარტო რა მომანევენებსო, მაგრამ, მე ორივე მიყვარს, ხალხშიც და მარტოც; განსაკუთრებით თუ სოფელში ვარ. ავალ ხოლმე უკანა აივანზე, გავწევი ჩემს ჟანგიან, ძველებურ სანოლზე და ჩაძინებამდე ვუსმენ, ღამის ხმებით გაჟღენთილ ტყეს, თრითინების ხმას, წყაროს რაკრაკს, ძაღლების ყეფას.

ციხიდან დამირეკა, უკვე წამალზე იყო გასროკილი, დედაჩემთან ადი, საქმელს და ფულს გამოგატანს და შემომიგზავნეო.

მივედი დედამისთან. ამანათი თუ პასილკა, ნუ, რასაც ვეძახით – გამომატანა, დავბრუნდი სახლში და მე და დედაჩემმა, სულ სანტიმეტრ-სანტიმეტრ გავჩხრიკეთ ყველაფერი, რამე არ იყოს შიგნითო. სუფთა იყო.

მივიტანე, რიგში ჩავდექი, გადავეცი და პასუხს დაველოდე. გამოვიდა

ბადრაგი, ჩემი გვარი ამოიკითხა – აქ არისო? ნამოვდექი ამაყად და არ მეცნენ?! თურმე, ვინეგრეტში სუბოტექსია შერეული.

ჯერ კაპეზეზე გადამიყვანეს და მერე ექვსი თვეც მომარტყეს, რაც ოცდაათი ათასი ლარი დაჯდა და ახია ჩემზე. ბავშვობის ძმაკაცთან, რომელსაც ისე არ ენდობი, რო დედამისის მოცემულ ამანათს სანტიმეტრ-სანტიმეტრ გაჩხრეკე, რამე არ იყოს შიგნითო და მაინც იძმაკაცებ, მაინც ნახვალ და შეუგზავნი – უარესის ღირსი ხარ.

ოცდაათი დღე კაპეზეზე ვიყავი და მერე, გლდანში, 108-ე კამერაში გადამიყვანეს. ყველაზე ძნელი და უსიამოვნო კამერაში შესვლაა, კონტროლიორი (გლდანში ბადრაგი სადღაა) რკინის მძიმე კარს რომ გამოაღებს და აქამდე ჩუმად მოზუზუნე ოთახში უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება, ყველა შემოგყურებს და შენ კი დგახარ ზღურბლზე – ცოტა დაბნეული, ცოტა შეშინებული და ცოტაც გაოცებული; დგახარ და ათვალეირებ, კამერის ღია მწვანე კედლებს, საკუთარ ფეხსაცმელებს და იმ უცხო სახეებს, რომლებთანაც საკმაოდ დიდი ხანი მოგინევს ცხოვრება. მერე რკინის კარი შენს ზურგს უკან იხურება და დაძაბულობაც ქრება, ღიმილით ართმევთ ერთმანეთს ხელს, ეცნობით და სრულიად ახალი ცხოვრება იწყება.

108-ში ექვსნი ვიჯექით. ქურდი ან ვინმე ეგეთი ჩვენთან არავინ იყო, უმეტესობა სხვადასხვა დანაშაულისთვის

ვიხდიდით სასჯელს. გიორგი დვალი გაფლანგვაზე იჯდა, რეგისტრი ლევანა მალრაძე – ჩხუბზე, მთვრალი ხესთან ფსამდა ქუჩაში, როდესაც პატრულმა ჩამოიარა და შეაგინა (ლოთი ეგონა), ამან კიდე, გინება ეგრე არ უნდაო, ორივე გალახა, ერთს ყბა მოტეხა, მეორე უგონოდ დააგდო და ორი წლით ჩაჯდა. უყურებ და – იზამდა. მოკლეა, ჩამჯდარი, დიდი, დაბლა წამოსული მხრებით, ღიპით, მორივით ფეხებით და იმ პატარა ამობურცულობით თავსა და მხრებს შორის, რომელსაც ადრე, ალბათ, კისერი ერქვა და რომელიც წლებთან ერთად ისე გაქრა, ნაიშალა, როგორც ფრესკა სახურავაბდილ ეკლესიაში.

ზაზა კოროშინაძე, მეტსახელად ბაბუ, მორფინისტობის გამო იჯდა, ვერელი ანდრო ბაზღაძე – მკვლელობაზე, მარნეულები თათარი რამინა შამოევი – ქურდობაზე.

ძალიან წყნარად და ტკბილად ვცხოვრობდით. რაც იქ ვიყავი, ერთი პატარა ნალაპარაკებაც არ მოგვსვლია. მე ხომ, საერთოდ, შვილივით მივლიდნენ, – ყველაზე პატარა კამერაში – „ბაღლი“ როგორც შემარქვა ანდრომ.

ჩვენი კამერა ერთი ბენო იყო, ალბათ 4 მეტრი 5-ზე. მარჯვენა კედელთან, ერთმანეთის მიყოლებით, ორი ორსართულიანი სანოლი იდგა, მარცხენასთან – ერთი. ტუალეტი, ონკანი, პირსაბანი, ანუ ჩვენებურად „რაკოვინა“, ხის მაგიდა, გრძელი, იატაკზე დაჭედებული სკამი და რადიო, ეგ იყო მთელი ჩვენი ავლადიდება.

გლდანში თითქმის ყველაფერი აკრძალულია – ხმამაღლა ლაპარაკი, სიცილი, გინება, კარტი, დომინო. რა უნდა გვეკეთებინა?! ხან რადიოს ვუსმენდით, ხან ისტორიებს ვყვებოდით, ხან გვეძინა. კვირაში ერთხელ პრესა შემოდოდა, სპორტული გაზეთები, „თბილისელები“, „სარკე“ და ჩვენც, გვინდოდა თუ არა, ვკითხულობდით: რატომ დაშორდა ანრი ჯოხაძე ფინანსისტ შეყვარებულს და რის ფასად უღირს მას საკუთარი თავისუფლება! მიხეილ ცაგარელი: რომელ პერიოდში გწყალობთ ფორტუნა და როდის გაქვთ მოგების მეტი შანსი, სოფო გელოვანისთვის ორი მამაკაცი იბრძვის, ვინ იყვნენ სტალინის ორეულები. თუმცა, ყველაზე მეტად სათავგადასავლო რომანები მოგვწონდა, განსაკუთრებით კი, „დაუმორჩილებელი 2 – სლუპოის საგანძური“ (სხვათა შორის, მერე, როცა გამოვედი, აღმოჩნდა, რომ მე და ჩემი ძმაც კი ერთდროულად ვკითხულობდით ამ რომანს, ოღონდ, ის გარეთ, თავისთან სოფელში, მე კი შიგნით – გლდანში).

ერთი ეგეთი პრესის შემოსვლის დღე კი მაგრად დამამახსოვრდა და მინდა მოგიყვებოდა, დღე, როდესაც ის კროსვორდი შევაგვსეთ. იმ კროსვორ-

დს ასე იმიტომ მოვიხსენიებ, რომ კროსვორდებს მანამდეც ვაგვსებდით, მაგრამ ასეთი ამბავი მხოლოდ ერთხელ მოხდა.

შევსება ბაზლაძე სტარშიმ, ანდრომ დაინყო:

– 4 შვეულად, ცნობილი ქართველი მწერალი და ფოლკლორისტი ვაჟა ფშაველას ძმა. ჯერო, ოთხი ასოა და მერე თერთმეტი.

– თედო რაზიკაშვილი, – თქვა ნარზე წამოგორებულმა დვალმა.

– ჯდება, – ანდრომ ფანქარი შეათამაშა ფურცელზე, მერე უცებ გიორგის მიუბუნდა, – საიდან იცი? – ჰკითხა.

დვალი ჩვენკენ გადმობრუნდა და ასე დაიწყო ეს ამბავი.

4 შვეულად: თედო რაზიკაშვილი

დედაჩემის ძმაზე, გივიანზე მოგიყვით? არა, ხო? გამხდარი მასტი იყო, მაღალი და ძალიან სუსტი, ნაყვავილარი სახით, დიდი სათვალეებით და კიდევ უფრო დიდი წითელი ცხვირით.

ახალგაზრდობაში ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, პატრიოტულ ლექსებს წერდა, თან მენდელეევის ტაბულიდან ამოღებულ ფორმულებს ურევდა ხოლმე შიგნით, სუ კითხუ-

ლობდა, თან მაგარ უცნაურ წიგნებს, აი, რო ვერ მიხვდები რაში დაგჭირდება, თავისთვისაც ლაპარაკობდა, მოკლედ, მაგარი სტრანნი ტიპი იყო, მაგრამ ნიჭიერი, იუმორიც მაგარი ჰქონდა, ოღონდ ეგეც თავისებური. ერთხელ, მახსოვს, ბაბუაჩემის, ანუ მამამისის ძმაცაცს უნდა დახვედროდა და სახლში მოეყვანა, ის კაცი რუსეთში ცხოვრობდა, დიდი ხნის შემდეგ პირველად ჩამოსულიყო საქართველოში და ახლა უნდა შეხვედროდა ძმაცაცის ოჯახს. და გივიან რა ქნა? ძველ, დაძინებულ ხალატში გაეხვია, ზურგში პატარა ბალიშივით რალაც ჩაიდო, ვითომ კუზიანი იყო, წელში მოიხარა, ფეხი აითრია, შეხვდა ამ კაცს, სახლში წამოიყვანა და გზაში მოუყვა რო, ასეთია უკვე მეათე წელია, მას შემდეგ რაც ნოდარამ, ანუ მამამისმა სკამის ფეხით სცემა, რადგან სკოლიდან გაიპარა, რომ უკვე მეათე წელია საკუჭნაოში ცხოვრობს და კუთხეში ჭამს სადილის ნარჩენებს. სახლის კართან რომ მისულან, გივიანს უთქვამს: ჯერ მე შევალ, რო არ დამინახონ, თორე არ ესია მოვინებათ ჩემი გამოჩენა და რო წახვალ, ნიხლებით მცემენო და მერე თქვენ შემოდითო, უთქვამს და საკუჭნაოში შემალულა. მე, ის, ბაბუაჩემის ძმაცაც, არ მინახავს, მაგრამ დედა მიყვებოდა, რო შემოვიდა შიშისგან ძლივს ლაპარაკობდაო.

ბაბუაჩემი სამი თვე არ სცემდა თურმე ხმას, სანამ გივიან ცოლი არ მოიყვანა. მერე შვილიც ეყოლა, ბიჭი, რომელსაც ნოდარი დაარქვეს და სახლში ახალი რიტუალი დამკვიდრდა.

ჩვენ იტალიურ ეზოში, მესამე სართულზე ვცხოვრობდით, ყოველ საღამოს მოვიდოდა ხოლმე ნოდარი სამსახურიდან, დადგებოდა ეზოში, დაიძახებდა – ბავშვი! – და ან გივიანს, ან ბიცოლაჩემს პატარა ნოდარა უნდა ჩაეყვანა ქვემოთ, ბაბუისთვის გადაეცა, რომელსაც დიდის ამბით ისევ უკან, კიბეზე უნდა ამოეყვანა.

ერთ დღესაც მოვიდა ნოდარი, დაიძახა – ბავშვი! – გაახვია გივიან ზენარში თოჯინა, დაეშვა კიბეზე და ბაბუაჩემი რო გამოჩნდა, ვითომ ფეხი აებლანდა, დაეცა, ბავშვი ხელიდან

ბალერა



კონსტანტინე კავტაბაძე
„უსათაურო“, მუყაო, ზეთი, 2012

გაუვარდა და კბეზე დააგორა. ბა-ბუაჩემმა პირველი მიკრო ინფარქტი მაშინ მიიღო, ძლივს მოაბრუნეს.

მერე გივია გასროკეს, მავნებლობაში, (მაშინ მაგას „ვრედიინელსტვოს“ ეძახდნენ) დასდეს ბრალი და რუსეთში, ციმბირში უკრეს თავი. ჩვენ გვეგონა, ველარ დაბრუნდებოდა – ძალიან სუსტი იყო ფიზიკურად. გადაყვა ბა-ბუაჩემი დარდს, ორ წელში ჩირვივით დაჭკნა ამხელა კაცი, ბოლოსაც მაგის სახელი დაიძახა და ისე მოკვდა. რვა წლის მერე კი, გივია დაბრუნდა, გამელოტებული, კიდევ უფრო გამხდარი და უცნაურად გაჩუმებული.

საერთოდ აღარ ხუმრობდა, იჯდა ხოლმე თავისთვის ჩუმად და ან კითხულობდა, ან კიდევ ქერში იყურებოდა. მარტო ერთხელ, ისიც მხოლოდ ნამის მესაქედით, გახდა ძველებური გივია. აი, როგორ იყო ეგ ამბავი: მაგის ძმაცკეები მოვიდნენ დილას, პახმელიაზე იყვნენ, ხაში და არაყი მოიტანეს და როგორც ჩვენთან ხდება, პახმელიიდან გამოსვლა ახალ სიმთვრალეში გადავიდა. გივიამაც დალია, ჰოდა, შეუჩნდა თავისი ბავშვობის ძმაცკე ბესო, ჰა, ეხლა რო ჩამოგტირის ეგ სახე, როგორ იყო ადრე რო ვერ გაჩუმებდითო? ძველ ამბებს უხსენებდა, ელადავებოდა. ორჯერ უთხრა გივიამ შემეშვიო, არ გაჩერდა ბესო. გავიდა ცოტა ხანი, გივიამ ფანჯრისაკენ გაიშვირა ხელი: ვაა, ნახე არწივიო, გავიხედეთ ყველამ, მართლა არწივი იყო და ბესომაც რო მიაბრუნა თავი, გივიამ უცებ პროტეზი გამოიღო პირიდან (კბილები ცინგისგან ჩამოცვენოდა) და ხაში ჩაუგდო, მოხვრიპა გემრიელად ბესომ ერთ-ორჯერ ხაში, კოვზი მოუსვა ხორცის დასათრევად და არ ამოყვა უცებ კბილები.

– ვაიმე! – იყვირა შიშისგან ბესომ და კოვზი ხელიდან გაუვარდა.

მაგრად ვიცინეთ ყველამ, გივიაც იცინოდა თავისი უკბილო პირით.

ჰოდა, რატო მოყვევი გივიაზე, – რო ეკითხებოდნენ, როგორ გადარჩიო, სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: თედო რაზიკაშვილი მიცოცხლოს ღმერთმაო. სუფრაზე, სახლში, ყველგან ამ ფრაზას ამბობდა. ერთხელაც

ველარ მოვითმინე და ვკითხე, რას ნიშნავს ეგ-თქო, მარტოები ვიყავით და მომიყვა.

რომანისტებზე გაგიგიათ რამე? აი, შალამოვს აქვს თავის ერთ მოთხრობაში, არ მახსოვს, მგონი, გველების მომავადობელი ჰქვია. რომანისტებს განათლებულ ხალხს ეძახდნენ, ესენი იყვნენ ტიპები, ვისაც ნაკითხული ჰქონდა, ზეპირად ახსოვდა სათავგადასავლო ლიტერატურა და შეეძლოთ რომანების კარგად მოყოლა, ამბობენ ისეთებიც იყვნენ, ვინც საბრალონი, სამი მუშკეტერი და ეგეთი რამეები ზეპირად იცოდნენ. ეს რომანისტობა, თუ რომანისტები მარტო რუსეთში, გულაგში არსებობდა, არ გამოვიდა სხვა ციხეებში ეგეთი ვილაცხები ყოფილიყვნენ, მით უმეტეს, საქართველოში. არა, კაი მოლადავე ან ამბის მომყოლი ციხეში კი არა ყველგან ფასობს და საჭიროა, მაგრამ ამბის მოყოლაში რო გასამრჯელოს იღებდეს, ეგ არ მინახავს და არა მგონია, თქვენც გქონდეთ ნანახი.

რომანისტები კიდევ ზუსტად ეგეთ რამეებს აკეთებდნენ, შეიძლება არ უნდოდათ, მაგრამ თავის გადასარჩენად უნებდათ, იმიტომ, რომ ასეთებს თვითონ ქურდები პატრონობდნენ, ცდილობდნენ, ამ ხალხს კარგად ეჭამა, ნაკლები ემუშავა და არავის დაეჩაგრა, რო სალამოზე, სამუშაოდან მობრუნებულებს, ძალა დარჩენოდათ მოყოლისათვის. დაუძახებდნენ ხოლმე, დაისვამდნენ თავისთან ნარზე და სანამ არ ჩაეძინებოდათ, ხანდახან კი სულაც გათენებამდე (ქურდები ხო გულაგში არ მუშაობდნენ და ჯანიც მეტი რჩებოდათ), ალაპარაკებდნენ, უსმენდნენ, დრო გაყავდათ, რა, ერთობოდნენ.

მოკლედ, რომანისტები ტელევიზორებივით, ან უფრო, რადიოსავით იყვნენ და ამიტომ, ბევრ ინტელიგენტ პატიმარს, ან კიდევ პოლიტპატიმარს, ეს მაგარ სირცხვილად მიაჩნდა, – შიმშილით კვდებოდა, მაგრამ არაფერს ყვებოდა გასამრჯელოს მისაღებად.

ჩაიყვანეს გივია გულაგში. მაგრად გაუჭირდა თურმე, რომელი კაცის მკვლელი და რეციდივისტი ეს იყო, იქ რო გაექაჩა, მარა, რო გეუბნებოდი

ნაკითხი და ნიჭიერი იყო-თქო – მაგან უშველა, რომანისტობდა. ეს ქურდები ხო მაგარი მორწმუნე ტიპები არიან და მაშინაც იყვნენ თურმე, სულ ჯვრებს და ხატებს აკეთებდნენ და ლოცულობდნენ, ჰოდა, ერთ სალამოსაც ჩამოვარდნილა ლაპარაკი იმაზე თუ საიდან გაჩნდა ქურდული, რა თქმა უნდა, აესეთ თემაზე მარტო ქურდები ლაპარაკობდნენ, სხვები ჩუმად იყვნენ და სწორედ აქ გახსენებია გივიას ერთი ძველისძველი ქართული თქმულება:

– ქართულ ხალხურ ზღაპრებში არსებობს ასეთი გადმოცემა იესო ქრისტეზე, – დაუნყია გივიას და უეცრად ბარაკში სიჩუმე ჩამოვარდნილა, ყველა გაჩუმებულია, ქურდები გაკვირვებისაგან, ხოლო დანარჩენები შიშისგან, იმიტო, რო ვილაცა ფრანკმა გაბედა და ქურდებს სიტყვა გაანყვეტინა, მაგრამ გივია არ გაჩერებულა და გაუგრძელებია, – როდესაც ქრისტე ჯვარს აცვეს, ხელებში და ფეხებში ლურსმნები გაუყარეს. ერთმა მონაფეთაგანმა, ის ლურსმნები, რომლებიც თავში უნდა დაეკრათ ურიებს ქრისტესათვის, მოიპარა. ურიებს ლურსმნები აღარ ჰქონდათ, რომ შუბლშიაც ჩაეჭვდათ. თორემ შუბლში რომ დაეკრათ, ქრისტე მოკვდებოდა. ამის შემდეგ იესო ქრისტემ დალოცა ქურდების გზა.

ცოტა ხანი ისევ სიჩუმე ყოფილა, შემდეგ კი, მაშინდელი გულაგის ყველაზე სასტიკ და დაუნდობელ ქურდს, ვარვარს უკითხავს, საიდან იცი ეგო?

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მაგარი პოეტის ძმის მიერ შეკრებილ ზღაპრებში წერიაო, უპასუხია გივიას და ქურდებს მოსწონებიათ. მოდი, ჩვენთან დაჯექი, კიდევ რამე მოგიყვივო, უთქვამს ვარვარს და გივიაც გადაამჯღარა და იმის მერე არავის შეუხუხებია თურმე.

აი, საიდან ვიცი თედო რაზიკაშვილი.

– კაი, გავაგრძელებთ, – თქვა ანდრომ – 13 თარაზულად, ოთხი ასოა, სოფელი ჯავახეთში, ზღვის დონიდან 2080 მეტრზე, სადაცაა მამათა მონ...

– ფოკა, – მინიშნების ნაკითხვაც არ დააცალა ბაბუმ და ეგრევე გააგრძელა.

13 თარაზულად: ფოკა

ჩემი ერთი ბრატა იყო მანდ წასული, აერია ქალაქში ყველაფერი, შარებში გაიჩითა, აქეთ თავნებო, ფულები აბარა, იქით წამალიო და ერთმა ურჩია მონასტერში წადი, ოღონდ აქვე ახლოში არა, სადმე შორს, მე ვიცი ერთი კარგი ადგილი და თუ გინდა, გაგივებო, იმუშავებ, აქაურობისგან დაისვენებ, ლომკას გადაადგებ, სუფთა ჰაერზე იქნები, თან მადლია და რამეო და, კაროჩე, წავიდა ესეც.

ჩავიდა მაგ ფოკაში, მივიდა იმ მონასტერში, სახელი დამავინწყდა ეხლა, კარგად მიიღეს მამაოებმა, გაუსწორდა ამასაც, მაგრამ, თურმე, რა ხდება, – ამ ფოკაში სომხური მოსახლეობა მოშნად და ამ სომხებს და ამ მამაოებს შორის სუ დაძაბულობაა, არ ვიცი, ალბათ გრეგორიანობის და მართლმადიდებლობის პონტში. ჰოდა, ამ ჩემი ბრატის ჩასვლის პირველივე დღეს დაეცნენ ეს სომხები მონასტერს და აინია დიდი ჩხუბი, ხელით, ტო, თან ისეთი, მამაოებიც რო ჩაერთნენ და ამ ჩემმა ბრატმა, იასნია, დამასტა, მარა სომხები ბევრნი იყვნენ და მოერიენ, მაგრად გალახეს.

სალამოს წევანან თურმე კელიაში,

მაგარი ნაცემები, დაღწილები, ეს კიდე ლომკაშია, კვდება და ამ დროს ეუბნება ერთ-ერთი მთავარი მამაო: დიდი მადლობა შეილო რო დაგვეხმარე, ეს ჩვენი რწმენის გამოცდა იყო და დღეიდან ყოველ დღე ასე იქნება, ყოველ დღე მოვლენ ეს ურჯულოები, არ მოგვეშვებიან და ყოველ დღე უნდა გავუმკლავდეთო.

წამოინია ეს ჩემი ბრატა ლოგინიდან და უპასუხა: მამაო, აქ ლომკის გადასადგებად და დასაწყნარებლად ჩამოვედი, თორე ჩხუბის სწავლა რო მდომოდა, შაოლინის მონასტერში წავიდოდიო.

მესამე დღეს თბილისში იყო ისევე, ვერ გაუძლო.

ჩუმი, პირზეხელაფარებული სიცილი რომ მიწყდა, ანდრომ გააგრძელა:

– 24 შვეულად, ცნობილი ინგლისელი მწერალი, ავტორი რომანებისა: მარტინ იდენი, წინაპართა ძახილი და თეთრი ეშვი...

– ჯეკ ლონდონი! – წამოიძახა ლევანა მაღრაძემ და ღიპზე დაირტყა ხელი.

ანდრომ კროსვორდს ჩახედა, შემდეგ გაელიმა და ჰკითხა:

– აი, შენ საიდანლა იცი ეგ?

24 შვეულად: ჯეკ ლონდონი

რალა საიდან ვიცი, მაგას რა დამავინწყებს?! საფრანგეთში ვთამაშობდი მამინ, კლოდ სორელის დროა, ჩვენი ნაკრების ფრანგი მწვრთნელი იყო, რომელმაც საფრანგეთში თამაშის კანალი გაჭრა და ჩვენი ბიჭებიც პაჩკა-პაჩკა ჩამოდიან იქაურ გუნდებში. მე კლერმონში ვარ და ჩამოვიდნენ ზაზა ფაღავა და ირაკლა ჯუმუკაშვილი. ერთ ქალაქში კი ვართ, მაგრამ სხვადასხვა გუნდებში ვთამაშობთ, ჩემი ელიტა ერთია, ანუ ჩვენებურად რო თქვა, უმაღლესი ლიგა, იმათი კი ნაციონალ ერთი, ანუ მესამე ლიგა და ამიტომ, ერთად არ ვცხოვრობთ, მე ბინა მაქვს ნაქირავები, ისინი სასტუმროში ცხოვრობენ.

ირაკლა ჯუმუკაშვილი ყველამ ვიცით, ეხლაც ნაკრებშია, წყნარი ბიჭია, მხიარული, და ზაზა გახსოვთ ფაღავა? ბოლო დროს აღარ თამაშობს, დაანება, მარა ეგეთი მაგარი, პროსტა ალბათ არც გვეყოლია არავინ. წარმოიდგინე, ორ მეტრზე მეტი, თან მაგარ ჯანზე, სულ კუნთი, გამომშრალი, დავენილი, ეხლაც მუშტს რო შეკრავს, ხელეზზე ვენები სარეცხის თოკებივით აჯდება, მოძრავი, აგრესიული, უშიშარი. ყველაფერი ჰქონდა, რო მსოფლიო დონის ვარსკვლავი გამხდარიყო, ყველაფერი ხასიათის გარდა.

ფხიზელზე ზაზას ხმას ვერ გაიგებ, მაგრამ თუ დალია, მტრისას, პათოლოგიც არაა, გიჟია, შეიძლება გამარჯობა უთხრა, არ მოეწონოს და გეცეს, ეხლა, არ გინდა ამოდენა მუტრუკთან ჩხუბი, თან ძალიან მაგრად ჩხუბობს, თბილისში ექვსი პოლიციელი სცემა ერთად, დაასისხლიანა, რაც ხელში მოხვდება ხო ყველაფერს დაგარტყავს, დანა, ნაჯახი, ჩაქუჩი, ქვა, ყველაფერს, მარა, რაც ყველაზე უარესია – სიფხიზლე მაგრად არ უყვარს და ძალიან იშვიათადაა, სულ სვამს, დაჟე თამაშებზეც, ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია მთვრალს.

ვარჯიშიდან სახლში მოვედი, საჭმელი უნდა გავიკეთო და ტელეფონი მირეკავს, ავიღე – სასტუმროს ადმინისტრატორია, ხმა აქვს, შეშინებული, მეუბნება სასწრაფოდ მოდი,

ბალერაა



კონსტანტინე კაკაბაძე „მწვანე მანქანა“, ტილო, ზეთი, 2012

რალაც ძალიან ცუდი ამბავიაო. დავახტი მანქანას, დავგაზე და მივედი, შევედი სასტუმროში, მთელი პერსონალი ჰოლშია, ფეხზე დგანან, ერთმანეთს უყურებენ, მაგრამ ადგილიდან არ იძვრიან, სახეზე ფერი ადევთ, აი, ცარცი. მეთქი რა ხდება და იმ ადმინისტრატორმა ჩვენების ოთახისაკენ გაიშვირა ხელი, გავიხედე და რას ვხედავ: კორიდორის ბოლოს დგას ზაზა, ირაკლა კუთხეში მოუმწყვდევი, ხელში უზარმაზარი პურის დანა უჭირავს, აგინებს და ამ დანას უქნევს. ირაკლას ხელები თავზე აუფარებია და ბავშვივით ტირის, ეხვენება არ მომკლავო. მივარდი, ზაზას, გიჟის თვალები აქვს, ამ დანას ხელში ბლუჯავს, სადაცაა უნდა დაარტყას და ვეუბნები, რა მოხდა, რა დაგიშავა-თქო?

– რა და ამ ყლემ თეთრი ეშვი არ იცის ვინ დაწერა, – მომიბრუნდა ზაზა.

აუ, დამცხა ბოზიშვილი ვიყო, არც მე არ ვიცი ვინ დაწერა ეს თეთრი ეშვი და ვსიო, შემდეგი ვარ. ეხლა ეს ამას მოკლავს, მერე მე მკითხავს და დამენძრა.

და რო ვეცი ამ ირაკლას, მეთქი, შე სირო, როგორ არ იცი, ვინ დაწერა?! ის კიდე დგას და ტირის: იიი! არ ვიცი და რა ვქნა, მაგის დედა ვატირე, მიშველე რამე არ მოაკვლევინო ჩემი თავიო.

– ზაზა, ამას მოკვლა რალად უნდა, თავისი უფიცობა და გაუნათლებლობა ეყოფა, დაანებე თავი, – მივუბრუნდი ზაზას და დამიჯერა, პროსტა გავგიჟდი, დადო დანა, ოთახში შებრუნდა და დაიძინა.

მარა მე იქიდან მოვხიე და ინტერნეტში შევარდი ამ თეთრი ეშვის ავტორის მოსაძებნად, თურმე რა ადვილი ყოფილა, ლონდონი, ჯეკ, ლონდონი!

– 21 თარაზულად, – სიცილით გააგრძელა ანდრომ, – ნახატი მოსერის ფირმის საათებზე! ხუთი ასოა!

– მოსერი? – წამოიძახა რამინა შამოევმა, – ვეფხვი! მაგას ვეფხვი ახატია ძირზე, ფირმის ნიშანია, რა! უზორსაც ეძახიან!

– სად შენ და სად მოსერის საათი? – ჰკითხა ანდრომ.

– მაგარი, ამბავია, მაიცა! – უპასუხა რამინამ და მოყოლა დაიწყო.

21 თარაზულად – ვეფხვი

ეხლა სანამ მე დამიჭერდნენ, ვვაჭრობდი, ტავარი დამქონდა აქეთ-იქით, ეგ ამბავი კიდე ძველია, ედიკას დროინდელი, გაი და რამე, პატრული არ იყო მაშინ, ლარიც არ იყო, მანეთების დროა. მარნეულიდან ტავარი რო მოგქონდა, გზაზე სუ ეს გაიშნიკები იდგნენ, გაგაჩერებდნენ, აგანონინებდნენ, თუ პერეგრუზი იყო, ფული უნდა გაგემაზა, რომც არ ყოფილიყო პერეგრუზი, პრიჩინას ყოველთვის გიპოვნიდნენ, ფული უნდა გადაგეხადა. ისეც ხდებოდა ხოლმე რო გზაზე ერთხელ კი არა, ბევრჯერ გაჩერებდნენ, მოკლედ, სამასი, ოთხასი მანეთი, ნაღდი გინდოდა გზაზე გაისთვის.

ერთხელაც ლამეა, მოვდივარ ქალაქისკენ და მომაქვს დიდი გრუზი, ტავარი ბევრია და ვიცი, რო კარგადაც წამართმევენ ფულს. ტრასაზე რო გავედი, ვიფიქრე, მეთქი მოდი, მანქანას ერთი ასი მეტრით ადრე გავაჩერებ ამ გაიშნიკების პოსტებისგან, ფეხით მივალ, რო გრუზი, ტავარი არ ნახონ, წინასწარ გადავუხედი ერთ ას მანეთს და ნავალ მერე. ეგრეც გავაკეთე, მანქანა გავაჩერე, ჩამოვედი და ფეხით წავედი. ლამეა, ბნელა, ვხედავ მარტო ერთი მილიციის მანქანა დგას გზაზე, მივედი დავეხედე, ვილაც გაიშნიკია შიგნით, სიდენიაზე გდია და ძინავს, მანქანის გვერდზე, მიწაზე კიდე არაყის ბოთლი და პივის ბანკები ყრია, მივხვდი, მთვრალია გაგლეჯილი, თან მარტოა. ვიფიქრე, მთელი ცხოვრება ესენი მართმევენ ფულებს, ერთხელც მეც დავუბრუნებ აბაროტს, თან ლამეა, გაიშნიკი მთვრალია, ვინ დამინახავს. შევძვერი მანქანაში, გავჩხრიკე ეს გაიშნიკი, ორიათასი მანეთი ელო ბუმაჟნიკში, ამოვაცალე, ხელზე ოქროს საათი ეკეთა, ისიც მოვხსენი, მივედი ჩემ მანქანასთან, დავჯექი და წავედი ქალაქში. ვაბზე არაფერი. ფული მოვიხმარე, საათი კიდე ძაან მომეწონა და არ გავყიდე, ხელზე მეკეთა და დავდიოდი.

აესე, ერთი წლის მერე ქორწილში მოვხვდი, სუფრაზე ვზივარ და არ და-

მიჯდა ეს გაიშნიკი წინ?! თან თავის ძმაკაცებთან ერთადაა, მე კიდე მაგის საათი მიკეთია ხელზე. შემემინდა მარა რას იზამ, ხო არ ადგები და არ გაიქცევი, ვაბზე დამწვარი პონტია. ეს გაიშნიკიც მიყურებს და თან თავისიანებს ელაპარაკება რალაცას. ცოტა ხანში ერთ-ერთი მაგისი ძმაკაცებიდან მეუბნება: ჯიგარო ერთი გარეთ გამოდიო. გავედი. ხუთნი არიან, ოთხნი ძმაკაცები და ერთიც ეს გაიშნიკი და პირდაპირ მეუბნება: საიდან ეგ საათიო? მე ვთქვი, რაში გინდა? რაში და ზუსტად ეგეთი საათი მქონდა და დავკარგე, ეგეთი კი არა ეგ საათია, ვცნობ და შენ საიდანო? ხო არ გეშლებო, ეკითხება ერთ-ერთი თავისი ძმაკაცი. არაო, ეგაო, ეუბნება ეს. ანუ, ვსიო, რა, დამენძრა, ვიტყვი და მორჩა, არ ვიტყვი და მათქმევენებენ ძალით და მაინც მორჩა და, მეთქი ხარაშო, სიმართლეს მოგიყვებით: მოვდიოდი, ტავარი მომქონდა, ვიფიქრე, მეთქი მოდი მანქანას ერთი ასი მეტრით ადრე გავაჩერებ ამ გაიშნიკების პოსტებისგან, ფეხით მივალ, რო გრუზი, ტავარი არ ნახონ, წინასწარ გადავუხედი ერთ ას მანეთს და ნავალ მერე. მივედი, გაიშნიკს ძინავს მანქანაში, გაგლეჯილი მთვრალია და გავშმონე, ფული ქონდა, წამოვიღე, ეს საათი ეკეთა ხელზე, მოვხსენი და ბარემ მეთქი, მთელი ცხოვრება ნაკუზული ვყავარ და მოდი, აბაროტს ვიჩალიჩებ, გაიშნიკი მარტოა, მთვრალია, თან ლამეა, ჩავაძრე შარვალი და ერთი მაგრად მივატყანი.

გაჩუმდნენ, ეს გაიშნიკი მიყურებს, მერე მეუბნება, ერთი ეგ საათი მათხოვეო, მივანოდე, დახედა, გადმოატრიალა, უკან მომანოდა და თავის ბრატებს ეუბნება: არა, შემეშალა, არ ყოფილა ჩემი საათი, ის მოსერის ფირმის იყო, მოსერის ფირმის საათებს კი, ვეფხვი ახატიათ ძირზეო.

უკვე ველარ ვითმენდით, კამერაში ხმამალალი ხარხარი ისმოდა, რომელსაც ნელ-ნელა უერთდებოდა და თანდათან უფრო ძლიერდებოდა, კორიდორის ბოლოდან წამოსული მძიმე, შავი, ქვასავით მაგარცხვირიანი ბათინქების ბრავაბრუგი. დაცვა მოდიოდა ჩვენს საცემრად.



დიმიტრი გახუტაშვილი

პოეტი

დიმიტრი 3-4 წლის წინ გამოჩნდა ლიტერატურულ პორტალებზე და ლირიკული განწყობებით, შთამბეჭდავი, მოულოდნელი მხატვრული სახეებით მაშინვე მიიქცია ყურადღება. ის ერთნაირი მონდომებით ეუფლება, როგორც კონვენციურ, ასევე თავისუფალ სალექსო ფორმას; დღემდე, ძირითადად, მისი თაობის, დამწყები ავტორებისთვის დამახასიათებელი პროფანული კინკლაობა, თუ ამ ორიდან „რომელი რომელს მოერევა“, სასაცილოდაც არ ჰყოფნის და მიიჩნევს, რომ პოეზია ფორმას არ ემორჩილება; თუმცა, მიუხედავად განსხვავებისა ფორმისეული თვალსაზრისით, ამ ეტაპზე, თემატური სხვაობა მის ლექსებში ნაკლებად შეიმჩნევა; რაც შეეხება გამოსახვის მხატვრულ მხარეს – როგორც ეს მაძიებელ ავტორს შეეფერება, მისი შემოქმედება არაერთგვაროვანია.

წარმოდგენილი ლექსებიდან ავტორის პოეტური შესაძლებლობების საუკეთესოდ წარმომჩენია ლექსი „მამიდაჩემი“. ეს ლექსი ყურადღებას იქცევს მწყობრი იმაგინაციით, სიტყვიერი თამაშით, წერის უკვე ზრდასრული კულტურით – გრაფიკულ მხარესთან თანაზიარი უზუსტესი ინტონაციური პლანით; ტექსტი, რომელიც, ერთი შეხედვით, ნოსტალგიურია და ავტორის პირად მოგონებებს აცოცხლებს, ნაბიჯ-ნაბიჯ, ფინალისკენ საერთო ტრაგედიას წარმოაჩენს – ხდება „მამიდას“ მხატვრული სახის ისეთი განზოგადება, რომ იგი გაიგივდეს მთლიანად სოფელთან; ეს მომაკვდავი „სოფელია“ – მიზეზი კი, თუ ავტორის მინიშნებებს მივყვებით, „ყალბი ტყვივლები და ოცნებებია“ – ის, რაც იდილიური გარემოდან ხალხს ერეკება, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით.

დიმიტრი დაიბადა 1991 წელს, ფოთში. ამჟამად არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი. ლექსების გამოქვეყნება პირველად დაიწყო ინტერნეტ სივრცეში. რაც შეეხება ბეჭდური სახით პუბლიკაციას, ეს პირველი შემთხვევაა.

* * *
თვალუნვდენელი მინდორი
ჩემს პატარა
ოთახზე მშვიდია.

* * *
შენ რომ ხეივრის
სავარძელში გხედავ,
არ ვიცი, ფეხები სად დავმალო.

* * *
საკუთარ ფრჩხილებს
კენკავენ
მშერი ბელურები.

პაკანათები

არასდროს მხიბლავდა ლექსში საკუთარი სახელებით
გამონვეული ექსპრესია
და ამიტომ უსახელოდ მოგმართავ
ჩემო პატარა მეგობარო,
ჩემო კისერში თოვლჩაყრილო,
სივრცით შეშინებულო.
სულ მახსენდება,
როცა ცა პურივით იფშვნება
მინის მლაშე რძეში - ზღვაში
და „წელს ნაადრევად ჩამოთოვაო“
ამბობს მამა,
მე კი მგონია, თოვლს ყოველთვის აგვიანდება.
მას ოციოდე პაემანზე შევხვდი კიდევაც.
ჩემო მოუსვენარო მეგობარო,
შემეძლო მეთქვა, რომ პუბლებმა ააღნივე ვარსკვლავებამდე,
რომ ჩამოცვივდნენ
და ანთია ღამე მათი დამწვარი ფრთებით,
მაგრამ პურის და რძის შედარება
უფრო ჩვენია,
ჩემო მუდამ მოშიებულო.
ესეც კადრი:
ძველ, სამფეხა სკამებზე ვსხედვართ,
ჭრელ მაგიდასთან,
„არეულობის დროს“ რომელიღაც საბავშვო ბაღიდან
რომ მოიტანა ბაბუაჩემმა,
ზედ რომ უცნობი მულტფილმის გმირი ახატია,
ჩვენთვის უცნობის, რადგან არ გვაქვს ტელევიზორი
და ბებიაშენის თუ ბუბიაჩემის (რა მნიშვნელობა აქვს)
სუსტი ხელებით ჩამონველილ რძეში
ვყრით ხმელ პურს.
მეგობარო,
ეს შენ გგონია რომ გაიზარდე,
ჩემ სიზმრებში ისევ ამზადებ კაკანათებს
თეთრი მტრედების დასაჭერად.

მგზავრობისა

შენ მიხვდები, რომ მარჯვენა ლოყის მიშვერა მას შემდეგ,
 რაც მარცხენაში სილას გაგარტყამენ, პროვოკაციაა
 და ცხელ სახეზე ამოყვავილებულ ნათითურებს
 ისე მოისინჯავ, როგორც შენ წილ ბედნიერებას,
 რომელიც სრულიად გაკმაყოფილებს
 და ბალის სუნი აგივა ხელზე.
 შენ მიხვდები, რომ ყველა ტკივილი
 რომელიც მინდვრის ბირკასავით აიკარი,
 ისე მაგრად მოეჭიდა მაგ ბამბის სხეულს,
 თუ გაიცლი, დაიძინებ
 და მაინც მშვიდად დაიძინებ,
 როცა თვალებიდან შემოგიძვრებიან დღის ურჩხულები
 და ლამის სიზმრებს ციხე-კოშკებით დაგინგრევენ.
 შენ კი მშვიდად დაიძინებ სწორედ იმიტომ, რომ
 ცა გამოჩნდა
 და იმ ცისქვეშ დაბმულ მიწის ენაზე - გზაზე
 მოუწელებელ ლუკმასავით გასრიალდები.

სახელმო

პირში ელვის ბოლოები მიძვრებიან,
 მენვის, მაინც ვყლაპავ მთელი მონდომებით.
 სიზმრებიდან გამოყრილი სიზმრებია,
 სველ ტყეებში მოსრიალე გონდოლები,
 სადაც მინა ათი თითით ილუკმება
 და ჩამდგარი ქარიშხლები იღლებიან, -
 ეკლიანში გახლართული შვლის ნუკრები.

სიგიჟემდე მტკივა ამ დროს ცალი ხელი,
 სასაფლაოს უხეშ ბეტონს მიმსხვრეული,
 სიჩუმე კი... გამშრალ ძვლებში მიფათურებს,
 დედაჩემის მიწით შეჭმულ სახელოებს.

მამიდაჩემი

ბინდი ჩამონვა,
 მალე ძროხები დაბრუნდებიან ნახირიდან.
 ფიცრის ძველ ტახტზე
 ზის დაღლილი მამიდაჩემი,
 ზის და მორიგ რეკლამას ელის,
 რათა შემდეგ
 ფეთიანივით გაგარდეს გარეთ
 და ჰორიზონტს გაუშტეროს
 მომლოდინე შავი თვალები.
 ხოლო იქამდე
 ყალბ ტკივილებს და ოცნებებს ეჭმევიწინება,
 რომელიღაც სამხრეთული სერიალიდან.

ყველაფერზე წუხს მამიდაჩემი:
 გაუსაძლის ცხოვრებაზე,
 მოსავლის სიმცირეზე,

ხელსაქმის სიმრავლეზე,
 კატის უნიათობაზე (რაკი თავგი შემოეჩვიათ),
 მეზობლის ოჯახურ პრობლემებზე,
 შვილის დარდიმანდ ხასიათზე
 და უფრო გლობალურ საკითხებზეც კი.

დიდი, გატეხილი სათვალე აქვს მამიდაჩემს,
 დაიკვესებს ხოლმე და თუკი
 ტელევიზორიდან
 ვინმეს არასასურველი ხმა შემოესმა,
 იკვნესოს მაგის მომგონმაო,
 ჩაილიღინებს.

ორი ღიღილო ამოთხარა
 გუშინ მიწიდან
 (კარის ზღურბლზე ამოსული)
 და აგავას ფართო ფოთლებს შეუსახლა,
 ქოთნის ფართობში.

კარგი ქალია მამიდაჩემი.

მძიმე ნაბიჯით მოსიარულე მარჩენალის
 წითელ სილიუეტს ელოდება
 შავი თვალებით.
 სოფელი კი
 გადაშენების პირას მყოფი
 სახეობის ფრინველს წააგავს,
 საცაა რომ გაფრინდება
 თავის ბუდიდან.

დაბრუნება

ოქროსთმიანმა ბავშვმა გამიღიმა და შერცხვა.
 და შებრუნება სახის იყო ძალიან მკვეთრი,
 დედას, ან ქალს კი არა - ხელში ეჭირა მერცხალს,
 თან გულისპირი ქონდა მარმარილოზე თეთრი.

ესკალატორის კიბის მანძილს თვალებით ვზრავდი,
 ხდება როდესაც მზერას ველარც ძალივით აბამ,
 წაუპოტინა ბავშვმა ცალი ხელი და მხრამდე,
 გადაუნია თხელი, საგაზაფხულო კაბა.

შიში მომუჭა მაგრად, შიშიც - ნიბლია ჩიტი,
 (ალბათ ეგრეა ახლაც, როცა შილიფად იცვამს)
 შვილს გაუღიმა ბოლოს და იმ ღიმილის ჩითილს,
 ზრდის და ასველებს დღემდე ჩემი სხეულის მიწა.

როგორც მონეტა ვერცხლის, სადამო ეგდო გარეთ,
 კიბეებიდან (მახსოვს) ამოვუყევი მაღლობს,
 ქარიან ცაზე სხეულს ძლივს იკავებდა მთვარე
 და ისევ მშვიდად იწვა კართან მეზობლის ძალი.



საუბრები აბაშურის ქვეშ

პარსკვლავი

ავტორი ღმთიერ ტურაშვილი, ნიხნიდან „მე რომ ფახბურთელი ვიყო“

ერთხელ, ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა, რომელსაც რაღაც საქმე ჰქონდა დავით ყიფიანთან, გაბრაზებულმა და გაკვირვებულმა მითხრა – გუშინ ყიფოს სახლს ვეძებდი და ძლივს მივაგენი, ასეთი გვყავს და კარზე არ უნდა ეწეროს სად ცხოვრობსო?!

დავით ყიფიანი მხოლოდ ეპიზოდურად მახსოვს და იმ ეპიზოდებშიც, არასაფეხბურთო კადრი უფრო მეტია, ვიდრე წმინდა საფეხბურთო, რადგან ფეხბურთში, მგონი არასაფეხბურთო ამბები, მართლა ფეხბურთზე არანაკლებად მაინტერესებს. მაგალითად, ძალიან კარგად მახსოვს როგორ ესაუბრებოდა „ვესტ ჰემის“ კაპიტანს (მგონი ბილი ბონდს) დავით ყიფიანი ინგლისურად და მაშინ, 1981 წელს, საქართველოში ინგლისურად მოლაპარაკე, სულ რამდენიმე ადამიანი იყო.

ამიტომაც ეს ფაქტი იმ დღეებში, ისეთივე საამაყო და სასიხარულო იყო, როგორც თავად გამარჯვება ინგლისში – გასვლაზე და თანაც დიდი ანგარიშით. ბებიჩემიც იმას კი არ ამბობდა (კმაყოფილი სახით) რომ ყიფიანმა ინგლისური ენა იცისო, არამედ – უცხო ენები იცისო.

მხოლოდ ცხონებული ბებიჩემი კი არა, დავით ყიფიანის ინგლისურით აღფრთოვანებული, კოტე მახარაძეც კი მახსოვს ერთხელ, როცა ჩვენი საამაყო ფეხბურთელი რომელიღაც საერთაშორისო მატჩის უცხოელ არბიტრს გამოელაპარაკა ძალიან თამამად. რასაკვირველია ამას მხოლოდ ვხედავდით და ხმა არ გვესმოდა, რის გამოც სინამდვილეში არც ბებიჩემმა და არც კოტე მახარაძემ (და არც დანარჩენებმა), ზუსტად არც იცოდნენ რა დონეზე ფლობდა ინგლისურს დავით ყიფიანი, მაგრამ რასაც ვხე-

დავდით, ჩვენთვის ესეც საკმარისი იყო ლეგენდის შესაქმნელად.

თუმცა ლეგენდა დავით ყიფიანის შესახებ მანამდეც არსებობდა (უკვე) და, სხვათა შორის, ამ ლეგენდის შექმნას, თვითონ ყიფოც უწყობდა ხოლმე ხელს. სიყვარულით ხან ასე მოიხსენიებდნენ ხოლმე მას გულშემატკივრები და ხან კი ამბობდნენ უბრალოდ დათოს და როცა საქართველოში ფეხბურთზე საუბრობდნენ, ეს სახელი ყოველთვის ერთადერთ ადამიანს ნიშნავდა.

ისიც მახსოვს, რომ ის ყოველთვის ცდილობდა ხოლმე რომ სულ ბოლოს გამოსულიყო მოედნიდან უკვე ბოლომდე ჩაჩაჩული გამაშებით და მგონი არც სურდა რომ ხალხისთვის დაემალა დასისხლიანებული წვევები და მუხლისთავები. სანამ გასახლეში შევიდოდა, აუცილებლად ტაშსაც დაუკრავდნენ

ხოლმე მადლობის ნაცვლად და ყიფოც იმ დასისხლიანებულ ფეხებს დახედავდა სინანულით საესე თვალებით. პატარა კი ვიყავი, მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ მეგონა, რომ დავით ყიფიანი ფეხბურთელის კვალობაზე ძალიან სევდიანი ადამიანი იყო და ზუსტად არც ვიცოდი, ასე რატომ ვფიქრობდი, მაგრამ მახსოვს, რომ ვფიქრობდი. შეიძლება მისი ძალიან სევდიანი თვალების ბრალი იყო (ან უღვაშების) და აღნაგობაც ისეთი ჰქონდა, რომ ღონ კიხოტე მაგონდებოდა ხოლმე და ლამინჩელზე სევდიანი კი, აბა, ვინღა უნდა ყოფილიყო იმ ფათერაკებიან სამყაროში.

მახსოვს, ერთხელ, გასვლაზე ვეთამაშებოდით კორსიკელებს და მატჩის დაწყების წინ ცენტრში იდგა დავით ყიფიანი, ჩვენკენ ზურგით და მსაჯის ნიშანს ელოდებოდა პირველი პასის გასაკეთებლად. მსაჯმაც სასტვენს ჩაბერა თუ არა, ყიფომ ბურთი გააგორა და კამერისკენ რომ შემობრუნდა, თვალებს არ დაუფუჯვრეთ – „პასტის“ ათი ნომერიც უღვაშებიანი იყო და ყიფიანსაც ისე ჰგავდა, რომ ერთმანეთს გადაეხედეთ. რამდენიმე ადამიანი ერთად ვუყურებდით იმ თამაშს და გულწრფელად გაგვიკვირდა რომ არცერთმა არ მივაქციეთ ყურადღება თუნდაც იმას, რომ იმ ათ ნომერს „დინამოს“ მაისურიც არ ეცვა. გვეწყინა, რომ ჩვენი ნამდვილი ვარსკვლავი ვიღაც კორსიკელში აგვერია და გაგებრაზდით კიდევ, რომ ასეთი პრიმიტიული შეცდომა დაუშვით, რადგან მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ დავით ყიფიანზე დიდი ფეხბურთელი სამყაროში, უბრალოდ არ არსებობდა. ამიტომაც, ცოტა უცნაური კი არის, რომ მისი მოღვაწეობიდან არასაფეხბურთო ამბები უფრო დამამახსოვრდა, მაგრამ ხომ არ მოვიტყუე და ნამდვილად უკეთესად მახსოვს, როგორ იხუმრა ერთხელ ყიფომ ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ბუბიაშისთან დაკავშირებით, რომელიც მოსკოვის დახურულ საფეხბურთო დარბაზს ლოჯიას უწოდებდა. თვითონ რუსები კი მანუქს ეძახდნენ იმ გადახურულ მოედანს, სადაც ზამთრის დროს მატჩები იმართებოდა, ვინაიდან გარეთ ძალიან ციოდა. თუმცა ყველაზე მთავარი წყენა თვითონ ყიფოსაც, ალბათ მაინც რუსებისგან დარჩა თუნდაც ნაკრების გამო, სადაც ძალიან იშვიათად იწვევდნენ და თუ იწვევდნენ,

მხოლოდ იმიტომ, რომ სათადარაგითო სკამზე მჯდარიყო. ჩვენც ნერვები გავწყდებოდა, როცა მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებს აჩვენებდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრების მონაწილეობით და ჩვენი ყიფო კი ისეთი მონაწილეობით იჯდა ხოლმე, რომ სრულიად გაუტყებელ ბუბიაჩემსაც კი ეტირებოდა. დავით ყიფიანის გამო, მეც ძალიან ადვილად გავტყდი ერთ ზაფხულს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ვიყავი (მგონი ცამეტი წლისა) და გულამოსკენილმა ვიტყრე ივლისის იმ წვიმიან საღამოს, როცა მოსკოვის „სპარტაკმა“ ოთხით ორი მოგვიგო აქ, „დინამოს“ სტადიონზე. იმ დღეს თბილისში კოკისპირულად წვიმადა, ჩვენც წავაგეთ ყველაზე მთავარ მეტოქესთან სახლში, საკუთარ მოედანზე, მაგრამ ყიფომ ისეთი მაგარი გოლი გაუტანა რუსებს შორეულ ცხრიანში, რომ თვალები ცრემლებით ამევსო. სწორედ წინა საღამოს, კოჯორში, შეყვარებულმა გოგონამ მითხრა მე სულ სხვა ბიჭი მომწონსო და იქნებ ამის გამოც ვტიროდი, მაგრამ დავით ყიფიანის სახე, იმ გოლის შემდეგ ახლაც თვალწინ მიდგას. თუმცა საფეხბურთო სიხარულის თვალსაზრისით (პირადად ჩემთვის), ყველაზე შთაბეჭდილი, მაინც ის კადრია, როცა მარკო ტარდელი 1982 წლის მუნდიალზე, გატანილი გოლის შემდეგ მორბის და ისეთ მოძრაობას აკეთებს, რომლის აღწერაც შეუძლებელია.

სხვათა შორის, იმ მატჩიდანაც კი, რომელიც მთავარ გამარჯვებას უკავშირდება, 1981 წლის 13 მაისს, ჩემს მეხსიერებაში ყიფოს არასაფეხბურთო კადრი უფრო დაილექა, ვიდრე მისი ბრწყინვალე თამაში იმ დღეს ან თუნდაც მისი პასი, რომელსაც ვიტალი დარასელიას გადამწყვეტი გოლი მოჰყვა გერმანელების კარში.

იმ მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მსაჯმა თამაში გააჩერა და მიუხედავად იმისა, რომ სრულიად არასაფეხბურთო მომენტი იყო, დათო ყიფიანმა ბურთი ჯერ მუხლებით აკენწლა და მერე კი მოღერებულ კისერზე ისე გაიჩერა, რომ ტრიბუნებიდან ტაში დაუკრეს. ალბათ, სხვა ქართველებიც ჩემსავით ძალიან ამაყები იყვნენ იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, სანამ დავით ყიფიანს აჩვენებდნენ ახლო რაკურსით და ეკრან-

ზე კი დიდი ასოებით ეწერა მისი გვარი და თამაშის დამთავრებამდე სულ რამდენიმე წუთიღა რჩებოდა. მისი სახელის გაგონებისთანავე, ან იმ ქუჩაზე გავლისას თუ მოხვედრისას, რომელიც უკვე მის სახელს ატარებს, ყველაზე მეტად მაინც ის კადრი მახსენდება ხოლმე მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ყიფომ რომ ბურთი გაიჩერა კისერზე და ჩვენც საბოლოოდ მივხვდით რომ თამაში მოგებული გვქონდა. ასეთ რამეს მხოლოდ გამარჯვებულები აკეთებენ, რომლებსაც სხვათა შორის, არ ასამართლებენ და ძეგლებს უდგამენ და სანამ ძეგლი გაჩნდება თუნდაც მშობლიური სტადიონის ეზოში (როგორც სხვაგან ხდება ხოლმე), ისიც კარგია, რომ ის სტადიონის მისადგომებთან უკვე არსებობს დავით ყიფიანის სახელობის ქუჩა. თუმცა ბატონ გია გორგოძეს სხვა კარგი იდეაც აქვს და თუკი მსახიობებს – თეატრების და მომღერლების კი ფილარმონიის წინ ვარსკვლავებს უხსნიან, რატომ არ უნდა არსებობდეს თუნდაც თერთმეტი საფეხბურთო ვარსკვლავი სტადიონის შესასვლელთან. ცოცხლებს შორის, სადავო და საკამათო რომ არაფერი იყოს, პირველ რიგში გაიხსნას იმ თერთმეტი გარდაცვლილი ფეხბურთელის ვარსკვლავი, ვინც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართული ფეხბურთის შექმნასა და განვითარებაში და ნაწყენიც არავინ დარჩება, რადგან პირველი საუკეთესო თერთმეტის დასახელება, მარტივი გამოკითხვითაც შეიძლება.

ეს ინიციატივა, იქნებ ისეთი სტიმულისა და მუხტის მომტანიც კი აღმოჩნდეს, რომ ქართულმა ფეხბურთმა გამარჯვების გემო და ჟინი, ძალა და სურვილი დაიბრუნოს, მაგრამ თუ სტადიონის შესასვლელთან ვარსკვლავების გახსნა, ზემოთქმულისთვის საკმარისი არ იქნება, იმ დიდი ფეხბურთელების ხსოვნას მაინც მივაგებთ პატივს, ვისაც ჩვენთვის ამდენი სიხარული და ბედნიერება მოჰქონდა...

აოკაოილ
წყაროები

საქართველოს საკრთობილო-ნავთობის მინისტროს საკრთობილო

სისხლი, სპირა და კისელი



სანდრო ნავერიანი
„არგენტინული პიტბული“

**„არგენტინული პიტბული“
 ავტორი სანდრო ნავერიანი
 გამომცემლობა „სიესტა“**

გასაგებია, კონკრეტულად რა მიზნითაც დადიან წიგნის ბაზრობაზე, თუმცა ჩემთვის, ეს ახალი, გადადებული თუ დავინწყებული ავტორების აღმოჩენის ადგილია. წიგნების სია, რომლებიც გამოვტოვე, ან რომელთა ყიდვა სიძვირის გამოც დამეზარა, ამჯერად საპატიო გამოვიდა და ამაში ძირითადად, „დიოგენეს“ არცთუ მაგიური და პრაქტიკული ხელი ურევია: მაგალითად, ედიტ უორტონის „უმანკობის ხანა“, ორჰან ფამუქის „სტამბოლი“, ჩაკ პალანიკის „მებრძოლთა კლუბი“, პოლ ოსტერის „მისნის ღამე“... და მაინც, ყველაზე მეტად, ახალგაზრდა და მგონი, შენდობილ „მინაურ მღვდელზე“ – სანდრო ნავერიანის პროზაზე მსურს შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ.

ჯერ ერთი, გამომცემლობა „სიესტას“ დებიუტანტის მოთხრობების კრებული სახელწოდებით „არგენტინული პიტბული“, ზომიერად მომცროა და სწრაფად და ძალდაუტანებლად საკითხავი. მეორეც,

ავტორმა ზუსტად იცის, ვისთვის წერს და მესამეც, კრებული უცნაურად აწყობილი ემიგრანტული თემების, სოციალური პროზისა და კინემატოგრაფიულ ენაზე რომ ვთქვათ, „კრიმინალური საკითხავის“ კარგი ნაზავია. ამიტომაც ტარანტინო-როდრიგესის გავლენა უადგილო სულაც არ მეჩვენება.

რვა მოთხრობას შორის „არგენტინულ პიტბულს“ ცენტრალური ადგილი უჭირავს. ის, ერთი მხრივ, წმინდა დეტექტიურ ჟანრს ეყრდნობა (გატაცება, გამოძიება, მოულოდნელი ფინალი) და მეორე მხრივ, ფუგასავითაა – მთავარი თემის ვარიაციებით, მაჟორულ-მინორული ტონალობით და თემების სიუჟეტით. გადამწყვეტი კარგად გამოთლილი იუმორია, რომელიც სახასიათო პერსონაჟების დამახსოვრების და მათგან დისტანცირების საშუალებასაც გაძლევთ. მაგალითად, ასეთი პასაჟი – „სამი წლის განმავლობაში ვსვამდი კისელს და მერე ვარწყევდი. მართალია, მაშინ არც დეპრესია მქონდა და არც გალოთებული ვიყავი, მაგრამ ელეონორაზე შურისძიება იმ დღიდანვე მიწოდდა, რა დღესაც პირველად დამალევიანა კისელი“.

მოთხრობა „48 კალიბრიანი, ღმერთო“, კილერის დაცინვას უფრო ჰგავს, რომელსაც გული უჩუყდება ყოველ მსხვერპლზე და მობეზრებული მკვლელობების, თუ ჩამქრალი ადრენალინის გამო, თავად სურს გახდეს მსხვერპლი. „ბიზნესმენი“ ნიუ-იორკში, კრიმინალურ შარში გახვეული და ბომჟადქცეული ქართველი ახალგაზრდის უცნაურ ბიზნესს გვაცნობს. საჯარო ცენტრის ნინ წევს და აწერია: „მცემე ათ დოლარად, რამდენიც გინდა“... ხოლო თუ ვინმე ცემს და არ უხდის, მაშინ თავად ცემს!.. ვერაფერს იტყვი, ლოგიკურია.

„კაცი, რომელმაც გამზარდა და მთელი ცხოვრება მეუბნებოდა, ბაბუაშენი ვარო, ონანისტი და მატყუარა ყოფილა. ჩემი მშობლები არც

ატაკამას უდაბნოში ცხოვრობდნენ და არც მაცივარს მოუკლავს ისინი“, – ეს უკვე „ანდერძის“ ფრაგმენტია, რომელშიც ამერიკა-მექსიკის საზღვარზე „ჩარჩენილი“ გამზრდელისა და გაზრდილის ჩახლართული სექსუალური ამბები იკრიბება... სამაგიეროდ, „ჰარმონიაში“ საერთოდ არ სუფევს ჰარმონია, იქ ლოთი კაცების, უწესო ქალების და იაფი ოდეკოლონების სურნელია.

სანდრო ნავერიანს, ანუ მის ალტერ ეგოს, პერსონაჟ სანდრო ნავარას, არც ადგილობრივი „რევოლუცია“ ავიწყდება, რომელიც ამავე სახელწოდების მოთხრობაში უკვე წლისთავზე გახდა ეკლიანი და ავტორის თხრობაც დროის შესატყვისია – უდარდელად ზუსტია და ზომიერად გესლიანი.

ცოცხლად, საამოდ და კრიმინალურად საკითხავი „არგენტინული პიტბული“ უფრო ცნობისმოყვარეობას აღძრავს, ვიდრე კითხვებს აჩენს. თუმცა, შესაძლო კითხვების ნაცვლად რამდენიმე რჩევას ავტორს მაინც მივცემდი: პირველი – მისი თხრობა უფრო ღრმა და სამგანზომილებიანი გახდეს და არა მხოლოდ „ბრტყელი“; მეორე – ქალები მართო ერთგული ცოლები, ან ბოზები არ არიან, ხოლო ზოგი ქალი კაცზე ჭკვიანიცაა; მესამე – სხარტი ნოველა, მალე, სხარტ და რთულ მოთხრობა-რომანშიც გადაიზარდოს, მეოთხე და ყველაზე მნიშვნელოვანი – სანდრო ნავარამ პიესები თეატრისთვისაც წეროს. ისეთივე სხარტი და სარკასტული დიალოგებით, როგორც „პიტბულში“. ჩვენებურების კონსტრუირებული და, ხშირად, ხელოვნური დრამების ფონზე, თქვენი ცოცხალი და ბრუტალური პერსონაჟები გაცილებით მეტ ენერგიას და მნიშვნელობას შეიძენდნენ.

ჯანდაბას! იყოს კისელი. მაგრამ, იყოს სისხლიც და სპერმაც!

დავით ბუხრიკიძე



დაუვინყარი შეხვედრები მარიოტში

როდესაც საქმე თქვენი ღონისძიების დაგეგმვას ეხება, მარიოტი უსაზღვრო შესაძლებლობებს გთავაზობთ, თბილისი მარიოტისა და ქორთიარდ მარიოტის ღონისძიებათა დარბაზები იდეალურია თქვენი კონფერენციის, ბანკეტისა თუ საქმიანი შეხვედრისათვის.

დარბაზის წყობა და გაფორმება, ინდივიდუალურად შექმნილი მენიუ და უახლესი აღჭურვილობა უზრუნველყოფს თქვენი ღონისძიების წარმატებას. მარიოტის გამოცდილი გუნდი კი მუდმივ მზადყოფნაშია თქვენი და თქვენი სტუმრების ნებისმიერი სურვილის შესასრულებლად.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით +995 32 277 91 55

რისგან კვდება მკითხველი?



**„მკითხველი უნდა მოკვდეს“
ავტორი ჯაბა ზაქარაძე
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა**

როცა ამ წიგნის შესახებ პირველად შევეიცვებე, ვიფიქრე, რომ მკითხველზე გაბრაზებული ახალბედა, ამბიციური ავტორის შეგონებებით აღსავსე დოკუმენტური პროზა იქნებოდა.

თუმცა, ანოტაციის ნაკითხვისთანავე მივხვდი, რომ საქმე ქართული ლიტერატურისთვის სრულიად უცხო და ახალ ჟანრთან – სამეცნიერო ფანტასტიკასთან მქონდა. საბჭოთა დროიდან მოყოლებული, როცა არც მწერლები რისკავდნენ (და წერდნენ) და არც მკითხველები ითხოვდნენ „სისტემიდან ამოვარდნილ“, დაუჯერებელი იდეებით სავსე ლიტერატურას, სულ ორიოდე ნაწარმოები თუ დაწერილა ამ ჟანრში. უახლოესი წარსულიდან კი, მხოლოდ გურამ მეგრელიშვილის „მოდელი 18/12“ მახსენდება. ინტერესი ჯაბა ზაქარაძეს წიგნის მიმართ იმანაც გამიძაფრა, რომ ავტორი სრულიად ახალგაზრდაა, თანაც „ვარმშტადური პარადოქსით“ (პროზაული კრებული), წლის საუკეთესო დებიუტის ნომინაციით „საბაზეა“ წარდგენილი.

წიგნში მოქმედება XXIII საუკუნის დასაწყისში, ორად გაყოფილი მსოფლიოს ერთ-ერთ პატარა პროვინციაში, ვარმშტადში ხდება. მცირე სახელმწიფოების ნაწილშიც და

მესამე რაიხის (მმართველ) იმპერიაშიც სრული დიქტატურაა გამეფებული. ვარმშტადი კი მათგან გამოირჩევა. აქ მოქალაქეების დამორჩილებას იძულებითი კითხვით ცდილობენ. სრულიად მოულოდნელად, „თავისუფალი მეამბოხე ადამიანებით“ სავსე პროვინციაში, მონოტონურ და საშიშად მშვიდ სიტუაციას სამი ანტაგონისტურად განწყობილი პერსონაჟი არღვევს – საშუალო სტატისტიკური მკითხველი – სტუდენტი ნიკოლო, მძიმებავშვობაგამოვლილი, პირომანიით შეპყრობილი ირენი და ვარმშტადის ისტორიის პროფესორი, ასობით მორჩილი მკითხველის აღმზრდელი, ადო. ისინი რევოლუციური იდეის გარშემო ერთიანდებიან და მიზნად „მკითხველი“ ადამიანის მოკვლას ისახავენ.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნს დიდი გულისყურით ვკითხულობდი და ადვილეს ვინიშნავდი კიდევ, როგორც კი კითხვა დავამთავრე, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ დიდ გაუგებრობას დავალწიე თავი და თავისუფლად ამოვისუნთქე.

„მკითხველი უნდა მოკვდეს“ ფორმის თვალსაზრისით გამართული რომანია – ვითარდება რამდენიმე სოუჟეტური ხაზი, არიან ძირითადი და მეორადი პერსონაჟები, იწყება, ვითარდება და ლოგიკურად სრულდება თხრობა, თუმცა, შეგრძნება იმისა, რომ დასრულებული ამბავი წაიკითხე, არ გრჩება. კითხვისას, თითქოს, ყველაფერი თავის ადგილზეა და ამბავიც „მიდის“, ბოლოში გასული კი, ხვდები, რომ ხელში არაფერი გიჭირავს, ამით ეს რომანი ზაზა ბურჭულაძის რამდენიმე რომანს მაგონებს, რომლებზეც, ამავე მიზეზის გამო, მსგავსი დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება დამრჩა.

მეორე მხრივ, რომანი პასუხობს ჟანრის ძირითად მოთხოვნებსაც – მოქმედება ხდება მომავალ დროში, მაგრამ სავსებით რეალურ ადგილებში, ზარქუას ალტერნატიულ სამყაროში, სადაც მეცნიერული არგუმენტებით დასაბუთებული უტოპიური მოვლენები სრულიად ახალ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში ვითარდება. თუმცა, ჟანრის მთავარ ამოცანას – მოვლენები იმდენად დამაჯერებლად იყოს აღწერილი, რომ მკითხველმა ის ბუნებრივ მოცემულობად აღიქვას, რომანი თავს ვერ ართმევს.

მკითხველში ასეთი შთაბეჭდილების გაჩენას რამდენიმე მიზეზი აქვს: პირველ რიგში,

მძიმე და ტერმინებით დატვირთული დამლელი თხრობა, რომელიც ყველა აზრის ჩამთავრებისას, გონების დაძაბვას ითხოვს. ნახევრად გაურკვეველი ამბავი, რომელთაც წიგნში უხვად შეხვდებით, რადგან ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი თავგადასავალი მოგვიყვას, თუმცა, უმეტესად, არც ისინია სრულყოფილი, რადგან გრჩება განცდა, რომ ავტორი წინადადებებს „ყლაპავს“ და მკითხველისთვის აუცილებლად საინტერესო დეტალებს ტოვებს.

ასევე დაუკმაყოფილებლობის შეგრძნებას აჩენს მთავარი ამბავი – შეთქმულების დაგეგმვა, რომელიც ნაწარმოების კულმინაციას წარმოადგენს, ის, მოულოდნელად, ყოველგვარი „შემზადების“ გარეშე, თითქოს არსაიდან ჩნდება. ის მიზეზებიც, რომლებიც საბოლოოდ სისტემის წინააღმდეგ აჯანყებას იწვევს – რომ ნიკოლოს უცებ ირენი უყვარდება, ხოლო დემაგოგიაში განაფული პროფესორი ადო (სარკასტული სახელით) უეცრად თავისუფლების მქადაგებელი ხდება, არცთუ დასაბუთებულია და თითქოს, მხოლოდ იმიტომ ვითარდება, რომ თხრობა, ბოლოს და ბოლოს, უნდა დასრულდეს.

არც პერსონაჟები გამოირჩევიან განსაკუთრებული დამაჯერებლობით, მათ დიდ ნაწილს ხასიათის ორიგინალური შტრიხები აკლია, რის გამოც ძირითად მონაკვეთებში ამა თუ იმ სცენის თვალთ დახანჯვა, უზრალოდ, შეუძლებელია.

ზარველები, რომლებიც ნაწარმოებს აქვს, შეიძლება, ერთი მხრივ, ქართულ ლიტერატურაში ამ ჟანრის ტრადიციის არქონით გამართლდეს, მეორე მხრივ კი, იმიტაც, რომ ავტორი ძალიან ახალგაზრდაა. ახლა, როცა თითებზე ვითვლით ქართულ ფანტასტიკას, ჟანრის „აყვავების“ წინასწარმეტყველების მხოლოდ იმედი შეიძლება გვექონდეს, ისევე, როგორც იმედი იმისა, რომ ჯაბა ზაქარაძე ასაკის მომატებასთან ერთად, ისეთ ამბავსაც დაწერს, რომელიც არც დოჩანაშვილის „კარცერ-ლუქს“ დაესესება, არც ფანტასტიკის მოყვარულთათვის უკვე შაბლონად ქცეულ თემებს შეეხება და ნაკითხვისთანავე, არც რეი ბრედბერის ანტიუტოპიური ჟანრის საკულტო რომანს „451 გრაფის ფარენჰეიტით“ მოგვაგონებს.

მამო სამადაშვილი

გრუქებით ყვავილედანს,
როს ყოველსაც მიხვდეთ,
თუ გე-1000
ხელმოკრებით ქვირინს!!!



კოკი



„ლექსები, პოემები 1954-2005“

ბესიკ ხარანაული
გამომცემლობა ინტელექტი
გამოცემის წელი 2012
ფასი 25 ლარი

ბესიკ ხარანაულის შემოქმედების სრული კრებული მოიცავს 1954-2005 წლებში შექმნილ ნაწარმოებებს – ლექსებსა და პოემებს. შეიძლება ითქვას, ეს არის დიდი პოეტის 50 წლიანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

„ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“; „გაძევებულნი“

ჯეიმს ჯოისი
მთარგმნელი გა ბერაძე
გამომცემლობა არტანუჯი
გამოცემის წელი 2012
ფასი 4 ლარი

ჯეიმს ჯოისის პირველი რომანი „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ 1916 წელს გამოქვეყნდა. ჯოისის ამ ნაწარმოებს მალე გამოუჩნდნენ დამფასებლები. „ეს დიდი ლიტერატურაა“ – ასეთი იყო ჰერბერტ უელსის აზრი მაშინ ჯერ კიდევ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი მწერლის რომანზე.

ჯოისის ერთადერთი პიესა „გაძევებულნი“ 1914-1915 წლებში დაინერა და მოგვი-თხრობს ნახევრად ავტობიოგრაფიული პერსონაჟის, მწერალ რიჩარდ რაუენის რთულ ურთიერთობებზე მის ცოლთან – ბერტასთან, სიყრმის მეგობართან – რობერტ ჰენდთან და ახალგაზრდობის-დროინდელ შთაგონებასთან – ბეატრიჩე ჯასტისთან. კლასიკური სამკუთხედი აქ ოთხკუთხედივითაა შეცვლილი. რაუენი ცდილობს გათავისუფლდეს დრომოჭმული მორალური პირობითობებისგან. ამ ფონზე ჯოისი ადამიანის ღირსების და თავისუფლების საკითხს იკვლევს.

აღსანიშნავია, რომ ჯეიმს ჯოისის ეს ორი ნაწარმოები – „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ და „გაძევებულნი“ დაინერა მის ორ უმნიშვნელოვანეს ნიგნს – „დუბლინელებსა“ და „ულისეს“ შორის.

„ოთხტაპედი, სიკვდილისჯილი ვიონის-გან თქმული“

ფრანსუა ვიონი
გამომცემლობა ინტელექტი
გამოცემის წელი 2012
ფასი 4 ლარი

„ოთხტაპედი, სიკვდილისჯილი ვიონის-გან თქმული“ 1463 წელს შატელეში, ჩამოხრჩობის მოლოდინში დაინერა. ფრანსუა ვიონი მწარე იუმორით შეეცადა განედევნა სიკვდილის შიში. მკითხველის გაცინებაც უნდოდა და მიაღწია კიდეც მიზანს.

ლექსი პირველად დავით ნერედიანმა თარგმნა, შემდეგ სახელოვანმა პოეტებმა – ოთარ ჭილაძემ, მურმან ლებანიძემ და ვახტანგ ჯავახიძემ. ნიგნში შესულია თანამედროვე ავტორთა – გურამ გოგიაშვილის, დათო აკრიანის, ვასილ გულეურის, დალი იაშვილის, თამარ კოტრიკაძის, შალვა ბაკურაძის, ლულუ დადიანის, ანდრო ლორიტაშვილის, ქეთევან თოდაძის, ბიჭია წერეთლისა და ნინო რეკის თარგმანებიც, რაც იმის მანიშნებელია, რომ ფრანსუა ვიონის ოთხტაპედს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

კრებულს ერთვის დალი იაშვილის წერილი „პარიზში, პონტუაზთან ახლოს...“



უმანკოების ხანა

ედით უორტონი
გამომცემლობა დიოგენე
გამოცემის წელი 2012
ფასი 11.90 ლარი

„უმანკოების ხანა“ ძველი ნიუ-იორკის ცხოვრების ამსახველი რომანია. მწერალი

ძალიან ცოცხლად აღწერს გაზით განათებულ ქუჩებს, სასახლეებში გამართულ მეჯლისებსა და საზოგადოებას, რომლის წევრებიც „სკანდალს ავადმყოფობაზე მეტად უფროთხიან“. ასეთია ნიუელენდ არჩერისა და მისი საცოლის, მეი უელანდის სამყარო. მაგრამ უეცრად, დიდი ხნის შემდეგ, ნიუ-იორკში ბრუნდება უცნაური, ყველაგან განსხვავებული გრაფინია ელენ ოლენსკა და არჩერის ცხოვრებას თავდაყირა აყენებს. ედით უორტონი პირველი მწერალი ქალია, რომელსაც პულიცერის პრემია მიანიჭეს („უმანკოების ხანისათვის“).

დაიკიდე, ჯივზ!

პელემ გრენვილ ვუდჰაუსი
გამომცემლობა დიოგენე
გამოცემის წელი 2012
ფასი 9.90 ლარი

იუმორისტული ლიტერატურის კლასიკოსი პელემ გრენვილ ვუდჰაუსი ათობით ნიგნის ავტორია, თუმცა რომანებისა და მოთხრობების სერია ჯივზისა და ვუსტერის შესახებ მათ შორის ყველაზე ცნობილია. ინგლისელი არისტოკრატი ბერტი ვუსტერი და მისი გამჭრიახი კამერდინერი ჯივზი მსოფლიო ლიტერატურაში ისეთივე ცნობილები არიან, როგორც ჰოლმსი და უოტსონი. „დაიკიდე, ჯივზ!“ ამ სერიის ერთ-ერთი ნიგნია.

დროშები მტვერში

უილიამ ფოლკნერი
გამომცემლობა დიოგენე
გამოცემის წელი 2012
ფასი 13.90 ლარი

„დროშები მტვერში“ უილიამ ფოლკნერის (1897-1962) რომანებიდან პირველია, რომლის მოქმედებაც მწერლის მიერ გამოგონილ „იოკნაპატოვას ოლქში“ ხდება. 1929 წელს გამოქვეყნებულ ნიგნს – გამომცემლის დაჟინებით – „სარტორისი“ დაერქვა, რომანის ტექსტი კი მნიშვნელოვნად შემოკლდა. „დროშები მტვერში“ – ავტორისიული სახელწოდებით და სრულად – მხოლოდ ფოლკნერის გარდაცვალებიდან 11 წლის შემდეგ, 1973 წელს გამოცა. ეს არის მდიდარი სამხრეთული ოჯახის დრამატული ისტორია, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ვითარდება.



ფეხბურთის წესები

გამომცემლობა ლოგოს პრესი
გამოცემის წელი 2012
ფასი 19.90 ლარი.

ეს ორიგინალური, სამგანზომილებიანი წიგნი ზედგამოჭრილია ფეხბურთის ახალბედა თუ გამოცდილი მოყვარულისთვის. მასში ახსნილია ყველაფერი, თამაშის ძირითადი წესებით დაწყებული თამაშგარე მდგომარეობის რთული ნიუანსებით დამთავრებული. აქვე საინტერესოდ და სახალისოდ, ინტერაქტიული ფორმითაა განხილული მსოფლიოში

ამ ყველაზე პოპულარული თამაშის ძირითადი ასპექტები.

კარდინალი მარტინი – რა სწამს მას, ვისაც არ სწამს

უმბერტო ეკო
გამომცემლობა დიოგენე
გამოცემის წელი 2012
ფასი 5.90 ლარი

„რა სწამს მას, ვისაც არ სწამს“ – უმბერტო ეკოსა და კარდინალ მარტინის დიალოგი – 1996 წელს იტალიაში გამოიცა. საერო კულტურის დიდოსტატი და ეკლესიის მთავარი თანამედროვე ადამიანის ფუნდამენტურ ღირებულებებზე მსჯელობენ. თანამედროვე აპოკალიფსი საერო და ქრისტიანული თვალთახედვით, ადამიანის სიცოცხლის ზღვარი, ქალებისთვის დადგენილი შეზღუდვები, მორწმუნეთა და არამორწმუნეთა ეთიკური სირთულეები – ამ თემებზე საუბრობენ უმბერტო ეკო და კარლო მარია მარტინი. მათ დიალოგს ცნობილი იტალიელი ინტელექტუალების გამოხმაურება მოჰყვა. მათი წერილები ასევე შედის წიგნში.

იყო და არა იყო რა

დათო ტურაშვილი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 6.90 ლარი

ამ წიგნში დათო ტურაშვილის ლიმილიანი და იმავდროულად, სევდიანი მოგონებებია თავმოყრილი, რომელიც მწერლის სტუდენტურ ცხოვრებას აღწერს. მოგონებები იმდროინდელ საქართველოზეა, რომლისგანაც თითქოს ოცი წელი გვაშორებს და მასში აღწერილი ამბებიც ზღაპარივით უნდა მოგვეჩვენოს, თუმცა ეს ყველაფერი მაინც ძალიან ახლობელია, რადგან, ავტორისავე სიტყვებით, თავისუფლებისთვის სულ ვიბრძვი და მოვიპოვებთ, მაგრამ ყოველთვის ვკარგავთ და მერე თავიდან ვიწყებთ. სწორედ ამიტომ, თავისუფლებისთვის ბრძოლა დღესაც ისეთივე ახლობელია ჩვენთვის, როდესაც მაშინ, როცა მთელი საქართველო ქუჩაში იდგა იმ იმედით, რომ დიდი ხნის წინათ დაკარგულ დამოუკიდებლობას მოიპოვებდა და ყველაფერი მოგვარდებოდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობის

ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზი

ბიზნეს და საგადასახადო დაგეგმვა
სამეწარმეო კორპორაციული სამართალი
შრომის სამართალი



სამოქალაქო სამართალი
სისხლის სამართალი (ეკონომიკური დანაშაულები)
ადმინისტრაციული სამართალი

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 15ა ოფისი 28ა. ქ.თბილისი
 ტელ: (+995 32) 237 93 00
 ფოსტა: info@chargeishvili.ge
 ვებ-გვერდი: <http://www.chargeishvili.ge>

წიგნები

დეკლარირება თავისუფლებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს, და ამიტომაც, ბრძოლა ისევ გრძელდება...

დაკარგული კონტექსტები

გიორგი მასისურაძე

**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012**

ფასი 6.90 ლარი

„დაკარგული კონტექსტები“ იმ მდგომარეობას შეიძლება ეწოდოს, რომელშიც თანამედროვე, პოსტსაბჭოთა საქართველო იმყოფება: ის ემიჯნება თავის საბჭოთა წარსულს და მისგან გათავისუფლებას იდენტობის ახალი ფორმების ჩანაცვლებით ცდილობს. მაგრამ სწორედ ეს ახალი ფორმები შეიცავს ისეთ სააზროვნო სტერეოტიპებს – საკუთარი თავისა თუ გარესამყაროს შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც თავიანთი არსით საბჭოურია და მათი აზრის გაგე-

ბა საბჭოთა კონტექსტებშია შესაძლებელი. ეს კონტექსტები საბჭოთა კავშირის დანგრევასთან ერთად დაიკარგა, მაგრამ ჰომო სოვიეტისუკის განაგრძობს თავის არსებობას თანამედროვე, პოსტსაბჭოთა ქართველის ცნობიერებაში კონტექსტდაკარგული სტერეოტიპების, იდეალებისა თუ თვითგამოხატვის ფორმების სახით.

ამასთან, თავად საქართველო, მისი ახალი, პოსტსაბჭოთა იდენტობა კონტექსტდაკარგული, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს აღარ გააჩნია ის სცენა, რომელზედაც საკუთარ თავს სხვისთვის, გარესამყაროსათვის გასაგებად განასახიერებდა.

წიგნში გაერთიანებული ნარკვევები თანამედროვე საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივი და კულტურული ცვლილებების კრიტიკული ინტერპრეტაციის მცდელობებია.

სტალინის დედის მოგონებები – შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებიდან

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გამოცემის წელი 2012

ფასი 5.90 ლარი

ამ წიგნში მკითხველი სტალინის დედის, ეკატერინე (კეკე) გელაძე-ჯულაშვილის, მოგონებებს გაეცნობა. მოგონებები ჩანერილია 1935 წელს თავად ეკატერინე ჯულაშვილის კარნახით. დედა დაწვრილებით საუბრობს სტალინის ბავშვობაზე და იმაზეც, როგორ შეხვდა თავად შვილის არჩევანს.

წიგნში შესული დოკუმენტური მასალა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივშია დაცული, ისტორიული მნიშვნელობისაა. მკითხველს საშუალება ეძლევა სრულად გაეცნოს მოგონებებს, რომლებიც ეკატერინე (კეკე) გელაძე-ჯულაშვილის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრეა ჩანერილი.



GLORINA HOTEL

glorinahotel.com.tr; Tel: 00902164491657





**იგრძენით თავი ისე, როგორც საკუთარ სახლში
ისტამბულის ზღვისპირა სასტუმრო გლორინაში!
ხელმისაწვდომ ფასად**

FM
სენტი
98.0





ქლოას ხელახალი დაბადება

9 თვის ქლოა ლევანის მშობლებმა უცნაურობა შეამჩნიეს: ბავშვი მარჯვენა ხელით საწოლს ვერ ატოვებდა. თანდათან აღმოაჩინეს, რომ ქლოასთვის ეს ერთადერთი პრობლემა არ იყო: პატარა მალე ერთდროულად ორივე ხელს ვერ წევდა და არც ხოხვა შეეძლო.

როდესაც ქლოას 1 წელი შეუსრულდა, მშობლებმა CAT სკანირება გადაუღეს. შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვს ტვინის მარცხენა მხარე ბოლომდე განვითარებული არ ჰქონდა, ნევროლოგთან ვიზიტის შემდეგ კი ქლოას ცერებრული დამბლა დაუდგინეს. არადა, ქლოა ჯანმრთელი დაიბადა, პირველი სიმპტომები მას მხოლოდ 9 თვის მერე გამოუვლინდა. ექიმმა დაავადება შემდგომ ტრავმას დაუკავშირა და თქვა, რომ ბავშვის თერაპიას 17-18 წელი დასჭირდებოდა. „დაიგნოზმა გაგანადგურა, მაგრამ არ დაგნებდით და სასონარკვეთილებაში არ ჩავვარდით“, – ჰყვებოდა მოგვიანებით ჯენი ლევანი.

ქლოას მშობლებმა გაიგეს, რომ ჩრდილოეთ კაროლინას დიუქის უნივერსიტეტში ექსპერიმენტული პროექტი განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც ცერებრული დამბლით დაავადებული ბავშვები ჭიპლარის ლეროვანი

უჯრედებით განიკურნენ. პროცედურა ტვინის დაზიანებული უბნების აღდგენას უწყობდა ხელს. მშობლებს გაახსენდათ, რომ ქლოას დაბადებისას მათ შვილის ლეროვანი უჯრედები შეინახეს. ეს სასწაული იყო. მედიცინის სრულიად ახალ სფეროს, რომელიც ის-ის იყო ვითარდებოდა, ქლოას გამოჯანმრთელება შეეძლო.

ქლოას ლეროვანი უჯრედების ინფუზია გაუკეთდა, რის შემდეგაც ბავშვმა გამოჯანმრთელება დაიწყო. იგი სასწაულებრივად გამოკეთდა, მარჯვენა მხარეს კუნთები აუმუშავდა, უკვე სიარული, სირბილი, ბურთის დაჭერა და ხელების მალე აწევაც შეუძლია. მისი ექიმი ამბობს, რომ წინსვლის 50% უკვე მიღწეულია და პროგრესი დღითიდღე იზრდება. „ეს საჩუქარია! ყველაზე კარგი გადაწყვეტილება, რაც ცხოვრებაში მიგვიღია, ქლოას ჭიპლარის ლეროვანი უჯრედების შენახვა იყო“, – ამბობს ჯენი და ყველა მშობელს შვილის ლეროვანი უჯრედების შენახვას ურჩევს.


იგივეს აღნიშნავს ქლოას ექიმიც: „ადრე მათ უბრალოდ ვყრიდით, არადა ამ უჯრედების გამოყენება დედამიშვილებისთვისაცაა შესაძლებელი. ეს მეცნიერება კიდევ უფრო ვითარდება, ამიტომ ბავშვის ლერო-

ვანი უჯრედები ყველამ უნდა შეინახოს“, – ამბობს იგი.

მედიცინა კვლავაც აგრძელებს ცდებს იმის გასარკვევად, კიდევ რა დაავადების მკურნალობა შეიძლება მეცნიერების ამ ახალი მეთოდით. როგორც ცნობილია, ჭიპლარის ლეროვანი უჯრედების შენახვა საქართველოშიცაა შესაძლებელი. ცერებრული დამბლის ლეროვანი უჯრედებით მკურნალობასთან დაკავშირებით კლინიკა „ჯეოქარდის“ სამედიცინო დირექტორი გოჩა შათირიშვილი საუბრობს:

რამდენად გავრცელებულია ცერებრული დამბლა და რა სიმპტომები ახასიათებს მას?

ცერებრული დამბლა ნერვული სისტემის არაპროგრესირებადი დაავადებაა, რომელიც მუცლადყოფნის პერიოდში, მშობიარობის დროს, ან დაბადებიდან პირველ თვეებში ბავშვის თავის ტვინის დაზიანების შედეგად ვითარდება. ის მოძრაობისა და აღნაგობის განვითარების დეფექტია, რომელიც ნაყოფის ან ჩვილი ბავშვის ტვინში განვითარებული დაზიანებითაა გამოწვეული. ხშირად მოტორულ დაზიანებას თან მგრძობილობის, შემეცნების, კომუნიკაციის, აქტივობის და ქცევის დარღვევა, ასევე, კრუნჩხვები ახლავს.



სტატისტიკურად ყოველ 1000 ახალშობილში ცერებრული დამბლის 3-5 შემთხვევა ვლინდება, მოძრაობის დარღვევები კი მრავალფეროვანია. კუნთების ტონუსი შეიძლება იყოს ძალიან მაღალი – დაჭიმული ანუ სპასტიური, ან დაბალი და მოდუნებული. ცერებრული დამბლით დაავადებულ ბავშვებს ნორმალური მოძრაობების შესრულება და პოზის შეცვლა უჭირთ, წარმოიქმნება კიდურების მოხრა – კონტრაქტურები. მოდუნების შემთხვევაში კი უკვე თავის დაჭერა, ჯდომა, დგომა და სიარული უძნელდებათ. ზოგჯერ პაციენტებს სახის, კიდურებისა თუ კისრის უნებლიე მოძრაობები და კოორდინაციის რღვევაც აღენიშნებათ. დაავადების მიზეზები უმეტესად სამშობიარო ტრავმა, ასევე პლაცენტის პათოლოგია, ქრონიკული ჰიპოქსია, ინფექციები და ინტოქსიკაციაა.

ცერებრული დამბლით დაავადებულების მთავარი პრობლემა მოტორული ფუნქციების განვითარების დარღვევაა: პაციენტი ვერ იჭერს თავს, ვერ ჯდება, ვერ ცოცავს და ვერ დგება დამოუკიდებლად. უჭირს ჩვევების ათვისება და დარღვეული აქვს მეტყველებაც.

რამდენად არის მზად დღეს თანამედროვე მედიცინა ამ დაავადებასთან საბრძოლველად, რა მეთოდები არსებობს მასთან სამკურნალოდ და როგორია მათი ეფექტი?

ცერებრული დამბლის განკურნება დღეის-

თვის არ ხდება. მოძრაობის დარღვევა მთელი ცხოვრების მანძილზე რჩება. სამედიცინო დახმარება მხოლოდ მედიკამენტურ მკურნალობას (ანტიბაქტერიული და ანტისპასტიური, ასევე კრუნჩხვის სანინალმდგომო საშუალებები, ასევე ბოტულინის ტოქსინი-ბოტოქსი) მოიცავს. ამას გარდა, არსებობს სპეციალური სავარჯიშოების სისტემა – ბობატის სისტემა, მეტყველების გასაუმჯობესებლად შესაძლოა ლოგოპედის დახმარებაც, ასევე მასაჟი, ცხენოსნობით თერაპია, ორთოპედიული და ნეიროქირურგიული ჩარევები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი პაციენტების მოვლა მთელი სიცოცხლის მანძილზე დაახლოებით 1 მილიონი დოლარი ჯდება. ცხადია, დაავადება დიდ პრობლემას წარმოადგენს არა მარტო ჯანდაცვის, არამედ სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

არის თუ არა ამჟამად ლეროვანი უჯრედები ცერებრული დამბლისგან განკურნების ყველაზე ეფექტური გზა, როგორც ეს, მაგალითად, ქლასს შემთხვევაში მოხდა?

როგორც აღვნიშნე, ამჟამად დაავადების განკურნების მეთოდი არ არსებობს. ექიმები და მეცნიერები კვლავაც ეძებენ ეფექტიან გზებს. საკუთარი ჭიპლარის სისხლის ლეროვანი უჯრედებით მკურნალობა კი უმნიშვნე-

ლოვანესია. ამ მხრივ ყველაზე დიდი გამოცდილება აშშ-ში, ჩრდილოეთ კაროლინაში, დიუკის უნივერსიტეტსა და ოგუსტას უნივერსიტეტში – ჯორჯიის შტატში დაგროვდა, სადაც საკუთარი, კერძო ბანკში შენახული ჭიპლარის სისხლით 400-მდე ბავშვს უმკურნალებს. ამ მეთოდის ფუძემდებელი ჭიპლარის სისხლის ტრანსპლანტაციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპეციალისტი მსოფლიოში ჯოან კურტცბერგია. ოგუსტასში კი ამ მიმართულებას ჯეიმს ქეროლი ხელმძღვანელობს.

მკურნალობა სრულიად უმტკივნეულო პროცედურაა. თხევად აზოტში დაბალ ტემპერატურაზე შენახული ჭიპლარის სისხლი გადნობის შემდეგ პაციენტს ინტრავენურად გადაესხმება. პროცედურა არ მოითხოვს მის სპეციალურ მომზადებას და 20-30 წუთიან ტრანსფუზიას წარმოადგენს. შედეგები დგება გადასხმიდან უკვე რამდენიმე დღეში, რაც გამოიხატება მოძრაობის, მეტყველებისა და ემოციური სფეროს გაუმჯობესებაში.

საქართველოში ასეთი მკურნალობა ჯერჯერობით არ ჩატარებულა, თუმცა თუ ბავშვს, რომელსაც შენახული აქვს ჭიპლარის სისხლი, ცერებრული დამბლა აღმოაჩნდება, ცხადია, ამ მეთოდით მისი მკურნალობა შესაძლებელი იქნება.

ავტორი ნინო ბერძენიშვილი



კარბად ტემპერირებული ჰიპ-ჰოპი

იოჰან სებასტიან ბახის მუსიკა ქუჩის მოცეკვავთა ინტერპრეტაციით

ავტორი ღაბია ბუხრიკიძე

„Flying Bach-ის შესრულებული კლასიკური მუსიკისა და ბრეიქდანსის სამყაროს სინთეზი ჩვენს წარმოდგენას ცეკვაზე გარკვეულწილად თავდაყირა აყენებს. ბრეიქდანსის ლეგენდებმა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა Flying Steps და ბერლინის ოპერის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა, კრისტოფ ჰაგელმა დაამტკიცეს, რომ სანაწარმდეგო მხარეები ერთმანეთს იზიდავს; რომ ბრეიქდანსი და დიდი გერმანელი კომპოზიტორის, იოჰან სებასტიან ბახის მუსიკა ერთმანეთს იდეალურად ერწყმის. მათი საერთო შემოქმედება ვიზუალურად აცოცხლებს ბახის ცნობილ ნაწარმოებს „კარგად ტემპერირებული კლავირი“, რისი მიღწევაც შესაძლებელი გახდა სერიოზული აკადემიური მუსიკისა და ქუჩის მუსიკის უნიკალური შეზავებით“.

...სწორედ ასეთი ხმამაღალი სიტყვებით იწყებოდა პროგრამა, რომელიც 13-14 ივნისს გერმანულმა ჯგუფმა Flying Steps მსოფლიო ტურნეს ფარგლებში და მათ შორის თბილისში, რუსთაველის თეატრში წარმოადგინა. ამ სპექტაკლისა თუ სანახაობის შემდეგ, ძნელია შთაბეჭდილებები მხო-

ლოდ საკუთარი მემსიერების კუნჭულში გამოკეტო და მკითხველს არ გაუზიარო. Flying Steps-ის წარმოდგენა ბოლო დროის განმავლობაში პოლიტიკური სკანდალებითა და ესთეტიკური მოულოდნელობებით გამორჩეულ რუსთაველის თეატრში თავისთავად აღძრავდა ინტერესს.

გერმანულმა ჯგუფმა სხვადასხვა ეროვნების რვა მოცეკვავისა და მთავარი ქორეოგრაფის – კრისტოფ ჰაგელის მონაწილეობით, ორი დასამახსოვრებელი კონცერტი გამართა, რომელმაც აკადემიურ პუბლიკასაც და ბრეიქდანსის მოყვარულ გოგობიჭებსაც აღფრთოვანება მოჰგვარა. თუ პირველები ტაშს უფრო ზრდილობიანად და თავშეკავებული მოწონების ნიშნად უკრავდნენ, მეორენი საამო განცდების ნიშნად სტვენით იკლებდნენ დარბაზს.

ფორტეპიანოსა და კლავესინზე შესრულებული „კარგად ტემპერირებული კლავირი“ დამაინტრიგებელ დასაწყისს ჰგავდა, რომელიც ელექტრომუსიკამ და თავდაყირა შესრულებულმა ცეკვამ შეცვალა. ეს ეფექტური შოუ, ბრეიქდანსით განვრთნილი მოცეკვავებით, ხმამაღალი

ელექტრომუსიკით და ბახის კლასიკური კომპოზიციებით ისეთ გადამდებ ენერგიას გამოსცემდნენ, რომ ძნელი იყო თავშეკავება.

დაახლოებით 70 წუთის განმავლობაში პუბლიკა ამ ენერგიის, დრამისა და სხეულების უსაზღვრო შესაძლებლობების ტყვეობაში იყო. როიალი, ჩემბლო, კლავესინი, ელექტრონული ბითები, ვიდეოპროექცია, შინაარსობრივი სიუჟეტი – ეს ყველაფერი თითქოს ერთ სისტემაში იკრიბება, ერთგვარ საცეკვაო პოლიფონიად იქცევა და თავს იყრის ქუჩის მოცეკვავეთა ლამის ელექტრონულ მოძრაობებში. მათი შესაძლებლობა თითქმის უსაზღვროა, ხოლო ქორეოგრაფის ნება და ფანტაზია – ორიგინალური, ზუსტი და რაც მთავარია, მუსიკით კარგად „ნაკვები“

წარმოდგენა „Flying Bach“ მსოფლიო ტურნეს ნაწილია. 2012 წლის მაისში პირველი შოუ ხორვატიაში, ქალაქ პულაში გაიმართა. შემდეგ ლიბანში, კატარსა და ბაქოში, სადაც ჯგუფი Flying Steps „ევროვიზიის“ საპატიო სტუმრის სტატუსით გამოვიდა. მომდევნო კონცერტები კი ევროპის სხვადასხვა ქალაქშია დაგეგმილი.

პირველი ქართული ღვინის გზამკვლევი უკვე იყიდა

“ლიტერატურული კაფეების” ქსელში:

- “წიგნის სახლი” - პეკინის #31
- “ლიტერატურული” - ზამზის რიგი #7
- “ლიტერატურული” - აბაშიძის #22
- “ლიტერატურული” - თარხნიშვილის #2

წიგნის მაღაზიებში:

- “სანტა ესპერანსა” - სანკტ-პეტერბურგის #12
- “ლიგამუსი” - ჭავჭავაძის გამზ. #32
- “წიგნები ვაკეში” - ფალიაშვილის #66
- “პროსპეროს ბუქსი” - რუსთაველის #34
- “დიოგენე” - აფაქიძის #9

ღვინის მაღაზიებში:

- “la Maison de vin” - შარდენის #18
- “ვინოთეკა” - კოტე აფხაზის #33
- “ღვინის სახლი”
 - პეკინის #45
 - ლესელიძის #55
- “ხარება” - რუსთაველის #50
- “ხოხბის ცრემლები” - სიღნაღი, ნიკოლოზ ხარათაშვილის #18
- “ღვინის სამყარო” - ლალიძის #2
- შატო მუხრანის ღვინის მაღაზია - მეიდანზე

სასტუმროებში:

- “რჩეული”
 - ბათუმი, ჟორდანიას #31
 - სიღნაღი, აღმაშენებლის #6
 - ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის #21ბ
 - თელავი, ჭავჭავაძის გამზ. #154
- “შერატონი”
 - თბილისი, თელავის #20
 - ბათუმი, რუსთაველის #28
- “სიტადინი” - თავისუფლების მოედანი #4

მაღაზიაში:

- “შემოქმედებითი სტუდია ემელი” - თუმანიანის #15

ბალერეები:

- წიგნის გალერეა, რუსთაველის #11
- ცისფერი გალერეა, რუსთაველის #11
- ეროვნული გალერეა, რუსთაველი #3

“საქართველოს ფოსტის” ჯიხურების ქსელში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: + 995 32 2471005
მედია ჰაუსი დეკომი



2012

ქართული
ღვინის გზამკვლევი

Georgian
Wine Guide



მალხაზ ხარბედია
Malkhaz Kharbedia



ვისია „ოლივერი“?

და რა იქნება რუსთაველის თეატრში მიუზიკლების შემდეგ...

ავტორი ღვინო ბუხრიკიძე

ჩარლზ დიკენსის დაბადების 200 წლის-თავი, საქართველოს ყველაზე მთავარმა – რუსთაველის სახელობის თეატრმა, ლამის 250 ათას ლარიანი ბიუჯეტის მქონე სპექტაკლით აღნიშნა. კლასიკური მიუზიკლის, „ოლივერის“ პრემიერას წინ უძღოდა სატელევიზიო პროექტი „ვინ არის ოლივერი“, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელს საშუალებას აძლევდა, თავად ამოერჩია ოლივერისა და ნენსის როლების შემსრულებლები. ასე რომ, დიდი და საფუძვლიანი ვენზათაღლევის შემდეგ პუბლიკამ სცენაზე საკუთარი რჩეულები იხილა: ნიკა ნოზაძე და პეტრე მალანია (ოლივერი) და მარიამ პაჭკორია (ნენსი).

ლაიონელ ბარტის მიერ 1960 წელს დაწერილი მიუზიკლი, რომელმაც თავის დროზე ბროდვეი დაიპყრო, მოგვიანებით საფუძვლად დაედო კეროლ რიდის 1968 წელს გადაღებულ ფილმს. ცნობილი ბრიტანული მიუზიკლისა და რუსთაველის სპექტაკლის „საერთო ენა“, საერთო ესთეტიკური საზღვრები ერთგვარი პირობითი ცნებაა, რომელიც თეატრმა და რეჟისორმა დავით საყვარელიძემ უნდა დაიცვას. საქმე ისაა, რომ ქართულმა თეატრმა დადგმის საავტორო უფლება ცნობილი თეატრალური პროდიუსერის, კამერონ მაკინტოშისგან შეიძინა.

თითქმის ყველა ცნობილი მიუზიკლის

(„მუსიკის ჰანგები“, „კატები“, „კაბარე“, „ოპერის აჩრდილი“, „ჩიკაგო“ და ა.შ.) საავტორო უფლებებს სწორედ მაკინტოშის ცნობილი საპროდიუსერო კომპანია ფლობს, რაც ნიშნავს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ აკადემიურ თეატრში მისი ნებართვის გარეშე დადგმული მიუზიკლი კანონგარეშედ ჩაითვლება. ასე რომ, „კანონების ენაზე“ ამღერებელი დიკენსის რომანი უფრო საერთაშორისო „ორიგინალიდან“ გადმოწერილი ფერმკრთალი, მაგრამ მაინც დასამახსოვრებელი ასლია.

სამი შესანიშნავი ეკრანული ვერსიიდან – რეჟისორი დევიდ ლინი (1948), კეროლ რიდი (1968) და რომან პოლანსკი (2005), ყველაზე გამორჩეული მაინც კეროლ რიდის ფილმია, რომელმაც ხუთი „ოსკარი“ დაიმსახურა. სამივე ფილმში ფეიგინის როლს ბრწყინვალე მსახიობები თამაშობენ (ალექ გინესი, რონ მუდი, ბენ კინგსლი). ასე რომ, რუსთაველის სპექტაკლის წარმატებას მეტწილად სწორედ ფეიგინის როლის შემსრულებლის, გიორგი ნაკაშიძის ცეკვა-სიმღერა-თამაში განაპირობებს.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობს, რომელმაც 2012 წლის პრემია „ღურგუჯი“ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაიმსახურა, სულ რაღაც 5-6 დღე ჰქონდა, რათა

ლონდონის მანანალა ბავშვთა „სასაცილო მბრძანებლის“ როლი მოერგო. თავიდან, ფეიგინი დავით დარჩიას უნდა ეთამაშა. იგი პრემიერისთვისაც საგანგებოდ ემზადებოდა, თუმცა წარმოდგენის წინა დღეს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ყველაფერი მოულოდნელად შეიცვალა და პრემიერა ფრაგმენტების ჩვენებას დაემსგავსა. ასე თუ ისე, გიორგი ნაკაშიძე „ოლივერის“ მთავარ გმირად იქცა და ცნობილი არაა – „შეიძლება თუ არა დამიანი შეიცვალოს?“, ავანსცენაზე არცთუ ურიგოდ შეასრულა.

არტისტიზმი, ყლთაბანდობა, სიძუნწე, ლირიზმი, ანცობა, პლუს მახვილგონივრული ირონია და სიმდიდრისადმი დაუოკებელი ვნება – ასეთია დიკენსის მიერ აღწერილი ებრაელი ფეიგინის ძალიან მსუყვე და ხატოვანი სახე. ხშირად, ლიტერატურის კრიტიკოსები მასში შექსპირული პერსონაჟების გამონათებასაც კი ხედავენ, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა.

სასიამოვნო მოულოდნელობად შეიძლება მივიჩნიოთ დებიუტანტ მარიამ პაჭკორიას (ნენსი) კარგი ხარისხის ვოკალი და შეუბოჭავი არტისტულობა, რომლის „არია ლუდხანაში“ შთამბეჭდავია. ბუნებრივად ეწერება ბილ საიქსის როლში თემიკო ჭიჭინაძე, რომელიც შეძლებისდაგვარად, ბრუ-

ტალურ-რეალისტური მანერით „უსნორ-დება“ დანარჩენ პერსონაჟებს... თუმცა, კარგად ნამდვილად არ მღერის. ერთ დროს ცნობილი კომუნისტის, ჯუმბერ პატიაშვილის შვილიშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი-უმცროსი კი ყალთაბანდ დოდჯერს პატარა ხარვეზებით, მაგრამ სიყალბის გარეშე თამაშობს – გულწრფელად, სახალისოდ და აზარტულად.

მაყურებლის მიერ შერჩეული ნორჩების გვერდით, დროდადრო მოკრძალებულად ეღვარებენ რუსთაველის თეატრის ცნობილი მსახიობებიც: თითქმის კომიკური პაატა გულიაშვილი (მისტერ ზამბლი), სახასიათო როლში „სახიფათოდ“ შეჭრილი ნანუკა ხუსკივაძე (ქორნის ქვრივი), და ტიმ ბარტონის ფილმების „გოთიკური“ პერსონაჟების მსგავსი ნინო თარხან-მოურავი (მისის სოუბერი), რომელიც უფრო ჰელენა ბონემ-კარტერის პერსონაჟს ჰგავს. ის სახასიათო გარეგნობით გამოირჩევა და არა განსაკუთრებული ვოკალური მონაცემებით.

კარგად დადგმული მასობრივი სცენები, რომლებშიც ოპერის მომღერალთა და მო-

ცეკვავეთა ენერგია იგრძნობა, მეტ სიხალისეს ჰმატებს სპექტაკლს. ორაქტიან და საკმაოდ დატვირთულ სანახაობაში ტეტ კასკის ქორეოგრაფიული „ჩარევა“ უფრო ზომიერია. იგი არ არღვევს თხრობის რიტმს. ორიოდე თვის წინ, ესტონელმა ქორეოგრაფმა ნინო ანანიაშვილის საოუბილეო კონცერტებზე სპეციალური ნომერი შექმნა სახელოვანი მოცეკვავისათვის, რომელშიც გაზავებული იყო ნინო ჩუბინიშვილის კოსტუმები. ლაიონელ ბარტის მუსიკას ოპერის გუნდი და ორკესტრი ჯერ კიდევ ვერ ერევა, ამკარად საგრძნობია დაღესუსები, ხოლო ვოკალური და ქორეოგრაფიული ნომრები დასახვეწია. დირიჟორის ფუნქციას ირაკლი ჩოლოყაშვილი გულწრფელი მღელვარებისა და ხარვეზების ფონზე ითავსებს. კაცმა რომ თქვას, ოპერას იმდენი კარგი დირიჟორი ჰყავს, რომ არა მგონია მას საგუნდო მუსიკაში თუნდაც კარგად განაფული მუსიკოსისა და მსახიობის დახმარება ასე ძალიან სჭირდებოდეს.

სტანდარტული და საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული რეჟისურა, მხატვრო-

ბა, სცენოგრაფია თუ ქორეოგრაფია იმის გარანტიას იძლევა, რომ მიუზიკლი „ოლივერ“ სანახაობას მოწყურებულ პუბლიკას, თუ პატარა მაყურებელს, გულს აუწყებს. იმედია, დასამახსოვრებელი და ხარისხიანი ნარმოდგენების დასამკვიდრებლად აღარ დაგვჭირდება აკადემიურ თეატრებში „მამა მისა“ ან „კატების“ მსგავსი მიუზიკლების დადგმა; უფრო ზუსტად, ამ ნარმოდგენების საერთაშორისო „ასლების“ ყიდვა.

კიდევ უფრო საინტერესოა „ქეთო და კოტეს“ და „ოლივერის“ დროში უცნაური თანხედრა და ცეკვა-თამაშით შენიღბული ესთეტიკური პრობლემა, რომელიც მაინც ამკარად ნარმოაჩენს „უმამოდ“ დარჩენილი რუსთაველის თეატრის შინაგან, იდეურ კრიზისს...

საკითხავი მხოლოდ ის არის, რისთვის, ან ვისთვის დაიდგა კლასიკური მიუზიკლი რუსთაველის თეატრში და არა, ვთქვათ, თბილისის საკონცერტო დარბაზში, სადაც გაცილებით კარგი ტექნიკური შესაძლებლობები არსებობს. თეატრი ხომ მიუზიკ-ჰოლი არ არის!



ლიბრატიული
 ბაშაბუღის 31 (31 30 97), თაწნინიშვილის 2 (22 51 33),
 აბაშიძის 22 (22 02 74), ლიბრატიული ყ/თ „აშირანი“ (99 07 46),
 აბაშიძის 7 (43 89 39) ბათუმი, ბაშაბუღის 18 (422 222 7 20 13)



ღმერთო, შეუნდე მჟავანაძეს და დაბვიბრუნე ჭადრები სანაპიროზე!

ავტორი ღმერთო ბუბრიკიძე
ფოტო გია გოგატიშვილი

ვერ ვიტყვით, რომ ლაშა ბუღაძის პიესე-ბის რაოდენობა ქართულ სცენაზე ისეთივე სარეკორდოა, როგორც ვთქვათ, 70-იან წლების ცნობილი მეჩაიეს, თამარ ყუფუნისა მიერ დაკრფილი „მწვანე ოქრო“; თუმცა სცენებზე დადგმული მისი პიესები ყველა თანამედროვე ქართველ დრამატურგს ერთად აღემატება! ბუღაძე ნაყოფიერად, სწრაფად და ბევრს წერს; თითქმის მგრძნობიარეა და არანაკლებ სარკასტული ყველა სოციალური თუ პოლიტიკური საკითხისადმი. და რაც მთავარია, თითქმის არცერთ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსს მისი პრემიის გარეშე არ ჩაუვლია. ამჯერად „ახალი ქართული პიესის“ გამარჯვებული კომედია – „ნაფტალინი“ მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა.

ამბავი, როგორ შეინახა ბუღაძის „ნაფტალინი“ ვოჯოხეთის ვერგადარჩენილი, 70-იანი წლების პარტ-ნომენკლატურა, როგორ შეუნდეს ცეკას-მდივან ვასილ მჟავანაძეს და როგორ აღმოჩნდა შეცდომით ასევე ვოჯოხეთის წინკართან სტაჟიანი პედაგოგი ნუნუ, დავით საყვარელიძემ „ბრწყინვალე გროტესკად“ აქცია (თუ თეატრალურ პროგრამას დაეუფერებთ). თუმცა, დაახლოებით საათნახევრიანი წარმოდგენა აბსტრაქტული და ქათქათა ჰაი-ტიკით „მოპირკეთებული“ (მხატვარი და სცენოგრაფი ნინო მაღლაკელიძე) უფრო სამსჯავროს შესახებ სოციალურ ანეკდოტს ჰგავს.

პუბლიკა თავიდან ბევრს გაიცინებს, შემდეგ ნაკლებად და ფინალში, უკვე განვლილ, თბილ, კორუმპირებულ „სოციალისტურ სამოთხეს“ ჩუმ და ირონიულ თანაგრძნობას გამოუცხადებს. ალბათ, იმიტომ, რომ ეს გზა უკვე ჩავლილია, ნომენკლატურა – მიტევებული, ლუსტრაცია – დავინყებული. ნესიერი, მაგრამ ნევროზული პედაგოგის, ნუნუს ისტორია, რომელსაც „ქმარი ბოლოდღე ტიტველიც კი არ ჰყავდა ნანახი“, ხოლო ქრთამად მირთმეულ შავ-თეთრ ტელევიზორს ფანჯრიდან ისროდა, დრამატურგისათვის ერთგვარი ტესტია: სად გადის ზღვარი რიგითი პედაგოგის რიგით ცოდვესა და სისტემის უხილავ სიმახინჯეს შორის. თუმცა სიმართლე ვთქვათ, ეს უფრო სასურველის რეალურად წარმოდგენას ჰგავს.

შესაძლო პოლიტიკური თეატრის ნაცვლად (რისი მარცვლებიც უდავოდ მოიძებნა პიესაში), მოქმედება „ბრტყელ“ და სატელევიზიო შოუს მსგავს იუმორში გადადის. პერსონაჟები – პარტკომი გიორგი ვლადიმეროვიჩი (ალექსანდრე გენაძე), წმინდა ილარიონი (იოსებ გოგიჩაიშვილი), ლელა (ნინკა გელაშვილი), ეშმაკი (მაია ტატიშვილი), სტალინის სული (ზაზა გოგუაძე) და სხვები, უფრო გროტესკული დეკორაციის ნაწილს შეადგენენ. უმთავრესი მაინც სპექტაკლის ვარსკვლავური დუეტია – გურანდა გაბუნია (დედა ნუნუ)

და ოთარ მეღვინეთუხუცესი (ვასილ მჟავანაძე).

მაყურებელი, რომელსაც მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე „ნაფტალინის“ გარდა სხვა ამბები და ესთეტიკური ფასეულობა ახსოვს, ოთარ მეღვინეთუხუცესს ძნელად წარმოიდგენს ვასილ მჟავანაძის გროტესკულ, თეთრ და საზეიმო სამხედრო ფორმაში. მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თამამად ამსხვრევს გამირულ-ჰეროიკული როლების მიწებებულ სტერეოტიპებს და საამოდ ეძლევა თამაშის სტიქიას. და რომ არა მისი მსუყე ირონიით შექმნილი ვასილ პავლოვიჩ მჟავანაძის სახე, სამსაჯვროდ წინაშე ულად დარჩენილი ნუნუ-გურანდა გაბუნია თავისი „გახსნილი“ და მოედნებისთვის დამახასიათებელი თამაშით ბევრს ვერაფერს მოახერხებდა.

ერთი მხრივ, მათი თამაში და განცდები გვაბრუნებენ მარჯანიშვილის თეატრის წარსულთან და იმ ეპოქასთან, რომელსაც ისინი წარმოადგენენ და მეორე მხრივ, ეს არის დრამატურგის მცდელობა აზიაროს მსახიობები მიუღწეველ თვითირონიას, უფრო ზუსტად მათ წარსული „ცოდვები“ თეატრალურ სამსჯავროს მიანდოს. ასე რომ, მათი თამაშის შემხედვარე მაინც შეგვიძლია ლოცვასავით გავიმეოროთ – ღმერთო, შეუნდე მჟავანაძეს და დაგვიბრუნე მოჭრილი ჭადრები სანაპიროზე!

სხაღი შოკოლადი

სტილი



ისტორია

ფრანკა სოსანი

ვიზუალიზა

შემოდგომა

და ზამთარი მოლაში

ფოტოგრაფი



მოგავალ ოსნებუბამდე

თამარ ალავეიძე

– მაშო, რაზე ოცნებობ ახლა? – ვეკითხები მოპირდაპირე მხარეს, კომპიუტერის ეკრანს მიჩერებულ მაშოს.

– ზინედინ ზიდანთან ინტერვიუს ჩანერაზე.

– ბუხრიკ, შენ? – მივუბრუნდი ჩემ მარჯვნივ მოკალათებულ დავით ბუხრიკიძეს.

– მე მეტროპოლიტენის ოპერის მუდმივი აბონემენტი მინდა. ნუ, ბერლინის „შტაატსოპერაზე“ და „დოიჩე ოპერაზეც“ თანახმა ვარ, მაგრამ მეტროპოლიტენის, პირველ რიგში. უფასო აბონემენტი, რასაკვირველია!

პირადად მე ამ შეკითხვაზე პასუხი არ მაქვს, ყოველ შემთხვევაში, დაფიქრება მაინც მჭირდება, ჩემი უმცროსი და უფროსი მეგობრებისგან განსხვავებით. არ იფიქროთ, ოცნებების დეფიციტს განვიცდიდე. უბრალოდ, ჩემი ბოლო პერიოდის ყველაზე დიდი „ახირება“ ისე მოუ-

ლოდნელად და სასიამოვნოდ ამიხდა და იმდენად დიდი სიცარიელე შემივსო, რომ ახალი ნატურის აკვიატებამდე, ოცნებების დაუგეგმავ „შეებულეებაშიც“ კი აღმოვჩნდი.

რატომ იქცა Vogue-ის იტალიური გამოცემის მთავარი რედაქტორი ჩემი მუდმივი ინსპირაციის წყაროდ?! ალბათ, იმიტომ, რომ დაიანა ვრილანდის შემდეგ ერთადერთი მოდის რედაქტორია, რომელმაც მოდისთვის სხვა განზომილების შექმნა მოახერხა და ჟურნალი გლამურის არარსებული, გამოგონილი სამყაროს საუკეთესო ვიზუალურ პლატფორმად აქცია. ეს ჩემი სუბიექტური აზრია, რასაკვირველია.

ჩემთვის ყველაზე მიმზიდველი ამ ყველაფერში კი ის არის, რომ სოცანი ლიად და დაუფარავად საუბრობს მოდის ინდუსტრიის როგორც კეთილშობილ, ასევე მანკიერ მხარეებზე და არასდროს ერიდება საკუთარი აზრის პირდაპირ გამო-

ხატვას. თუ ანორექსიაშეპყრობილი მოდელების თემა სრულიად მოდის სამყაროსთვის ტაბუდადებული იყო და წლების განმავლობაში ტიტულოვანი მოდის გამოცემების მესვეურები შეგნებულად ხუჭავდნენ თვალს, სოცანიმ ეს ტაბუ დაარღვია და იტალიური Vogue-ს ვებგვერდზე ღია ბრძოლა გამოუცხადა ანორექსიას. მაშინ, როდესაც მსოფლიო „ფეშენისტა“ ქალების გაკერპებით არის დაკავებული, სოცანი დაუფარავად ამბობს, რომ ეს კატეგორია მისთვის ყოველად უინტერესო და ყოველგვარ არსს მოკლებულია. და კიდევ...

უმჯობესი იქნება, აქ გავჩერდე და დანარჩენი გასაცნობად და განსახველად მკითხველს დავუტოვო. „ცხელი შოკოლადის“ სტილის რუბრიკის ივლისის ნომერში ფრანკა სოცანისთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ. ასე რომ, მომავალ ოცნებებამდე!



Etam

Natalia Vodianova

PEKINI AV NS & CHAVCHAVADZE AV N 11

ტრენდი



1



2



3



2



4



5



One-piece

6

- 1. Tracy Reese, გაზაფხული-ზაფხული, 2012
- 2-3. Marc by Marc Jacobs,
გაზაფხული-ზაფხული, 2012
- 4. Bil Blass, გაზაფხული-ზაფხული, 2012
- 5. Bottega Veneta, გაზაფხული-ზაფხული, 2012
- 6. Dolce & Gabbana,
გაზაფხული-ზაფხული, 2012



1

1. Chanel, გაზაფხული-ზაფხული, 2012
2. Michael Kors, გაზაფხული-ზაფხული, 2012
3. Missoni, გაზაფხული-ზაფხული, 2012
4. Nanette Lepore, გაზაფხული-ზაფხული, 2012
5. Prada, გაზაფხული-ზაფხული, 2012
6. Zero + Maria Cornejo, გაზაფხული-ზაფხული, 2012
7. Donna Karan, გაზაფხული-ზაფხული, 2012



2



3


Summerwear




4



5



6



7

შემოდგომა და ზამთარი მოღაუბი

ავტორი ნინუზა ივარღვა
ფოტო: LIG STUDIO





„მთელ მსოფლიოში ვერსად შეხვდებით ერთ ქუჩაზე, სულ ხუთი წუთის სავალ გზაზე, თავმოყრილ წიგნის მალაზიას, მუზეუმსა და სექს-შოპს. მუდმივად ხდება მუსიკის, კლუბებისა და ქუჩების განახლება, ამას დაუმატეთ საუკეთესო მუსიკალური ღონისძიებების ჩასატარებელი ადგილები და კინოთეატრები და მიხვდებით, თუ რატომ არიან ლონდონის ხელოვნების კოლეჯის კურსდამთავრებულები საუკეთესონი და, რაც მთავარია – გაელენიანები. ეს ინოვაციური ქალაქი წარუშლელ შთაბეჭდილებებს ტოვებს, რაც ხელოვნების სტუდენტებისთვის შთაგონების უდიდეს წყაროდ იქცევა ხოლმე. როდესაც ლონდონში ცხოვრობ, შეგრძნებები გიმახვილდება, აზრი მკაფიო ხდება და გეძლევა ნაზრების გამოვლენის შესაძლებლობა“ – ბრიტანელი დიზაინერი ჯაილს დიკონი ლონდონის შესახებ.

Measure, by Louise Clark – ამ წიგნის კითხვა დაიწყო თუ არა, გაიხსნა კიდეც თბილისის მოდის კვირეული. იყო რაღაც ირონიული და საჭიროც კი ამ დამთხვევაში, რადგან პირველივე ფურცლებზე ამოვიკითხე ჯაილს დიკონის შეფასებები ლონდონზე და მივხვდი, რა არის ის, რაც თბილისს, თბილისურ მოდას და შესაბამისად, აქაურ კვირეულს ასე აკლია. ფიქრით ლონდონში გადასახლებული, უკან – თბილისში, რიყზე, ჯერ კიდევ მშენებარე ნაგებობაში გამართულმა მოდის კვირეულმა დამაბრუნა. „ბუდა ბარის“ მიმდებარედ, 17-21 მაისს თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზებით, 9 ქართველმა დიზაინერმა 2012-2013 წლების შემოდგომა-ზამთრის კოლექციები წარმოადგინა. ორგანიზატორული ლაფსუსები, უცხოელი დიზაინერების იდეების პირდაპირი კოპირება – მათი ინსპირაციის წყაროდ ქცევის მაგივრად, უხეში და შეუფერებელი „სტაილინგი“ სხვადასხვა კოლექციაში – ეს თითქმის ტრადიციად ქცეული პრობლემები ბოლო კვირეულისთვისაც გადაუჭრელ „გამონვევად“ დარჩა. კვირეულის დასრულებიდან უკვე თვეზე მეტი გავიდა, მე კი, სწორედ ამ პრობლემების გამო, კიდევ უფრო მიმყარდება აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენთან მოდის კვირეულები ნაჩქარევად და ხელოვნურად დამკვიდრდა, ყოველგვარი ლოგიკური საფუძვლის გა-

რეშე. მგონია, რომ აქ არც სოციალური, არც ეკონომიკური და არც განათლების მაჩვენებელია ისეთი მაღალი, რომ თბილისის ნამდვილ მოდის ქალაქად იქცეს – შთამბეჭდავი და კრეატიული მოდის კვირეულებით. მეტიც, მგონია, რომ თბილისი ახალგაზრდა, თანამედროვე დიზაინერებისთვის ინსპირაციის წყაროც ვერ ხდება. ადგილობრივი მუსიკისა და კინოკულტურის არარსებობა, მდორე კლუბური ცხოვრება თავისთავად აჩენს შთაგონებისთვის საჭირო წყაროების დეფიციტს. ამიტომ მაისის კვირეულზე სიარულისას და პარალელურ რეჟიმში, კლარკის წიგნის კითხვისას, გამუდმებით ეს თემა მიტრიალებდა თავში: როგორი რთულია, რაიმე აუთენტურად საინტერესო და გულწრფელად ამბლევებელი ნახოს ქართველმა დიზაინერმა თავის ქალაქში, რასაც შემდეგ ჩვენ, მაყურებელს, გაგვიზიარებდა თავისი კოლექციით... თუმცა, მოდი, მივყვეთ თანმიმდევრულად და დაიწყოთ ყველაზე მთავარი თემით, რაც ხარისხიანი და ინოვაციური იდეებით სავსე კვირეულის შესაქმნელად გარდაუვალი აუცილებლობაა – ბიუჯეტი. ორგანიზატორებმა თავიდანვე განმარტეს, რომ მაისის კვირეულზე მხოლოდ ცხრა დიზაინერის გამოსვლა იმით იყო განპირობებული, რომ სურდათ, „ცოტა, მაგრამ ხარისხიანი“ კოლექცია ეჩვენებინათ პუბლიკისთვის. თუმცა, სხვა, არაოფიციალური მიზეზიც დასახელდა – უსახსრობა. როგორც ვიცი, კვირეულში მონაწილეობა დაახლოებით ათასი დოლარის გადახდის შემდეგ შეუძლიათ დიზაინერებს, რაც ბევრისთვის დიდი თანხაა, თუ გავითვალისწინებთ კოლექციის შესაქმნელად საჭირო სხვა, გაცილებით უფრო მსხვილ დანახარჯებსაც...

ვერ გეტყვით, ეს იყო თუ არა მიზეზი იმისა, რომ თამუნა ინგოროყვამ ტაქტიკა შეცვალა, მაგრამ ფაქტია, რომ მან კვირეული შოუს ნაცვლად, საიუველირო ბრენდ Mawi-სთან თანამშრომლობით შექმნილი ფოტო-პროექტით გახსნა. ვერც ეს ტანდემი გამოვიდა ეფექტური. სტენდები სამკაულების რეკლამას უფრო ჰგავდა, ვიდრე დიზაინერის Look-book-ს.

მრჩებოდა დანარჩენი რვა დიზაინერის – აკა ნანიტაშვილის, ეკა ბალანჩივაძის,

ლელა ელოშვილის, გიორგი შალაშვილის, დათუნა სულიკაშვილის, ბიბი ბახტაძის, ატელიე 10ა-ს და ქეთი ჩხიკვაძის კოლექციების ნახვა.

აკა ნანიტაშვილმა გადაწყვიტა, შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია წარმოედგინა და თავისი იდეა ჩიტების ჭიკჭიკითა და პროექტორით შექმნილი ამწვანებული ბუნების ფონითაც გაემძაფრებინა. გიპიურის მაქმანებიანმა საყელოებმა, ღია ბალახისფერის და მარჯნის ფერთა პალიტრამ, ჰაეროვანი ქსოვილებით შექმნილმა კაბებმა და ჩალისძირიანმა ფეხსაცმელებმა, სამწუხაროდ, ახალი ვერაფერი თქვა. გარდა ამისა, მისმა პრინტებმა Dries van Noten-ის ასოციაცია არა მარტო მე, არამედ ჩემ გვერდზე მსხდომ არაერთ დამსწრე სტუმარში აღძრა. ამ დეტალის დადებით თუ უარყოფით მხარეზე თქვენ იმსჯელეთ, თუმცა კითხვაზე – იყო თუ არა კოლექცია „ჩაცმადი“ და „გაყიდვადი“, პასუხი დადებითია.

ძალიან ვინანე, თავი რომ გამოვიდე და დღის პირველ საათზე გამართულ ახალბედა დიზაინერთა კონკურსს დავესწარი. კონკურსში 20-მა დიზაინერმა მიიღო მონაწილეობა. თითოეულმა სულ 5-6 კოსტიუმი წარმოადგინა. კონკურსი ოფიციალურად გახსნა თინათინ ჩილაძის მინი-კოლექციამ, რომელიც თანამედროვე მოდის ტენდენციების აშკარა გავლენას და სთაილინგის პრობლემას ერთდროულად განიცდიდა. თუმცა, ფეხსაცმელი, რაც ზოგიერთი დიზაინერისთვის მეორეხარისხოვანი დეტალია, ამ შემთხვევაში ზუსტად იყო მორგებული. ყავისფერი და ბრინჯაოსფერი ეგრეთ წოდებული „ქრიფერსები“ და სანდლები მისი ჩვენების წამყვანი დეტალი აღმოჩნდა, რასაც ვერ ვიტყვოდი მასიურ ლურჯ სათვალეზე, რომელიც უადგილოდ მეჩვენა. დანარჩენი კოლექციების ინსპირაციის წყაროები (რაც ამ ქაოსიდან დამამახსოვრდა) შემდეგში მდგომა-რეობს: ქართული ტრადიციული სამოსი, ფრიდა კალო, პინა ბაუში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ავტომობილის ბრენდი BMW. სიცხემ და უჰაერობამ უფრო გაუსაძლისი გახადა იქ ყოფნა, ამიტომ 20 წუთიან შესვენებას ვერც თაკარა მზეში გავეუძელი და ვერც უვენტილაციო სი-



ტიორი შატლვანი, შვიდობა/ზამთარი 2012-2013



აკა ნანიტაშვილი, შვიდობა/ზამთარი 2012-2013



აკა ბალანჩივაძე, შვიდობა/ზამთარი 2012-2013



ATELIER INFORMAL, შვიდობა/ზამთარი 2012-2013



აკა ნანიტაშვილი, შვიდობა/ზამთარი 2012-2013

ვრცეში. მოგვიანებით გავიგე, რომ გამარჯვება კრისტი კახიძეს მოუპოვებია, რომელმაც მთლიანად გოთიკურ შავ ფერში გადანყვეტილი ტრანსფორმირებადი სამოსი წარმოადგინა და შოუ მინი-პერფორმანსით დაასრულა.

კვირეული ჩემთვის მანამდე უცნობი დიზაინერის, ეკა ბალანჩივაძის ჩვენებით გაგრძელდა. კოლექცია მასიურ საქორწინლო კაბაში გამონყობილმა ნანკა კალატოზიშვილმა გახსნა, მას მოჰყვა კოლექცია, რომელიც Lookbook-ის სახით შესაძლოა, უფრო ეფექტური ყოფილიყო: პითონის ტყავის ხელჩანთები, პიჯაკები, ქვედაბოლოები, გიპიურის ფენით დაფარული კაბები, თმის არაადეკვატური, თითქოს, საქორწინლო აქსესუარები და ხის ოთხკუთხედი ყუთი-ჩანთები, ტუჩის ფორმის ხის დეტალით. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს დიზაინერმა მთელი წელი სხვადასხვა სახის აქსესუარების და სამოსის შექმნაზე იმუშავა, საბოლოო კოლექციაში კი რომელიმე ხაზის გამოტოვება დაენანა და სრულიად დაუფიქრებლად ყველაფერი ერთად აასხა მოდელებს.

საკმაოდ პოზიტიური გამოდგა ლელა ელოშვილის კოლექცია „ინფორმალისთვის“. 1950-იანი წლების სილუეტი, ნათელი ფერები, რელიეფური ფორმები, მასიური აქსესუარები, აბრეშუმის ფრიალა ქსოვილები და ყველაზე საინტერესო დეტალი – 1950-იანი წლებით შთაგონებული კოსმიური ფორმის სათვალეები კოლექციის მთავარი დეტალები იყო. გამოვარჩევედი გრძელ, ღია ხორცისფერ კაბას ხასხასა ვარდისფერი საყელოს დეტალით და 1950-იანი წლების რეტრო პრინტით შექმნილ ქვედაბოლოებს.

შემოდგომა-ზამთრის სეზონი ყველაზე თვალსაჩინოდ, მგონია, რომ იკა ბობოხიძემ წარმოადგინა თავისი კოლექციით Atelier 10a-სთვის. ყავისფერის, კრემისფერის, სტაფილოსფერის, გახუნებული იასამნისფერის, ცისფერის, შავისა და თეთრის ფერთა პალიტრაში გადანყვეტილი კოლექცია გრძელი და თავისუფალი სილუეტის, მინიმალისტური გრძელი პალტოებისა და კაბებისგან შედგებოდა. საინტერესო დეტალი ტყავით განწყობილი ქურთუკები გახლდათ. საბოლოო ჯამში, კოლექცია შეგვიძლია ყველაზე ნეიტრალურ, არაპრეტენზიულ

და კომერციულ პროდუქტად დავასახელოთ.

გიორგი შალაშვილმა თავის კოლექციაში ამჯერადაც ქვეტექსტი ჩადო, სახელწოდებით „ანა აღარ დაბრუნებულა“. ფერები, როგორც მოსალოდნელი იყო, მუქი დატოვა. ტვინის გრაფიკული პრინტები ამჯერად სახლის ფორმის მსგავსა, თეთრი საღებავით შექმნილმა მოხატულობამ შეცვალა, რაც მოდელებს სახეებზე ჰქონდათ გამოსახული. დასაფასებელია ის ფაქტი, რომ გიორგი შალაშვილი ცდილობს, გაექცეს მოდის კომერციულობის ასპექტს და შექმნას მოდა, როგორც ხელოვნება, თუმცა ის ნაბიჯები რასაც შალაშვილი ამჯერად დგამს იაპონური მოდის წარმომადგენლების, რეი კავაკუბოსა (Comme des Garçons) და იოჯი იამამატოს არდილს უფრო ნაგავს, ვიდრე მოდის სფეროში ნათქვამ ახალ სიტყვას. ინსპირაცია მაშინ არის კარგი, როცა შთაგონება ახლის შექმნის და შენებური ინტერპრეტაციის საშუალებას გაძლევს, ამ შემთხვევაში კი, ანა დაბრუნდა თუ ანა არ დაბრუნებულა – ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ჩემი პირადი ფავორიტი კი მის კოლექციაში მამაკაცის ოქსფორდის ტიპის ფეხსაცმელი იყო.

ძალიან ქალური, ნაზი, კომერციული და ამავდროულად სეზონის ადეკვატური კოლექცია წარმოადგინა ქეთი ჩხიკვაძემ. შიფონის გამჭვირვალე ფრიალა კაბები და ოქროსფერი ფოთლის აპლიკაციები კოლექციის ყველაზე საინტერესო ნაწილი იყო, რასაც ვერ ვიტყვოდი ლეოპარდის „ლეგენდებზე“. მიჭირს კოლექციის დადებითად ან უარყოფითად შეფასება, რადგან შოუმ არანაირი ემოცია არ დამიტოვა, თუმცა სკამებზე წინასწარ გამზადებული Lookbook-ი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რამაც მაფიქრებინა, რომ სჯობდა, კოლექცია Lookbook-ადვე დარჩენილიყო.

არ დაგიმალავთ და ძალიან ველოდებოდი გერმანიაში მოღვაწე დიზაინერის, ბიბი ბახტაძის ჩვენებას, თუნდაც კონტრასტის სანახავად შესრულების მხრივ, თუმცა მისი კოლექცია Elie Saab-ისა და Marchesa-ს უხარისხო ნაზავს უფრო ჰგავდა. სრულიად დაკარგული იყო შოუს ასპექტი, პლატფორმის ძირიანი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და ექსუალური

ქალის იმიჯი არაადეკვატური მომეჩვენა მაქმანებიანი საღამოს კაბების ფონზე. თუმცა, ვხედები, რომ კოლექცია აშკარად წითელი ხალიჩისთვისაა გამიზნული, ამ მიზანს კი, ბიბი ბახტაძის ქმნილებები, სავარაუდოდ, გაამართლებს.

განსხვავებულ გარემოში წარმოადგინა კოლექცია დათუნა სულიკაშვილმა. „ბუ-დაბარის“ ტერიტორიიდან 10.00 საათზე ყველამ საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-3 პავილიონში გადაინაცვლა. კვამლით გაჟღენთილი ბნელი და დიდი სივრცე რაღაც საინტერესოსთვის გვამზადებდა. ასეც მოხდა, კოლექცია ნამდვილად საინტერესო იყო: ოქროსფერი რქები, დრამატულ წითელ ფერში გადანყვეტილი მაკიაჟი, ფოთლის ფორმის აპლიკაციებით, სამკაულებით, ბუმბულებითა და თვლებით განწყობილი კაბები და ზედატანები, ოქროსფერი ქსოვილისა და ხავერდის შესამება, loafer-ის სტილის ასევე ხავერდის მწვანე და შავ ფერში გადანყვეტილი ქუსლიანი ფეხსაცმელი. ამას დაუმატეთ ბრჭყვიალა ფურცლები, რომელიც შოუს დასასრულს ყველა წერტილიდან ცვიოდა. სხვა თუ არაფერი, დამიჯერეთ, Ryuichi Sakamoto-ს მუსიკის ფონზე ყველაფერი ლამაზად ჩანს ხოლმე და არც ეს შოუ იყო გამონაკლისი. მოკლედ, დათუნა სულიკაშვილმა მოახერხა წინა ჩვენებებიდან მიღებული შთაბეჭდილებების გადაფარვა და კვირეულის ღირსეულად დახურვა.

ამასობაში კლარკის კითხვასაც მოვრჩი. მისი მონათხრობით შთაგონებულს აზრი თბილისსა და თბილისის მოდის კვირეულებზე, ცხადია, არ შემცვლია. თუმცა, ბოლო ჩვენებიდან გამოსვლის შემდეგ მიგხვდი, რომ ეს აქტივობები – კვირეულების სახით, საბოლოო ჯამში, მაინც კარგია. სხვა თუ არაფერი, მსგავსი, ორგანიზებული შოუები ახალგაზრდა დიზაინერებს თვითგამოხატვის საშუალებას აძლევს და, ალბათ, ანდომებს კიდევ მათ, არ დასჯერდნენ სამხატვრო აკადემიის სადიპლომო ჩვენებებს და უფრო სხვა სივრცეში, სხვა დონის შოუების მოწყობაზე იფიქრონ. ჩვენთან ხომ მართლა არიან ნიჭიერი დიზაინერები, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, მგონია, რომ თითის დატკაცუნებით არაფერი კეთდება, ყოველ შემთხვევაში – ღირებული არაფერი.



დათუნა სულიკაშვილი,
შეიქმნა/შეამთხრო 2012-2013



Vaudeville & Burlesque

ავტორი მარიამ სიჭინავა

ქალური და იმავდროულად თამამი სამოსი მათთვის, ვისთვისაც ჩაცმა ყოველდღიური დღესასწაულია. კლასიკური თარგი იდეალურად არის შეხამებული თანამედროვე სტილთან და ეს ყველაფერი ვინტაჟის მცირე მინარევებსაც შეიცავს – ასე შეიძლება დავახასიათოთ Vaudeville & Burlesque-ის კოლექციები. ამ ნომერში წარმოგიდგენთ ფოტოკოლაჟს, რომელიც ქართველ ფოტოგრაფს, მარიამ სიჭინავას ეკუთვნის და ის Vaudeville & Burlesque-ის 2012 წლის გაზაფხული-ზაფხულის და შემოდგომის წინა (Pre-Fall) კოლექციებს ასახავს.









VABENE

ITALIAN SHOES

Tbilisi, Georgia, Vajha-Pshavela ave. #10. Tel: +995 32 272 66 55

Email: vabenetbilisi@gmail.com

www.italianshoes.ge

facebook: Vabene Dioggi E-store





ANGELICA EVENT

by L'OCCITANE

L'OCCITANE - არის ნატურალური ფრანგული პარფიუმერია და კოსმეტიკა წარმოებული ეთერულ ზეთებსა და მცენარეულ ექსტრაქტებზე.

13 ივნისს 2012წ. ქ.თბილისში სადამოზე „კოქტელი პროვანსში“ და პრეზენტაცია, რომელიც ეძღვნებოდა ანგელოზას ახალ ხაზს ყველაზე ცნობილმა ფრანგულმა ბრენდმა L'OCCITANE-მა რომელიც მდებარეობს ი.ჭავჭავაძის №40-ში, შეკრიბა თავისი ერთგული მომხმარებლები. პრეზენტაციას შეუერთდნენ წარმომადგენელი საფრანგეთიდან კაროლინა ანზუიტტი ასევე დედაქალაქის ბიზნეს და კულტურული ელიტა.



Caroline Anziutti



Kristi Kipshidze and Nino Daraseli



Araz Mehdiev & Sabina Ragimova-Mehdiyeva



Kira Andronikashvili



Keti Asatiani



Ia Parulava



Nino Tsiklischvili & Niniko Kacharava



უკომპრომისო და რისკიანი ფრანკა სოცანი

ავტორი თამარ ალავიძე

რუბრიკის სპონსორია საქართველოს ბანკის პერსონალური საბანკო მომსახურება SOLO

– თაკო, გთხოვ, კარგად შემომხედე და გულწრფელად მითხარი: ეს სალათისფერი კაბა თუ შარვალი და ლურჯი მაისური, აი, ამ მაღალქუსლიან ფეხსაცმელთან ერთად?! „შავ“ დღეში ვარ და უნდა მიშველო!

– შარვალი და მაისური, აშკარად. იცი, რა, ისეთ რამეზე ღელავ, რომ არც კი ღირს ფიქრად! არა მგონია, ფრანკამ შენს ჩაცმულობას დაუნყოს თვალიერება და იმაზე იფიქროს, რა და როგორ გაცვია! მოეშვი, რა!

ჩემს მეგობარ თაკოს რალაცაში კი ვეთანხმებოდი, მაგრამ თან ჩემი მღელვარებაც გასაგები იყო: როცა საქმე მსოფლიო მოდის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პიროვნებასთან, Vogue Italia-ს მთავარ რედაქტორთან ინტერვიუს ჩანერას ეხება, ძნელია, სხვა დანარჩენთან ერთად, საკუთარი „დრესკოდის“ ადეკვატურობაზეც არ იფიქრო.

პიაცალე კადორნას ხუთ ნომერში დათქმულ დროს გამოცეხადდი. ძველი, ხუთსართულიანი, ნაცრისფერი ნაგებობის გარეთა ფასადი სულ მცირე მინიმუმ ნებასაც კი არ იძლეოდა იმის შესახებ, რომ აქ Conde Nast-ის გამოცემლობის იტალიის ოფისი უნდა ყოფილიყო განლაგებული. დაცვასთან სავალდებულო პროცედურების გავლის შემდეგ, შიდა ეზოს გასასვლელისკენ მიგვანიშნეს, საიდანაც შუშის კარით, დიდ, სადარბაზოს ტიპის სივრცეში აღმოჩნდით. ხის მასიურმა ლიფტმა, როგორსაც რომის და მილანის ძველებური შენობების უმეტესობაში ნაანყდებით, ზანტად აგვიყვანა მესამე სართულზე, სადაც Vogue Italia-ს და L'Uomo Vogue-ის იტალიის გამოცემლობებია განთავსებული. როდესაც გამჭვირვალე შუშის კარი შევალე და რედაქციის კორიდორში აღმოჩნდი, მღელვარება უცებ სადღაც გაქრა და ხარბად დავიწყე იქაურობის თვალიერება.

ოქრო, ხავერდი, სარკეები, ჩარჩოები, ლეოპარდის პრინტებიანი ხალიჩები, ყვავილებიანი ლარნაკები – თავად სოცანის გემოვნებით მოწყობილ ინტერიერში ზემოთ ჩამოთვლილის მსგავსს ვერაფერს ნავაწყდი. გრძელი დერეფნის თეთრი კედლები მსოფლიოს საუკეთესო ფოტოგრაფების მიერ წლების განმავლობაში Vogue Italia-სთვის გადაღებული ფოტოებით არის გაფორმებული: ორ ჰორიზონტალურ მწკრივში ერთმანეთს ენაცვლება შუშით დაფარულ შავ ჩარჩოებში მოთავსებული რიჩარდ ავედონის, ირვინ პენის, ჰერბ რიცის, სტივენ მაიზელის, ბრიუს ვებერის, პიტერ ლინდბერგის ნამუშევრები. რედაქციის ოფისი სრული ანტიპოდია იმისა, როგორც ის, რომელიმე ფილმის გავლენით შეიძლება წარ-

მოიდგინოთ: აქ ვერ ნახავთ სტრესისგან დანევროზებულ რედაქტორებს და უშველებელ ქუსლებზე შემომხტარ, ნერვოზულად მოსიარულე თანამშრომლებს. რედაქცია სრულად გამოხატავს მისი „გამრიგეს“ დამოკიდებულებას გლამურისადმი – თანამედროვე, ფუნქციური და არტისტიზმით გააფლენთილი.

რამდენიმე ნუთში კაბინეტიდან ჰოლში ჩვენს შესაგებებლად სოცანიც გამოვიდა. საშუალო სიმაღლის, თხელი აღნაგობის ქალს სადა, შავი, წვრილი თეთრი კობლებით განწყობილი, მუხლს ქვემოთ სიგრძის კაბა ეცვა. გრძელ, გაშლილ, ტალღოვან ქერა თმაზე ხავერდის წვრილი, შავი თასმა ჰქონდა გადაკრული. კარგად დაკვირვების შემდეგ მიხვდებოდით, რომ მისი მაკიაჟი შავი ტუშით და სახის დღის კრემით ამოიწურებოდა. ლოდინის გამო მოგვიბოდიშა და ოთახში შეგვიძღვა.

ვიდრე ინტერვიუს ოფიციალურ ნაწილზე გადავიდოდეთ, ჩვეულებრივ ვსაუბრობთ, თემებს მიმოვიხილავთ, ფრანკა სოცანი კი, მოურიდებლად და დაბეჯითებით მსწავლობს თავისი მზერით. შემდეგ კი, როცა უკვე კითხვა-პასუხს ვიწყებთ, მისი პასუხებით ვხვდები, რომ სოცანის „ტესტი“ დამაკმაყოფილებლად მაქვს გავლილი.

ჩემი იქ ყოფნა Convivio-ს ლონისძიებას დაემთხვა. კონვივოზე უკვე ოცი წელია, რაც მოდისა და დიზაინის ინდუსტრიის წარმომადგენლები საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვას აწყობენ, მიღებულ შემოსავალს კი შიდასთან ბრძოლის ფონდში რიცხავენ. ფრანკა სოცანი ამ ლონისძიებაში მონაწილეობას ყოველ წელს გან-

საკუთრებული სერიოზულობით ეკიდება. ჩვენი საუბრის დროსაც პირველად სწორედ კონვივოზე ჩამოვადგეთ სიტყვა. ფინანსური კრიზისის მიუხედავად, სოცანი კმაყოფილი ჩანდა. „წელს გადავწყვიტეთ, შემოსავლის ნაწილი ემილია რომანაში და მანტუას რეგიონებში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულებს მოხმარდეს – იცით, ალბათ, რომ მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა მიწისძვრის შემდეგ. ამიტომაც, გამოფენა-გაყიდვის ვინტაჟის ნაწილის მიერ მიღებული შემოსავალი მთლიანად იქ დაზარალებულ ოჯახებს მოხმარდება“, – მეუბნება იტალიური მანერულობით წარმოთქმული ინგლისური ფრაზებით.

სოციალური აქტივიზმი უკვე რა ხანია, სოცანის სამუშაოს განუყოფელი, შეიძლება ითქვას, მოდაზე არანაკლებ პრიორიტეტული ნაწილია. მოდის წამყვანი გამოცემების მთავარ რედაქტორებს შორის, ძნელია, არ გამოყო მისი წვლილი სხვადასხვა სოციალურ თუ გარემოს დაცვით კამპანიაში. „არ შეიძლება, ვისხდეთ მშვი-

აქ ვერ ნახავთ
სტრესისგან
დანევროზებულ
რედაქტორებს
და უშველებელ
ქუსლებზე შემომხტარ,
ნერვოზულად
მოსიარულე
თანამშრომლებს.
რედაქცია სრულად
გამოხატავს
მისი „გამრიგეს“
დამოკიდებულებას
გლამურისადმი.

დად და შევიფეროთ ჩვენი მდგომარეობა. არ შეიძლება, კმაყოფილებმა ვიძახოთ, რომ გაგვიმართლა აქ, მშვიდ გარემოში მუშაობის საშუალება რომ გვაქვს. არ უნდა ვიყოთ ინდიფერენტულები იმის მიმართ, რაც ჩვენ ირგვლივ, სამყაროში ხდება. მიმანჩია, რომ ეს პოზიცია ჩემი სამუშაოს ნაწილია. ის პატარა ძალაუფლება, რაც ჩვენ გაგვანჩია, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საქველმოქმედო მიზნებისთვის. სხვათა შორის, მოდის ინდუსტრია ამ მხრივ საკმაოდ ხელგაშლილია – დიზაინერები და მოდის სახლები ყოველთვის ენთუზიაზმით იღებენ ხოლმე მონაწილეობას ამგვარ პროცესებში“.

ფრანკა სოცანი გაეროს კეთილი ნების ელჩაა მოდის განვითარების მიმართულებით. მთელი მასი აფრიკაში გაატარა, სადაც ჟურნალისთვის აგროვებდა მასალებს და წერდა ინტერვიუებს. კვირაში 5 ბლოგს წერს **Vogue**-ის ვებგვერდისთვის და, როგორც მუუბნება, ლამის სამსახურის ნაწილად ექცა იმ ადამიანებთან გამკლავება, რომლებიც მის საქმიანობას აკრიტიკებენ. ემოციურად მიაბნობს, როგორ ალელდა წინა დღით, ბლოგზე დატოვებული შეურაცხმყოფელი კომენტარის გამო. “აი, თუნდაც ამ ადამიანებს, რა, არ აქვთ დრო, რამე სასარგებლო საქმე აკეთონ იმის ნაცვლად, რომ ჟურნალის რედაქტორს შეურაცხმყოფელი წერილები მისწერონ?” – რიტორიკულ კითხვას სვამს ზოლოს, თან საუბრისას ხელებს იშველიებს.

ფრანკა სოცანიზე ხშირად ამბობენ, რომ უკომპრომისო და რისკიანი რედაქტორია. ამის გამო, კრიტიკის ობიექტიც კი ხდება. 2010 წელს მექსიკის ყურეში მომხდარი „ბრიტიშ პეტროლიუმის“ კატასტროფის შემდეგ, **Vogue Italia**-ს აგვისტოს ნომერში 22 გვერდიანი ფოტოპროექტი დაიბეჭდა, რომელშიც **Dior**-ის მელიის ბუნვის ქურთუკში გამოწყობილი მოდელი, კრისტინ მაკენამი, ნავთობით დაბინძურებულ ნაპირზე ნავთობში ამოთხვილი პოზირებდა. მაშინ სოცანის დააბრალებს, რომ ის საშინელი ოპორტუნისტი იყო და ამ ფოტოპროექტით ცდილობდა, ტრაგედიისთვის გლამურული ელფერი მიენიჭებინა.

ჩვენი საუბრისას, ფრანკას ამ დეტალებსაც ვახსენებ და ახლა მე მისწინს დიდი მონდომებით, რომ ამ ფოტოებს ერთადერთი მიზანი ჰქონდა – გამოხმაურება ამ დიდ ტრაგედიაზე და სოლიდარობის გამოხატვა.

– ვაკეთებ იმას, რაც მომწონს. თუ სხვასაც მოსწონს, ეს მიხარია. და თუ არა, ვერაფერს გავაკეთებ მის გადასარწმუნებლად, ჩემს იდეებზე უარს ვერ ვიტყვი. შეიძლება კონკრეტული ნომერი, ან კონკრეტული სტატია არ მოგეწონოს, მაგრამ მოგეწონება შემდეგი ნომერი, ან შემდეგი სტატია. აი, თუნდაც, ჩვენი **Black Issue** (ე.წ. „შავი ნომერი“, რომელიც შავკანიან მოდელს ეძღვნებოდა – თ.ა.) – ორჯერ მოგვინია ტირაჟი ხელახლა დაგვებეჭდა ამერიკელი მკითხველისთვის, იმდენად დიდი მოთხოვნა იყო. დამატებით დაგუბეჭდეთ ეს ნომერი ინგლისის და გერმანიის ბაზრებისთვისაც, თუმცა იტალიაში, ერთი ზედმეტი ნომერიც კი არ გაყიდულა. ეს იმიტომ მოხდა, რომ იტალიაში შავკანიანებს, როგორც რაღაც ახალს, უცხოთ, ისე უყურებენ და არა როგორც იტალიური საზოგადოების ნაწილს. აფრიკაში რომ ჩახვალთ, იმდენ ახალგაზრდას, ჭკვიან ექიმს ნახავთ. ჩვენთან კი იმიტომ ჩამოდიან, რომ საკმარისი ფული არ აქვთ და ოჯახს ვერ არჩენენ. და როგორც კი ისინი იტალიაში მოხვდებიან, იტალიელები მათ პრობლემად აღიქვამენ. შესაძლოა იმიტომ, რომ კოლონიები არასდროს გვექონია, ინგლი-

სისგან განსხვავებით. ამ მხრივ, ჩვენ, იტალიელები ცოტა ბურჟუაზიულებიც კი ვართ.

ვრწმუნდები, რომ სოცანი მართლაც საოცრად პრინციპული რედაქტორია. საკუთარი აზრის გამოხატვას არასდროს ერიდება, თუნდაც ამით დინების სანინაღმდეგო გეზს ირჩევდეს და ფართო საზოგადოებას უპირისპირდებოდეს. ასე იყო მაშინაც, როცა 2010 წლის თებერვალში, ჯონ გალიანოს ანტისემიტური გამონათქვამების გამო ამტყდარ სკანდალში, გალიანოს მხარდაჭერა გადაწყვიტა:

– ჯონი ძალიან ავად იყო, მერწმუნეთ, ძალიან მძიმედ ავად და არავინ სცადა მისი დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა კარგად ხედავდა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჯონს დიდი ხანია, ვიცნობ და თუ დამიჯერებთ, ის ნამდვილად არასდროს ყოფილა ნაცისიმის, რასიზმის, ან მსგავსი რადიკალური მიდგომის გამზიარებელი, საერთოდ არ არის ბუნებით ასეთი ადამიანი. ჩვენ ხომ არ ვიცით, რა მოხდა იქ, იმ კაფეში იმ ვიდეოჩანაწერამდე. მე იქ არ ვყოფილვარ, თქვენ იქ არ ყოფილხართ და ვსაჯელობთ მხოლოდ ჩანაწერის მიხედვით. და რა ჩანდა ამ ვიდეოზე?! – გავლენიანი, ძალიან მდიდარი, ცნობილი მამაკაცი, რომელიც პარიზის ერთ პატარა კაფეში მარტო იჯდა, ნარკოტიკების და ალკოჰოლისგან გაბრუნებული. რასაკვირველია, ეს არ ამართლებს მის ნათქვამს ებრაელ ხალხთან დაკავშირებით, რასაკვირველია **LVMH**-ს ჯგუფს და **Dior**-ის სახლს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, ჯონი მართლაც უნდა გაეთავისუფლებინათ, მაგრამ მგონია, რომ გალიანოს ეს ინციდენტი მაინც ძალიან ძვირი დაუჯდა. ახალი ფურცლიდან კარიერის დაწყება, ალბათ, ძალიან გაუჭირდება, მაგრამ თან მჯერა, რომ ამას აუცილებლად მოახერხებს, რადგან ძალიან ნიჭიერი ადამიანია. ადამიანურად, სუფთა ემოციების დონეზე კი, მე ახლაც მის მხარეს ვარ.

ფრანკა სოცანი მოდის ჟურნალების გავლენიანი რედაქტორების ფონზე, ჩემთვის უმეტესწილად იმით გამოირჩევა, რომ საკუთარ გრძობებსა და ალლოს არასდროს ღალატობს. მისი კარიერის ნარმატებასაც მგონი, რომ ემოციური ბუნებისა და მტკიცე ხასიათის უცნაური ნაზავი განსაზღვრავს.

– რას ნიშნავს, იყო **Vogue**-ის მთავარი რედაქტორი და განსაკუთრებით კი ისეთი ნარმატებული და ინოვაციური გამოცემის მთავარი რედაქტორი, როგორც იტალიური **Vogue**-ია? – ვეკითხები შემდეგ.

– ეს პროცესია და არა რაღაც მიღწეული მიზანი. არა – შედეგი. მე ასე ვუყურებ ჩემს თანამდებობას და ამიტომ ვახერხებ, ძლიერი და სანტერესო იდეებით ვიცხოვრო თავდაც და ვკვებო ჟურნალიც. როდესაც **L'Uomo Vogue**-ის ბოლო, აფრიკის ნომერზე დავინწყეთ მუშაობა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, პან გი მუნთან და აფრიკის რიგი ქვეყნების პრეზიდენტებთან ინტერვიუს ჩანერას თუ მოვახერხებდი, მაგრამ საბოლოოდ, ასეც მოხდა. ვაღიარებ, მქონია მომენტები, როდესაც მიემხვდარვარ, რომ საკუთარ თავს გაუცრუე იმედები, მაგრამ ბევრჯერ ყოფილა ისეთი ნამიც, როცა, ნასამოვნებს, მიფიქრია: „ნუთუ მართლა მე გავაკეთე ეს?!“ ზოგი ნომერი ძალიან ჭკვიანური გამოგვსვლია, ზოგი – ილბლიანი, გამორჩეულად კრეატიული ნომრებიც გვექონია და განსაკუთრებულად ინტელექტუალურებიც. მკითხველი მუდმივად ელის სასამოვნო სიურპრიზებს, თუ ამ სიურპრიზებს არ გაუკეთებ, მას შეიძლება, ერთ დღეში მობეზრდეს ნომერი, ამიტომაც აუცილებ-

ბელია, რომ ყველა დანარჩენი ჟურნალისგან განსხვავებული რამ შესთავაზო აუდიტორიას. იცით, რამდენი მოდის ჟურნალი გვაქვს იტალიაში?! მარტო ათი ყოველკვირეული მოდის გამოცემაა, 6 ყოველთვიური და ამას დამატებული ის დიდი ფინანსური კრიზისი და ხელჩართული ბრძოლა, რაც მკითხველის შესანარჩუნებლად, რეკლამის მოსაზიდად გინევს.

Vogue Italia-ში რეკლამა პრესტიჟულია უამრავი მსხვილი ბიზნესისთვის. თუმცა, ის, რაც ფრანკა სოცანის არასდროს გაუკეთებია, საკუთარი ჟურნალის ავტორიტეტით სარგებლობა და ინერციას მიყვალა. „მუდმივ რეჟიმში გინევს ახალი იდეების ძებნა იმისათვის, რომ მკითხველი დაინტერესო და ამ იდეებში ჩართვის სურვილი გაუჩინო. ის, რომ, უბრალოდ, მიხვალ Vogue-ით ხელში რეკლამის ჩამდებთან და ეტყვი: იცით, ეს Vogue-ია, საუკეთესო მოდის ჟურნალი, ნახეთ როგორია! – ეს საკმარისი აღარ არის. ახლა უკვე ტვინის და გონების ბოლომდე გამოყენება გინევს ნარმატიული ჟურნალის საკეთებლად“.

საკუთარი ჟურნალის უნიკალურობასაც ფრანკა სოცანი „პრინციპულ კრეატიულობაში“ ხედავს – პრინციპული კრეატიულობა ნიშნავს იმას, რომ Vogue-ს იტალიურ გამოცემაში ახალი და კარგი იდეა კომერციული მიზნების სანაცვლოდ არასდროს იწირება. ფინანსური კრიზისის პირველ ეტაპზეც და ახლაც, როცა ბევრ მოდის ჟურნალს მოუხდა ახალი რეალობის შესაბამისად გადაწყობა და ზოგჯერ საკუთარ კონცეპტუალურ ფასეულობებზე უარის თქმაც კი, იტალიურ Vogue-ს ხარისხი არასდროს დაუგდია, – ისევ იტალიური ინგლისურით, ამაყი ტონით მიმეორებს სოცანი: „უფულობის დროსაც კი დამატებითი ინვესტიცია თუკი სჭირდებოდა ჟურნალს ხარისხისა და კრეატიული სულისკვთების შესანარჩუნებლად, უკან არ ვიხვედით. ეს იყო ჩემი პირველი პრინციპი და მეორე – არასდროს, არანაირი კრიზისის დროს არ უნდა დაგვეგდო ჩვენს ჟურნალში განსათავსებელ რეკლამაზე ფასი. ჩვენ „ფასდაკლებით“ არ ვიყიდებთ! თუ მოგწონს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მაშინ უნდა გადაიხადო კიდეც, თუ არადა, შეგიძლია სხვა ჟურნალს მიმართო. Vogue მათთვის არის, ვისაც მაღალი ხარისხი და კრეატივი სურს! სწორედ ამ გადაწყვეტილებების წყალობით გადავიტანეთ 2009 წლის ფინანსური კრიზისი. მაშინ, როცა სხვა ჟურნალები 50 პროცენტთან ფასდაკლებებს სთავაზობდნენ სარეკლამო გვერდებზე კლიენტებს, ჩვენ ცენტიც არ დაგვიკლია და ახლაც ასე ვაგრძელებთ“.

ფრანკა სოცანი რომ საინტერესო მოსაუბრე იქნებოდა, ეს არა მხოლოდ მისი ძველი ინტერვიუებიდან, არამედ, პირველ რიგში, მისი ბლოგ-პოსტებიდან ვიცოდით.

Vogue-ის იტალიური გამოცემის მთავარი რედაქტორი უკვე დიდი ხანია, კვირაში ხუთჯერ იცლის სანერად და მისი თემები მწვავე და აქტუალურია. მოდის სტანდარტიზაცია, ერთგვაროვნება – ესეც იმ თემთაგანია, რომელზეც სოცანი მოურიდებლად, სრულიად გულწრფელად პასუხობს:

– ახლა თითქმის ყველაფერი ერთ სიბრტყეშია, ყველაფერი ერთიმეორეს ჰგავს. ძალიან ცოტა დიზაინერი თუ იკვლევს ამა თუ იმ თემას, დეტალს სათანადოდ და ძალიან ცოტა მათგანს თუ გააჩნია ინდივიდუალიზმი. არადა, თუ ხარისხს ბოლომდე შეინარჩუნებ, მაგალითად, როგორც ამას Uniqlo ახერხებს, მაშინ შეძლებ შენი ნიშის შენარჩუნებას. მიმაჩნია, რომ მათ საუკეთესო ხარისხის მაისურები, ქაშმირი, სვიტერები, შარვლები აქვთ, მიყვარს Uniqlo! და თუ რამე განსაკუთრებულად კრეატიული არ გსურს, მაშინ რატომ უნდა მიაკითხო ძვირადღირებულ მოდის სახლს, ნამდვილად ვერ ვხედავ ამას აზრს, ჩვეულებრივ, სადა, შავ ქვედაბოლოს ლამაზ ბლუზასთან და მოსასხამთან ერთად ყველგან იყიდით: H&M, Zara, Mango – რამდენია ასეთი მსხვილი ქსელი, ასობით. ასე რომ, ერთი გზაა, მიაკითხოთ დიდ ბრენდს, ან მოდის სახლს და თავი მოიკატუნოთ, რომ გადახდით დიდხალ ფულში გენიალური კრეატიულობა მიიღეთ, სხვა მხრივ, ამ ყველაფერს უბრალოდ აზრი ეკარგება.

რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს წარმატებული მოდის ჟურნალის რედაქტორისგან მსგავსი შეფასების მოსმენა, სოცანი მაინც ღიად ამბობს, რომ არ უყვარს „ფემინისტა“ ქალები.

– ფემინისტებს სტილი არ გააჩნიათ: თუ ახლა Celine არის მოდამი, Celine-ს ირჩევენ, თუ – Balenciaga, მაშინ – Balenciaga-ს. მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი მოდურ სამოსს ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე ატარებენ. ამიტომაც, მათი სახეები არც გამახსოვრდება, მეხსიერებას მხოლოდ მათი ტანსაცმელი თუ შემორჩება. სამაგიეროდ, ამ კატეგორიის ქალები იმ ბლოგერების ყურადღებას იქცევენ, რომლებიც „ქუჩის სტილს“ აღბეჭდავენ ფირზე, მოდურ ვებგვერდებზე და ჟურნალებში ხვდებიან და ბევრისთვის მისაბძებელი კი არიან. მე კი ელევანტური ადამიანები მომწონს, რომლებიც სამოსს თავიანთი ინდივიდუალიზმის და სტილის მიხედვით არჩევენ. მეც ასე ვირჩევ სამოსს. საერთოდ არ მაინტერესებს, რას ფიქრობენ ჩემზე მოდის ინდუსტრიაში. მომწონს, როცა ჩაცმულობაში საკუთარ პიროვნებას ავსახავ.

– რადგან ამხელა მნიშვნელობას ანიჭებთ მოდის ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას, საკუთარი სტილის



„ვაქეთვ იმას, რას მოგწონს. თუ სხვასაც მოგწონს, ეს მიხარია. და თუ არა, პერაფერს გავაქეთვ მის ბადასარწმუნებლად, ჩემს იდეაზე უარს ვერ ვიტყვი. შეიძლება კონკრეტული ნომერი არ მოგაწონოს, მაგრამ მოგაწონება შეიძლება ნომერი“.

შექმნას და ჩაცმულობით საკუთარი ხასიათის, თუ სურვილების საზგასმას, მაშინ, ალბათ, შემწნეულიც გეყოლებათ ისინი, ვინც ამ ყველაფერს ახერხებენ, – ვეუბნები საპასუხოდ. ფრანკა დაუფიქრებლად მპასუხობს, რომ ასეთი მხოლოდ ერთი-ორი თუ მოიძებნება, მათ შორის კი, მისი აღნიშვნის ღირსი ერთი ცნობილი მსახიობი ქალი ხდება, „რომელსაც მოკლე და ნითური თმა აქვს“. სახელს ვერ ვისხენებთ. თვითონ კი არ ნებდება, სახელის გასახსენებლად მეზობელ ოთახში გადის და ზუსტად 2 წუთში ბრუნდება. კარდიანე ხმამაღლა გვეძახის: „როგორ ვერ გავიხსენე – ტილდა სვინტონი!“

ფეშენისტიების თემიდან მოდის ბლოგერების პოპულარული ფენომენის განხილვაზე გადავდივართ. ფრანკა ღიმილით მეუბნება: „მოდის ბლოგერები დარწმუნებული არიან, რომ მე ისინი მძულს. ეს ასე არ არის. თუმცა, ერთხელ ნამდვილად ვთქვი, რომ მათ საერთოდ არ აქვთ წარმოდგენა იმის შესახებ, რასაც აკეთებენ – და ასეცაა. დღეს ნებისმიერს შეუძლია იყოს მოდის ბლოგერი: შექმნი ბლოგს, ქუჩაში გადაიღებ სურათებს, ატვირთავ და საკუთარ თავს მოდის ბლოგერად გამოაცხადებ. ეს ძალიან მარტივია. თუმცა, ერთეულები ასეთ ბლოგერებს შორის მართლაც ძალიან ნიჭიერები აღმოჩნდნენ და უნიკალური ბლოგები შექმნეს, ისეთები, როგორც, მაგალითად, სკოტ შუმანი (The Sartorialist) და გარანს დორია. მათ ჟურნალისტიკის ახალი სახეობა შემოიტანეს, მოდის გაცოცხლების და წარმოჩენის უნიკალური გზა მოიგონეს.“

ბლოგერების მეორე კატეგორიაზე საუბრისას (მასში ის ბლოგერები შედიან, რომელთაც საკუთარი ჩაცმულობა გამოაქვთ საჯარო განხილვისთვის) სოცანი საკუთარი ნეგატიური დამოკიდებულებისთვის უკეთ გამოსახატავად, ხელბსაც იშველიებს და კატეგორიულად ამბობს: „აი, ეს ნამდვილად მძულს. ვის აინტერესებს, რა აცვიათ მათ, ან რის ჩაცმას აპირებენ?! ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია.“

შემდეგ ფრანკას იტალიური მოდის მნიშვნელობაზე საუბარს ვთხოვ, ის კი ორ სხვადასხვა მხარეს მიჯნავს: მოდის ინდუსტრიული და კრეატიული მხარეები:

– ინდუსტრიული მხარე წარმოებას, წარმატებულ ბრენდებს, მოდის სახლებს და ზოგადად, მათი საქმიანობის მარკეტინგულ ნაწილს გულისხმობს. მეორე, კრეატიულ მხარეს რაც შეეხება, აქ უკვე ვსაუბრობთ იმ დიზაინერებზე, რომელთაც იტალია მსოფლიოს გააცნეს: ვალენტინო, პრადა, დოლჩე გაბანა, ფენდი, არმანი, ეტრო. მათთან ერთად, ჩვენ გვაქვს ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ბრენდები, მაგალითად, Max Mara, რომელიც წმინდა გაგებით „მოდას“ არ გულისხმობს, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე ნამყვანი ინდუსტრიული სისტემა იტალიაში. ისევე როგორც Tod's-ის ჯგუფი, რომელიც თავიდან არ იყო მოდაზე ორიენტირებული, მაგრამ ამჯერად უკვე მოდის ნაწილში გადავი-

და. ამას გარდა, არ დაგავიწყდეთ, რომ თითქმის ყველა ქსოვილს იტალიაში ვანარმოებთ, აბრეშუმადან დანყებულს, კოტონით და შალით დამთავრებული. და რასაკვირველია, ტყავის წარმოება ფეხსაცმელების და აქსესუარების სახით. ასე რომ, სადაც არ უნდა ნახვიდეთ იტალიაში, ამ დიდი სისტემის ერთ ნაწილს მაინც ნახვადებით: ვენეტოში ჯინსს და ტყავს შეხვდებით, ტოსკანაში – ჩანთებს, ემილია-რომანაში – სვიტერებს. ხომ ხვდებით?! და მათი უმეტესობა მსოფლიოში ცნობილი ბრენდებია, ხშირ შემთხვევაში, ოჯახური ბრენდები. და ამას ყველაფერს მხოლოდ იტალიაში ნახავთ, რაც ჩვენს ქვეყანას უნიკალურს ხდის.

– საზოგადოების ნაწილი მოდას ხშირად არასერიოზულად და გარკვეული ირონიითაც კი უყურებს, თითქოს მათთვის მოდის ინდუსტრიაში საქმიანობა სხვა პროფესიებთან შედარებით, ნაკლებ სერიოზული იყოს. როგორ უპასუხებდით მათ, ვინც ასე ფიქრობს?

– მოდით, კონკრეტულად გეტყვით იტალიის მაგალითზე: იტალიის ფინანსურ სექტორში მოდის ინდუსტრია მეორე ადგილზეა თავისი მნიშვნელობით. ასე რომ, მოდის ჩვენებების, მოდელების, გლამურისა და ელევანტურობის მიღმა არის ძალიან მსხვილი ინდუსტრიული ქსელი, რომელიც ძალიან ბევრს განსაზღვრავს იტალიაში. მერწმუნეთ, ეს ძალიან სერიოზული რამაა – ეს ნიშნავს ამ ინდუსტრიაში მომუშავე ათასობით ადამიანს, რომლებიც, თავის მხრივ, კიდევ მრავალ ათას ადამიანს ასაქმებენ, სამუშაო ადგილებს ქმნიან და ათასობით ოჯახისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ. მოდის ინდუსტრიაში საქმიანობა არანაირად არ არის ნაკლებად სერიოზული ინჟინრის, არქიტექტორის, ან თუნდაც იურისტის საქმიანობასთან შედარებით. ამ დროს უნდა იყო კრეატიული, უნდა ანარმოო, უნდა მიანოდო, უნდა გქონდეს მალაზიები, უნდა იცოდე მარკეტინგი. ასე რომ, მოდა დიდ საქმეს

აკეთებს. შენობიდან გამოსულმა, თავისთან ერთად იქვე ღია კაფეს მიგაშურე სულის მოსათქმელად. გვერდით მაგიდაზე ღია ნაცრისფერ და ლურჯ კლასიკურ კოსტიუმებში გამონყობილი ორი ახალგაზრდა იტალიელი მამაკაცი ხმამაღლა და გააფთრებით რალაცაზე დავობდა.

– რალაც გარიგების ციფრებზე მსჯელობენ, – ჩემს ცნობის-მოყვარე მზერას უმაღლე უპასუხა თავომ.

„ციფრულ რეალობაში“ მყოფს თვალი ჩონდე Nast-ის შენობისკენ გამექცა და ფიქრებით მის კედლებში მოქცეულ ოცნებათა ფაბრიკას მივუბრუნდი: თავიდან გავიარე გი ბურდანის და პიტერ ლინდბერგის ფოტოებით მოჭედული დერეფნები, რომელთაც სხვა დროსა და სივრცეში გადაყვარ – შესაძლებლობების სამყაროში, სადაც რეალური ქალები გამოგონილები ხდებიან და სადაც ნებისმიერი ოცნების ახდენაა შესაძლებელი.

„სადაც არ უნდა ნახვიდეთ იტალიაში, მოდის სისტემის ერთ ნაწილს მაინც წააწყდებით: ვენეტოში ჯინსს და ტყავს შეხვდებით, ტოსკანაში – ჩანთებს, ემილია-რომანაში – სვიტერებს. ხომ ხვდებით?! და ამას ყველაფერს მხოლოდ იტალიაში ნახავთ, რაც ჩვენს ქვეყანას უნიკალურს ხდის“.



SOLO მომსახურება

კომფორტული
მომგებიანი
გამორჩეული



რომაული ჩანაწერები

ავტორი თამარ სულავა



აღბათ, ყველას გინახავთ გენიალური რეჟისორის, ბილი უაღდერის ფილმი „საბრინა“, რომელშიც მილიარდერი ოჯახის მოსამსახურე გოგონა, გრაციოზული და მორცხვი საბრინა (ოდრი ჰეპბერნი) ხის ტოტზე აცოცდება და იქიდან დიდხანს ათვალეირებს ბაღში გამართულ ზეიმებსა და მდიდრულად მორთულ ქალბატონებს. ბედნიერების ფორმულა მისთვის დევიდ ლარაბის ცოლობა, ძვირფას კაბებში შემოსვა და მდიდრულ საღამოებზე კეკლუცია. რეალობასა და ოცნებებს შორის ბატალიები გოგონას ლამის თვითმკვლევლობამდე მიიყვანს, ვიდრე პარიზში არ გაემგზავრება და მისი სამყარო სრულ მეტამორფოზას არ განიცდის...

როდესაც გვიანი გაზაფხულის

ერთ რომანტიკულ საღამოს, ჩემი მეგობრის, ისაბელის თხოვნით, რომის ცენტრში, ერთ-ერთ დიდებულ პალაცოში, იტალიელი მულტიმილიონერის ქორწილში აღმოვჩნდი, რატომღაც ზუსტად საბრინასავით ვიგრძენი თავი და გულიანად გამეცინა ჩემს თავზე. ერთი ეგ იყო, ხის ტოტზე არ ვიჯექი, თორემ ზუსტად ისევე ხარბად ვათვალეირებდი ჩემ წინ მონარნარე ლამაზმანებსა და კოსტიუმებში გამოწყობილ მამაკაცებს, როგორც – საბრინა...

ნასვლამდე ისაბელმა მკაცრად გამაფრთხილა: „აბა, შენ იცი, **dress code** მკაცრად განსაზღვრულია – მამაკაცები **Black Tie** და ქალბატონები საღამოს გრძელ კაბებში“.

ცოტა კი შევფიქრიანი, ნამიერად გარდერობს გადავაკვლე თვალი

და მივხვდი, რომ იქ გრძელი საღამოს კაბა ნამდვილად არ მოინახებოდა. ხელფასამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი, საფულეში კი მხოლოდ 24 ევრო მედო. ბოლოს, გადავწყვიტე, მამაკაცის ფორმაში წარმდგარიყავი ქორწილში – შავი კოსტიუმით და მამის გარდერობიდან მითვისებული ჰალსტუხით, თავისუფლადაც ვიქნებოდი და **dress code**-ის დაუნერულ კანონებსაც არ დავარღვევდი.

გზად, რომაული კეთილდღეობის სიმბოლო – ფორთოხლის ყვავილები შევიძინე და მარსის მოედნისკენ გავეშურე. სწორედ იქ, ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში იდგა სასახლე, რომელიც საუკუნეების წინ არისტოკრატიული წარმოშობის კარდინალსა და შემდგომში იერუსალიმის პატრიარქს, შიპიონე გონზაგას ეკუთვნოდა, დღეს კი – მულტიმილიონერი ვალენტინო ჩიჩერისა და მისი რუმინელი მეუღლის – მსახიობ, ანდრა ბოლუას საკუთრება იყო.

ზღურბლზე თეთრ უნიფორმაში გამოწყობილი კორეელი პორტიე ისეთი სიხარულითა და თავაზიანობით შემოგვეგება, რომ დავეჭვდი, ადრე ხომ არ შევხვედრილვართ და მესხიერება ხომ არ მალატობს-მეთქი.

არ მიყვარს ადამიანების სოციალურ კლასებად დაყოფა, მაგრამ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში სხვა გზა არ მექნება. მოკლედ, ვის არ ნახავდით ქორწილში – ლიხტენშტეინის პრინციო, ბრანდერბურგის პრინცესაო, შემდეგ – იტალიელი მსახიობები, ბრიტანული მოდის სახლების წარმომადგენლები, იაპონელი მოდელები და ადგილობრივი მაღალი წრის ბორგეზია... მხოლოდ მე გახლდით ერთი რიგითი ქართველი... ერთი სიტყვით, დიდი ფერადოვნება სუფევდა.

თვითონ პალაცოც საინტერესო დასათვალეირებელი იყო. წარმოიდგინეთ შუასაუკუნეების სამსართულიანი მუზეუმი – სიძველის ფერის კედლებით და ოქროს ორნამენტებიანი მაღალი ჭერით, არც მეტი არც

ნაკლები – რაფაელისა და კარავაჯოს ფერწერული ტილოებით მორთული.

გარემოს აფროამერიკელთა ჯაზ-ბენდის შესრულებული ჯიფსი-ჰანგები ათბობდა. მექორნილები გულუხვი ღიმილით ესალმებოდნენ სტუმრებს და გრძელი, მეფური მაგიდებისკენ უხმობდნენ იტალიური სამზარეულოს უგემრიელესი დელიკატესებისა და ფრანგული შამპანურის დასაგემოვნებლად.

გრძელ, ლამაზ კაბებში გამოწყობილი ქალბატონები ერთიანად კაშკაშებდნენ, ზოგს ლიბანელი დიზაინერის, ელი სააბის წყლის ფერი გრძელი ტუნიკა ეცვა, ზოგს – ვალენტინოს მაქმანებანი, ნითელი კაბა; ერთ-ერთი სტუმარი, უფრო მეტი ორიგინალობისთვის, ინდურ სარიში იყო გამოწყობილი, რამდე-

ნიმე ქალბატონს კი საერთოდ არ ჰქონდა გათვალისწინებული ქორწილის დრესკოდი, კოქტილის მოკლე, შავი კაბით იყო მოსული და საკმაოდ ვულგარულადაც გამოიყურებოდა.

შემდეგ, შეზარხომებულმა სტუმრებმა ბილიარდის თამაში დაიწყეს, ზოგი თვალემინაბული უსმენდა მუსიკას, ზოგი კი ტერასაზე გამართულ რიგში ჩადგა – შავ, გრძელ, აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი, ტატუირებული გოგონას მიერ მომზადებული ფერადი კოქტილი რომ გაეცინჯა.

უკვე ხომ გითხარით, ხარბად ვათვლიერებდი-მეთქი გარემოს და რატომღაც მომეჩვენა, რომ აქ მყოფ ადამიანებს ნამდვილად არ ეტყობოდათ სიმდიდრით და კეთილდღეობით გამონვეული ბედნიერება. უემოციო გამომეტყველება, სნობური ცხვირანულობა და ყალბი ღიმილი – თი-

თქოს მხოლოდ ეს აერთიანებდათ.

მოგვიანებით, უკვე კარგად შემთვრალ სტუმრებს ერთმანეთი „შეუყვარდათ“. პრინციპებმა კომფორტულად რომ ეცეკვათ, ფესხაცმელები გაიხადეს და ფეხშიშველები წრეში განაგრძობდნენ „ჰავა ნაგილას“ ცეკვას... მოკლედ, მანამ არ დაიშლნენ, ვიდრე მუსიკოსებმა და მასპინძლებმა ალაგება და ჩალაგება არ დაიწყეს და ღამე მშვიდობისა არ გვისურვეს.

სახლში დაბრუნებისას მივხვდი, რომ ძალაუფლებმა „საბრინობამ“ დამალა. არ მომეწონა ეს როლი... და მივხვდი იმასაც, რომ მამის გარდერობიდან მითვისებული ჰალსტუხი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი იყო იმ ძვირფას ნივთებს შორის, რაც იმ საღამოს ერთად თავმოყრილი ვნახე...

Shine for you!

Bioline JatoMen Professional

პროფესიონალი და სახის ხაზი კოსმეტოლოგიური ბრენდი - BIOLINE JATO ხარისხიანი პროდუქციის წარმოების გამო მთელმა მსოფლიომ ვერ კიდევ 30 წლის წინ აიტაცა. „სიბერის შეჩერება“ ამ ლოზუნგს BIOLINE-ის განუყოფელი ტექნოლოგიის წყალობით მსოფლიოში ყოველწლიურად სულ უფრო მეტი და მეტი ქვეყანა აღიარებს.

საქმიანი მამაკაცებისთვის ნაცნობია გადაღილობის სიშავები თვალის ქვეშ, გაღიზიანებული და ცხიმოვანი სახის კანის სიპრიალით გამოწვეული დისკომფორტი.

BIOLINE JatoMen სთავაზობს თავის მომხმარებელს მამაკაცის ხაზს, რომელიც უბრუნველყოფს თითოეული წარმატებული და რელიზებული მამაკაცის მოთხოვნებს, დაეხმარება მათ შეინარჩუნონ ახალგაზრდობა და მოიხსნან ყოველდღიური გაბარსვის შემდგომი, გადაღილობისა და სტრესისგან გამოწვეული უსიამოვნო შეგრძნებები.

BIOLINE JatoMen მამაკაცის ხაზი კანის მეტაბოლიზმს ავსებს ენერჯითა და უბრუნებს სიცოცხლისუნარიანობას, ხსნის დაღილობასა და სტრესს, კვებავს, ატენიანებს და აღადგენს კანს.



თქვენი წინა მკისმკურანი და ხსენებელი ყოველწლიურად

- ლაზერული ეპილაცია ალექსანდრიტის ოქროს ლაზერით;
- სახის კანის დიაგნოსტიკა კომპიუტერული მეთოდით;
- მანუალური, ინექციური, აპარატურული კოსმეტოლოგია;
- სახისა და სხეულის მოვლის, მოდელირებისა და გაახალგაზრდავების თანამედროვე NANO პროცედურები - Bioline Jato -ს პროფესიონალი და სახის ხაზით;
- მასაჟი- სხეულის გაჯანსაღება, კორექცია და რელაქსაცია;
- მალთაშუა დისკების პათოლოგიების მკურნალობა კომპიუტერული აპარატურული მეთოდით;
- მანუალური თერაპია;
- ფიზიოთერაპია;
- სოლარიუმში - უსაფრთხო და თანაბარი რუკი;
- თმის, ხელისა და ფეხის ღრჩხილების სტილი და პიკინა;



კ-კვკელიძის №14/რუსთაველის №37(ელბაქიძის ხიდთან) ტელ: (032) 2 230 330/ 2 932 934

www.shine.ge info.shine.ge FB: Aesthetic Medncentre Shine

სტილის დღიურები

ავტორი თამარ ალავეძე



შანელის შავი ქურთუკი

„პატარა, შავი, ტვიდის ქურთუკის გამოგონება ნებისმიერი დიზაინერის ოცნებაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ის თავის დროზე მადმუაზელ შანელმა გამოიგონა“, – მოსწრებულად შენიშნა კარლ ლაგერფელდმა და იქვე, ამ გამოგონების ისტორიაც გაიხსენა: „შანელისთვის შთაგონება ტიროლელების ნაციონალური კოსტიუმი იყო – მამაკაცის ჟაკეტი სწორი სილუეტითა და ოთხი ჯიბით. შანელმა კი ის თავისებურად გადააკეთა: ქურთუკის შესაქერად ტვიდი აირჩია (ტვიდის ქურთუკებს, მადმუაზელ შანელის მეგობარი მამაკაცი, უესტმინსტერის ჰერცოგი ატარებდა), მხრების გარშემო მაქსიმალურად კომფორტული თარგი აიღო (მსგავსი ტიპის ბლეიზერებს ასევე შანელის ერთ-ერთი მეგობარი, არტურ კაპელი ატარებდა) და საფირმო არშიაც გამოიყენა (დანული

ზონარი შანელს ერთ-ერთი ავსტრიული სასტუმროს პერსონალის უნიფორმაზე შეუთვალევია). ასეთი ნივთის შექმნა ლურჯი ჯინსების ან თეთრი ბლუზის გამოგონების ტოლფასია“.

ეს საკულტო შავი ქურთუკი სულ მალე 50 წლის იუბილეს იზეიმებს. ამასთან დაკავშირებით, ლაგერფელდმა თავის დიდი ხნის მეგობარ, ფრანგული Vogue-ის ყოფილ მთავარ რედაქტორ, კარინ როიტფელდთან ერთად ალბომის გამოცემა გადაწყვიტა, სახელწოდებით Little Black Jacket. ამ ალბომის ფოტოსესიისთვის შანელის სახლის ოფიციალური სახეების გარდა, თავად ლაგერფელდის მუზებიც მიიწვიეს და თითოეულ მათგანს სთხოვეს, ტვიდის შავი ქურთუკი ისე ჩაეცვათ, როგორც თვითონ მოიხდენდნენ მას. შედეგი საინტერესო აღმოჩნდა, რომლის ნახვაც ავგისტოდან – ნიგნის გაყიდვაში გამოსვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

პაპატის დაბრუნება

როცა 1997 წელს Fendi-ს ჩანთა „ბაგეტი“ გამოჩნდა, მოდის მიმდევართა აურაცხელმა არმიამ ის უმაღვე მონათლა ერთ-ერთ ყველაზე საკულტო მოდელად ჩანთების ისტორიაში. ეს პატარა ზომის ჩანთა საოცრად მოსახერხებელი იყო იმის გამო, რომ მისი ტარება ბაგეტივით, ილლიაში ამოჩრდილი შეიძლებოდა.

სწორედ ამ მოდელს ეძღვნება გამომცემლობა Rizzoli-ს ახალი წიგნი. უხვად ილუსტრირებულ გამოცემაში, ხანგრძლივი ისტორიის მქონე იტალიური მოდის სახლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქმნილების ისტორია 250 ფოტოს მეშვეობითაა მოთხრობილი. წიგნის ავტორია სილვია ვენტურინი ფენდი, სარა ჯესიკა პარკერი კი ამ გამოცემის ერთ-ერთი კონტრიბუტორია.

წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით, Fendi-ს სახლმა ჩანთის ლეგენდარული მოდელის ახლებური ვერსიების გამოშვება გადაწყვიტა და მალე, ერთგულ კლიენტურას Baguette Jeans, Baguette Tucano-ს და Baguette Spicchiatti-ის უახლეს მოდელებს შესთავაზებს.



fanghi d'alga
GUAM[®]

გ ა ი რ უ ჯ ე თ უ ს ა თ რ თ ხ ი დ
G U A M - თ ა ნ ე რ თ ა დ

ცნობილია, რომ კანი ყველაზე მეტად ბერდება მზის სხივების მოქმედებისგან, რის შედეგადაც იგი კარგავს დრეკადობას და სიგლუვეს. ჩნდება ნაადრევი ნაოჭები და პიგმენტური ლაქები.

ამ უსიამოვნო მომენტების თავიდან ასარიდებლად GUAM-მა შექმნა მზის UVA და UVB სხივებისგან დამცავი ინოვაციური ხაზი Anti-Age.

მასში წარმოდგენილი პროდუქტი შეიცავს ზღვის წყალმცენარეებსა და ორგანულ მიკროელემენტებს, რომლებიც ამდიდრებენ თქვენს კანს მისი სწორი კვებისთვის საჭირო ამინომჟავებით და მინერალური მარილებით, ებრძვის თავისუფალ რადიკალებს კანის დაბერების საწინააღმდეგოდ. კანზე ტოვებს მბრწყინავ ოქროსფერ ნამზეურს. მზისგან დამცავი კრემები Solare Anti-Age SPF 6 , SPF 15 განკუთვნილია ფართო მოხმარებისათვის, გამოიყენება ნამზეურის სასურველი ინტენსივობის მიხედვით.

დაცვის მაღალი ხარისხის მქონე კრემი Solare Anti-Age SPF 50+ , განკუთვნილია როგორც ხაზი, ასევე ბავშვის კანისათვის.

ორფაზიანი ზეთოვანი სითხე Talasso GUAM Olio Ristrutturante Capelli აღადგენს თმას, კვებავს, იცავს და ახდენს მის კონდიციონერებას. ამაგრებს თმის ძირებს და ჩუქნის მას სიცოცხლისუნარიანობას მზეზე ყოფნის დროს.

ნამზეურის შემდეგ სახმარი კრემი Solare Anti-Age Crema Corpo Dorosole ხსნის გაღიზიანებას, ატენიანებს და კვებავს კანს მზეზე ყოფნის შემდეგ.

თუ ჯერ ვერ მოასწარით ბუნებრივი ნამზეურის მიღება, Fangocrema SOLE superabbronzante-კრემის ან მასაჟის ხელთათმანის Guanto Autoabbronzante მეშვეობით, რომლებიც შეიცავენ ზღვის წყალმცენარეების ექსტრაქტებსა და გასახდომ კომპლექსს, თქვენ შეძლებთ შეიცვალოთ სილუეტი და შეინარჩუნოთ კარგი ტანადობა და ამასთან ერთად სხეულს მისცეთ ბუნებრივი ნამზეურის მშვენიერი ფერი, რომელიც კანზე შენარჩუნდება 3-4 დღის განმავლობაში.



Audrey
შპს. ოდრი

შ.პ.ს. ოდრი , GUAM-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
საპარტეზლო, თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 21
ტელ/ფაქსი: +995 32 243 22 07
E-mail: audrey@audrey.ge

დღიური

როდარტი & მოცარტი

ცნობილი მოდის სახლების თანამშრომლობას ოპერასა და თეატრთან არცთუ ისე მწირი ისტორია აქვს. საფრანგეთის რეალობაში, ამ კუთხით ყველაზე გამოცდილები კრისტიან ლაკრუა და ჟან პოლ გოტიე არიან (თუ თავის დროზე, კოკო შანელის და ელზა სკიაპარელის მიერ კოქტოსთვის შექმნილ კოსტიუმებს არ გავითვალისწინებთ). მეზობლად, იტალიაში კი, ცნობილი ლა სკალას და სანკარლოს თეატრების საოპერო დადგმებისთვის კოსტიუმები ისეთ მოდის სახლებს აქვთ შექმნილი, როგორც Missoni-ი და Fendi-ია.

ახლა მოცარტის „დონ ჯოვანისა“ და ცნობილი ამერიკული ბრენდის Rodarte-ის თანამშრომლობის ჯერიც დადგა. 2005 წელს დაარსებული Rodarte-ის დიზაინერებმა პირველი გამოცდილება თეატრში ოსკაროსანი ფილმის „შავი გედის“ საბალეტო კოსტიუმების შექმნის დროს მიიღეს. ოპერისთვის კი ეს მათი სადებიუტო ნაშრომია.

Rodarte-ის მიერ გაფორმებული „დონ ჯოვანის“ პრემიერა ლოს ანჯელესში, უოლტ დისნეის საკონცერტო დარბაზში, პირველად 18 მაისს გაიმართა.



ჰერმესის საჩუქარი ბრიტანელს

წელს ცნობილი ფრანგული სახლი არსებობის 135 წელს აღნიშნავს. იუბილესთან დაკავშირებით Hermes-ის ოსტატებმა 1975 წელს ჰენრი დორინის მიერ შექმნილი „Passe-Guide“ ჩანთის 4 ახალი მოდელი წარმოადგინეს, რომლებიც ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და ირლანდიის ფერებსა და სიმბოლიკას გამოხატავს.

ხელჩანთები ხელით არის შეკერილი, სახლის უძველესი ტრადიციების გათვალისწინებით, როგორც ეს თავის დროზე, 1837 წელს Hermes-ის დამფუ-

ძნებელმა ტიერი ჰერმემ შეიმუშავა და განავითარა. ხბოს ტყავისგან დამზადებულ „ინგლისის“ ჩანთას გრძელი ბუნვის კუდი ამშვენებს, რომელიც დედოფლის დაცვის თავსაბურავს მოგაგონებთ, „უელსის“ მოდელზე კი ქვეყნის მფარველი სიმბოლო, დრაკონის გამოსახული. „შოტლანდიური“ ვერსია ტრადიციული კუბოკრული და კილტის განუყრელი ატრიბუტით, ქინძისთავით არის განწყობილი, „ირლანდიური“ კი ნიანგის მწვანე ტყავშია გადაწყვეტილი და მასზე სამყურა ბალახია გამოსახული.



www.radiokalaki.ge



იანჭიურათ, მიიღეთ მონაწილეობა

RADIOKALAKI.GE-ს გამოკითხვებში

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები და რჩევები
მისამართზე

INFO@RADIOKALAKI.GE

თქვენი რადიო - ხიდი მსოფლიოსთან



სხარი
შოქოცენი
98.5 FM

98.5

